ISSN 1987-6874

სვეტიცხოველი



Svetitskhoveli

№2, 2021

სამეცნიერო-ისტორიული ყოველთვიური სვეტიცხოველი
Scientific-Historical Journal SVETITSKHOVELI
3

საქართველოს საპატრიარქოს, საქართველოს სინოდალური აკადემიისა და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის თეოლოგიის სასწავლო - სამეცნიერო ცენტრის სამეცნიერო საისტორიო ჟურნალი

მთავარი რედაქტორი: მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე

მთავარი რედაქტორის მოადგილეები: დეკანოზი ლევან მათეშვილი
მამუკა მაცაბერიძე

სარედაქციო საბჭო: დავით გურგენიძე
ზურაბ გასიტაშვილი
ვახტანგ გურული
ალექსანდრე გრიგოლიშვილი
გიორგი კოკოშაშვილი
თამარ ლომინაძე
შალვა ნაჭყებია
გივი ღამბაშიძე
არჩილ ფრანგიშვილი
მაკა ხართიშვილი
თემურ ჯაგოდნიშვილი
გურამ ჯავახაძე

პასუხისმგებელი მდივანი:
ქეთევან მახაშვილი

© სვეტიცხოველი
სამეცნიერო სტატიები რეცენზირდება სარედაქციო საბჭოს მიერ.
მასალის გადაბეჭდვა რედაქციის თანხმობის გარეშე დაუშვებელია.
ISSN 1987-6874
გამომცემლობა „ტექნიკური უნივერსიტეტი", 2021.



ჟურნალ
„სვეტიცხოვლის“, 1917 წლის დეკემბრის,
ყდის ფრაგმენტი

სვეტიცხოველი მუდმივი მოცემულობაა საქართველოს სულიერი აღორძინების ფუნდამენტისათვის

XX საუკუნის დასაწყისში (1917 წელს) წმიდამღვდელმოწამე პატრიარქის კირიონ II-ის ხელდასმით დაიწყო ჟურნალ „სვეტიცხოველი"-ს გამოცემა, ეკლესიის ერთგულ შვილთა დარაზმვისათვის რათა დამოუკიდებელი საქართველოს სულიერი აღორძინებისა და ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ცნობიერების აღდგენის მკვიდრი საფუძველი შექმნილიყო.

დღეს, XXI საუკუნეში, საქართველოს არანაკლები სირთულის ამოცანები აქვს გადასაწყვეტი და გამძაფრებული ბრძოლა ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ცნობიერებისათვის კვლავ მოითხოვს იმ სულიერი ორიენტირების და გავლენების ახლებურ გააზრებას, რამაც საქართველო ათასწლეულების განმავლობაში გამოატარა ისტორიის გაავებულ ოკეანეში და წინამდებარე ჟურნალიც – საქართველოსათვის საკრალური სახელდებით – „სვეტიცხოველი" ამგვარი მისიის შესრულებას პირდება მკითხველს.

უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით და მიტროპოლიტ ანანია ჯაფარიძის ხელდასმით ჟურნალი „სვეტიცხოველი" განაგრძობს სიცოცხლეს მკითხველისათვის.

ჟურნალ სვეტიცხოველის რედაქცია

"მოწყალების საქმე გადაარჩენს სრულიად საქართველოს" (თანადგომის დღედ 1 ივლისი დაწესდა)

არიან ადამიანები, რომელთა ზრუნვაც მარტოოდენ საკუთარი თავით, ეგოისტური სურვილებით შემოიფარგლება; მაგრამ, საბედნიეროდ, ასევე არიან ადამიანები, რომლებიც სხვებისათვის ცხოვრობენ, საკუთარ თავს სხვებს უძღვნიან. ქართველი ადამიანი ბუნებით სწორედ ამით გამოირჩევა: თუკი იგი ხედავს სხვა ადამიანის გაჭირვებას, აუცილებლად მიდის და ეხმარება მას. პავლე მოციქული ამბობს: "ურთიერთ სიმძიმე იტვირთეთ და ესრედ აღასრულეთ სჯული იგი ქრისტესი".

როგორ შეიძლება, ვიტვირთოთ სხვისი სიმძიმე, რით შეიძლება შევეწიოთ სხვა ადამიანებს? ზოგიერთი ფიქრობს, რომ არ შეუძლია სხვისი დახმარება, რადგან თვითონაც ხელმოკლედ ცხოვრობს. ყველა ადამიანს შეუძლია დაეხმაროს სხვას, თუნდაც არაფერი ებადოს გასაცემი. ჩვენ უნდა ვიცოდეთ, რომ დახმარება მრავალი სახისა არსებობს: არსებობს სულიერი დახმარება, არსებობს სიტყვიერი დახმარება და, რაღა თქმა უნდა, მატერიალურიც.

***

დღეს ჩვენთან ბრძანდებიან **საქართველოს საინჟინრო აკადემიისა** და კომპანია **"მედინსერვის"** წარმომადგენლები, რომლებმაც შემოგვთავაზეს, დაწესდეს **"თანადგომის დღე"**. თანადგომა ეს იგივე დახმარებაა. ჩვენ ვამაყობთ იმით, რომ ჩვენს მოსახლეობას გაჭირვებული ადამიანების თანადგომის სურვილი აქვს. **თანადგომის დღედ 1 ივლისი დაწესდა.** სწორედ ამან გადაგვატანინა ის პრობლემები, რომლებიც ბოლო 18 წლის მანძილზე გვქონდა.

ღმერთმა დალოცოს ისინი, რადგან ზრუნავენ გლახაკებზე და ფიქრობენ, თუ რით შეეწიონ მათ. მინდა ყველას გისურვოთ: ამაზე ფიქრი ყოფილიყოს თითოეული ჩვენგანის საზრუნავი.

უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის ქადაგებიდან
სულთმოფენობის დღესასწაულზე

ყოვლადწმიდა სამების საპატრიარქო ტაძარი
ივლისი 2008 წელი

სრულიად საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქი
380005, თბილისი, მეფე ერეკლე II მოედ. №1
ტელ: 99 03 78, 98 95 41 ფაქსი: (995 32) 98 71 14

CATHOLICOS PATRIARCH
OF ALL GEORGIA
1 King Erekle II sq., Tbilisi 380005, Georgia.
Tel.: 99 03 78, 98 95 41 FAX: (995 32) 98 71 14

ბრძანება № 76

სრულიად საქართველოს საპატრიარქოსადმი

10 ივლისი, 2009 წელი

XIX - XX საუკუნეებში საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმებისა და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის გაუქმების პერიოდში მიზანმიმართულად ყალბდებოდა საქართველოს ისტორია და ენათმეცნიერების საფუძვლები.

ამასთან დაკავშირებით ვბრძანებ:

I. საქართველოს საპატრიარქოსთან შეიქმნას საქართველოს რეალური ისტორიის დამდგენი მუდმივმოქმედი კომისია მისი მაღალყოვლადუსამღვდელოესობის, მანგლისისა და წალკის მიტროპოლიტ ანანიას (ჯაფარიძის) ხელმძღვანელობით;

II. საქართველოს საპატრიარქოსთან შეიქმნას ქართული ენათმეცნიერების პრობლემური საკითხების შემსწავლელი მუდმივმოქმედი კომისია პროფესორ მანანა ტაბიძის ხელმძღვანელობით.

სრულიად საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქი

ეძღვნება
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის თეოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო 20 წლისთავს

თეოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ცენტრი – 20 წლისაა

თეოლოგიის სწავლება დასავლეთის უნივერსიტეტებში მათი დაარსებიდანვე იწყება. წამყვან უნივერსიტეტებში თეოლოგიის ფაკულტეტები, მიმართულებები თუ კათედრები დღესაც ჩვეული მოცემულობაა ევროპისა და ამერიკის უმაღლეს საგანმანათლებლო სისტემაში. ამგვარი პრაქტიკა დამახასიათებელია არა მხოლოდ ჰუმანიტარული მიმართულების უნივერსიტეტებისათვის, არამედ ტექნიკურისათვისაც. ამ მხრივ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი პიონერია არა მარტო საქართველოს საუნივერსიტეტო სივრცეში, არამედ რეგიონშიც, რადგან სწორედ ამ უნივერსიტეტის კედლებში დაარსდა პირველად თეოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ცენტრი, რაც, თავის მხრივ, ტექნიკური უნივერსიტეტის და საქართველოს სამოციქულო ეკლესიის თანამშრომლობის საუკეთესო მაგალითია. მისი უწმიდესობისა და უნეტარესობის აღსაყდრებიდან მოყოლებული პატრიარქი ცდილობდა თავის სამწყსოში განეხორციელებინა ქრისტიანული ღირებულებების ერთ-ერთი მთავარი პრინციპი – სარწმუნოების გამეცნიერება და მეცნიერების გასარწმუნოება. მოღვაწეობის განმავლობაში მან ეტაპობრივად განახორციელა ეს ერისათვის და ბერისათვის სასიკეთო ჩანაფიქრი. საქართველოს ეკლესიას დღეს დღეობით აქვს სკოლები, გიმნაზიები, აკადემიები, უნივერსიტეტები. ამ დიდი მიზნის განხორციელებაში უდავოა მისი უწმიდესობის დამსახურება.

მარცხნიდან: რ. ხუროძე, უწმინდესი და უნეტარესი ილია II, მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე

2001 წლის 28 სექტემბერს საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში გაიმართა დიდი საბჭოს გაფართოებული სხდომა, რომელსაც დაესწრნენ უწმიდესი და უნეტარესი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II, წმინდა სინოდის წევრები. ეს იყო პატრიარქის პირველი მობრძანება საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში, რაც ჭეშმარიტად ისტორიული თარიღია და იგი ოქროს ასოებით ჩაიწერა საინჟინრო განათლების მატიანეში. თავის გამოსვლაში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ბრძანა: „მხოლოდ მორწმუნე ადამიანი, არის მონა ღვთისა, ხოლო მორწმუნე და განათლებული ადამიანი არის მეგობარი ღვთისა“. სწორედ ამ დღეს მისი უწმიდესობის ლოცვა-კურთხევით პირველად საქართველოს საერო საგანმანათლებლო სისტემაში, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ-ტექნიკურ ფაკულტეტზე (დეკანი რ. ქუთათელაძე) დაფუძნდა თეოლოგიის კათედრა.

დიდი საბჭოს შემადგენლობამ ერთსულოვნად დაუჭირა მხარი კათედრის გამგის თანამდებობაზე წმინდა სინოდის წევრის, მანგლისისა და წალკის მთავარეპისკოპოსის, მეუფე ანანიას წამოყენებას, რომელიც საბჭოს წინაშე წარსდგა ვრცელი მოხსენებით თეოლოგიის კათედრის სამომავლო მიზნების შესახებ.

უწმიდესმა თავისი გამოსვლა შემდეგი სიტყვებით დაასრულა: „მე გილოცავთ ამ ბედნიერ დღეს და მოგახსენებთ, რომ კათედრის გამგედ არჩეულია მთავარეპისკოპოსი მეუფე ანანია, რომელიც წმინდა სინოდში თავისი ერუდიციითა და ღრმა აზროვნებით გამოირჩევა და მინდა ვთქვა, რომ ეს ძალიან კარგი არჩევანია. ეს არის თქვენი დიდი დამსახურება“. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორს საჩუქრად გადასცა საბერძნეთის ათონის ივერთა მონასტერში დაცული XIII–XIV საუკუნეების სახარების მოოქრული გარეკანის ასლი და იქ მოღვაწე მამების იოანე, ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელების მადლით დალოცა დამსწრე საზოგადოება და სრულიად საქართველო.

ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორმა უწმიდესსა და უნეტარესს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, ილია II-ს ქართველი ერის სულიერ და ინტელექტუალურ განვითარებაში გაწეული დიდი ღვაწლისათვის სტუ-ის უმაღლესი ჯილდო „გიორგი ნიკოლაძის მედალი“ გადასცა.

ახლად დაფუძნებული კათედრის პედაგოგთა შემადგენლობის შერჩევა უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის რეკომენდაციით და ლოცვა-კურთხევით აღსრულდა. თეოლოგიის კათედრის პედაგოგთა პირველ შეკრებაზე უწმინდესთან, საპატრიარქოში, უწმინდესმა დამოძღვრა ისინი და მათი ყურადღება მიაპყრო იმას თუ რა დიდი მნიშვნელობა და პასუხისმგებლობა აკისრია თეოლოგიის კათედრას არა მარტო უნივერსიტეტის, არამედ მთელი ქვეყნის წინაშე; კათედრის სრულფასოვანი მუშაობისათვის კი პედაგოგებს მიზნად დაუსახა: უნივერსიტეტის სპეციფიკის გათვალისწინებით, განსაკუთრებული ყურადღებისა და გულისხმიერების გამოჩენა სტუდენტებთან და სხვა დარგების პროფესორ-მასწავლებლებთან ურთიერთობისას, ლექციებისა და სემინარული მეცადინეობისათვის სერიოზული მომზადება და სხვა.

დეკანოზი ავთანდილ ბურდული, დეკანოზი ლევან მათეშვილი, დეკანოზი გიორგი ჯიბუტი, დეკანოზი გურამ გურამიშვილი, მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე, დეკანოზი მიქაელ ჭაბაშვილი, მიტროპოლიტი იოანე გამრეკელი, დეკანოზი ვახტანგ ასათიანი

თეოლოგიის კათედრის პირველი წევრები გახდნენ საქართველოს საპატრიარქოს დაქვემდებარებაში არსებული სასწავლებლების პედაგოგები და ეკლესია-მონასტრებში მოღვაწე სასულიერო პირები, რომელთაც სასწავლო-აღმზრდელობითი და სამეცნიერო მუშაობის დიდი გამოცდილება ჰქონდათ. კერძოდ, პროტოპრესვიტერი გიორგი გამრეკელი, დეკანოზები: ზაქარია ძინძიბაძე, გიორგი ჯიბუტი, ამირან ამირანაშვილი, ვახტანგ ასათიანი, მიქაელ ჭაბაშვილი; მღვდლები: ბიძინა გუნია, გიორგი მალხაზიშვილი, კონსტანტინე გიორგაძე, მაქსიმე ჭანტურია, მიქაელ ჭანტურია, მიქაელ მაჭარაძე, გურამ გურამიშვილი, თეოდორე გიგნაძე, გიორგი დორეული, მიქაელ კაპანაძე, დავით ჭანტურია, მიქაელ ბუკია, არქიდიაკონი დემეტრე დავითაშვილი; პედაგოგები: ზურაბ ცხოვრებაძე, ზურაბ ეკალაძე, გიორგი მაისურაძე, სერგო ფარულავა, ლევან ბუკია, ზვიად ბარკალაია, მზია წიკლაური, გოჩა გუგუშვილი.

დროთა განმავლობაში პედაგოგთა შემადგენლობა შეიცვალა და კათედრაზე მუშაობა მოუწიათ მღვდლებს: ილია წერეთელს, სამოელ ზვიადაურს, ლევან მექოშვილს, გიორგი ბაღიაურს, ავთანდილ გულაშვილს, ლევან მათეშვილს, კახაბერ შურღაიას, გიორგი შაშვიაშვილს, ლუკა ფალავანდიშვილს, ვახტანგ კვიჟინაძეს, კონსტანტინე დავითაშვილს, ივანე ეპიტაშვილს. პედაგოგებს: გოჩა ასათიანს, გიორგი წეროძეს, ქეთევან პავლიაშვილს, ვარლამ ხათრიძეს, იოანე (ჯემალ) ჭიღლაძე და სხვებს.

ახალდაფუძნებული კათედრის გამგემ და პედაგოგებმა კათედრის პირველსავე სხდომაზე მიზნად დაისახეს, ერთი მხრივ, განსწავლა-კატეხიზაცია საღვთისმეტყველო კუთხით, მეორე მხრივ კი საქართველოს ეკლესიის ისტორიის მნიშვნელოვანი ეტაპის შესწავლა.

პირველი ლექცია ღვთისმეტყველებაში წაიკითხა მეუფე ანანიამ და ასე დაიწყო ტექნიკური უნივერსიტეტის ყველა ფაკულტეტზე ქრისტიანული მოძღვრების საფუძვლების დაუფლება.

2002 წლის 25 მარტს სტუ-ში გაიმართა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის 85-ე წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია, რომელსაც დაესწრნენ მისი უწმიდესობა და უნეტარესობა, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II, უწმიდესი სინოდის წევრები. კონფერენციის მონაწილეებმა უდიდესი ინტერესით მოისმინეს თეოლოგიის კათედრის გამგის, მეუფე ანანიას მოხსენება, სადაც მაღალ მეცნიერულ დონეზე იყო წარმოჩენილი დედა ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის ისტორიული ასპექტები და მათი მნიშვნელობა ქართული სახელმწიფოებრიობის აღმშენებლობის საქმეში. საინტერესო მოხსენებებით გამოვიდნენ აგრეთვე თეოლოგიის კათედრის თანამშრომლები. უწმიდესის ლოცვა-კურთხევით, მეუფე ანანიამ რექტორატის მხარ დაჭერით სტუ-ის ადმინისტრაციულ კორპუსში 2002 წელს დააფუძნა და აკურთხა წმინდა გიორგის სახელობის სამლოცველო, რასაც უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლობა და სტუდენტობა უდიდესი კმაყოფილებით შეხვდა. მოგვიანებით I და II სასწავლო კორპუსებშიც დაფუძნდა და იკურთხა წმინდა ნინოს და წმინდა დავით აღმაშენებლის სახელობის სამლოცველოები.

თეოლოგიის კათედრის ისტორიაში ოქროს ასოებით ჩაიწერა პირველი საერთაშორისო კონფერენცია დევიზით „მეცნიერება და რელიგია“, რომელიც 2005 წლის 23–24 მაისს ჩატარდა საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში და რომლის ორგანიზატორები იყვნენ საქართველოს საპატრიარქო, საქართველოს საინჟინრო აკადემია, საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, გაეროსთან არსებული ინფორმატიზაციის საერთაშორისო აკადემია, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ვ. ა. ტრაპეზნიკოვის სახელობის მართვის პრობლემების ინსტიტუტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, მეცნიერების ისტორიის საქართველოს საზოგადოება.

კონფერენციას ესწრებოდნენ უწმიდესი და უნეტარესი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II, წმინდა სინოდის წევრები, ჩვენი ქვეყნის გამოჩენილი მეცნიერები და საზოგადო მოღვაწეები, საზღვარგარეთელი სტუმრები – აკადემიკოსები კ. ფროლოვი, ვ. ბურკოვი, ბ. გუსევი, პროფესორები – ნ. კოლომბუსი, ჯ. ჰაუფკროფტი და სხვები. კონფერენციის მონაწილეებმა მოისმინეს მიტროპოლიტ ანანია ჯაფარიძის მოხსენება – „საქართველოს სახელმწიფო წყობა ფარნავაზიან და ბაგრატიონ მეფეთა მმართველობის ეპოქაში“.

ი. ანდრიაძე, დ. გორგიძე, აკად. ი. ფრანგიშვილი, ეპისკოპოსი დოსითე ბოგვერაძე, რ. ჩიქოვანი, მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე, აკად. კ. ფროლოვი, გ. ჯავახაძე, დეკანოზი არჩილ ავანაშვილი

გ. ჯავახაძე, გ. გუგუშვილი, დეკანოზი მიქაელი, აკად. კ. ფროლოვი, ი. გორგიძე, მიტროპოლიტი ანანია, რ. ჩიქოვანი, აკად. ი. ფრანგიშვილი, დეკანოზი გიორგი

მოხსენება თემაზე „მეცნიერებისა და რელიგიის, ცოდნისა და რწმენის, სისტემური ურთიერთობანი“ გააკეთა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა, საქართველოს საინჟინრო აკადემიის პრეზიდენტმა, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ვ.ა. ტრაპეზნიკოვის სახელობის მართვის პრობლემების ინსტიტუტის დირექტორმა, აკადემიკოსმა ივერი ფრანგიშვილმა, რომელმაც უდიდესი როლი შეასრულა აღნიშნული კონფერენციის ორგანიზებისა და ჩატარების საქმეში.

მომდევნო კონფერენცია „მეცნიერება და რელიგია“ ჩატარდა 2006 წლის 6 ივნისს და იგი სასიქადულო მამულიშვილის, დიდი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის, აკადემიკოს ივერი ფრანგიშვილის ხსოვნას მიეძღვნა. ამ კონფერენციაზე პროფესორმა ი. გორგიძემ უწმიდესსა და უნეტარესს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს ილია II-ს და სტუ-ს თეოლოგიის კათედრის გამგეს, მიტროპოლიტს, პროფესორ ანანია ჯაფარიძეს გადასცა საინჟინრო აკადემიის საპატიო აკადემიკოსის დიპლომები. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II და მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე აირჩიეს რუსეთის საბუნებისმეტყველო აკადემიის საპატიო წევრებად.

უდიდესი ინტერესი გამოიწვია კონფერენციაზე მეუფე ანანიას მოხსენებამ – „დასავლეთ საქართველოს საეკლესიო იურისდიქცია IV–IX საუკუნეებში“.

როდესაც სტუ-ის თეოლოგიის კათედრაზე გაშლილ სამეცნიერო შემოქმედებით მოღვაწეობაზე ვსაუბრობთ, არ შეიძლება არ აღინიშნოს კათედრის წევრთა ნაყოფიერი საქმიანობა.

კათედრის დაარსებიდან მეხუთე წლისთავს მიეძღვნა საიუბილეო სამეცნიერო კონფერენცია, რომელიც ტექნიკურ უნივერსიტეტში გაიმართა 2007 წლის 14 თებერვალს გიორგი ნიკოლაძის სახელობის დარბაზში. საიუბილეო სამეცნიერო კონფერენციას დაესწრნენ მისი უწმიდესობა და უნეტარესობა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II და წმინდა სინოდის წევრები. „მე ნამდვილად ბედნიერი ვარ, რომ ვიმყოფები თქვენთან ერთად და აღვნიშნავთ თეოლოგიის კათედრის დაარსების მე-5 წლისთავს. ხუთი წელი არც ისე დიდი დროა, მაგრამ ამ ხნის განმავლობაში ბევრი რამ გაკეთდა“ – ბრძანა უწმიდესმა და უნეტარესმა თავის გამოსვლაში. „მე დარწმუნებული ვარ, რომ იმ ხუთმა წელმა, რომლის დროსაც აქ დიდი მუშაობა ჩატარდა, თავისი კარგი შედეგი გამოიღო და პირველ ყოვლისა მინდა მადლობა გადავუხადო მეუფე ანანიას და ამ კათედრის მუშა ჯგუფს იმ დიდი შრომისათვის, რასაც თქვენ ეწევით აქ, ტექნიკურ უნივერსიტეტში. მე გილოცავთ ამ თარიღს და დარწმუნებული ვარ, რომ ის პრობლემები, რომელთა წინაშეც დგას დღეს საერთოდ განათლება და კერძოდ, ტექნიკური უნივერსიტეტი, დაიძლევა და დადებითად გადაწყდება მომავლის საკითხი, რომელიც თქვენ წინაშეა. მე მინდა მოგახსენოთ, რომ საქართველოს ეკლესია მუდამ თქვენში იყო და იქნება. ღმერთმა დაგლოცოთ და გაგახაროთ“. ამ მაღალი შეფასებისა და გულითადი დალოცვის შემდეგ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს გადასცა ქრისტეშობიდან 2000 წლისთავის აღსანიშნავად საპატრიარქოს მიერ გამოცემული უნიკალური საგანძური, რომელსაც ეწოდება „ნათელი ქრისტესი საქართველო“.

2006 წელს თეოლოგიის კათედრის ბაზაზე შეიქმნა თეოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ცენტრი (ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტი) – ხელმძღვანელი მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე, ხელმძღვანელის მოადგილე პროფესორი ივანე გორგიძე.

საქართველოს საპატრიარქოს, საქართველოს საინჟინრო აკადემიისა და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის თეოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ცენტრის მიერ დაფუძნდა სამეცნიერო-საისტორიო ჟურნალი „სვეტიცხოველი“, რომლის მთავარი რედაქტორი დღემდე ბრძანდება პროფესორი, მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე, მთავარი რედაქტორის მოადგილეები წლების განმავლობაში იყვნენ პროფესორები: ვლადიმერ დოლიძე, ნანა ხაზარაძე და მამუკა მაცაბერიძე; ამჟამად მამუკა მაცაბერიძესთან ერთად რედაქტორის მოადგილეა პროფესორი, დეკანოზი ლევან მათეშვილი, სარედაქციო საბჭოს წევრები არიან პროფესორები: ზურაბ გასიტაშვილი, დავით გურგენიძე, **ივანე გორგიძე,** ვახტანგ გუ-

რული, ალექსანდრე გრიგოლიშვილი, გიორგი კოკოშაშვილი, თამარ ლომინაძე, შალვა ნაჭყებია, გივი ღამბაშიძე, არჩილ ფრანგიშვილი, **ტარიელ ფუტკარაძე**, მაკა ხართიშვილი, თემურ ჯაგოდნიშვილი, გურამ ჯავახაძე, პასუხისმგებელი მდივანი ქეთევან მახაშვილი.

ჟურნალი იბეჭდებოდა სააქციო საზოგადოება „მედინ სერვისის“, ამჟამად კი ტექნიკური უნივერსიტეტის თანადგომით.

ნიშანდობლივია, ის ფაქტი, რომ ამ ჟურნალის გამოცემით ფაქტობრივად აღდგენილ იქნა XX საუკუნის დასაწყისში (1917 წელს) წმიდა მღვდელმოწამე პატრიარქის კირიონ II-ის ხელდასხმით მაშინდელი „სრულიად საქართველოს საკათალიკოზოს საბჭოს“ მიერ დაფუძნებული ჟურნალ „სვეტიცხოვლის“ გამოცემა.

ძალიან ბევრი კეთილი საქმე გაკეთდა საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში თეოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ცენტრის პედაგოგთა აქტიური მონაწილეობით. უწინარეს ყოვლისა თანამშრომელთა და სტუდენტთა სულიერების განწმენდისა და განმტკიცების თვალსაზრისით. ცენტრის ბაზაზე აღინიშნება ყველა დიდი საეკლესიო დღესასწაული, რაც საუნივერსიტეტო ტრადიციად იქცა. ცენტრი ტექნიკურ უნივერსიტეტში ამჟამად მიმდინარე აღმავლობის პროცესში აქტიურად მონაწილეობს, როგორც სულიერი და მორალური თანადგომის კეთილშობილური ძალა, განსაკუთრებით გლობალიზაციის პირობებში ცივილიზაციათა შორის დიალოგის გასაღრმავებლად.

ცენტრის არსებობის პერიოდში მნიშვნელოვანი მიღწევაა „თეოლოგიის“ სადოქტორო პროგრამის შექმნა, რომლის ფარგლებში უკვე 20-მდე დოქტორანტი იღებს განათლებას.

„თეოლოგიის“ სადოქტორო საბჭოს წევრები
სხედან, მარცხნიდან: ი. გორგიძე, მიტროპოლიტი ანანია (საბჭოს თავმჯდომარე), ს. ვარდოსანიძე.
დგანან, მარცხნიდან: ვ. შუბითიძე, ა. სონღულაშვილი, ზ. გასიტაშვილი,
დეკანოზი კახაბერ შურღაია, დეკანოზი გიორგი გუგუშვილი, დეკანოზი მიქაელ მაჭარაძე,
გ. ანდრიაძე, დეკანოზი თეოდორე გიგნაძე

თეოლოგიის პროგრამის პირველი დოქტორები – დეკანოზი თეოდორე გიგნაძე, ვაჟა ოთარაშვილი, ნარი ჩხაბერიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის 2016 წლის 16 მაისის № 1987 დადგენილებით ჩამოყალიბდა საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი (დეკანი ი. ჯაგოდნიშვილი, დეკანის მოადგილე თ. ხოხობაშვილი, პროგრამების კოორდინატორი ქ. კვესელავა), რომლის შემადგენლობაშიც შედის თეოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ცენტრი.

ცენტრის თანამშრომლები მონაწილეობას ღებულობენ საერთაშორისო კონფერენციებში, საგრანტო პროგრამებში, მათ მიერ მომზადებულია მონოგრაფიები, სახელმძღვანელოები.

უწმიდესი და უნეტარესი ილია II, ი. გორგიძე, ა. ფრანგიშვილი

2018 წლის 27 აპრილს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს ილია II-ს ეწვია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორი, აკადემიკოსი არჩილ ფრანგიშვილი უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებთან ერთად.

შეხვედრა ეძღვნებოდა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის აღსაყდრებიდან 40 და დაბადებიდან 85 წლის იუბილეს. მისი უწმიდესობის წინაშე წარდგენილი იყო რამდენიმე უნიკალური გამოცემა, რომელიც ეძღვნებოდა აღნიშნულ თარიღებს. მისასალმებელი სიტყვა წარმოთქვა და მის უწმიდესობას ღირსშესანიშნავი თარიღები მიულოცა აკადემიკოსმა არჩილ ფრანგიშვილმა, რომელმაც გადასცა უნიკალური გამოცემა „ქართული ინჟინერიის ოქროს წიგნი“. მისალოცი სიტყვა წარმოთქვა თეოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ცენტრის ხელმძღვანელმა, პროფესორმა, მიტროპოლიტმა ანანია ჯაფარიძემ, მან მის უწმიდესობას გადასცა ჟურნალ „სვეტიცხოველის“ საიუბილეო გამოცემა, რომელიც ეძღვნებოდა უწმიდესის საიუბილეო თარიღებს. აღნიშნული გამოცემა უნიკალურია იმით, რომ მასში შესულია საქართველოს ტექნი-კური უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლების, თანამშრომლებისა და სტუდენტების მისალოცი წერილები, სადაც გამოიხატება ის დიდი სიყვარული, რასაც თითოეული მათგანი განიცდის კათოლიკოს-პატრიარქის მიმართ. მის უწმიდესობას იუბილე მიულოცა პროფესორმა ივანე გორგიძემ,

რომელმაც საჩუქრად გადასცა ისტორიული წიგნი „საქართველო ინფორმატიზაციის სათავეებთან“. ასევე პროფესორმა რეზო სტურუამ მის უწმიდესობას წარუდგინა ლექსების კრებული, რომელიც ეძღვნებოდა კათოლიკოს-პატრიარქის საიუბილეო თარიღებს, თავად ავტორის მიერ აღნიშნული კრებულიდან წაკითხული იყო რამდენიმე ლექსი.

მისმა უწმიდესობამ გულითადად დალოცა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, პროფესორ-მასწავლებლები და სტუდენტები, უსურვა მათ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ასპარეზზე წინსვლა და სტუმრებს გადასცა სამახსოვრო საჩუქრები.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები სტუმრად პატრიარქთან

2018 წლის 30 აპრილს ათონის მთის ვატოპედის მონასტრის წინამძღვარი, არქიმანდრიტი ეფრემი, ეწვია საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს, მოილოცა წმინდა გიორგის სახელობის სამლოცველო. უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში გაიმართა შეხვედრა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორთან, აკადემიკოს არჩილ ფრანგიშვილთან, პროფესორ-მასწავლებლებთან და სტუდენტებთან.

შეხვედრა გახსნა უნივერსიტეტის რექტორმა, აკადემიკოსმა არჩილ ფრანგიშვილმა. მისასალმებელი სიტყვით გამოვიდა მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის თეოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ცენტრთან ნაყოფიერი და ხანგრძლივი თანამშრომლობისათვის, სტუ-სა და ათონის მთის ვატოპედის მონასტერს შორის ურთიერთობის განვითარებაში შეტანილი წვლილისათვის საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით, არქიმანდრიტ ეფრემს მიენიჭა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საპატიო დოქტორის წოდება. საპატიო დოქტორის დიპლომი და მედალი გადასცა რექტორმა არჩილ ფრანგიშვილმა.

არქიმანდრიტმა ეფრემმა უნივერსიტეტს უსახსოვრა ივერიის ღვთისმშობლის ხატი, მიტროპოლიტმა ანანია ჯაფარიძემ არქიმანდრიტ ეფრემს ხარების ხატი გადასცა, პროფესორმა ივანე გორგიძემ – ღვთისმშობლის კერიის მფარველი ხატი.

შეხვედრის ბოლოს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის თეოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ცენტრსა და ვატოპედის მონასტერს შორის გაფორმდა საგანმანათლებლო ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი.

სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის უწმინდესისა და უნეტარესის ილია II სიტყვა

წარმოთქმული საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში გამართულ დიდ საბჭოზე 2001 წლის 19 ოქტომბერს

„თქვენო აღმატებულებავ, ბატონო რექტორო, პროფესორ-მასწავლებლებო, სტუდენტებო, ქალბატონებო, ბატონებო!

მე მოხარული ვარ, რომ დღეს ვიმყოფები თქვენთან ერთად. მე მინდა ვთქვა, რომ ეს არის ისტორიული დღე, როცა ტექნიკურ უნივერსიტეტში ფუძვნდება თეოლოგიის კათედრა, თქვენ კარგად მოგეხსენებათ რამდენად რთულია ეს დრო, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ. გადადგმულია უზარმაზარი ნაბიჯები მეცნიერებაში და ტექნიკაში წინ, მაგრამ, ამავე დროს გადადგმულია უზარმაზარი ნაბიჯები უკან რწმენაში და სულიერ საქმეში. თქვენ კარგად მოგეხსენებათ, რომ მეცნიერება და ტექნიკა ეს არის ღვთის დიდი მადლი. მაგრამ ძალიან საშიშია მეცნიერება და ტექნიკა არასულიერი ადამიანის, ურწმუნო ადამიანის ხელში... აი, ამიტომ მიმაჩნია მე, რომ ღვთისმეტყველების კათედრის დაფუძვნება ტექნიკურ უნივერსიტეტში დროული და აუცილებელია. მართლაც, დღეს სულიერების, სიყვარულის საოცარი დეფიციტია და ჩვენ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისათვის, რომ აღდგეს ეს ჰარმონია სულსა და მატერიას შორის.

თქვენ კარგად მოგეხესენებათ, რომ ჯერ კიდევ პირველ საუკუნეებში იყო მსჯელობა იმის შესახებ, თუ რა ურთიერთდამოკიდებულებაშია რწმენა და ცოდნა. ამას შეეხო ისეთი დიდი მეცნიერი, როგორიც იყო კლიმენტი ალექსანდრიელი, მან თქვა, რომ პირველადი არის რწმენა და ცოდნა რწმენაზე უნდა იყოს დაფუძნებული.

კლიმენტი ალექსანდრიელი ამბობს, აგრეთვე, რომ არ არის საკმარისი ადამიანი იყოს მორწმუნე, მას აუცილებლად ცოდნა უნდა ახლდესო და ის ასეთ დასკვნას აკეთებს: „მხოლოდ მორწმუნე ადამიანი არის მონა ღვთისა, ხოლო მორწმუნე და განათლებული ადამიანი არის მეგობარი ღვთისა".

თქვენ გახსოვთ, რომ ეს სახარებიდან ამოღებული სიტყვებია, აზრია, თქვენ გახსოვთ, რომ ჯვარცმის წინ, უფალი ჩვენი იესო ქრისტე ეუბნება მოციქულებს: „მეგობარნო ჩემნო".

ამიტომ ჩვენ საპატრიარქოში ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რომ ღვთისმეტყველების კათედრამ იმუშაოს, რომ თქვენ ცოდნა მიიღოთ, მაგრამ ამავე დროს, ვისაც სურს, რომ ღრმა ღვთისმეტეყველი იყოს, ღრმად ჩასწვდეს ღვთისმეტეყველებას, აუცილებლად საჭიროა ცოდნა, აუცილებლად საჭიროა ღრმა მეტყველება, ფილოსოფიური აზროვნება, ანალიტიკური აზროვნება.

თქვენ გახსოვთ დიდი ღვთისმეტყველები: ბასილი დიდი, გრიგოლ ღვთისმეტყველი, იოანე ოქროპირი... უპირველეს ყოვლისა, მათ შეისწავლეს ანტიკური ფილოსოფია და ყველაფერი გააკეთეს იმისათვის, რომ ფილოსოფია გამხდარიყოს საფუძველი თუ მსახური ღვთისმეტყველებისა. ასეთი გამოთქმაც არსებობს: ფილოსოფია არის მსახური ღვთისმეტყველებისაო. ამიტომ ცოდნა საჭიროა, ღრმა აზროვნება საჭიროა და მე მოგიწოდებთ ჩვენს ახალგაზრდებს, სტუდენტებს, რომ ყოველდღიურად თქვენი განუყოფელი მეგობარი და თანამგზავრი იყოს წიგნი. მე არა ერთხელ შევეხე ამ საკითხს და ვფიქრობ, რომ სასკოლო პროგრამაში აუცილებლად უნდა შევიდეს ღრმა აზროვნება. ჩვენ ბავშვებს პირველი კლასი-

დან უნდა ვასწავლოთ ანალიტიკური, ლოგიკური აზროვნება და საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ მივიღებთ მოაზროვნე ახალგაზრდობას. მე გილოცავთ ამ ბედნიერ დღეს.

მე ასე წარმომიდგენია ღვთისმეტყველების კათედრის მუშაობა: აქ არის ზღვა მასალა. ადამიანმა შეიძლება ყველაფერი იცოდეს ზერელედ, ზედაპირულად და ზოგადად. რა თქმა უნდა, ყოველმა ჩვენგანმა, უნდა ისწავლოს, მაგრამ ეს სწავლა მე ასე წარმომიდგენია: ყოველმა ჩვენგანმა, ყოველმა თქვენგანმა რომელიმე წმიდა მამა უნდა აირჩიოს, დავუშვათ, ბასილი დიდი, გრიგოლ ღვთისმეტყველი, ნეტარი ავგუსტინე და მთელი თქვენი სიცოცხლის მანძილზე უნდა სწავლობდეთ ამ წმიდა შრომებს, თუ რა არის და არ არის თარგმნილი ქართულად, რა არის რუსულად, რა მოიპოვება ბერძნულ ენაზე და თქვენ ამა თუ იმ წმიდა მამის სპეციალისტი იქნებით.

მე მინდა შეგახსენოთ, რომ, მაგალითად, გრიგოლ ღვთისმეტყველი იმავე დროს პოეტი იყო. გრიგოლ ღვთისმეტყველს ზედმეტსახელად „გონება“, „განუსაზღვრელი გონება” დაარქვეს.

აი, ასე წარმომიდგენია მე აქ თეოლოგიის კათედრის მუშაობა. ეს არ უნდა იყოს მარტო რაღაც პატარა ჯგუფი, თუ წრე. ამ ღვთისმეტყველების კათედრამ მარტო თქვენი უნივერსიტეტის სტუდენტობა კი არ უნდა მოიცვას, არამედ საერთოდ ჩვენს ეკლესიაში და ჩვენს საქართველოში უნდა დანერგოს, რომ ყოველი თქვენთაგანი ამა თუ იმ წმიდა მამის სპეციალისტი იყოს. ასე რომ, ახლავე იფიქრეთ თუ რომელ წმიდა მამას აირჩევთ.

მე გილოცავთ ამ ბედნიერ დღეს და მოგახსენებთ, რომ კათედრის გამგედ არჩეულია მთავარეპისკოპოსი მეუფე ანანია, რომელიც წმიდა სინოდში თავისი ერუდიციითა და ღრმა აზროვნებით გამოირჩევა და მინდა ვთქვა, რომ ეს ძალიან კარგი არჩევანია. ეს არის თქვენი დიდი დამსახურება და, უპირველეს ყოვლისა, ეს არის ბატონი რექტორის დამსახურება და მადლობას ვწირავ მას“.

მთავარეპისკოპოს ანანია ჯაფარიძის სიტყვა

„თქვენო უწმინდესობავ და უნეტარესობავ, ბატონო რექტორო, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დიდი საბჭოს პატივცემულო წევრნო, ყოვლადსამღვდელო მეუფენო, ქალბატონებო და ბატონები.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი მთელი ქართველი ერისათვის წარმოადგენს მეცნიერების, კულტურისა და განათლების საამაყო კერას, სასწავლო სამეცნიერო დაწესებულებას, სადაც აღზრდილი მაღალკვალიფიციური კადრები დაუღალავად იღწვიან ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ. ამიტომაც აქ თეოლოგიის კათედრის დაარსებას და მის კურთხევას უწმიდესისა და უნეტარესის კათალიკოს პატრიარქის მიერ განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს. თეოლოგიის კათედრის დაფუძვნება ერთი ნაწილია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის იმ დიდი პროგრამისა, რომლის მიხედვითაც საუნივერსიტეტო ტექნიკური განათლება ამასთანავე ჰუმანიტარული განათლების სრულიად ახალ საფეხურზე აყვანას, მის გაფართოებას, გარღმავებას, პროფესიონალი ინჟინრის მიერ ეროვნული სულიერი კულტურის გათავისებას და მისი ეროვნული ფენომენის მატარებელ მოქალაქედ აღზრდას გულისხმობს. თეოლოგიის კათედრას ამ მხრივ დიდი მისია ეკისრება. მის მუშაობას საფუძვლად დაედება უწმინდესისა და უნეტარესის ილია II სწავლება რწმენისა და ცოდნის ურთიერთდამოკიდებულების შესახებ. მან ბრძანა:

„დღეს ჩვენს ინტელიგენციას იმაზე მეტი პასუხისმგებლობა ეკისრება, ვიდრე თვითონ გრძნობს. ის როლი, რასაც თავის დროზე სამეფო დინასტია, თავადაზნაურობა ეკლესიასთან ერთად ასრულებდა, დღეს ინტელიგენციამ უნდა იტვირთოს. იგი უნდა იქცეს ერისათვის ჭეშმარიტი გზის მკვალავად, ეროვნული მრწამსის, კულტურისა და ხელოვნების დამცველად. ამიტომაც, ხელი უნდა შევუწყოთ მისი ნიჭისა და მაღალი თვისებების მაქსიმალურ გამოვლენას ერისა და ღვთის სამსახურად.

თუ ნორმალური საზოგადოების შექმნა გვსურს, ჩვენმა ინტელიგენციამ, ერისმთავრებმა უპირველესად მოზარდი თაობის სწორ აღზრდაზე უნდა იზრუნოს, ადამიანის ბუნება დაცემულია და ჩვენი ცოდვისმიერი თვისებანი ასაკისდა მიხედვით გამოვლინდებიან. ამიტომაც, ახალგაზრდებმა თავიდანვე უნდა ისწავლონ ავისა და კარგის გარჩევა, ბოროტებასთან ბრძოლა და უფლის შეწევნით დაძლიონ მანკიერი მიდრეკილებანი.

მართლმადიდებელი სარწმუნოება ხერხემალია ჩვენი ეროვნული სხეულისა, მისი შეცვლით ან დაკარგვით ჩვენ ქართულ სულს ვკარგავთ. ამისი მაგალითი ბევრი გვაქვს“.

უწმიდესი ილია II კვლავ ბრძანებს: „საქართველოს კულტურული, ინტელექტუალური, თუნდაც მატერიალური პოტენციალის აღორძინება სულიერი ამაღლებით უნდა დაიწყოს. მეცნიერების და მის წარმომადგენელთა სულიერება იქნება სათავე ჩვენი ქვეყნის განახლებისა. ინტელიგენციაში დიდი პოტენციური ძალაა. წარსული დროის უმძიმეს პერიოდებშიც მოაზროვნე ფენა ჩვენი ქვეყნისა ხალხში ნერგავდა განათლებისა და სოციალური პროგრესის მაღალ იდეალებს. ერთდერთი რაც მას აკლდა ეს იყო ჭეშმარიტი სარწმუნოების სრული გააზრება. თავისი ფუნქციის სწორად შეფასებას და შესრულებას ინტელიგენცია მხოლოდ მაშინ შესძლებს, როცა თავის ცოდნას რწმენას უკავშირებს. ოდენ ამ შემთხვევაში მიაღწევს ის დიდ და სასურველ შედეგებს“. ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია უწმიდესი პატრიარქის მიერ მოხმობილი მაგალითი II საუკუნის ცნობილი მეცნიერის კლიმენტი ალექსანდრიელისა, რომელმაც შეიმუშავა მოძღვრება რწმენისა და

ცოდნის შერწყმისა. მას უწოდებენ პირველ ქრისტიან მეცნიერს. მართალია, იგი მღვდელი, სასულიერო პირი იყო, მაგრამ სამოძღვრო საქმიანობით არ იფარგლებოდა. კლიმენტი ალექსანდრიელის თანახმად ქრისტიანები ორ ჯგუფად იყოფიან, მონანი ღვთისა და მეგობარნი უფლისა. ეს უკანასკნელი რწმენისა და ცოდნის წყალობით ამაღლდნენ სულიერი და მისტიკური ჭვრეტის საფეხურებამდე და განვლეს სრულყოფის გზა ღვთის მონიდან – ღვთის მეგობრამდე. მაგრამ კლიმენტის აზრით, არც ცოდნაა საკმარისი, ამასთანავე საჭიროა სიკეთის ქმნა, ურომლისოდაც შეუძლებელია აღსრულება ღვთის მცნებებისა და მიმსგავსება შემოქმედისა.

სიკეთის ქმნით, უანგარო სიყვარულის მეშვეობით პიროვნება თანდათან თავისუფლდება შურის, სასოწარკვეთილების, შიშის, ბოროტების და სხვა ვნებებისაგან. მას უყვარს ყველა, ცდილობს მათ დაახლოებას ღმერთთან, თვითონაც სიყვარულის მადლით ამყარებს მუდმივ, ლოცვით ურთიერთობებს უფალთან.

თუ პიროვნებას, მით უმეტეს მეცნიერს, არა აქვს ჭეშმარიტი სარწმუნოება, არა აქვს სულიერი საგანძური და მისთვის ერთადერთი ურყევი ავტორიტეტი არ არის ღვთის მცნებები, მაშინ მისი ნებისმიერი იდეა თუ გამოგონება ერის, კაცობრიობის საწინააღმდეგოდ მობრუნდება".

სარწმუნოებისა და მეცნიერების დაკავშირების შესახებ წმიდა ილია მართლის ცნობილი მოძღვრება მარად უკვდავია და მისი გახსენება ყოველთვის საჭიროა: „ბევრსა ჰგონია, რომ მეცნიერება და სარწმუნოება ერთმანეთში მოურიგებელნი არიან, მაგრამ ამ ორ სამფლობელოს შორის შემაერთებელი ხიდი არის სიბრძნე. გამეცნიერებული სარწმუნოება და გასარწმუნოებული მეცნიერება არის წყარო ერის მსახურებისა, ღვაწლისა, მადლისა და საქმისა, რადგანაც კაცთათვის მსახურება მსახურებაა ღვთისა.

მეცნიერება და სარწმუნოება შეიძლება ორ მძლავრ ფრთას შევადაროთ, რომელზეც დაყრდნობითაც ქართველ ერს შეუძლია კვლავ მოიპოვოს სულიერი და სახელმწიფოებრივი სიძლიერე. ახალი თაობა, უთუოდ, კვლავ, გადებს შემაერთებელ სიბრძნის ხიდს მეცნიერებასა და სარწმუნოებას შორის.

წყარო ერის ბედნიერებისა, დიდი ილიას თქმით, ცოდნა და განათლებაა: „სწავლის და ცოდნის შეძენა იმ ძვირფასი თესლის შეკრებას ჰგავს, რომელიც მშობელ ქვეყანას უნდა მოჰფინონ ერთი ათასად მოსამკელად".

ჩვენი წმიდა სამოციქულო ეკლესიის წევრთათვის საამაყოა, რომ ძველ საქართველოში სწავლისა და ცოდნის კერებს ეკლესია-მონასტრები წარმოადგენენ. უფლისადმი მადლიერების გრძნობით უნდა აღვნიშნოთ, რომ ქართული ეკლესიის წიაღში ჩამოყალიბდა და იშვა დიდი ქართული მწერლობა. ითარგმნა წმიდა წერილი, საფუძველი ჩაეყარა ქართულ ლიტერატურას. პირველი მწერლები სასულიერო პირები იყვნენ და შესაბამისად ეროვნულ ლიტერატურას XI საუკუნემდე სასულიერო სახე გააჩნდა. ძველი ქართული მეცნიერება, ისტორიოგრაფია ეკლესიის წიაღიდან სულიერად განამტკიცებდა ქართველობას, აყალიბებდა იდეოლოგიას ერის კონსოლიდაციისა და გამთლიანებისათვის. ქართული ეკლესიის წიაღში იშვა ყველა ჩვენთაგანისათვის საამაყო ძველი ქართული არქიტექტურა, მხატვრობა, სატაძრო მუსიკა. ყოველივე ეს ქმნიდა ქართული სულიერების გარეგან სახეს, მაგრამ რაც შედარებით არსებითია, ეკლესია ზრდიდა მორწმუნე, ღმერთთან შერიგებულ, ღვთის მოყვარულ და ღვთის მოშიშ მრევლს.

ამიტომაც, ქართველი ადამიანი ყოველთვის იყო სულიერად მტკიცე, ძლიერი. შეეძლო მოქალაქეობრივ-პატრიოტული მოვალეობის აღსრულებასთან ერთად პირადი ზნეობრივი

განწმედა, თავის ცოდვის დანახვა. მასში ძლიერი იყო ხმა უფლისა, ხმა სინდისისა, გააჩნდა სინანულის გრძნობა ჩადენილი ცოდვების გამო და სურვილი იმისა, რომ ყოფილიყო ცოდვებისაგან განწმენდილი, წმიდა წინაშე ღვთისა. შესაბამისად ეძლეოდა კიდეც უფლისაგან მადლი, კურთხევა, უნარი მოყვასის, გვერდით მდგომი ადამიანის სიყვარულისა. უფალი ღმერთი ქართველ ერს ანიჭებდა კეთილდღეობას, უმტკიცებდა სახელმწიფოებრიობას, აძლევდა საშუალებას აღეზარდა კიდევ უფრო უკეთესი ახალი თაობა, თუმცა, სამწუხაროდ, არც თუ იშვიათად, სულიერი მოდუნება, დათმობა როგორც სულიერი, ისე გარეშე მტრისადმი, ამრავლებდა ცოდვებს, შესაბამისად ისჯებოდა ქვეყანა, იშლებოდა ნაწილებად, ერთმანეთთან მებრძოლ, ერთმანეთთან მოქიშპე რეგიონებად, რაც აუძლურებდა ქართველობას, დაბლა სცემდა სულიერებას.

რეგიონებად დაშლილ-დანაწევრებულ და კუთხური ცნობიერებით დასუსტებულ ქართველ ერს XIX საუკუნეში სახელმწიფოებრიობაც მოუსპეს, ხოლო XX საუკუნეში ათეისტური ხელისუფლება შეეცადა მთლიანად ამოეძირკვა მისი სულიერება. ამასთან დაკავშირებით, კირიონ კათალიკოსი წინასწარმეტყველებდა კიდეც 70 წლის წინ ათეისტების ბატონობის დამკვიდრებისას, ის ამბობდა:

„გაუზვიადებლად ვამბობ, რომ ის ყოვლად შეუფერებელი ექსპერიმენტები, რომელსაც ამ უკანასკნელ წლებში ახდენენ ქართველი ერის ზურგზე, აუცილებლად მიიყვანს მას ფიზიკურად გადაშენების და სულიერი გაველურების, გახრწნის კარამდე".

გავიდა უღმერთო ათეისტების ბატონობის 70 წელი. ღვთის შეწევნით ერი გადაურჩა ფიზიკურ გადაშენებას, მაგრამ „სულიერ გაველურებას და სულიერ გახრწნას" თავი ვერ აარიდა. ეს გამოჩნდა უკანასკნელ წლებში ე.წ. სამოქალაქო ომის დროს, როცა საქართველომ დაკარგა ძირძველი მიწა-წყალი აფხაზეთსა და სხვაგან. ეს ჩანს აგრეთვე, ერის მაცოცხლებელი სულის – ეკლესიისადმი დამოკიდებულებითაც და იმ ნიჰილიზმით, რომელიც ამჟამად არსებობს საზოგადოებაში.

წმიდა კათალიკოსმა ამბროსი ხელაიამ, ჯერ კიდევ, სასამართლო პროცესზე განაცხადა, რომ „ერი და ეკლესია, ყოველი მოქალაქე ქვეყნისა მოვალეა, როდესაც ხედავს უსამართლობას, გარეშე ძალების მოძალებას, ხალხის შევიწროებას, ერისათვის საზიანო შეცდომებს, ივტირთოს ხალხის სამსახური, მისი ინტერესების დაცვა, გაითავისოს მისი მწუხარება, იღვაწოს მისი გაუმჯობესებისათვის".

საბედნიეროდ III ათასწლეულის დასაწყისს ქართველი ერი თავისი დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობით შეეგება. აღსრულდა დიდი ილიას ოცნება – „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნეს". ახლა ჩვენს ხელთაა ჩვენი ერის და ჩვენი ქვეყნის მომავალი, მისი აყვავება, რაც მხოლოდ სულიერების აღორძინებით, ახალი თაობის სათანადო აღზრდითაა შესაძლებელი.

ჩვენი ფიქრით, თეოლოგიის კათედრის ერთ-ერთი უმთავრესი მოვალეობა არის მცდელობა მთლიანი, ჰარმონიული პიროვნების აღზრდა-ჩამოყალიბებისა, ძიება სხვადასხვა ხერხისა და საშუალებებისა პიროვნების სულიერი გაძლიერებისათვის. პიროვნებამ საკუთარი უნარის, თავისი აქტიურობის წყალობით უნდა შეძლოს პირადი ბედნიერების მოპოვება, შეძლოს თავისი ყველაზე დიდი ოცნების აღსრულება. მან უნდა მიიღოს უძლეველი იარაღი – ჭეშმარიტი ცოდნა, რათა თამამად და მხნედ გაუძღვეს თავის საქმეს, დაძლიოს ცხოვრებისეული წინააღმდეგობანი. ამასთანავე იყოს მოშიში და მოყვარული ღვთისა და აღმსრულებელი მისი მცნებებისა.

უკვდავი მამა და მოძღვარი დიდი ილია, რომლის სწავლება მარად თანამედროვეა, წერს: „ახლანდელი დრო ისეთია, რომ თუ კაცი თვითონ არ არის, თვითონ არ შველის თავს, თვითონ არ ირჯება თავისი სიკეთისა და ბედნიერებისათვის, ეყრდნობა არა საკუთარ მხნეობას, არამედ გარედან ელის დახმარებას, გარეთ ეძებს სახსარს თავისი ცხოვრების გასაძლიერებლად, ამისთანა კაცი გადადებულია უფრო დასამარცხებლად, ვიდრე გასამარჯვებლად".

ილიას მიაჩნია, რომ ბოლო საუკუნეებში ქართველი ერის ცხოვრების ქრონიკული მოუგვარებლობის მიზეზი არის „სენი უქმობისა" – უმოქმედობისა. „ეს საშინელი სენი უქმობისა, თავის თავის არპატრონობისა, თავის თავის არ შველისა, ისე არსად არ არის გავრცელებული, როგორც საქართველოში". ილია მართალი აღრმავებს ეკლესიის სწავლას, გამოთქმულს დიდი მამის ეფრემ ასურის მიერ, რომ „სული უქმობისა", უსაქმურობისა და უილაჯობისა – ცოდვაა. საჭიროა მისი განგდება, რამეთუ ყოველი კაცი მოვალეა ღვთის კურთხევის შესაბამისად საკუთარი გარჯით, მხნეობით, შრომით, ოფლის მოდენით ცხოვრობდეს თვითონ და აცხოვრებდეს თავის ოჯახს. „პიროფლიანი ჭამდე პურს" – ესაა წმიდა წერილში გაცხადებული ნება უფლისა კაცის მიმართ. აქედან გამომდინარე, სწავლა-განათლება უნდა წარმოადგენდეს არა გარეგან ფორმალურ სამკაულს, სამშვენისსა, გამოხატულს დიპლომის სახით, არამედ პირიქით, როგორც ითქვა, ბასრ იარაღს გამარჯვების, ბედნიერების მოსაპოვებლად, სიღარიბის დასაძლევად, ოჯახისა და ქვეყნის ასაყვავებლად.

„ამ წუთისოფელში ბედი იმისა, ვინც ძლიერია და ძლიერი მარტო მცოდნე კაცია - ილიას უკვდავი იდეები, ცხადია, საყრდენი იქნება ჩვენი კათედრის მუშაობისა.

დაარსება ამ მნიშვნელოვანი კათედრისა კიდევ ერთხელ წარმოაჩენს იმ ფაქტს, რომ საქართველოს ეკლესია დღეს აღმავლობის გზაზეა. არასოდეს ყოფილა საქართველოში ეკლესიების ასეთი დიდი რაოდენობის ერთდროული მშენებლობა. ეს მიგვითითებს, რომ ერის ქრისტიანული სული ცოცხალია და ერი იმედით უყურებს მომავალს. ხალხი მობრუნებულია სარწმუნოებისაკენ და ცხადია, რომ ეს არის სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქ ილია II გეგმაზომიერი, თანმიმდევრული მოღვაწეობის შედეგი, როგორც ათეისტური მძიმე რეჟიმის დროს, ისე შემდგომ, ჩვენს რთულ ხანაში უწმინდესი პატრიარქის ილია II დროს ეკლესიას ახალი სასიცოცხლო ძალა მიეცა.

ქართული ეკლესიის აღორძინება საწინდარია საქართველოს სახელმწიფოებრივი გაძლიერებისა, ქართული ეკლესია სულია ქართველი ერისა. როგორც სხეულს არ შეუძლია სიცოცხლე უსულოდ, ისევე ქართველ ერს მისი მაცოცხლებელი სულის გარეშე და დღეს, როცა ხალხი სულიერ საზრდოს ეწაფება, მისთვის შესაბამისი პირობების მიცემაა საჭირო.

მართლაც, ბოლო წლებში უწმიდესი კათალიკოს-პატრიარქის ღვაწლით დაარსდა მრავალი სასულიერო სასწავლებელი, სემინარია, სასულიერო აკადემიები თბილისსა და ქუთაისში, ეკლესიის წიაღში უწმიდესის კურთხევით ჩამოყალიბდა გელათის მეცნიერებათა აკადემია. ყველა ისინი მოწოდებულნი არიან არა მხოლოდ სასულიერო მოღვაწეობისათვის, არამედ სამეცნიერო კვლევითი მუშაობისათვისაც, რათა იქცნენ „ახალ იერუსალიმად" – სულიერებით და „სხვა ათენად" მეცნიერებით. მათ შორის საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის თეოლოგიის კათედრამ ღირსეული ადგილი უნდა დაიჭიროს. ზემოთ აღნიშნული აკადემიების, აგრეთვე, უცხოეთის უნივერსიტეტებში არსებული თეოლოგიის ფაკულტეტების პროგრამების შესაბამისად, თეოლოგიის კათედრაც უნდა შეეცადოს ყუ-

რადღება მიაპყროს ბიბლიოლოგიის (ძველი და ახალი აღთქმის, წმიდა წერილის), ღვთის-მეტყველების შესწავლას, ქართველოლოგიური და საენათმეცნიერო ელემენტების კვლევას, კულტურული, ფსიქოლოგიური, ანთროპოლოგიური, ეთნიკური, ისტორიული და სხვა საკითხების გაშუქებას, მსოფლიო რელიგიათა ისტორიის შეცნობას, სხვა მნიშვნელოვანი საკითხების გაანალიზებას. აქ უნდა იღვაწონ საერო და სასულიერო მკვლევარებმა.

როგორც ამბობენ, სიტყვებსა და იდეებს მსოფლიოს შეცვლა შეუძლიათ. მით უმეტეს წმიდა წერილში, წმიდა სახარებაში გადმოცემულ ჩვენი მაცხოვრის იესო ქრისტეს სიტყ-ვებსა და „ქართლის ცხოვრებაში“ გადმოცემულ ეროვნულ იდეებს, რომელთა შესწავლას ასევე დიდი დრო დაეთმობა ჩვენთან.

დასასრულ, მისი უწმინდესობის ლოცვით გულითადად ვულოცავთ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დიდ საბჭოს, მის ყველა წევრს, რექტორატს, სტუდენტობას, რომელთაც სიხარულით მიიღეს მათთვის უჩვეულო თეოლოგიის კათედრის დაარსება. ღმერთმა დალოცოს და აკურთხოს თეოლოგიის ახალი კათედრა, ამინ“.

უწმიდესისა და უნეტარესი ილია II სიტყვა წარმოთქმული თეოლოგიის 5 წლისთავზე

მე ნამდვილად ბედნიერი ვარ, რომ ვიმყოფები თქვენთან ერთად და აღვნიშნავთ თეოლოგიის კათედრის დაარსების 5 წლისთავს. ბევრი რამ გაკეთდა ამ 5 წლის მანძილზე. მე მახსოვს ის დრო, როცა ტექნიკური უნივესიტეტი როგორღაც შორს იდგა ზოგიერთი ფასეულობებისაგან, რაც საუკუნეების მანძილზე ქართველმა ხალხმა შეადგინა. ჩვენ ვცხოვრობთ ძალიან ცუდ დროს, იმ დროს რომელსაც ეწოდება გლობალიზაციის პერიოდი. გლობალიზაციის პერიოდი თქვენ მოგეხსენებათ ეს ტექნიკური და გარდაუვალი პროცესია. ეს არის გამოწვეული იმ მეცნიერული და ტექნიკური მონაპოვარით, რომელიც მოიპოვა კაცობრიობამ. უფრო იოლი კავშირია სახელმწიფოთა შორის და უნდა ითქვას რომ გლობალიზაციას აქვს მრავალი ასპექტი. როცა ჩვენ განვიხილავთ გლობალიზაციის პროცესს, ჩვენ კარგად უნდა გავიაზროთ სად არის სუბიექტი და სად არის ობიექტი, ობიექტი ძალიან ხშირად ერებია და ეს სუბიექტი ცდილობს თავისი იდეები მოახვიოს თავს ამ ობიექტს და ამოიღოს ის ეროვნული, თუ ზნეობრივი, თუ სულიერი მონაპოვარი, ფასეულობანი, რომელიც საუკუნეების მანძილზე შეაგროვა ამ მცირე ხალხმა. ეს ძალინ საშიშია ჩვენთვის. ჩვენ უნდა ვიცოდეთ რა არის მისღები და რა არარის მისაღები. რა არის ნამდვილი კულტურა და რა არის ფსევდო კულტურა, აი ამას ემსახურება ჩვენი ეკლესია. ჩვენ ვცდილობთ, რომ როგორღაც დავეხმაროთ ხალხს აი ამ გარჩევაში. მე დარწმუნებული ვარ, რომ იმ ხუთმა წელმა, რომლის დროსაც აქ დიდი მუშაობა მიდიოდა თავისი კარგი შედეგი გამოიღო და პირველყოვლისა მინდა მადლობა ვუთხრა მეუფე ანანიას, და ამ კათედრის მუშა ჯგუფს იმ დიდი შრომისათვის რასაც თქვენ ეწევით აქ ტექნიკურ უნივერსიტეტში. მე გილოცავთ ამ თარიღს მე დარწმუნებული ვარ რომ ის პრობლემები რომლის წინაშე დგას დღეს საერთოდ განათლება და კერძოდ ტექნიკური უნივერსიტეტი იქნება დაძლეული და დადებითად გადაწყდება მომავლის საკითხი, რომელიც თქვენს წინაშეა. მე მინდა მოგახსენოთ რომ საქართველოს ეკლესია მუდამ თქვენში იყო და იქნება ღმერთმა დაგლოცოთ და გაგახაროთ. დიდი პატივისცემით მე მინდა გადავცე ბატონ არჩილს, რექტორს, ეს უნიკალური გამოცემა რომელსაც ეწოდება „ნათელი ქრისტესი საქართველო“. ღმერთმა დაგლოცოთ.

უწმიდესი და უნეტარესი სრულიად საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქი ილია II

მიტროპოლიტ ანანიას მისასალმებელი სიტყვა თეოლოგიის კათედრის 5 წლისთავზე

14 თებერვალი 2007 წ.

თქვენო უწმიდესობავ და უნეტარესობავ

თქვენო აღმატებულებავ ბატონო რექტორო, ბატონებო და ქალბატონებო

ხუთმა წელმა განვლო თეოლოგიის კათედრის დაარსებიდან, მართალია ეს არაა დიდი დრო, მაგრამ ჩვენი კათედრის მეგობრებმა – პროფესორ-მასწავლებლებმა და ასევე ახალგაზრდებმა გადაწყვიტეს აღენიშნათ ეს თარიღი, რადგანაც მიაჩნიათ, რომ კათედრის დაარსება გარკვეულწილად მნიშვნელოვანი მომენტი იყო. ხუთი წლის მანძილზე კათედრის მიერ თეოლოგიის საფუძვლების ლექციების კურსი მოისმინა 30 ათასზე მეტმა ახალგაზრდამ. მე ვფიქრობ, რომ ეს არის შთამბეჭდავი რიცხვი. მართლაც თეოლოგიის კათედრის დაარსების დროს, XXI ს. დასაწყისში ჩვენი საზოგადოება გარკვეულწილად ჯერ კიდევ იმყოფებოდა ათეისტური იდეოლოგიის გავლენის ქვეშ, ამ ვითარებაში თეოლოგიის კათედრას ფუნქციური დატვირთვაც მიენიჭა.

მისი უწმიდესობის კურთხევით კათედრის პედაგოგ-მასწავლებლებად მოწვეული იქნა საქართველოს გამორჩეული მოღვაწეები და სასულიერო პირები, მათ დაეკისრათ ღვთისმეტყველების საფუძვლები გაეცნოთ ახალგაზრდებისათვის.

თუ გავითვალისწინებთ, რომ საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში თბილისელების გარდა აგრეთვე სწავლობს რეგიონებისა და მთიანი რაიონების მკვიდრი მრავალი სტუდენტი, რომელთაც იქამდე ათეისტური რეჟიმის გამო, არავითარი შეხება და ურთიერთობა არ ჰქონიათ სასულიერო პირებთან, ხოლო მასმედია და ტელევიზია პირიქით ათეული წლების მანძილზე სასულიერო პირებს წარმოაჩენდნენ ვითარცა არასერიოზულ და უპასუხისმგებლო ადამიანებს, ასეთ ფონზე თეოლოგიის ლექციებმა იქამდე შეუვსებელი ნიში დაიკავა. ამ ლექციების დროს სასულიერო პირებთან პირადი კონტაქტების მეშვეობით სტუდენტები დარწმუნდნენ, რომ ისინი არან მათთვის მზრუნველი და მათი მოყვარული ნამდვილი სულიერი მამები. ამასთანავე ახალგაზრდებს მიეცათ საშუალება შეეფასებინათ და ერთმანეთისათვის შეედარებინათ ერთი მხრივ მასმედიის ზნეობრივი ნიჰილიზმის დამამკვიდრებელი მასალები და მეორე მხრივ სულიერი მამის მიერ ნაჩვენები, ღვთის მცნებებზე დაყრდნობილი ზნეობრივი გზა. ამით მათ მიეცათ არჩევანის გაკეთების საშუალება. „გზა ორია“, ნაბრძანებია 12 მოციქულის სწავლაში, რომელსაც ასევე დიდაქე ეწოდება, „გზა ორია – ერთი კეთილისა და ერთი ბოროტისა, მე მოგიწოდებ, ბრძანებს მოციქულის პირით უფალი – აირჩიე კეთილი“, ამიტომაც ვფიქრობ ის, რომ თეოლოგიის კათედრამ სტუდენტებს საშუალება მისცა არჩევანისა და აგრეთვე რომ 30 ათასზე მეტ სტუდენტს საშუალება მიეცა პირადი კონტაქტი დაემყარებინა ჭეშმარიტების მასწავლებლებთან ეს მართლაც მნიშვნელოვანი მომენტია. მათ შორის მრავალი ეკლესიური გახდა, მიიღო მადლი აღსარებისა და ზიარებისა.

თეოლოგიის საგნობრივი ჯგუფის მიზანია გამოუმუშავოს სტუდენტს უნარი, ვითარცა საქართველოს მოქალაქეს, განსაზღვროს თავისი ადგილი მსოფლიოში ისტორიული, რელიგიური და კულტურული რეალობების გათვალისწინებით, მიაწოდოს მას ცოდნა და ინფორმაცია, ამასთანავე დაეხმაროს, რათა გამოიმუშავოს ისეთი უნარ-ჩვევები, რომელიც მოამზადებს მას (სტუდენტს) აქტიური მოქალაქეობისთვის პასუხისმგებლობის გრძნობით სამშობლოს წინაშე, რათა შეიცნოს საკუთარი და საზოგადოებრივი ინტერესები, გამოიმუშავოს პატივისცემა და შემწყნარებლობა საკუთარი და სხვა კულტურების (მათი წარმომადგენლების) მიმართ, ამასთანავე განუვითარდეს, გაუღრმავდეს, ისეთი ღირებულებები, როგორიცაა ღირსება და სამართლიანობა.

თეოლოგიის კათედრის საგნობრივი ჯგუფის პროგრამა ისეა შედგენილი, რომ ლექტორი იცავს სტუდენტის რწმენის, აღმსარებლობისა და სინდისის თავისუფლებას და არ ერევა სტუდენტის უფლებაში, რომ ნება-ყოფლობით აირჩიოს სარწმუნოებრივი მსოფლმხედველობა; შესაბამისად, შეუძლებელია ლექტორს დაეკისროს ისეთი ვალდებულება, რომლითაც ის შელახავს სხვათა უფლებას. დაუშვებელია რელიგიური პროზელიტიზმის მიზნებისათვის გამოყენება, მაგრამ, ამასთანავე, ლექტორი მოვალეა ისაუბროს სახელმწიფო დღესასწაულებისა და ისტორიული თარიღების შესახებ, რათა სტუდენტებმა შეიმეცნონ ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების დამკვიდრების მნიშვნელობა.

ლექტორი თანასწორობის საფუძველზე იცავს უმცირესობების წევრების ინდივიდუალურ და კოლექტიურ უფლებას, შეინარჩუნონ და გამოხატონ თავიანთი კულტურული კუთვნილება და რწმენის თავისუფლება.

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინფორმაციით (№ 01-16-01/13399.17.08.2006) „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში რელიგიის სწავლებასა და მასთან დაკავშირებულ საკითხებს არეგულირებს საქართველოს კანონი „ზოგადი განათლების შესახებ“ (მე-3, მე-8, მე-13, მე-18 მუხლები) „და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ერთობლივი კომისიის ურთიერთგაგების მემორანდუმი“, რომელიც გაფორმდა 2005 წლის 22 იანვარს, რომლის თანახმადაც ამ მემორანდუმის პირველი „ბ“ მუხლის შესაბამისად შემუშავებული არის თეოლოგიის კათედრის საგნობრივი ჯგუფის ერთი ნაწილის სახელმძღვანელოები და პროგრამა.

თეოლოგიის დარგთაგან უძველესი ხანიდანვე საქართველოში გამორჩეულად შეისწავლებოდა საისტორიო ღვთისმეტყველება, თუმცა არც მისი ეგზეგეტიკური, სისტემატური და პრაქტიკული ნაწილები იყო უყურადღებოდ დატოვებული.

საისტორიო ღვთისმეტყველება, როგორც ცნობილია სწავლობდა ქრისტიანულ საეკლესიო და ბიბლიურ ისტორიას. მისი კერძო დისციპლინების – პატროლოგიის, სიმბოლიკის, საეკლესიო არქიტექტურის, ქრისტიანული ლიტერატურის, ხელოვნების, ღვთისმსახურებისა და დოგმატების ისტორიის ძირითად მაკავშირებელ სამეცნიერო ღერძს ეკლესიის ისტორია წარმოადგენდა.

საქართველოს ეკლესიის ისტორიის, ვითარცა საისტორიო საღვთისმეტყველო ნაწილის შესწავლის ძირითადი მიზანია შეცნობა ჭეშმარიტებისა, ვითარცა თავისუფლების (პიროვნული, ეროვნული, საეკლესიო და სხვ.) საფუძველისა.

მაცხოვარი ბრძანებს: „სცანით ჭეშმარიტი და ჭეშმარიტება განგათავისუფლებთ თქვენ” (იოანე, 8, 32).

წმინდა მამები კი აღნიშნავდნენ: „თავისუფლება თვისითა სისხლითა მოგვანიჭა ჩვენ უფალმან ჩვენმან იესო ქრისტემან განმათავისუფლებელმან ყოველთა კაცთამან" (III მსოფლიო კრების მერვე კანონი, „დიდი სჯულის კანონი", 1975, გვ.267).

საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღორძინების შემდეგ ქართველთა ევროპულ ოჯახში საბოლოოდ დასამკვიდრებლად უთუოდ უნდა გავამრავლოთ უდიდესი სიმდიდრე ქართველი ერისა – გავაძლიეროთ უდიდესი ეროვნული საგანძური – ქრისტიანობა. ევროპა ძირითადად ქრისტიან ერთა კავშირი არის, ამ კავშირის ბუნებრივი წევრი არის საქართველო უკვე 2000 წელია წმიდა მოციქულებისა და წმიდა ნინოს შემდგომ. იმედი გვაქვს თეოლოგიის კათედრა მისი უწმიდესობის ლოცვით ერის ამ სიმდიდრეს კიდევ უფრო გაამრავლებს.

საბოლოოდ კიდევ ერთხელ უღრმეს მადლობას ვწირავთ მის უწმიდესობას თეოლოგიის კათედრის კურთხევისათვის, იმედი გვაქვს ღვთის დიდი მოწყალებითა და მისი უწმიდესობის ლოცვით თეოლოგიის კათედრა იქცევა მნიშვნელოვან სასულიერო და კულტურულ ცენტრად. უღრმესად ვმადლობთ ათეულობით პროფესორ-მასწავლებლებსა და მოღვაწეებს, რომელთაც მართლაც თავდადებულად იშრომეს თეოლოგიის კათედრის დასაარსებლად და მის გასაძლიერებელად. უღრმესად გმადლობთ და გლოცავთ მისი უწმიდესობის ლოცვით.

მიტროპოლიტ ანანია ჯაფარიძის სიტყვა
წარმოთქმული თეოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ცენტრის 10 წლისთავისადმი მიძღვნილი ქართველოლოგიური საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „წარსული – „მკვიდრი საძირკველია აწმყოსი, როგორც აწმყო – მომავალისა“ გახსნისას

თქვენო უწმიდესობავ და უნეტარესობავ,

დღეს დიდი სიხარულია ტექნიკურ უნივერსიტეტში, მოწიწებით მოგესალმებათ ათასობით ახალგაზრდა და პედაგოგი.

ჩვენ ვმადლობთ უფალ ღმერთს მადლისათვის, რომელიც თქვენი სახით მიენიჭა ღვთისმშობლის წილხვედრ ივერიას.

უფლის განსაკუთრებული მოწყალებაა ის, რომ საქართველოსათვის უმძიმეს პერიოდში, როცა ირღვეოდა საბჭოთა იმპერია და იბადებოდა ახალი საქართველოს სახელმწიფო, მოგავლინათ უფალმა. ამ პროცესებს თან ახლდა დიდი ეროვნული ტკივილები. ერს ჰქონდა მრავალი არჩევანი, მრავალი გზა, მაგრამ არ იცოდა მათგან რომელი აერჩია. სწორედ ამ ურთულეს ეპოქაში უფალმა ღმერთმა მოგანდოთ ყოფილიყავით წინამძღვარი და ჩირაღდანი ეროვნული და სულიერი გადარჩენისა, ამიტომაც ამჟამად, როცა ეს სირთულეები უკვე გარკვეულწილად გადალახულია და გვაქვს საკუთარი სახელმწიფო, ერი უდიდეს სიყვარულსა და მადლიერებას გამოხატავს თქვენს მიმართ.

საქართველოს წმიდა ეკლესია, წმიდა ილია მართლის თქმით, მუდამ პატრონობდა ჩვენს ერს, ამიტომაც ყველა მტერი და მომხდური უპირველეს ყოვლისა ებრძოდა და აუძლურებდა მას. საბჭოთა ათეისტურმა სისტემამ განსაკუთრებით დააუძლურა ჩვენი დედა ეკლესია. პირადად ვარ მოწმე ამისა. უკვე 33-ე წელი დაიწყო, რაც თქვენმა უწმიდესობამ მე ეპისკოპოსად მაკურთხა. საკუთარი თვალით ვნახე თუ თქვენ თქვენი მიზანმიმართული და გმირული შრომით, როგორ ამოიყვანეთ დავიწყების ჯურღმულიდან წმიდა ეკლესია აიყვანეთ იმ სიმაღლეზე აღიარებისა და დიდებისა, რომლის მოწმენიც ჩვენ დღეს ვართ.

თქვენო უწმიდესობავ, თქვენ საეკლესიო საქმეთა გარდა ახალი სული ჩაუდგით და მიმართულება მიეცით ჩვენი მეცნიერებისა და კულტურის მრავალ დარგს, მათ შორის უნდა გამოვყოთ ისტორიოგრაფია.

საისტორიო მეცნიერება განსაკუთრებული ყურადღების ქვეშ იყო საბჭოთა კავშირში, რადგანაც ის ემსახურებოდა იმპერიულ და ათეისტურ იდეოლოგიას, გათიშე და იბატონეს პოლიტიკას. ამიტომაც საბჭოთა პერიოდში მიზანმიმართულად შეიცვალა და გაყალბდა საქართველოს ისტორია. თქვენ მრავალჯერ შეეხეთ ამ საკითხს თქვენ ეპისტოლეებსა და ქადაგებებში. თქვენ აღვნიშნავთ, რადგანაც ქართული ისტორიოგრაფია აღარაა იმპერიულ დაქვემდებარებაში და გვაქვს საკუთარი სახელმწიფო, დროა კვლავ აღორძინდეს ქართული შესაბამისი ისტორიოგრაფია და ახალ, მაღალ საფეხურზე ავიდეს საისტორიო კვლევათა საქმე. მე პირადად ვარ მოწმე იმისა, თუ არა თქვენი წინასწარგანჭვრეტა, ამ დღეებშიც კი უდიდესი საფრთხე ელოდა ჩვენს საეკლესიო მთლიანობას. მაგრამ თქვენმა ვიზიტმა კონსტანტინოპოლში აგვარიდა ამას.

კერძოდ, ათეისტურ ეპოქაში XX ს. 30-იან წლებში ჩამოყალიბდა არასწორი თეორია. თითქოსდა დასავლეთ საქართველო 600 წლის მანძილზე IV–IX სს. იმყოფებოდა კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს იურისდიქციაში და მხოლოდ ამის შემდეგ X-ს-დან ქართულმა ეკლესიამ გააუქმა რა აქ ბერძნული საეპისკოპოსოები თვითონ გაბატონდა, დაარსა ქარ-

თული კათედრები მოახდინა მოსახლეობის ქართიზაცია. ეს ყალბი თეორია არ ეყრდნობოდა არავითარ წყაროს, რადგანაც ე.წ. ნოტიციებში მოხსენიებული ლაზიკის სამიტროპოლიტოს კათედრები (ზიგანა, როდოპოლისი, საისინი და პეტრა) ლოკალიზდებიან არა დასავლეთ საქართველოში, არამედ ქალდეა-ლაზიკაში, გუმუშხანე-სუმელას რეგიონში, ტრაპეზუნტის სამხრეთით. ამის მიუხედავად თეორია ქართული ეკლესიის პროზელიტიზმის (კონსტანტინოპოლის იურისდიქციაში შეჭრის) შესახებ გაბატონდა და ასახულია ყველა სახელმძღვანელოსა და ენციკლოპედიაში. ის ამჟამად ვრცელდება უცხოეთშიც, მასზე დაყრდნობით საეკლესიო სეპარატისტები აფხაზეთსა და სხვაგან ავრცელებენ არასწორ საისტორიო ცნობებს მსოფლიოსა და კონსტანტინოპოლში.

აი, აქ გამოჩნდა თქვენი უდიდესი წინასწარჭვრეტა, თქვენ ჯერ კიდევ საბჭოთა ეპოქაში, 1990 წელს შეძელით და ავტოკეფალია აღიარებინეთ კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს. რომ ეს უდიდესი მოვლენა იყო, ჩვენ კიდევ ერთხელ დავრწმუნდით ამ დღეებში. თუ არა ავტოკეფალია, რომლის გამოც კონსტანტინოპოლი ცნობს ჩვენი ეკლესიის იურისდიქციას მთელი საქართველოს მიწა-წყალზე, ამჟამად აღნიშნული საბჭოთა თეორიების გამოყენებით სეპარატისტებს შეუძლიათ აფხაზეთში მათი „სამართლებრივი“ მიწვევა. მათ ამჟამად აკავებთ თქვენს მიერ მოპოვებული სამართლებრივი დოკუმენტი, რომლის მიხედვითაც, როგორც ითქვა კონსტანტინოპოლი ცნობს ჩვენი ეკლესიის იურისდიქციას მთელი საქართველოს მიწა-წყალზე, მათ შორის აფხაზეთზე. ეს დოკუმენტი თქვენ 1990 წელს მოიპოვეთ, კონფლიქტის დაწყებამდე 23 წლით ადრე და ამისათვის ვმადლობთ უფალს.

ამ და საქართველოს ეკლესიის ისტორიის სხვა საკითხების კვლევას სტუდენტების აღზრდასთან ერთად დიდ დროს უთმობს ტექნიკურ უნივერსიტეტში თქვენი კურთხევით არსებული თეოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი. ის უკვე მე-12 წლისთავს ითვლის. ამ სიკეთისათვის განსაკუთრებულად ვმადლობთ და ვლოცავთ მის აღმატებულებას ბატონ რექტორს, ბატონ არჩილ ფრანგიშვილს. ჩვენს ცენტრს ეამაყება, რომ თეოლოგიის კათედრის ერთ-ერთი დამფუძნებელი გახლავთ მისი მამა, ყველა ქართველის საამაყო მეცნიერი ივერი ფრანგიშვილი. მისი მითითებები ჩვენ მრავალგზის გამოგვადგა. ჩვენი ცენტრის პროფესორ-მასწავლებლებმა, რომელნიც საქართველოს გამოჩენილი სასულიერო პირები არიან, თეოლოგიის საფუძვლები შეასწავლეს, ამ 12 წლის მანძილზე 40–50000 სტუდენტს.

მე კიდევ ერთხელ აღვნიშნავ, რომ ჩვენს ცენტრში ძველი ქართული წყაროების გარდა საგანგებოდ შევისწავლეთ და წიგნების სახით გამოვეცით ძველი ავტორები და წყაროები, ესენია – სტრაბონი, პროკოფი კესარიელი, აგათია სქოლასტიკოსი, ფლავიუს არიანე, შევისწავლეთ კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს საეპისკოპოსოთა ნუსხები ანუ ნოტიციები, სხვა წყაროები, მათ შორის სომხურიც და საგანგებოდ, კიდევ ერთხელ აღვნიშნავთ, რომ არც ერთი წყარო არ მიუთითებს დასავლეთ საქართველოში ოდესმე ბერძნული კათედრების არსებობას, ხოლო წყაროებში ნახსენები ლაზიკის კათედრები, როგორც აღინიშნა, მდებარეობდნენ არა დასავლეთ საქართველოში, არამედ ისტორიულ ქართულ რეგიონში, რომელსაც ერქვა ქალდეა-ლაზიკა. მისი, ტრაპეზუნტის სამხრეთით, ამჟამინდელ გუმუშხანე-სუმელას რეგიონში მდებარეობის შესახებ წერდა ჯერ კიდევ საუკუნის დასაწყისში დიდი მეცნიერი ნ. ადონცი.

საქართველოს ეკლესიის საკითხებს ეხება კონფერენცია, რომელიც დღეს ტარდება.

უდიდესი მადლობა თქვენო უწმიდესობავ დიდი სიხარულის მონიჭებისათვის.

14.06.2013 წ.

სარჩევი

თეოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ცენტრის 20 წლისაა 9

სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის
უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის სიტყვა
წარმოთქმული საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში გამართულ
დიდ საბჭოზე 2001 წლის 19 ოქტომბერს 20

მთავარეპისკოპოს ანანია ჯაფარიძის სიტყვა 22

სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის
უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის სიტყვა
წარმოთქმული თეოლოგიის კათედრის 5 წლისთავზე 27

მიტროპოლიტ ანანია ჯაფარიძის მისასალმებელი სიტყვა
თეოლოგიის კათედრის 5 წლისთავზე 28

მიტროპოლიტ ანანია ჯაფარიძის სიტყვა
წარმოთქმული თეოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ცენტრის 10 წლისთავისადმი
მიძღვნილი ქართველოლოგიური საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია
„წარსული – „მკვიდრი საძირკველია აწმყოსი, როგორც აწმყო – მომავალისა“
გახსნისას 31

ქართული იდეა
მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე 35

ალბანეთის საკათალიკოსო და საქართველოს ეკლესიის იურისდიქცია
კახეთსა და ჰერეთში
მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე 57

შესავალი 57

თავი I
წყაროებისა და ლიტერატურის მიმოხილვა იბერიისა და ალბანეთის
საზღვრებთან დაკავშირებით 66

პლინიუს უფროსის, ეღიშეს, მოვსეს კალანკატუაცისა და ლეონტი მროველის
ცნობები იბერიასა და ალბანეთს, კახეთსა და ჰერეთს შორის საზღვრების შესახებ 66

წყაროები იბერიისა და ალბანეთის საზღვრის შესახებ 66

I. პლინიუს უფროსი (23–79 წწ.) იბერიისა და ალბანეთის საზღვრის შესახებ 67

II. ეღიშეს ცნობა იბერია-ალბანეთის სასაზღვარო პუნქტ ხალხალას შესახებ 70

III. მოვსეს კალანკატუაცის ცნობა იბერია-ალბანეთის სასაზღვრო პუნქტ
„ხალხალას“ შესახებ 70

IV. ლეონტი მროველის ცნობა ჰერეთ-კახეთის სასაზღვრო პუნქტ ტყეტბა-გოლგოლას შესახებ 71

ოთხი წყაროს შეჯერება 72

ვახუშტი ბატონიშვილის ორი ცნობა ჰერეთის გეოგრაფიის შესახებ 73

ვახუშტის I ცნობა 73

ვახუშტის II ცნობა 74

გიშისწყალი და ალიჯანჩაი – საზღვარი ისტორიულ კახეთსა და სხვადასხვა პოლიტიკურ-ადმინისტრაციულ ერთეულს შორის 79

ზოგიერთი ქართველი მეცნიერის შეხედულება ჰერეთთან და ალბანეთთან დაკავშირებით 84

ზოგიერთი რუსი მკვლევრის შეხედულება კახეთთან და ალბანეთთან დაკავშირებით 87

МОСКОВСКАЯ ДУХОВНАЯ АКАДЕМИЯ
Кафедра Истории Древней Церкви
Иеромонах Алексий (Никоноров) 88

მოსაზრებანი კახეთ-კუხეთის საზღვრებთან დაკავშირებით 90

ზოგიერთი აზერბაიჯანელი მკვლევრის თვალსაზრისი კახეთთან დაკავშირებით 94

ზოგიერთი დაღესტნელი მეცნიერის არგუმენტი კახეთთან და ალბანეთთან დაკავშირებით 97

საკითხი იბერიისა და ალბანეთის საზღვრის შესახებ 99

სიახლე ისტორიული კახეთისა და ჰერეთის საზღვრებთან დაკავშირებით 103

ნაშრომში გამოყენებული ტერმინოლოგია 104

თავის დასკვნა: 118

ძირ-ფუძეთა სემანტიკური ცვლილება ზმნურ ძირებსა და მასდარში „შუშანიკის წამების“ მიხედვით
ბადრი ცხადაძე 119

წინაქრისტიანული რელიგიების ისტორიისათვის – ზოროასტრიზმი
მაია ქუთათელაძე 124

მარტყოფიდან მარაბდამდე
ვაჟა ოთარაშვილი, ეკა კვანტალიანი, ლექსო ოთარაშვილი 132

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲘᲓᲔᲐ

მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე

ქართული იდეა თავისი სიტყვითა და სულისკვეთებით, საქმითა და მადლმოსილებით უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II-მ გამოაცოცხლა XX ს. 80-იანი წლებიდან.

ბოლო 40 წლის მანძილზე მის გვერდით დგომისას, ვითრცა წმიდა სინოდის წევრი, ბედნიერება მქონდა საკუთარი თვალით მეხილა მისი მუდმივი და განუწყვეტელი ზრუნვა ხალხის სულიერი გადარჩენისა და ეროვნულ-სარწმუნოებრივი იდენტობის ამაღლებისათვის, არა მხოლოდ საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, არამედ ათეისტურ-ბოლშევიკური ხელისუფლების არსებობის დროსაც.

წმიდა ილია მართლის კანონიზაციის პროცესისის დროს, ის ხშირად იხსენიებდა ქართულ წყაროებსა და ათასხუთასწლოვანი ეროვნული მწერლობის კორიფეებს, რომელთაც უბრწყინვალესად გადმოგვცეს არსი ქართული იდეისა გამოთქმული გრიგოლ ორბელიანის დიდებულ ლექსში „თამარის სახე ბეთანიის ეკლესიაში“:

„შენი ივერი
აღსდგეს ძლიერი
და დადგეს ერად სხვა ერთა შორის“.

ქართული იდეა საქართველოს სახელმწიფოსა და ეროვნული ეკლესიის გაძლიერების გარდა გულისხმობს ქვეყნის მთლიანობის აღდგენას, ქართული ენისათვის სახელმწიფოებრივი ფუნქციის დაბრუნებას, მათ შორის განაპირა რეგიონებშიც, განათლების სისტემის დახვეწასა და გაძლიერებას, ზნეობრიობის განმტკიცებას, თავდაცვის უნარის გაძლიერებას, პატრიოტიზმს –

„წმიდით საყდარით, ენით მდიდარით,
სწავლისა შუქით განათებული!
ზნე ამაღლებით, ძლევის დიდებით,
სამშობლო მიწის სიყვარულითა!“

ყოვლადწმიდა ღვთისმშობელს ილია მართალი შეთხოვდა წილხვედრი საქართველოსათვის –

ძლიერო ღმერთო!
მოჰმადლე ქართველს ქართვლის ნდობა
და სიყვარული
და აღუდგინე მშვენიერი ესე მამული!..

ეროვნული საისტორიო წყაროებიდან ჩანს, რომ ქართველთა ერთობა და სიყვარული მუდმივი ნატვრა იყო ნაციის მესაძირკვლე მამებისა.

ჩვენს ისტორიაში ამის პირველი მაგალითი მოგვცა მეფე ფარნავაზმა და ერისთავმა ქუჯიმ ქრისტეშობამდე მე-4 საუკუნეში.

მათ დადეს ფიცი, რათა ერთიანი ქართული სახელმწიფოსათვის საფუძველი ჩაეყარათ ურთიერთსიყვარულით – „ვიყვნეთ ჩუენ ძმა... და სუემან ჩუენმან გუცეს ჩუენ ძლევა კეთილი". „ძლევა ძმობით“ ანუ გამარჯვება ერთობით, ერთიანობით, მთლიანობით.

ქართული წყაროების გულსავსე ანალიზი აჩვენებს, რომ სწორედ ისინი, ეგრისის სახელოვანი ერისთავი ქუჯი და მეფე ფარნავაზი არიან მესაძირკვლენი ქართული იდეისა.

ქუჯი ერისთავი მკაფიოდ და მხატვრულად გამოთქვამს ქართული იდეის საბოლოო მიზანს – „განიხარონ ყოველთა ქართველთა !“

ეს სულისკვეთება ერის მამებისა საუკეთესოდ ჩანს ქუჯის დამოკიდებულებითაც საქართველოს გამთლიანების შანსის მიმართ –

მემატიანე წერს –

„მაშინ ფარნავაზ წარგზავნა მონა თჳსი ქუჯის თანა და რქუა: „მე ვარ ნათესავი უფლოს მცხეთოსის ძისა, და ძმისწული სამარა მამა-სახლისისა ... და ვიყვნეთ ჩუენ ძმა... გამოუჩნდეთ ჩუენ მტერად აზონ ერის-თავსა, და სუემან ჩუენმან გუცეს ჩუენ ძლევა კეთილი“. მაშინ განიხარა ქუჯი სიხარულითა დიდითა და რქუა: „აღდეგ და მოვედ ჩემ თანა, და ...განგიმრავლნე სპანი შენნი ვიდრე გამოვჩნდეთ მტერად აზონისა. მაშინ განიხარონ ყოველთა ქართველთა ... „შენ ხარ შვილი თავთა მათ ქართლისათა, და შენ გმართებს უფლობა ჩემი აწ ნუ შურობ ხუასტაგსა შენსა, რათა განვამრავლნეთ სპანი; და უკეთუ მოგუეცეს

ძლევა, შენ ხარ უფალი ჩუენი და მე ვარ მონა შენი“. http://www.amsi.ge/istoria/qc/

ვახუშტი ბატონიშვილი განმარტავს, რომ ასეთი ურთიერთდამოკიდებულების მიზეზი იყო იმჟამად უკვე არსებული წესადათები და ტრადიციები.

ვახუშტი აღწერს ფარნავაზის ეპოქაში არსებულ ნიშნებს ქართველთა ნაციონალური მთლიანობისა, ერთერთი საფუძველი იყო საერთო სარწმუნოება.

ქართველთა წარმართული პირველსარწმუნოება გამოიკვლია დიდმა ივანე ჯავახიშვილმა. მისი დასკვნით, ქრისტიანობამდე ქართველების ყველა ტომს ჰქონია საერთო რწმენა, არსებულა საერთო ქართული წარმართობა. ივანე ჯავახიშვილი სრულიად სამართლიანად დაასკვნიდა სხვადასხვა მონაცემების საფუძველზე – **„ცხადი გახდება, რომ არამცთუ საზოგადო ქართული, ყველა ტომთათვის, მათ შორის მეგრელთა და სვანთათვისაც საერთო წარმართობა არსებობდა, არამედ რომ წარმართობის საერთო ტერმინოლოგიაც, საერთო ენაც ქართული ჰქონდა“.** https://meufeanania.info/koine/

ივანე ჯავახიშვილმა ისიც გაარკვია, რომ ქრისტეშობამდე საერთო წარმართული სარწმუნოების კულტმსახურების ენა იყო ქართული. ამ მოსაზრებას განამტკიცებს ენათმეცნიერთა გამოწვლილვითი ანალიზი, რომლის საფუძველზე მიდიან დასკვნამდე, რომ ქართული სალიტერატურო ენის ფორმირება დაწყებულა არა V საუკუნეში, არამედ ბევრად უფრო ადრე, შესაძლოა, საუკუნეებით ადრე ქრისტეშობამდე. როგორც აღინიშნა, ივანე ჯავახიშვილმა ქართული საერთო წარმართობის ენად მიიჩნია ქართული ენა მათ შორის სამეგრელოსა და სვანეთში, შესაბამისად, ის, ვითარცა საკულტო ენა იმჟამინდელი ქართველებისათვის წმიდა ენა იყო, ამიტომაც ჩანს შეძლო მისი განვრცობა უკვე სახელმწიფოებრივ დონეზე ფარნავაზმა მთელ ქვეყანაში.

„ამან განავრცო ენა ქართული და არღა იზრახებოდა სხვა ენა ქართლსა შინა თვინიერ ქართულისა“

აღსანიშნავია, რომ მემატიანის სიტყვით, ფარნავაზამდეც დასავლეთ საქართველო – ეგრისი, მცხეთელი მამასახლისის გამგებლობის ქვეშ ყოფილა. ე.ი. იმჟამად, ქართველთა პოლიტიკური ცენტრი აღმოსავლეთ საქართველოში ყოფილა, მაგრამ უფრო ადრე, ასეთი კულტურული და პოლიტიკური ცენტრები მდებარეობდნენ დასავლეთ საქართველოში, ისტორიულ კოლხეთში.

„ხოლო ეგროსს მისცა ქუეყანა ზღჳს ყურისა, და უჩინა საზღვარი: აღმოსავლით მთა მცირე, რომელსა აწ ჰქჳან ლიხი; დასავლით ზღუა; მდინარე მცირისა ხაზარეთისა, სადა წარსწუთების წუერი კავკასისა. ხოლო ამან ეგროს აღაშენა ქალაქი და უწოდა სახელი თჳსი ეგრისი. აწ მას ადგილსა ჰქჳან ბედია“ – წერს წყარო.

ისტორიული კოლხეთი, პირველი კერათაგანი ქართული ცივილიზაციისა, რომლის ჩრდილოეთი საზღვარი „მცირე ხაზარეთის წყალი“ ანუ მდ. ყუბანი იყო, სკვით-კიმერიელთა შემოსევების გამო თანდათან დასუსტდდა, ამას ძვ. მე-6 ს-დან დაერთო მილეტელ ბერძენ მეომართა გააქტიურება ზღვისპირეთში. “ბერძნები“ საუკეთესო ყურეებსა და ადგილებს ისაკუთრებდნენ, სადაც პოლისებსა და თავის კოლონიებს აარსებდნენ. მათ მოსახლეობის ნაწილიც გადაუბრებიათ, მცხოვრებნი ეგრისწყლიდან ვიდრე ყუბანამდე – „ხოლო ეგრის წყალს ქუემოთ დარჩა ბერძენთა, რამეთუ მკჳდრთა მის ადგილისათა არა ინებეს განდგომა ბერძენთა“.

ხოლო ეგრისწლის მარცხენა სანაპიროს მცხოვრებნი შეკავშირებიან მცხეთელ მამასახლისს, რათა შეეკავებინათ „ბერძენთა“ აგრესია.

ძვ. წ. VII–VI საუკუნეებში მილეტელი ბერძენი კოლონისტები იმდენად ძლიერ საომარ და ფინანსურ რესურსებს ფლობდნენ, რომ შეეძლოთ დაქირავება დიდძალი მეომარი მოლაშქრეებისა. ასეთ დროს საჭიროდ ჩათვლილა ყველა ქართველი მთავრის, ანუ დიდებულის გაერთიანება ერთიანი ხელმძღვანელობის ქვეშ. ასეთ ხელმძღვანელად მათ დაუდ-

გენიათ მცხეთელი მამასახლისი, ასეთი წესი ყოფილა ძვ. წ. VI–IV საუკუნეებში, ქუჯიმდე და ფარნავაზამდე, რასაც გადმოგვცემს ვახუშტი.

ქალაქ მილეტიდან შავი ზღვის გარშემო ბერძენთ მოახალშენეთა განსახლების ძირითადი მიზეზი იყო ის, რომ მათი ყველა მოქალაქისთვის მიწა აღარ იყო საკმარისი. ამ ფაქტმა საფუძველი დაუდო მასობრივი კოლონიზაციას. ძვ.წ. 7–6 საუკუნეებში შავი ზღვის სანაპიროებზე მილეტს ჰქონდა 90-მდე კოლონია.

მდ. ეგრისწყლიდან მდ. ყუბანამდე სანაპიროზე კოლონისტებმა აღმოაჩინეს ნაყოფიერი მიწები, ცხოველების, ფრინველების, თევზების სიმრავლე. აქ იყო მრავალი ადგილობრივი ნავსადგური, ყურე და, ამ სანაპიროზე მათ მრავალი ქალაქი-კოლონია დაარსეს. რაც შეეხება სანაპიროს ეგრისწყლიდან რიონისაკენ, ის მათთვის ნაკლებად მიმზიდველი იყო დიდი დაჭაობებისა და მალარიის გამო.

ადგილობრივ მოსახლეობასთან ომები ბერძენ კოლონისტებს ყირიმშიც ჰქონდათ გაჩაღებული, აბორიგენებთან თავდასხმის შიშის გამო ბერძნული ქალაქი-კოლონიები გაერთიანდენენ და ყირიმში შექმნეს ორი სახელმწიფო. უნდა ვიფიქროთ, რომ იგივე პროცესები მიმდინარეობდა საქართველოს ზღვისპირეთშიც. შემდეგში, როგორც ითქვა, მათ, ადგილობრივ მოსახლეობასთან სამშვიდობო ურთიერთობა დაუმყარებიათ, და შესაბამისად, მოსახლეობა ეგრისწყლიდან ვიდრე ყუბანამდე ბერძნებს შეკავშირებიან, როგორც მემატიანე წერს, **„მკჳდრთა მის ადგილისათა არა ინებეს განდგომა ბერძენთა“.** მაშასადამე, ისინი არ მიემხრნენ ქუჯი-ფარნავაზის განმანთავისუფლებელ მოძრაობას დამპყრობლის წინააღმდეგ. საბოლოოდ, მდ. ეგრისწყალზე გაივლო ქუჯისა ფარნავაზის მიერ დაარსებული სახელმწიფოს საზღვარი.

ბერძნებთან, ანუ მილეტელ კოლონისტებთან ბრძოლისას დასავლეთ საქართველო დახმარებას იღებდა აღმოსავლეთიდან, საბოლოდ აქ მცხეთელი მამასახლისის ავტორიტეტი იმდენად გაზრდილა, რომ მტრიანობის ჟამს მას ემორჩილებოდნენ კიდეც, მათ შორის ეგრისშიც (როგორც ითქვა ჯერ კიდევ ფარნავაზამდე).

ვახუშტი ბატონიშვილი წერს –

„არამედ სარწმუნოება მათი იყო ერთისა დამბადებელისა ღვთისა თაყვანისცემა და ფუცვიდიან ქართლოსისა საფლავსა“, მათ, ასევე, აერთიანებდათ „მორჩილება მცხეთელ მამასახლისისა“.

„იყვნენ ესენი მორჩილებასა შინა მცხეთელ მამასახლისისა“ (ქ.ც.4. გვ.794), ამ წინადადებას ვახუშტი ორჯერ იმეორებს – როგორც აღინიშნა, ის მოგვითხრობს, რომ თავდაპირველად, ისტორიული ეგრისი იყო ძალზე ვრცელი ქვეყანა – ლიხის ქედიდან ვიდრე მდ. ყუბანამდე („მცირე ხაზარეთის წყლამდე“), მაგრამ შემდეგ ეგრისის ერთი ნაწილი „ბერძნებს“ მიუტაცნიათ (ტერიტორია მდ. ეგრისწყლიდან ვიდრე მდ. ყუბანამდე), ხოლო მდ. ეგრისწყლის მარცხენა სანაპიროს მხარეს მცხოვრები ეგრისელები კვლავ მცხეთელი მამასახლისის მორჩილების ქვეშ დარჩენილან – **„ხოლო ეგრის მდინარის აღმოსავლეთი კუალად იყვნენ მცხეთელ მამასახლისის მორჩილებასა შინა“** (ქ.ც. 4. გვ.794). მათ ერთობლივად, ფარნავაზის მეთაურობით, უბრძოლიათ კიდეც „ბერძნებთან“ და გაუმარჯვნიათ, წყარო წერს – **„იძლივნეს ბერძენნი ფარნავაზისგან“**. აღსანიშნავია, რომ აქ ნახსენებია **„საბერძნეთის სპა“**, რომელიც საგანგებოდ ჩამოსულა ფარნავაზთან საომრად.

http://www.amsi.ge/istoria/qc/qarTlis_cxovreba_1_3.html

„ეგრის მდინარე“ ანუ „ეგრისწყალი“ ერქვა მდინარე ღალიძგას, რომლის სანაპიროსთან იდგა ქალაქი „ეგრი“, ამჟამინდელი ბედია.

კიდევ უფრო ადრე, კიმერიელების შემოსევამდე, ანუ ძვ. წ. მე-8 საუკუნემდე, ქართველთა პოლიტიკური ცენტრები დასავლეთ საქართველოში ყოფილან უფრო ძლიერნი, ამასთანავე, კოლხური კულტურა მოიცავდა არა მხოლო დასავლეთ საქართველოს, არამედ ფარავდა აღმოსავლეთსაც. ამას მიუთითებს ის, რომ კოლხური არქეოლოგიური კულტურა, სახელგანთქმული ბრინჯაოს მხატვრული ხელოსნობით, ფარავდა მთელ თანამედროვე საქარ-

თველოს. როგორც არქეოლოგიური მასალა აჩვენებს, იმჟამად ის ასევე მოიცავდა ქართული ტომებით დასახლებულ მეზობელ რეგიონებს (ჩრდილოეთ სომხეთსა და თურქეთს – ორდუდან ჭოროხამდე).

კოლხური კულტურის ძეგლები და არტეფაქტები აღმოჩენილია აღმოსავლეთ საქართველოს ცენტრებსა და უკიდურეს რეგიონებშიც კი – გორში, კასპთან (სასირეთში), თბილისში (დიღომი), მცხეთასთან (თელოვანი), ცხინვალში, ახალქალაქში, ადიგენთან უდეში, ხევში (ყაზბეგი) და სხვაგან.

კოლხური კულტურის მძლავრი ცენტრები აღმოსავლეთ საქართველოშიც, რომ მდებარეობდნენ, მაგალითად, მიუთითებს მცხეთა-თბილისთან სოფელ თელოვანის განძი. აქ (თელოვანში) აღმოჩნდა ბრინჯაოს ხანის (ძვ. წ. XIII–XII სს.) განძი, და მასში კოლხური ცულის ჩამოსასხმელი ბრინჯაოს ყალიბი. ეს გვიჩვენებს, რომ სწორედ აქ, აღმოსავლეთ საქართველოს ცენტრში, მზადდებოდა კოლხური კულტურის ეს ნივთები. კოლხურ ცულს კი საკულტო დანიშნულებაც ჰქონდა (ჯაფარიძე ო., კოლხური ცული, „ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე“, 1950, ტ. 16).

ფაქტი იმისა, რომ კოლხური კულტურის უმთავრესი საკულტო და სამეურნეო ნივთები აღმოსავლეთ საქართველოში მზადდებოდა, მით უფრო, რომ მისი ჩამოსასხმელი ყალიბი მთელ კავკასიაში მხოლოდ აქ გვხვდება (და ასევე თაგილონში) მიუთითებს, რომ კოლხური კულტურის მძლავრი ცენტრი აღმოსავლეთ საქართველოშიც იყო და აქედან ვრცელდებოდა სხვა რეგიონებში.

ეს არაა გამონაკლისი, ასევე აღინიშნება, რომ „ზოგადად, ისტორიული საქართველოს გულში – ქართლში გამოვლენილია დიდი რაოდენობით ბრინჯაოს ე. წ. სიმეტრიულპირიანი ცულები, აქედან კი ისინი დასავლეთ საქართველოსა და კახეთის მხარეს გავრცელებულა. ასევე, რკინის ხანის ქართლურ-სამთავროული კერამიკა ყარსის რეგიონშიც აღმოჩნდა“.

https://ru.scribd.com/document/479850972/საქართველოს-ისტორია -01-1-pdf

ეს კიდევ ერთხელ მიუთითებს, რომ კოლხური კულტურის ცენტრები აღმოსავლეთ საქართველოშიც იყო, ფარავდა ისტორიულ საქართველოსა და ქართველი ხალხის განსახლების უმეტეს არეალს.

ისმის კითხვა, ეთანხმება თუ არა არქეოლოგიურ მასალას ავტორიტეტული უცხოური წერილობითი წყაროები?

ჩვენთვის განსაკუთრებითაა მნიშვნელოვანი უძველესი ბერძნული წერილობითი წყარო, ძვ.წ. მე-6 საუკუნისა, რომელითაც მტკიცდება, რომ კოლხეთი და კოლხური კულტურის არეალი მოიცავდა და აერთიანებდა იმჟამინდელ ქართველობას.

აღნიშნული წერილობითი წყაროა ჰეკატოს მილეტელის ცნობა, რომ მესხები კოლხური ტომია (**188. St. Byz**. Мосхи, племя колхов, соседнее с матиенами. Гекатей в описании Азии. http://simposium.ru/ru/node/12704).

ეს ცნობა იმჟამინდელ ენობრივ მთლიანობასაც მიუთითებს, კერძოდ კი მიგვითითებს, რომ იმჟამად ჯერ კიდევ დაუშლელი ყოფილა ე.წ. „ზან-ქართული ენა“, საერთო პროტოქართული (საერთო – ქართველური) ენის უმთავრესი განშტოება. ანუ ჰეკატოს მილეტელის დროისათვის მისი (ზან-ქართული ენის) ერთიანობა ჯერ კიდევ იყო შენარჩუნებული

ძველი ბერძენი ისტორიკოსი და გეოგრაფი ჰეკატოს მილეტელი (Ἑκαταῖος)), რომელიც წერს სხვადასხვა ქართული ტომის (კორაქსების, კოლების, მოსხების, ბექირების, მაკრონების, მოსინიკების, ხალიბების და სხვათა) შესახებ, ცხოვრობდა და მოღვაწეობდა დაახლ. ძვ. წ. 550–480 წლებში, ის მიიჩნევა პირველ ისტორიოგრაფად.

(**185. St. Byz**. **Кораксы**, племя колхов, вблизи колов. Гекатей в описании Азии. Кораксийская крепость и Кораксийская страна.**186. St. Byz. Колы**, народ у Кавказа. Гекатей в описании Азии: «а подгорья Кавказа называются Кольскими горами». Страна называется Коликою.**187. Schol. Apoll. Rhod., IV, 284**. «Гекатей говорит, что **Фасис** не впадает в

море и что аргонавты плыли не по Танаису, а по тому же самому пути, по которому и прежде, как говорит Софокл в «Скифах». **188. St. Byz**. **Мосхи**, племя колхов, соседнее с матиенами. Гекатей в описании Азии. **190. St. Byz**. Хои, народ, вблизи вехиров. Гекатей в описании Азии: «до сих пор земля **вехиров**, а с ними рядом живут хои». И опять: «до этих хои». И опять: «с хоями соседят к востоку **дизиры»**.**191. St. Byz**. **Макроны**, ныне санны; о них упоминает Страбон в 12-й книге и Гекатей в описании Азии.**192. St. Byz. Мары,** народ, соседний с **моссиниками**. Гекатей в описании Азии.**193. St. Byz. Хейрады, город моссиников**. Гекатей в описании Европы (Азии?): «с тибарами к солнечному восходу граничат моссиники, а у них город Хейрады».**195. St. Byz. Халибы**, народ у Понта, на реке Термодонте… и халибои у Гекатея: «с халибоями к югу граничат армении». http://simposium.ru/ru/node/12704)

ჰეკატოს მილეტელის თხზულებებიდან მხოლოდ 380-მა ნაწყვეტმა მოაღწია, მათ შორის რამდენიმე ეხება ქართველების წინაპრებს. მათ შორის ჩვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანია ფრაგმენტი 188, რომელშიც ჰეკატოსი წერს „მოსხები – კოლხების ტომია, მატიენების მეზობლად“ (http://simposium.ru/ru/node/12704).

მატიენები ცხოვრობდნენ მდ. ჰალისთან (მდ. ყიზილ-ირმაკი), ამჟამინდელი თურქეთის გეოგრაფიულ ცენტრში. მაშასადამე მესხები აქ, ანატოლიის ზეგანზეც ცხოვრობდნენ, მართლაც, აქვე, მახლობლად, ქ. ორდუში აღმოჩენილია კოლხური კულტურის არტეფაქტები.

ორდუში აღმოჩენილი კოლხური კულტურის არტეფაქტები და არქეოლოგიური საგანძური ადასტურებს ჰეკატოს მილეტელის ჩვენებას, რომ კოლხები და მესხები მატიენების მეზობლად ცხოვრობდნენ, შესაბამისად ისინი მოიცავდნენ ანატოლიის ზეგანს და მის ჩრდილოეთით ვრცელ ტერიტორიას.

ასევე, „კოლხური ტომის – მესხების“ აქ ცხოვრებას მიუთითებს ძველ ბერძენ ავტორებთან მოხსენიებული „მოსხის მთები“. პირველი საუკუნის ბერძენი ისტორიკოსი პლუტარქეც (46–127წწ.) მიუთითებს, რომ იბერების საცხოვრისი ვრცელდებოდა „მოსხის მთებამდე და შავ ზღვამდე“. „область иберов простирается до Мосхийских гор и Эвксинского понта“, (Плутарх. СРАВНИТЕЛЬНЫЕ ЖИЗНЕОПИСАНИЯ. Помпей. 34)

მოსხის მთები ჭოროხის სათავესთანაა, ერზრუმთან, ყიზილ ირმაკის ანუ მდ. ჰალისის სათავესთან არც თუ მოშორებით. მთელ ამ არეალს მესხები იჭერდნენ, მათ ასევე იბერებს უწოდებენ, სტრაბონი როცა წერს, რომ პარიადრეს კალთები, ხორძენა და გოგარენა არმენიის მეფეებმა მიიტაცეს იბერებისაგან (სტრაბონი, გეოგრაფია, XI, 14, 5), მიუთითებს აღნიშნულ რეგიონსაც, რომელიც ძვ. წ. მე-2 საუკუნეში იბერებისა ყოფილა, ხოლო 1-ელ საუკუნეში პლუტარქეს ცნობით აქ, მოსხის მთებამდე კვლავ იბერები ცხოვრობდნენ. მესხები შემდეგში უფრო ჭოროხის ხეობაში მოიხსენებიან.

ჰეკატოსის ცნობა, რომ მესხები კოლხური ტომია, არ შეიძლება უმნიშვნელოდ მივიჩნიოთ, რადგანაც მილეტელები და მათ შორის ჰეკატოსიც კარგად იცნობდნენ კოლხეთს, რადგანაც მათ ძვ. წ. მე-6 ს-ში კოლხეთში თავიანთი მრავალი პოლის-კოლონიები ჰქონდათ.

ძვ.წ. მე-6 ს-ის ცნობა, რომ მესხები კოლხური ტომია, როგორც ითქვა, ნიშნავს, რომ პროტოქართული ენა ამ დროს ჯერ კიდევ არ იყო ბოლომდე დაშლილი, მისი დაშლის პირველ საფეხურზე მიღებული ე.წ. ზან-ქართული (ქართ-ზანური) ენა ჯერ კიდევ მთლიანი იყო, რადგანაც ქართ-ზანურის დაშლის დასაწყისად, მიჩნეულია – დაახლ. ძვ. წ. Klimov, G. *Einführung in die kaukasische Sprachwissenschaft*. Hamburg: Buske. (1994). Климов Г.А. Картвельские языки // Языки мира. Климов Г.А. Склонение в картвельских языках в сравнительно-историческом аспекте, М., 1962. Климов Г.А. Этимологический словарь картвельских языков. М., 1964).

თუ ასე იყო და ზან-ქართულის (იგივე ქართ-ზანური) დაშლა დაიწყო ძვ.წ. მე-8 ს-დან, მაშინ ჰეკატე მილეტელის დროს ანუ ძვ. წ. მე-6 საუკუნეში ის, ფაქტიურად, ჯერ კიდევ ერთიანი იყო, ხოლო ფარნავაზისა და ქუჯის დროს ანუ

ძვ. წ. მე-4 საუკუნეში თითქმის ერთიანი, შესაბამისად, მათ სწორედ ეს ენა, ანუ ჯერ კიდევ საერთო ზან-ქართული (ანუ ქართ-ზანური) ენა გაუვრცელებიათ საქართველოში ანუ თავინთ სახელმწიფოში. ამით ეს ენა დაფიქსირდა, ვითქრცა განათლების, კულტურის, ადმინისტრაციის საერთო ენა და შემდეგ, წმიდა მოციქულებიც, შესაბამისად, მას იყენებდნენ ქადაგებათა დროს საქართველოში, ხოლო წმიდა ნინოს შემდეგ კი ეს ერთიანი ენა გადაიქცა საეკლესიო ენად, მას ამჟამად ეწოდება „ძველი ქართული ენა“, თუმცა ის ყოფილა ლინგვისტების მიერ სახელდებული ე.წ. „ზან-ქართული, ანი ქართ-ზანური საერთო ენა. ამიტომაც ის, იმთავითვე საერთოობის გამო, იყო კულტურის, განათლების, ლიტერატურისა თუ ადმინისტრაციის ერთადერთი ენა ყველა კუთხის ქართველისათვის ათასწლეულის მანძილზე. უფრო ადრე, შესაბამისად, ეს ენა ყოფილა კოლხებისა და ჰეკატოს მილეტელის მიერ ნახსენები „კოლხური ტომის მოსხების“ საერთო ენა.

თუ შევაჯამებთ, ძვ.წ. მე-6 ს-ში კოლხებისა და მოსხების ენა, რომელიც ჯერ კიდევ საერთო ყოფილა ჰეკატოს მილეტელის დროს, მალევე, სულ რამდენიმე საუკუნის შემდეგ, ეგრისის და ქართლის მოსახლეობისათვის „განავრცო“ მეფე ფარნავაზმა, როგორც მემატიანე წერს – „განავრცო ენა ქართული“.

ენათმეცნიერები ჰეკატოს მილეტელის ეპოქის საერო ენას „ზან-ქართულს“ უწოდებენ, ხოლო ჩვენ „ძველ ქართულ ენას“ ვუწოდებთ. ის, იმჟამად, საერთო ენა ყოფილა მოსხებისსა და კოლხებისათვის, სწორედ, ამ ენობრივი მთლიანობის ნიშნის მიხედვით უნდა ჩათვლილიყვნენ ისინი ერთ ხალხად ჰეკატოსის მიერ.

როგორც ითქვა, მოციქულთა შემოსვლის შემდეგ ჯერ კიდევ საერთო ე.წ. „ზან-ქართული ენა“ იქცა სარწმუნოების ენად და წმიდა ნინოს შემდეგ კი, ამ ენაზე ითარგმნა წმიდა წერილი, ის გადაიქცა საეკლესიო ენად. ამიტმაც, ის, ანუ „ძველი ქართული ენა“ გადაიქცა ქართული ბიბლიისა და სახარების ენად. ანუ ეს ის ენაა, რომელიც ბიბლიის ქართულად თარგმნამდე თითქმის 800 წლით ადრე განავრცო მეფე ფარნავაზმა მთელ ქართულ სამყაროსა და თავის სახელმწიფოში, რითაც ის დაფიქსირდა ვითარცა წარმართული საერთო სარწმუნოების, ადმინისტრაციის, განათლებისა და იმჟამინდელი „მწიგნობრობის“ ენა.

„და ესე ფარნავაზ იყო პირველი მეფე ქართლსა შინა ქართლოსისა ნათესავთაგანი. ამან განავრცო ენა ქართული, და არ-ღა-რა იზრახებოდა სხუა ენა ქართლსა შინა თჳნიერ ქართულისა. და ამან შექმნა მწიგნობრობა ქართული“

http://www.amsi.ge/istoria/qc/qarTlis_cxovreba_1_3.html

მაშასადამე, კოლხური დიდების დროს „კოლხური ტომის – მესხების“ განსახლების სამხრეთი საზღვარი მდ. ღალისი ანუ ყიზილ ირმაკი ყოფილა თანამედროვე თურქეთში ქალაქ ორდუსთან.

ძვ. წ. VI–IV საუკუნეებში, აქვე, მახლობლად, „მოსხის“ ანუ მესხების ქედამდე აღწევდა იბერების საცხოვრისი, იმჟამად, მესხები, იბერები და კოლხები ერთ მთლიანობას ქმნიდნენ კოლხური ჰეგემონიით.

თვით ცნობილი რუსი ისტორიკოსი ი. დიაკონოვი აღნიშნავს, რომ **ქართულენოვანი ტომები ქალდები, კოლხები, სასპერები და სხვანი, როლენიც იხსენიებიან ურარტულ და ბერძნულ წყაროებში, იკავებდნენ აღმოსავლეთ პონტოსა და კოლხიდას, რომ ძვ. წ. 745 წლიდან 635 წლის ჩათვლით ჩრდილოეთი ნაწილი ე.წ. „სომხეთის მთიანეთისა“ – დასახლებული იყო ქართულენოვანი ტომებით.**

http://annales.info/other/djakonov/03.htm („Восточный Понт, Колхида, западное и частично центральное Закавказье были заняты грузиноязычными племенами – халдайцами, колхами, саспирами и другими, часть которых упоминается в урартских[6] и греческих источниках[7]... там и (более северных горных областях Армянское нагорье) это время (примерно с 745 по 635 гг) жили грузиноязычные племена“). http://annales.info/other/djakonov/03.htm

Colchian culture and Kartvelian-Caucasian tribes at the end of 2nd millenium BC and the beggining of 1st millenium BC. Map in Georgian language. https://commons.wikimedia.org/wiki/File:Proto-Kartvelian_tribes_2nd_millenium_BC-ka.svg#/media/File:Proto-Kartvelian_tribes_2nd_millenium_BC-ka.svg

(გეოგრაფიული ტერმინით – „სომხეთის მთიანეთი“, ამჟამინდელ თურქეთში აღინიშნება ტერიტორია აღმოსავლეთ პონტოს მთებიდან ვიდრე ტავრამდე (სამხრეთ თურქეთის მთათა სისტემამდე).

დიაკონოვი ამბობს, რომ ქართველ ხალხი ძვ. წ. XII–VIII სს. ფართოდ იყო განსახლებული სამხრეთ კავკასიისა და პონტოს მრავალ ოლქში. „..ამ დროიდან ქართველი ხალხი წარმოადგენს ერთერთ წამყვან ხალხს აღნიშნულ ტერიტორიაზე, რომელსაც ეჭირა ძალზე მნიშვნელვანი არეალი, გეოგრაფიული, კულტურული და პოლიტიური მნიშვნელობით“ („С тех пор он является одним из ведущих народов изучаемой территории, занимавшим весьма значительный в географическом, культурном и политическом отношении ареал и разделяя общий культурно-исторический субстрат с армянским народом“).
http://annales.info/other/djakonov/03.htm

ი. დიაკონოვი, როგორც აღინიშნა, წერს, რომ ძვ.წ. 745–635 წლებში სომხეთის მთიანეთის ჩრდილოეთ ნაწილი დასახლებული იყო ქართულენოვანი ტომებით, ანუ შემდგდროინდელ არზრუმის, ანისისა და ტარპეზუნტის ოლქები, რომელშიც შედიოდა ტაო-ბასიანი, აირარატისა და სხვა ქვეყნები, არაქსის, ჭოროხის ხეობებისა და, ევფრატის სათავეების ჩათვლით, ქართველებით ყოფილა დასახლებული.

ისმის კითხვა, რატომ ახსენებს ი. დიაკონოვი დაზუსტებით ძვ. წ. 745–635 წლებს? „там и (более северных горных областях Армянское нагорье) это время (примерно с 745 по 635 гг) жили грузиноязычные племена“). იმის გამო, რომ მისი გამოწვ-

ლილვითი გამოკვლევით, ამ წლების შემდეგ ანუ მხოლოდ ძვ. წ. 635 წლის შემდეგ შემოსულან ამ ქართულ რეგიონში სომხური ტომები და თანდათანობით ამ რეგიონში დაწყებულა მკვდრი მოსახლეობის ანუ ქართველების არმენიზაცია. ქართველების დენაციონალიზაციის სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ მიმდინარე ეს საუკუნვანი მცოცავი პროცესი გაგრძელდა, და ჩვენი კვლევით ამ რეგიონში, კერძოდ კი ტაოში მხოლოდ ახ. წ. მე-8 ს-დან შეწყდა, კერძოდ კი 780 წლიდან, როდესაც ტაოს საეკლესიო კრებამ შეაფასა და შეწყვიტა ამ ოლქში ქართველთა არმენიზაციის პროცესი.

ი. დიაკონოვი ქრისტეშობამდე საუკუნეებით ადრე ქართულენოვან ქვეყნებად მოიხსენიებს კოლხიდასა და მის პოლიტიკურ მემკვიდრეს იბერიას და მათთან ერთად უვრცელეს არეალს პონტოსა და მის მომიჯნავე რეგიონებში. ხოლო, კასტორიუსის რუკის მიხედვით, იბერია შუამდინარეთამდეა განფენილი.

ჩვენამდე მოაღწია რომაულმა ე.წ. კასტორიუსის რუკამ (იგივეა, რაც პოიტინგერის ტაბულა), აქ, იბერია ეწოდება დიდ არეალს, რომელიც მოიცავს აღნიშნულ ტერიტორიებს ბაბილონამდე და აღნიშნულ ტავრის ანუ ტავროსის მთებამდე.
https://www.amsi.ge/academia/04/A4-4.pdf

„პოიტინგერის ტაბულაზე იბერიის დიდი წარწერა მოთავსებულია ტავროსის მთების სამხრეთით, ბაბილონიის უშუალო სიახლოვეს. ...იბერია უშუალოდ ემეზობლება მდინარე ტიგროსს“ (ალექსანდრე თვარაძე, ფარსმან ქველის წერილი იმპერატორ ადრიანესადმი),
https://www.amsi.ge/academia/04/A4-4.pdf

იბერიის ყოფილი სიდიადითა და ქართველი ხალხის განსახლების დიდ არეალით უნდა ყოფილიყო გამოწვეული ის, რომ I–II საუკუნეებში **იბერია სომხეთს დაეუფლა**, რომელიც იმ ჟამად დიდი ქვეყანა იყო, მას, იბერიული დინასტიები, მცხეთის სამეფო ტახტი მართავდა. „ახ.წ. I საუკუნის შუა ხანებში ფარსმან I-ის მეფობისას იბერიელები გარკვეულ ხანს სომხეთს იპყრობენ. იბერების მხრიდან სომხეთის შემოერთების ცდები შემდეგაც არ წყდება. სომხეთის ფლობა ერთგვარად რომის ხელდასხმით ხდება, მაგრამ იბერიელთა მეფეები იმავდროულად რომის საწინააღმდეგო აქციებსაც ხშირად მიმართავდნენ, რაც, მაგალითად, იმითაც გამოიხატება, რომ როგორც ფარსმან I-ის, ასევე ფარსმან II-ის დროს ჩრდილო კავკასიიდან გადმოყავთ ალანები და არბევინებენ რომის კუთვნილ ტერიტორიებს წინა აზიაში. ამის მაგალითია ფარსმან II-ის მიერ სავარაუდოდ 134 წელს, ადრიანეს მმართველობის ხანაში, მოწყობილი ფართომასშტაბიანი აქცია. ფარსმანმა გახსნა კავკასიის კარები და ალანები შეუსია რომისა და პართიის სამფლობელოებს“ – წერს მეცნიერი.
https://www.amsi.ge/academia/04/A4-4.pdf

აქედან, ჩანს, რომ იბერია და ქართველი ხალხი 1–2 საუკუნეებში ძალზე დიდ ძალას წარმოადგენდა და გარკვეულწილად ეფუძნებოდა ძველი კოლხეთის მემკვიდრეობას, რომელიც, როგორც აღინიშნა, თავის დროზე, წარსულში, მდ. ჰალისიდან ჩრდილოეთით დიდ არეალზე იყო განფენილი ანატოლიასა და მის მიმდებარე სამხრეთ კავკასიაში, და საერთოდ კავკასიაში.

თავის მხრივ, 1–2 საუკუნეთა იბერიის სიდიადე, ქუჯი-ფარნავაზის მიერ დაარსებულ სახელმწიფოებრიობას ეფუძნებოდა. ის, კოლხურ მემკვიდრეობას რომ ეფუძნებოდა ძველი ბერძენი ისტორიკოსის ფლავიუს არიანეს (95–175) ცნობიდანაც ჩანს, რომ იბერია შავიზღვისპირეთზეც კი თვით რომის იმპერიას ეტოქებოდა (ძიდრიტები, მეფე ფარასმანესი).

„130 წლისათვის იბერიას მთელი სამხრეთ კავკასია ემორჩილებოდა, უფრო მეტიც სომხეთი მის ვასალურ ქვეყნად გადაიქცა, 140-იან წლებში იმპერიის დედაქალაქში ჩასულმა ქართლის მეფე ფარსმან ქველმა რომთან სამოკავშირეო ხელშეკრულება დადო, რითაც რომმა ცნო იბერიის ჰეგემონობა სამხრეთ კავკასიაში. 150-იან წლებში კი იბერიის ჯარმა ორჯერ დაამარცხა პართიის ჯარი და მისი

დედაქალაქი ქტესიფონიც კი აიღო“ (საქართველოს ისტორია, ტ. I, 2012. ჯ. სამუშია, „ისტორიანი“, 2012).

ეს ნიშნავს, რომ სამხრეთ კავკასიას, შავიზღვისპირეთთან ერთად, იბერიის სამეფო მართავდა, რაც, როგორც ითქვა, მიუთითებს ქუჯი-ფარნავაზის პირველი ერთიანი საქართველოს სახელმწიფოს პოლიტიკური მემკვიდრეობითობის შესახებ.

კიდევ ერთხელ, რომ მივუბრუნდეთ კოლხეთის წარსულს, როგორც ითქვა, დაახლოებით ქ. ორდუსთან ყოფილა კოლხური კულტურის სამხრეთი საზღვარი, ხოლო ჩრდილოეთით, თეიმურაზ ბატონიშვილის სიტყვით, წარმართობისა და კიმერიელების ეპოქაში, კერა კოლხური კულტურისა ყოფილა ბიჭვინთა.

ფაქტობრივად, თეიმურაზ ბატონიშვილი იმეორებს ჰეკატოს მილეტელის ცნობას, რომ მოსხები ანუ იბერები კოლხური ტომია და წერს, რომ კიმერიელების შემოსევამდე ანუ ძვ. წ. მე-8 საუკუნემდე – „კოლხიდელნიცა იყვნეს მაშინ იგინივე ქართლოსიანნი; ესოდენ კოლხიდა უძველესთა ჟამთა შინა იყო პირველ სამკვიდრებელ, სიმტკიცე და მტერთა გაძლიერებასა შინა სახიზარი და შესავედრებელი ქართლოსიანთა” (გვ.83). თეიმურაზს მიაჩნია, რომ კოლხიდა იყო ქართველთა თავდაპირველი სამკვიდრებელი. იმავეს წერდა სომეხი ისტორიკოსი უხტანესი მე–10 საუკუნისათვის. უხტანესი ქართველთა კავკასიაში ცხოვრებას ასევე აღწერს: თავდაპირველად ქართველები შავი ზღვის პირას ცხოვრობდნენ, აქ ეს ტომიო – როგორც უხტანესი წერს, ქართველობა აღორძინდა, გამრავლდა, აავსო შავიზღვისპირეთი და შემდგომ გამრავლების გზით ვრცელი ქვეყანა სომხეთამდე და ალბანეთამდეო. აფხაზეთის მოსახლეობას კი უხტანესი უწოდებს არა „აფხაზებს“, არამედ ქართველებს – „ითესლეს და გამრავლდნენ და გახდა ტომი, რომელსაც თავის პირველ ქვეყანაში ივერიას უწოდებდნენ, აქ კი ქართველნი ეწოდებათ“. უხტანესის მიხედვით, მთლიანი საქართველოს მოსახლეობას შავი ზღვიდან ვიდრე ალბანეთ-სომხეთამდე შეადგენენ ქართველები. იგი მეგრელებსაც ქართველებად მიიჩნევს. ეროვნულად მეგრელები ქართველები არიან, თუმცა, შეიძლება მათ სატომო სახელიც ჰქონდეთ. უხტანესი წერს, რომ არა მარტო მის დროს ცხოვრობს ქართველი ხალხი შავიზღვისპირეთიდან სომხეთ-ალბანეთის საზღვრამდე, არამედ ძველ დროსაც, ჯერ კიდევ ქრისტემდე (http://meufeanania.info/somxeti/

როგორც ითქვა, თეიმურაზი წერს: „... კოლხიდელნი არაოდეს ყოფილან საუკუნეთგან სხვანი ნათესაობანი, თვინიერ ქართლოსიანთა და ვიდრე ამა ჟამადმდე“ (თეიმურაზ ბატონიშვილი „ისტორია დაწყებითგან ივერიისა, ესე იგი გიორგიისა, რომელ არს სრულიად საქართველოისა, ქმნილი საქართველოს მეათცამეტის მეფის გიორგის ძის თეიმურაზისაგან, სანკტპეტერბურგის სტამბასა შინა სამეცნიერო აკადემიისა, 1848 წელსა“, გვ. 84).

ბატონიშვილი თეიმურაზი აღნიშნავს – „სრულიად ივერიელთა ჰყავთ უძველესთა შინა დროთა უპირატეს ღმერთად ბოჩი და ტაძარი მისი იყო ფრიადით სიმდიდრითა შემკობილი სამზღავრსა ზედა კოლხიდისა და აფხაზიისასა **ბიჭვინტას**“ (გვ. 84).

ბიჭვინთა ყოფილა ივერიელთა ერთერთი წარმათული „ღმერთის“, ბოჩის ტაძარი. ბოჩისთან დაკავშირებით თეიმურაზი განაგრძობს „ბოჩი ღმერთი ძველი ივერიელთა, პირველ არმაზისა“ (გვ. 84). ეს ნიშნავს, რომ არმაზის გაკერპაბამდე, ქართველთა უმთავრესი კერპი ყოფილა ბოჩი, რომლის დიდი, შვიდხელიანი ქანდაკება იდგა ბიჭვინთაში.

კერპ ბოჩის თაყვანისცემის წესი შეუცვლია ფარნავაზ მეფეს არმაზის უპირატესობით. ამ დრომდე კი ბოჩს „პატივსა უყოფდნენ მას, ზოგადად, ზემოისა და ქვემოისა ივერელნი“ (გვ. 84).

თეიმურაზი აღწერს ბიჭვინთის კერპის ქანდაკებას და წერს: „ბოჩი საკუთარი ღმერთი იყო უძველესთა ქართველთა.. ესხეს შვიდნი ხელნი.. შვიდნი ხელნი ბოჩისანი ნიშვნიდნენ შვიდთა ნათესაობათა თარგამოსიანთა: 1. **ქართლოსისა** (და სხვათა ექვსთა ძმათა მისთა, რომელნიცა იყვნეს ერთ საზოგადოება, ხელისა ქვეშე ქართლოსისა); 2. **ეგროსის**, 3. **მოვაკოსი-**

სა, 4. **ეროსისა,** 5. **ბარდოსისა,** 6. **ლეკოსისა,** 7. **კავკასოსისა.** ესე შვიდნი ნათესავნი არიან ერნი გიორგიისა, ესე იგი საქართველოისა, ანუ ივერიისა, რომელნიცა **პირველ ყოველნივე ერთ ერ და ერთ ენა იყვნეს და ყოველნივე ქართულისა მომზრახენი“** (გვ. 51).

ამით იმის თქმა სურს თეიმურაზს, რომ ის ტერმინი, რომლითაც ახლა აღინიშნება „იბერიულ-კავკასიური ერთობა“ ანდა, მათ ვისაც ეწოდებათ „იბერიულ-კავკასიურ ენათა ჯგუფში შემავალი ხალხებს“, თავდაპირველად ერთიან ენობრივ და გენეტიკურ სივრცეს ქმნიდნენ, თავდაპირველი კავკასიელები ქართველებთან ერთად მთლიანობას წარმოადგენდნენ, რომელთაც შემდგომ მოგვცეს 7 ძირითადი განშტოება. როგორც აღინიშნა, ამ საერთო ქართულ-კავკასიურ ერთობას გააჩნდა საერთო სარწმუნოება და „საკუთარი ღმერთი“, ერთ-ერთი ყოფილა „ბოჩი“.

გაქრისტიანების შემდეგ ბიჭვინთამ გააგრძელა თავისი ძველი სარწმუნოებრივი ფუნქცია – წერს თეიმურაზი – „ბიჭვინტა” (შემდგომად მცხეთისა) იყო კათედრა კათალიკოზთა, ვინაითგან ანდრია პირველწოდებულს მოციქულსა ქრისტესა მუნ ექადაგა პირველ და სვიმონ კანანელსა“ (გვ. 84).

თეიმურაზის სიტყვით, IV–VIII საუკუნეებში, საქართველოს ეკლესია იმართებოდა ერთი მცხეთელი მწყემსის მიერ. **ამ პერიოდს თეიმურაზი უწოდებს „სრულიად ერთ მწემსმთავრისა ჟამს“** (გვ. 84). ამასვე წერს ვახუშტი. სამწუხაროდ, ვახუშტის ეს ცნობა ქართულმა ისტორიოგრაფიამ ვერ შეამჩნია. მე-8 ს-დან კი აფხაზეთში კათალიკოსობა დაწესდა ცენტრით ბიჭვინთაში.

http://meufeanania.ge/details.php?id=114&title=
თეიმურაზ%20ბატონიშვილის%20წიგნი

კვლავ თუ დავუბრუნდებით ქრისტეშობამდე პერიოდს და შევაჯამებთ აღნიშნულ თეიმურაზ და ვახუშტი ბატონიშვილების ცნობებს, თავდაპირველად, დაახლოებით ძვ. წ. VI ს-მდე, საერთო ქართული წარმართული სარწმუნოების უმთავრესი ცენტრი იყო ბიჭვინთა (კერპი ყოფილა ბოჩი), ამის შემდეგ, ძვ. წ. VI–IV საუკუნეებში, საერთო წარმართული სარწმუნოების საფიცარ ცენტრად ქცეულა „ქართლოსის საფლავი“, ხოლო, შემდეგ ქუჯი-ფარნავაზის ეპოქიდან, ამ საფლავზე აღმართული კერპი არმაზისა.

რას ნიშნავს ვახუშტის ცნობა, რომ ქრისტეშობამდე მცხოვრები ქართველი წარმართების სარწმუნოება ითვალისწინებდა დიდი წინაპრის **„ქართლოსის საფლავის“** პატივისცემას? ეს ცნობაა მიუთითებს, რომ ქართული წარმართობა წარმოადგენდა უძველეს რელიგიას, რომელსაც „წინაპართა კულტის“ სახელითაც იცნობენ.

წინაპართა კულტი გავრცელებული ყოფილა ისტორიული საქართველოს მეზობელ ძველ რომსა და ძველ საბერძნეთშიც, ასევე სხვა მრავალ ხალხში, ჩინეთში წინაპართა კულტი საფუძვლად დაედებია კონფუციანობას, ჩვენში ასეთი ყოფილა „ქართლოსის საფლავი“ თაყვანისცემა, მისი „ფუცვა“ ანუ ვედრებს მის მიმართ და დამოწმება ვითრცა უზენაესი ავტორიტეტისა, ანუ ქართველ წარმართ მორწმუნეთა უზენაესი საფიცარი ქართლოსი ყოფილა, ხოლო მისი სათაყვანებლი მიწიური ობიექტი – მისი საფლავი. როგორც აღინიშნა, წარმართული რელიგიით, **ქართლოსი,** წინაპართა უმთავრესი კულტის ნიშანს ატარებდა.

მცხეთელი მამასახლისი, ქართლოსის პირდაპირი შთამომავალი იყო, მისი სახლის წევრებთან ერთად, ამიტომაც, მათაც, ამავე კულტის შეასაბამისი რელიგიური ნიშნით განიდიდებდნენ, ვითარცა ქართლოსის ქვეყნიურ მემკვიდრეთა შორის უპირატესობის მქონეთ -

როგორც აღინიშნა, ჯერ კიდევ ქუჯამდე და ფარნავაზამდე საუკუნეებით ადრე, ვახუშტის სიტყვით მცხეთელ მამასახლისს ემორჩილებოდა ეგრისის (და მასთან ერთად ყველა სხვა რეგიონის) მოსახლეობა – **„იყვნენ ესენი მორჩილებასა შინა მცხეთელ მამასახლისისა“** (ქ.ც.4. გვ. 794), ანუ მცხეთელი მამასახლისი საერთო-სახალხო და საკულტო მეთაურად მიიჩნეოდა. ფარნავაზი მცხეთელი მამა-

სახლისის სახლის შვილი იყო, ამიტომ, მამასახლისის სიკვდილის შემდეგ, მასზე გადმოვიდა ამ სახლის უფლებები. ყველა მთავრის მიერ ის ბუნებით მეთაურად ჩაითვალა, ამასთანავე ის რელიგიური ნიშნის მატარებელიც იყო ქართლოსის პირდაპირი შთამომავლობის გამო.

შესაბამისად, ტრადიციული წეს-ადათის შესაბამისად, ყველა ქართველი მთავარი მტრიანობის ჟამს მას უნდა დამორჩილებოდა. სხვა მთავართა შორის ქუჯისაც.

მაშასადამე ქუჯიმ აღასრულა ძველი ტრადიციის როგორც ქვეყნიური, ისე სარწმუნოებრივი მოვალეობა. ამით უნდა იყოს გამოწვეული მისი სიტყვები ფარნავაზის მიმართა – „შენ ხარ შვილი თავთა მათ ქართლისათა, და შენ გმართებს უფლობა ...შენ ხარ უფალი ჩუენი და მე ვარ მონა შენი“

ვახუშტი განაგრძობს ფარნავაზამდე და ქუჯიმდე მრავალი საუკუნით ადრე ქართველთა საერთო ნიშან-თვისებათა აღწერას – **„ზნენი აქვნდათ პირმტკიცობა, მტერთა ზედა ერთობა, თავისუფლებისათვის მხნედ ბრძოლა, მაგრად დგომა მისთვის, ციხე-სიმაგრეთა და ქალაქთა შენება, მაგრობა ქვეყნისა, ერთისა ცოლისა ქმრობა...არამედ, გარნა თუ მრავალ მთავარ იყვნენ და ოდესმე განდგიან თვის-თვისად, გარნა მარადის გარე მტერთა თვისთა ზედა ერთობდნენ და მორჩილებდნენ მცხეთელ მამასახლისსა და, შეერთებულნი, თვისთა ქვეყანისათვის მხნედ იბრძოდიან“ (ქ.ც. 4. 1975, გვ.15).**

ეს წესი (მთავრების მორჩილება მცხეთელი მამასახლისის მიმართ მტრიანობის ჟამს) მათ შემდეგ საუკუნეებშიც შეუნარჩუნებიათ. ვახუშტი განსაკუთრებულად აღწერს, რომ ერთი ღმერთის თაყვანისცემის დავიწყებისა და ქვეყანაში უკიდურესი ქაოსის ეპოქაშიც კი, მთავრებს კვლავ შუნარჩუნებით უნარი გაერთიანებისა მტრის დასამარცხებლად მცხეთელი მამასახლისის ხელქვეშ – **„გარნა იყვნენ მცხეთელ მამასახლისის მორჩილებასა ქვეშე და ერთობდნენ მტერთა ზედა მრავალსა წელსა“ (იქვე, გვ. 15).**

ფარნავაზმა კიდევ უფრო განამტკიცა წინაპართა კულტის რელიგია, როცა არმაზის კერპი აღმართა ქართლოსის საფლავზე. ამით არმაზი ქართლოსის თაყვანისცემას დაუკავშირდა და უფრო განამტკიცა იქამდე ტრადიციული წარმართული კულტი.

იმჟამინდელი რწმენით, წინაპრებს შეეძლოთ შეწევნა, დახმარება, უბედურებისაგან დახსნა, ბედნიერების გაღრმავება, და მით უფრო წინაპართა შორის უპირატესს – ქართლოსს და შესაბამისად, მის საფლავზე აღმართულ არმაზს, ამიტომაც წერს ძეგლი – **„ფარნავაზ შექმნა კერპი დიდი სახელსა ზედა თჳსსა: ესე არს არმაზი... ამართა კერპი იგი არმაზი თავსა ზედა ქართლისასა“**. თვითონაც ამ გზით, როგორც ითქვა, რელიგიური თაყვანისცემის ობიექტი გახდა.

ფარნავაზს შეუქმნია „მწიგნობრობა ქართული“, თუ რა იგულისხმება ამ ცნობაში ჯერ კიდევ საკვლევია. სპარსეთის იმპერიაში ძველსპარსულის გარდა (რომელიც ლურსმულით იწერებოდა), გავრცელებული იყო **არამეული ენა ფინიკიური დამწერლობის საფუძველზე.** ასომთავრული ასოების მოყვანილობიდან ჩანს, რომ ის შემუშავებულია აღნიშული ფინიკიური დამწერლობის საფუძველზე, რაც ჩვენ გამოვიკვლიეთ. ეს გრაფიკულადაც თვალსაჩინოა -

როგორც ზემოთ აღინიშნა, პროტოქართული ანუ წინარექართული ენის მატარებელი მოსახლეობა (კოლხები, მათი მემკვიდრე იბერები და სხვა ჯგუფები) ცხოვრობდნენ ტიგროსის სათავეებამდე, შუამდინარეთამდე და ყიზილ-ირმაკამდე (მდ. ჰალისამე) და, ასევე, მის ქვემოთ. რაც იმას ნიშნავს, რომ ის (საერთო ქართველური ენის მატარებელი მოსახლეობა) უშუალოდ ემეზობლებოდა იმ დიდ იმპერიებს, სადაც არამეული ენა წარმოადგენდა ადმინისტრაციის ენას. თავის მხრივ, იმპერიათა საკანცელარიო მწერლობა ფინიკიურ ანბანს ეფუძნებოდა.

შესაბამისად, ქართულ-არამეული კულტურების კვეთის ამ არეალზე, მცირე აზიაში, უნდა ჩამოყალიბებულიყო ქართული დამწერლობის პირველსახე ფინი-

კიური დამწერლობის საფუძველზე, ბერძნული დამწერლობის გავლენის ფონზე.

ქართული ანბანის ადრეული ისტორია ქრისტეშობამდე საუკუნეებით ადრე იმ პერიოდიდან უნდა იწყებოდეს, როდესაც ფინიკიური დამწერლობა მიღებულ იქნა ქართული ენის საჭიროებისათვის. თავდაპირველად თანხმოვნებისათვის, ხოლო ხმოვნებისათვის გამოყენებული იქნა ან ფინიკიური თანხმოვნები, ანდა უკვე არსებული ბერძნულის ხმოვნები. ცნობილია, რომ ჰ. ვინკლერმა დაასაბუთა ფრიგიისა ძვ. წ. მე-8 ს. ასურული ტექსტებით ცნობილი „მუშქების ქვეყნის“ იგივეობა. ამ ეპოქის მუშქების ბოლო მეფეს ერქვა მითა, პ. ინგოროყვამ ის მიიჩნია ფრიგიის მეფე მიდასად, და მას დაუკავშირა ფინიკიურიდან ქართული და ასევე ბერძნული ანბანის ჩამოყალიბება. თუმცა, მიღებულია, რომ ფინიკიური ანბანი ბერძნულს მიუსადაგეს ძვ. წ. მე-9 ს-ში.

ქართულ ანბანს ბერძნულის აშკარა გავლენა აქვს, და ამასთანავე გრაფიკულად ქართული ასო-ნიშნები თითქმის იდენტურია ფინიკიურისა, როგორც ეს ქვემოთ მოყვანილი ცხრილიდან თვალსაჩინოა, ამიტომ, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ შესაძლოა ქართულს ფინიკიური მიუსადაგეს ალბათ ძვ. წ. მე-7 ს. შემდეგ. უფრო, ალბათ, კი, ფარნავაზის ეპოქაში, სახელმწიფოებრივი და საკულტო საჭიროებისათვის. თუმცა, არ არის აღმოჩენილი არც რაიმე ტექსტი და არც რაიმე წარწერა ამის დასატკიცებლა, ამიტომაც ვეყრდნობით ასო-ნიშნების ვიზიალური მსგავსებისა და მათი რიცხვითი მნიშვნელობების იგივეობის ფაქტს. თანხვდება ფინიკიურისა და ქართულის ასოთა ზოგადი სახელებიც (იგულისხმება ზოგადი მნიშვნელობით).

აღნიშნული მიზეზის გამო ჩვენ სავარაუდოთ შევადგინეთ ფინიკიურიდან ქართულში გარდამავალი ასონიშნების ე.წ. „გარდამავალი“ და „შუალედური“ ფორმები, ანუ მოხაზულობის რამდენიმე ვარიანტი, საჩვენებლად იმისა თუ რა სახის ცვლილებები უნდა განეცადათ მათ ქართული ანბანის საბოლოო სახის ჩამოყალიბებამდე.

ეს მნიშვნელოვანი მოვლენა, ანუ ქართული ანბანისათვის საბოლოოო სახის მიცემა, ანუ ასომთავრულის ჩამოყალიბება, უნდა მომხდარიყო ახ. წ. მე-5 ს. პირველ წლებში ქართლის მეფე ბაკურის კარზე. 411 წელს დაბადებული ბაკურის შვილიშვილი პეტრე იბერი 12 წლის ასაკამდე სწავლობდა ქართულ „წმიდა წერილს“ (იხ. ამის შესახებ ჩემი გამოკვლევა), რომელიც, ჩანს, ამ დროს ის უკვე ჩაწერილი იყო ასომთავრული ანბანით, ამას მიუთითებს, ისიც რომ პალესტინაში აღმოჩნდა 430 წლის ქართული პირველი წარწერა (მის პირად მოძღვარ იოანე ლაზის მონასტერში), ამასთანავე მეფე ბაკურს ქართული ანბანის ჩამოყალიბებასთან აკავშირებენ სომხური წყაროებიც. ეს ნიშნავს, რომ ბაკურამდე უკვე არსებოდა ქართული ანბანი, რომელიც ჩანს, ფინიკიურს წააგავდა თავის სწორხაზოვანი ფორმებით, ხოლო, რადგანაც უკვე საწერ მასალად გამოიყენებოდა არა თიხა და ქვა, არამედ რბილი ეტრატი (პერგამენტი), ამიტომაც საჭიროდ მიინიეს ფინიკიურიდან მიღებული ქართული სწორხაზოვანი ასოების გარკვეული ელემენტების მომრგვალება რაც ქვემოთ სქემაზეცაა მოცემული. გრაფიკული ცვლილება ძველ სწორხაზოვან ასოებს შეეხო იმით, რომ ახლა უკვე გრაფემების სწორი ნაწილები მომრგვალდა, ანუ ასომთავრულმა ანბანმა მიიღო თავისი ამჟამად ჩვეული სახე. (ცხრილში წარმოადგენს სქემას, შედგენილს მიტრ.ანანიას მიერ, რომელშიც მოცემულია ფინიკიურიდან ქართულში „გარდამავალი“ და „შუალედური“ სავარაუდო ასონიშნები)

ფინიკიურიდან ქართულში გარდამავალი ასოები

ფინიკიური პირველსახე	ძველი ბერძნული ასო	დასახელება					რიცხვითი მნიშვნელობა
		ძველი ბერძნული სახელი	გარდამავალი ფორმა	შუალედური	ქართული	სახელი	
ᐸ ალეფ	A	ἄλφα	⊄	¢	Ꮯ	ანი	1
ᐁ ბეტ	B	βῆτα	ᑫ	ᑫ	Ꮸ	ბანი	2
ᐱ გიმელ	Γ	γάμμα	ᒪ		Ꮺ	განი	3
ᐃ დელტ	Δ δ	δέλτα	▽	ᑐ	ᑐ	დონი	4
ᐣ ჰე	E ε є	E̲ (ეპსილონ)	ᒥ	ᐣ	ᒥ	ენი	5
ᐯ ვავ	Υ	(ვავ) იპსილონ	ᒣ	ᒣ	ᒣ , ᒣ, ᒣ	ვინი	6
I ზაინ	Z ζ	ζῆτα	ᒧ	ᒪ	ᒧᒪ	ზენი	7
ᐵ ჰეტ	H η (Ꮒ ꮒ)	ἦτα	ᐵ	ᐸ	ᐸ	ეᲮ (ე.წ. ე მერვე) ჰე	8
⊗ თეტ	Θ θ Θ ϑ	θῆτα	⊕	ᑐ+	Ꮑ	თანი	9
ᐦ იიოდ	I	ἰῶτα	ᐦ	ᐦ	ᐦ	ინი	10
ᐤ კაფ	K κ	κάππα	ᒧ	ᒣ	ᒣ	კანი	20
ᒐ ლამედ	Λ λ	λάμδα	ᒃ	ᒃ	ᒃ	ლასი	30
ᒣ	M μ	μῦ	ᒣ	ᒣ	ᒣᒣ	მანი	40

მემ							
ϟ ნიუ	N ν	νῦ	ϟ	ꓥ	ꓦꓦ	ნარი	50
ϡ სამეხ	Ξ ξ	ξεῖ	ϡ	ꓤ	ꓤ ꓤ	ჯე	60
ο აინ	Ο ο	οῦ			Ω	ონი	70
ϩ პე	Π π	πεῖ	∩	U	U	პარი	80
ϫ სან,სამპი	ϫ ჩქარა გაქრა			ꓤ	ϫ	ჟანი	90
ϥ რეშ	Ρ ρ ϱ	ῥῶ	ꓡ	♪	ꓡ, ꓡ	რაე	100
ϣ სინ	Σ σ ς	σῖγμα			Ս	სანი	200
ϫ ტავ	Τ τ	ταῦ			Ꝑ	ტარი	300
Υ ვავ	Υ υ	Υ	იპსილონი		ϫე ϥ wi	ϥ wi	ϫე	400
Ϥ	Φ φ ϕ		φ		ფარი	φ	ფარი	500
	Χ χ	χεῖ			†	ქან	600
	Ψ ψ	ψεῖ			∩	ღან	700
	Ω ω	ὦ			ϥ	ყარ	800
ϫ ცადე	Μμ Ϯ, Ϯ ϯ, ϯ	ss			Ꝑ	შინ	900

ფინიკიური ასოსაგან „ვავ“ Υ წარმოიქმნა ორი ქართული ასო -„ვინი“ ϩ და „ჳე“ ϥ (წი)
2. ბერძნული ϫ (სან) და ფინიკიური ასოსაგან „ცადე“ ϫ არმოიქმნა ორი ქართული ასო ϫ (ჟან) და Ꝑ (შინ)
3. ფინიკიური Υ (ვავ), შუალედური– Τ, გარდამავალი – Τ, ქართული ϩ , ϩ, ϩ ვინი; ბერძნულში გაქრა ხმოვანი [w], ამიტომ პირველი პირდაპირი მემკვიდრე «ვავ» – F (დიგამა) – იკარგება ანბანიდან, მეორე მემკვიდრე «ვავ» – Υ (იპსილონი) – გამოიყენება ხმოვან [u] -ს ჩასაწერად; შემდეგში [u] გადავიდა ვიე [y]-ში
ქართული ϥ,
Ϥამავე დროს დიფთონგმა (ΩϤ) -მ გამოხატა ხმოვანი - **ᲣᲨ, ϥ, Ω**

ფარნავაზის „მწიგნობრობა ქართული“, ჩანს გულისხმობდა, ფინიკიური ანბანის საფუძველზე ჩამოყალიბებულ ქართული დამწერლობის იმ ფორმას, რომელსაც იყენებდნენ ფარნავაზისა და მისი საერისთავოების კანცელარიები და ალბათ ქურუმები.

ესაჭიროებოდა თუ არა ფარნავაზის ეპოქის სახელმწიფოს „მწიგნობრობა“ ანუ იყო თუა არა მოთხოვნილება იმისა, რომ ბრძანებები და მიმართვები ქვემდებარე დაწესებულებებისთის წერილობით სახით მიეწოდებინა?

ვახუშტიმ საგანგებოდ გამოიკვლია ფარნავაზის შემდგომი ქართული სამეფოს სამოხელეო წყობა და წერდა, რომ სახელმწიფში უამრავი სახელისუფლო უმაღლესი დაწესებულება არსებბდა, მსგავსი იმისა რასაც ამჟამად ეწოდება სამინისტროები. ესენი ყოფილან შემდეგი „ხელისუფალნი“ (და, შესაბამისად, მათ ხელქვეშ არსებული დაწესებულები) – სპასალარი ანუ სამხედრო უწყების მეთაური, სახლთხუცესი, ხელისუფალი, რაც ჩანს იგივე იყო რაც ევროპაში „მაჟორდომი“. მას მრავალი თანაშემწე ჰყავდა, რადგანაც სასახლეებსა და ციხე-სიმაგრეებში შესაბამისი მეურნეობას უნდა გაძღოლოდა. ასევე დიდი სახელო იყო „მსახურთუხუცესობა“, რომელაც ასევე მრავალი თანამშრომელი ჰყავდა, მას ასევე ევალებოდა „ციხექალაქთა მცველთ უხუცესობა“, საგანგებო ხელისუფალი იყო „მონათუხუცესი“, ასევე მანდატურთუხუცესი – საპოლიციო სისტემის მეთაური, მსაჯულთუხუცესს ეკითხებოდა ქვეყნის „მსაჯულები“, ასევე „ბჭეთა, ხევისბერთა და ხევითავთა“ წინძღოლა. მეჯინიბეთუხუცესი შეიძლება თანამედროვე ტრანსპორტისა და ფოსტის გაერთიანებულ სამინისტროს შევადაროთ, მას ექვემდებარებოდნენ „შიკრიკნი, პაიჭნი და ჯინიბნი“ ანუ ქვეყნის ტერიტორიაზე სხვადასხვა დავალებათა და ბრძანებათა ადრესატამდე მიტანა ეველებოდათ. სხვა იყო მეჭურჭლეთუხუცესი, მოლარეთუხუცესი და ეზოსმოძღვარი, რომლიც შესაძლოა ევროპულ „მაიორდომს“ შევადაროთ.

აი, სწორედ მათ ესაჭიროებოდათ თავიანთი ფუნქციების განსახორციელებლად „მწიგნობრობა“ ანუ წერილობითი სახით ბრძანების ანდა ნების გადაცემა სხვადასხვა უწყებისათვის, ამიტომაც მათ შესახებ წერს კიდეც ვახუშტი :

„ესენი სწერდენ: უსტარს. იერლაყსა, პიტაკსა, ენდალმასა, პატრუცაგსა, როარტაგსა, გუჯართა, სიგელთა, ბრძანებათა, განაჩენთა და სხვათა“. ამ უსტარ-ბრძანებებს საგანგებო მწერლები წერდნენ.

ვახუშტი წერს, რომ არსებობდა სახელმწიფო მწერალთა უწყება, ისინი განსაკუთრებით ესაჭიროებოდა საფინასნო სფეროს, ვახუშტი წერს:

„მწერალთათჳს. მწერალნი იყუნენ, რომელნი სწერდნენ შემოსავალსა და წარსაგებელსა ყოველთავე, და ტომართა, და სხვათა“

აქედან ჩანს, რომ ფარნავაზის მიერ დაარსებულ სახელმწიფო სისტემას მწიგნობრობა ესაჭიროებოდა, ანუ უნდა არსებულიყო კიდეც შესაბამისი ქართული დამწერლობა.

მიიჩნევა, რომ ის, მართალია, არსებობდა, მაგრამ ინტენსიურად არ გამოიყენებოდა, ვიდრე ქართველთა გაქრისტიანებამდე.

სომხური წყაროებიდან შიძლება გავიგოთ, რომ როდესაც მე-5 ს. დასაწყისში დადგა საჭიროება ბიბლიის წიგნების ქართული თარგმანების ჩაწერისა, ბაკურ მეფის კარზე პეტრე იბერის პაპის ოჯახში გახსენებულ იქნა უკვე არსებული ძველი ქართული ანბანი, ამ დროს, უკვე არსებული ქართული ასოებისათვის აქ უნდა მიეცათ ის მრგვლოვანი სახე, რომელიც ახლა „მრგვლოვანის“ სახელითაა ცნობილ. შესაბამისად, ამ რეფორმის შედეგად, ჩამოყალიბდა ქართული ანბანის ე.წ. მრგვლოვანი სახეობა და მას სრულყოფილი სახე ბერძნული დამწერლობის სისტემის შესაბამისად უნდა მიცემოდა.

რაც შეეხება, ფარნავაზის პირველ ერთიან ქართულ სახელმწიფოს, მას, წყაროს მიხედვით, გააჩნადა საზოგადოების ორგანიზაციის პოლიტიკური ფორმა განსაზღვრულ ტერიტორიაზე – მდინარე ეგრისწყლიდან (შავი ზღვიდან) ალბანე-

თამდე. გააჩნდა სუვერენული ორგანიზაცია ხელისუფლებისა, რომელიც აღჭურვილი იყო სამმართველო და იძულებითი აპარატით (საერისთავოები ძალოვანი სტრუქტურებითა და ფისკალური ინსტიტუტებით), რომელსაც ქვეყნის მთელი მოსახლეობა ემორჩილებოდა.

ფარნავაზმა და ქუჯი ერისთავმა საერთო სახელმწიფო – „ქართლის სამეფო“ დაარსეს ვითარცა სოციალური ინსტიტუტი, რომელიც უზრუნველყოფდა თავის წევრთა შორის წესრიგს, ეყრდნობდა მოვალეობითი ვალდებულებების აღსრულებასა და იქამდე არსებულ ტრადიციებს.

ვახუშტი ბატონიშვილი საგანგებოდ აღწერს ფარნავაზ-ქუჯის სახელმწიფოს ტრადიციებს ქვეთავში, რომელსაც ეწოდება „წესთათვის“

ეს იყო – 1. წარმართული კერპთმსახურება „კერპთა მღვდელთა“ მიერ და მათი საგანგებო პატივისცემა. 2. მსგავსი პატივისცემა საერო მმართველთა მიმართ (ესენი იყვნენ „ერისთავნი, მთავარნი, აზნაურნი, ვაჭარნი, მსახურნი, მუშაკნი“)

თავის მხრივ – ერისთავებს ევალებოდათ აღესრულებინათ საგანგებო „წესი ერისთავთა“, ეს ძირითადად იყო – „მოურნეობა“ ანუ ზრუნვა საერისთავოს მიმართ, კერძოდ, ერისთავს ევალებოდა -

1. „თავის ქვეყნის სამართლის“ წარმოება, ანუ საერისთავოში სასამართლო სისტემის მეთაურობა;

2. მისი მოვალეობა იყო საერისთავოს ლაშქრის შეკრება, მისი გაწვრთნა და საომრად მომზადება;

3. ერისთავი თავის საერისთავოში ადგენდა სახელმწიფო მოხელეებს – „დაიდგინებოდნენ მთავარნი და წარჩინებულნი, და ძენი მათნი შეცვალებით“ (ქ.ც.4. 1975, გვ.17). აღნიშნული მთავარნი და წარჩინებულნი სახელმწიფო სამსახურში რომ ჩააყენეს, იქედან ჩანს, რომ მათი თანამდებობა არ იყო მემკვიდრეობით, მათი თანამდებობიდან დათხოვნა და მათ მაგიერ სხვა მოხელეების დანიშვნა საჭირო წესი იყო აუცილებლობის შესაბამისად. მათი როტაცია შეიძლებოდა – „შეცვალებით“.

წყაროს დაბეჯითებული მტკიცებით ფარნავაზ-ქუჯის სახელმწიფოს გააჩნდა სუვერენიტეტი, ანუ მისი ხელისუფლება იყო სხვა სახელმწიფოსაგან დამოუკიდებელი თავისი სახელწიფოს მთელ ტერიტორიაზე, ეს მდგომარეობა მათ მტკიცე და ხანგრძლივი ომებით მოიპოვეს მტერთან ბრძოლის შედეგად. წყაროს ეს ცნობაც სახელმწიფოს არსებობის ნიშანია.

წყარო აღწერს სახელმწიფოებრიობის ყველა ნიშანს, კერძოდ ეს იყო, აღნიშნული საერისთავოების დაარსება ანუ ტერიტორიული პრინციპით მოსახლეობის დაყოფა და ორგანიზაცია, კერძოდ კი 8 (რვა) საერისთავოს დაარსება, რომელთაც გააჩნდათ თავისი საზღვრები.

ქვეყანაში არმიის, პოლიციის, სამართლის სისტემის არსებობას, რომელნიც უზრუნველყოფდნენ სახელმწიფო გადაწყვეტილებების აღსრულებისათვის იძულებას (ქ.ც. 4. 1975, გვ. 17).

საპოლიციო ფუნქციები ებარა „მანდატურთუხუცესს“, ის იყო ასე ვთქვათ შინაგან საქმეთა მინისტრი **„მანდატურთუხუცესის ჭელისა იყო: მანდატურნი მებჭენი, მეკრენი, ქონდაქართუხუცესი, სარანგანი“.**

განიმარტება, რომ მანდატური იყო საპოლიციო-ადმინისტრაციული აპარატის მოხელე, ძველ საქართველოში „ამიერ და იმიერ“ ანუ აღმოსავლეთ-დასავლეთ საქართველოში „300 სახლი“ მანდატური ყოფილა, ქონდაქარი – სასამართლო განჩინების აღმასრულებელია ან ჯალათია (რომელსა თურქნი ჯალათს უჴმობენ), ხოლო, სარანგი – პოლიციელია, ან შეიარაღებული საპოლიციო რაზმია, რომელსაც ევალებოდა წესრიგისა და არსებული საზოგადოებრივი წესიერების (სიმშვიდის) დაცვა.

წყარო აღნიშნავს, რომ სახელმწიფო აღასრულებდა თავის მრავალ ფუნქციას, მათ შორის გადასახადების ამოღებას (რათა უზრუნველეყოთ სახელმწიფო აპარატის მუშაობა), ეს ფუნქცია ეკისრებოდა საგანგებო „ხელისუფალს“, მას ეწოდებოდა „სპასალარი ანუ სპასპეტი“, ის იყო „ერისთავთა უხუცესი“ და ამავე დროს

ევალებოდა სამეფო გადასახადის ანუ „ხარკი“ მოკრება საერისთავოებში, ანუ მას გადაეცემოდა ერისთავების მიერ საერითავოებში შეკრებილი გადასახადი.

საგანგებო უმაღლესი ხელისუფალი იყო **სპასალარი ანუ სპასპეტი.**

„ამისი ხელისანი იყუნენ ... **ყოველთა ერისთავთა უხუცესობა.** ესევე შეჰკრებდა ლაშკართა და ხარკსა სამეფოსა ერისთავთა მიერ ყოველთა საბრძანებელთა“

შეიძლება შევეხოთ ზოგიერთ გამორჩეულ ხელისუფალს, მათ შორის-

მსახურთუხუცესის ჴელისა იყუნენ: სალაშკრო საჭურველისა და იარაღისა მსახურნი მეფისანი და ციხექალაქთა მცველუხუცესნი სპანი მეფისანი.

მანდატურთუხუცესის ჴელისა იყო: მანდატურნი, მებჭენი, მეკრენი, ქონდაქარნი, სარანგანი და ნადიმობის წესი, და წინძღოლა მეფისა, მოხსენება ნადიმსა...“

„მეჭურჭლეთუხუცესი, ამისი ჴელისა იყო ყოველნი საჭურმეჭურჭლე და საუნჯენი მეფისა, და მას შინა დაწესებულნი“.

მსაჯულთუხუცესისათჳს ამისი ჴელისა იყუნენ ყოველნი მსაჯულნი, ბჭენი და ჴევისბერნი. ჴევის-თავნი და ესევე სჯიდა საბრძანოსა მეფისასა.

უხუცესი მეჯინიბეთუხუცესი შემდგომად იწოდა ამილახორი. ამისი მეჯინიბეთ ჴელისა იყო: ყოველნი მეჯინიბენი, შიკრიკნი, პაიჭნი, Წუნენი, ჯოგნი, რემანი მეფისანი“ და სხვა

ფარნავაზის მიერ რეგიონებში საერისთავოების დაარსება ნიშნავდა, რომ არა მხოლოდ ცენტრში, ოლქებშიც არსებობდა ადგილობრივი ორგანოები (სამართლის ორგანო, ლაშქრის (არმიის) ადგილობრივი სტრუქტურული ერთეული და ადგილობრივი ფისკალური ინსტიტუტი ფინანსური საკითხების მოსაგვარებლად საერთო სახელმწიფოებრივი საჭიროებისათვის („მოჰკრეფდეს ხარკთა სამეფოთა“).

წყაროს ცნობებეს თუ დავუჯერებთ, უკვე ფარნავაზის დროს მის სახელმწიფოში მოსახლეობას გააჩნდა იმჟამინდელი ერისათვის დამახასიატებელი ნიშნები – ეს იყო ხალხის ისტორიულად მყარი, პოლიტიკურად თავისთავადი ერთობა, რომელსაც გააჩნდა უნიკალური ნაციონალური იდენტობა, რომელზეც ზემოთ ვისაუბრეთ.

ნაციონალური იდენტობა არის – ნაციის შეგრძნება, რომ ის წარმოადგენს უნიკალური ტრადიციებით, კულტურითა და ენით წარმოდგენილ მთლიანობას, ამ ფაქტის საილუსტრაციოდ შეიძლება გამოგვადგეს მატიანეში აღწერილი ამბავი, უფლისწული ვახტანგ გორგასლი დაობლდა 10 წლის ასაკში, ამით ისარგებლეს მეზობელმა იმპერიებმა, მათ შორის ბიზანტიამ. მან გადმოლახა ქართლის სამეფოს საზღვრი და მოახდინა ტერიტორიის ოკუპაცია მდინარე ეგრისწყლიდან, ვიდრე ციხე-გოჯამდე.

ამ ფაქტს, ანუ ქვეყნის ტერიტორიის ნაწილის დაკარგვას „ეგრიაწყლიდან ციხეგოჯამდე“ მემატიანის სიტყვით, „იგლოვდა ყოველი ქართველი“.

წყარო წერს – „გამოვიდეს ბერძენნი აფხაზეთით, რამეთუ ბერძენთა ჰქონდა ეგრის-წყალს ქუემოთი კერძი ყოველი, და **დაიპყრეს ეგრის-წყლითგან ვიდრე ციხე-გოჯადმდე.** მაშინ **იქმნა გლოვა და წუხილი ყოველთა ზედა ქართველთა** და იტყოდეს: ვძებნეთ საზღვარი ქართლისა ბერძენთაგან“. ამას იტყოდეს ყოველნი ქართველნი და იყვნეს მწუხარებასა შინა დიდსა“. http://www.amsi.ge/istoria/qc/gorgasali1.html

„მაშინ იყო ურვა დიდი ივერიასა შინა, ვინაითგან მისტაცეს საზღვარნი მათნი და არა ჰყვათ წინამძღვარი, რათა ირგონ რამე“ (ქ.ც.4. გვ.101).

მაშასადამე, ქვეყანამ დაკარგა მიწაწყალი დასავლეთ საქართველოს ერთ ნაწილში, და ამას იგლოვდა ქვეყნის მთელი მოსახლეობა როგორც აღმოსავლეთ საქართველოში, ისე დასავლეთში, ანუ, ქვეყნის ერთი ნაწილის – ეგრისწყლიდან ვიდრე ციხე-გოჯამდე მდებარე ტერიტორიის, მიტაცების გამო მწუხარებამ დაისადგურა ყოველი ქართველის ოჯახში.

მემატიანის მიერ აღწერილი ამ ამბიდან ჩანს, რომ მე-5 საუკუნის ქართველს უფრო ძლიერი ნაციონალური იდენტობა

გააჩნდა, ვიდრე, მაგალითად, მე-20 საუკუნისა.

მართლაც, მტერმა, მე-20 ს ბოლოსა და 21-ე ს დასაწყისში მსგავსადვე მოახდინა ქვეყნის ნაწილის – აფხაზეთის ოკუპაცია, მაგარამ ამ ფაქტს ყველა ქართველი არ განიცდიდა და არც საყოველთაო მწუხარებას მისცემია ყველა ოჯახი, როგორც ეს მომხდარა საუკუნეთა წინ, მე-5 საუკუნეში, როცა მსგავსი ფაქტის გამო **„იქმნა გლოვა და წუხილი ყოველთა ზედა ქართველთა ...ყოველნი ქართველნი იყვნეს მწუხარებასა შინა დიდსა“.**

ზოგჯერ ამბობენ, რომ ქართული იდენტობა დაკავშირებულია ქრისტიანობის გავრცელებასთან, მაგრამ ამ აზრს არ ეთანხმება მემატიანის ცნობა, რომ წარმართ და ასევე არაქრისტიან, მაზდეანური სარწმუნოების მქონე ქართველებსაც „ქართველებს“ უწოდებდნენ.

მაგალითად, მე-5 საუკუნეში, ქართლის წვრილი ერში მტერს მაზდეანობა გაუვრცელებია, მაგრამ ისინი კვლავ ქართველებად იწოდებოდნენ – „რომელსა ენებოს **ცეცხლის მსახურება ქართველთა**, არა აყენებდდნენ, თვინიერ იძულებისა... ვერ მოაქცივნეს წარჩინებულნი, გარნა წვრილნი ვინმენი ერნი“ (ქ.ც. გვე. 100). ანუ მტერს წარჩინებულთა შორის მაზდეანობა ვერ გაუვრცელება, მაგრამ დაბალი ფენის ქართველები გაუმაზდიანებია.

საზოგადოდ, ნაციონალური იდენტობის მთავარ მახასიათებლად ითვლება 1. შინაგანი ერთობა და 2. განსხვავებულობა სხვათაგან.

ორივე ეს ნიშანი გააჩნდა ფარნავაზის სახელმწიფოს მოსახლეობას.

პირველი მიიღწეოდა ერთიანი ისტორიით, საერთო ტერიტორიით, საერთო ენით, საერთო რელიგიით, ადათებით, ლეგენდებითა და გადმოცემებით, ეს ნიშნები ნაციონალური იდენტობისა ფარნავაზის სახელმწიფოს ხალხს გამოკვეთილად გააჩნდა.

ფარნავაზის სახელმწიფოს ხალხს წყაროს მიხედვით გააჩნდა მეორე ნიშანიც, ნაციონალური იდნტობის გარე განზომილება, რომელიც ამ ხალხმა შეიმუშავა მტერთან ბრძოლისას. მტერის დასამარცხებლად სხვა უცხო, მეზობელი ხალხების მეომრებიც კი დაიქირავა. ამით ეს ნიშანი გამოკვეთა.

თვალსაჩინოა **პირველი ერთიანი ქართული სახელმწიფო ატრიბუტები, მათ შორის საერთო სახელმწიფო ადმინისტრაცია** – „ფარნავზი „მეფე იქმნა ყოველსა ქართლსა და ეგურსა ზედა. და განამრავლნა ყოველნი მჴედარნი ქართლოსიანნი, განაწესნა **ერისთავნი რვანი და სპასპეტი. ერთ**ი გაგზავნა მარგჴს ერისთავად, და მისცა მცირით მთითგან, რომელ არს ლიხი, ვიდრე ზღუადმდე, რიონს ზემოთ. და ამანვე ფარნავაზ აღაშენნა ორნი ციხენი, შორაპანი და დიმნა. და გაგზავნა **მეორე** კახეთისა ერის-თავად, და მისცა არაგჴთგან ვიდრე ჰერეთამდე, რომელ არს კახეთი და კუხეთი. **მესამე** გაგზავნა ხუნანისა ერის-თავად, და მისცა ბერდუჯის მდინარითგან ვიდრე ტფილისამდე და გაჩიანთამდის, რომელ არს გარდაბანი. **მეოთხე** გაგზავნა სამშჴლდის ერისთავად, და მისცა სკჴრეთისა მდინარითგან ვიდრე მთამდე, რომელ არს ტაშირი და აბოცი. **მეხუთე** გაგზავნა წუნდის ერისთავად, და მისცა ფანვარითგან ვიდრე თავადმდე მტკურისა, რომელ არს ჯავახეთი და კოლა და არტანი. **მეექუსე** გაგზავნა ოძრჴის ერისთავად, და მისცა ტასისკარითგან ვიდრე არსიანთამდის, ნოსტის თავითგან ზღუამდის, რომელ არს სამცხე და აჭარა. **მეშჴდე** გაგზავნა კლარჯეთის ერისთავად, და მისცა არსიანითგან ზღუამდე. და მერვე, ქუჯი, იყო ერისთავი ეგრისისა. ხოლო ერთი დაადგინა **სპასპეტად** და მისცა ტფილისითგან და არაგჴთგან ვიდრე ტასისკარამდე და ფანვარადმდე, რომელ არს შიდა-ქართლი. და ესე სპასპეტი იყო შემდგომად-ვე წინაშე მეფისა, **მთავრობით განაგებდის ყოველთა ერისთავთა ზედა.** ხოლო ამათ ერისთავთა ქუეშე, ადგილთა და ადგილთა, განაჩინნა **სპასალარნი** და **ათასისთავნი**, და მათ ყოველთაგან მოვიდოდა ხარკი სამეუფო და საერისთავო. ესრეთ განაწესა ესე ყოველი ფარნავაზ მიმსგავ-

სებულად სამეფოსა სპარსთასა“.. სამხედრო-სამოქალაქო ადმინისტრაციის ელემენტად გადაიქცა აზნაურობა-სამხედრო ფენა: „ხოლო იგი ჰრომნი ათასნი მჴედარნი, რომელნი აზონისგან მოერთნეს ფარნავაზს, რომელი ზემოთ ვაჴსენეთ, იგინი განყვნა ჴევთა და ქუეყანათა შინა, იპყრნა იგინი კეთილად, რამეთუ ბრძოლასა მას აზონისსა მჴნედ იყვნეს. და უწოდა მათ სახელად აზნაურნი“.

მემატიანე ეხება **სახელმწიფო ატრიბუტების სხვა ელემენტებსაც** – იმჟამინდელ **ქართველთა საერთო სარწმუნოებას, საერთო სახელმწიფო ენასა და საერთო კულტურას ანუ „მწიგნობრობას“:**

„ფარნავაზ შექმნა კერპი დიდი სახელსა ზედა თჳსსა: ესე არს არმაზი, რამეთუ ფარნავაზს სპარსულად არმაზ ერქუა. ამართა კერპი იგი არმაზი თავსა ზედა ქართლისასა, და მიერითგან ეწოდა არმაზი კერპისა მისთჳს. და ქმნა სატფურება დიდი კერპისა მისთჳს აღმართებულისა...და ესე ფარნავაზ იყო პირველი მეფე ქართლსა შინა ქართლოსისა ნათესავთაგანი. ამან განავრცო ენა ქართული, და არ-და-რა იზრახებოდა სხუა ენა ქართლსა შინა თჳნიერ ქართულისა. და ამან შექმნა მწიგნობრობა ქართული“.

http://www.amsi.ge/istoria/qc/qarTlis_cxovreba_1_3.html

სახელმწიფოებრიობის სხვა უმთავრესი ნიშანი იყო საერთო არმია.

მემატიანე აღნიშნავს ამის შესახებ – კერძოდ, ფარნავაზმა მის ხელთ არსებული საგანძურით თავის არმიის პირველი ნაწილები შეკრიბა ეგრისში ქუჯი ერისთავის შემწეობით, მემატიანე წერს - „ეგრისით შეკრბეს ურიცხუნი სპანი და მომართეს აზონს... ხოლო აზონმან მოუწოდა სპათა თჳსთა და შემოკრიბნა“. ქუჯი და ფარნავაზი „ეზრახნეს...და გამოჰყვეს ოვსნი და ლეკნი და განიმრავლნეს სპანი“. მათ დაემატა რომაელი მხედრების ათასეული – „მაშინ ათასი მჴედარი რჩეული ჰრომთა მათგანი, რომელთა ბოროტი წაჰკიდებოდა აზონისაგან, განუდგეს აზონს და მოვიდეს წინაშე ფარნავაზისა“. მათ ასევე დაემატა „სომხეთის ერისთავთა“ სპა:

„მაშინ ყოველნი ქართველნი განუდგეს აზონს. ხოლო სპანი რომელ დარჩეს აზონს, ვერ-და-რა მიენდო მათ, რამეთუ ყოველთა ზედა ბოროტის მოქმედ იყო. წარვიდა აზონ და მივიდა კლარჯეთს, და გამაგრდა იგი სიმაგრეთა შინა კლარჯეთისათა. ამან ფარნავაზ წარავლინნა მოციქულნი წინაშე მეფისა ანტიოქოს ასურასტანისა, და წარსცა ძღუენი დიდ-ძალი. და აღუთქუა მას მსახურება, და ითხოვა მისგან შეწევნა ბერძენთა ზედა. ხოლო ანტიოქოს შეიწყნარა ძღუენი მისი, და უწოდა შვილად თჳსად, და წარმოსცა გჳრგჳნი. და უბრძანა ერისთავთა სომხეთისათა, რათა შეეწეოდიან ფარნავაზს“.

აზონთან გამარჯვების შემდეგ მან შექმნა სახელმწიფო არმია - „ფარნავაზს განემრავლნეს მჴედარნი ქართლისანი“.

პირველი დაქირავებული, შესაბამისად, პროფესიონალური არმია ძველ საქართველოში გამოჩნდა ფარნავაზის სახელმწიფოში (ვახუშტის მიხედვით ძვ. წ. 302–237 წლებში).

ჯარს ეწოდებოდა „ლაშქარი“, ეს სიტყვა სპარსულ-ინდური წარმოშობის უნდა იყოს და მიიჩნევა, რომ ამ სახელს უწოდებდნენ ამაყ, თავადაჯერებულ ადამიანს, ხოლო საქართველოში ვაჟკაცური იერის ჯარისკაცებით დაკომპლექტებულ ჯარს.

როგორც ითქვა, ფარნავაზმა ეგრისში შეადგინა ჯარი. **„ეგრისით შეკრბეს ურიცხუნი სპანი“, მათ გარდა ლაშქარს ემატებოდა 1000 „რჩეული მხედარი“, გაწვრთნილი ალექსანდრე მაკედონელის ჯარის სტანდარტების შესაბამისად - „მაშინ ათასი მჴედარი რჩეული ჰრომთა ...მოვიდეს წინაშე ფარნავაზისა“.**

მაშასადამე, ლაშქარს, თანამედროვე სიტყვით რომ ვთქვათ, ხელმძღვანელობდა გაწვრთნილ ცხენოსანთა ათას კაციანი კორპუსი.

დაქირავებულთა შორის იყვნენ ჩრდილოკავკასიელი ცხენოსანი მეომრები

„გამოჰყვეს ოვსნი და ლეკნი და განიმრავლნეს სპანი“.

საბოლოოდ შეიკრა ცხენოსანთა და ფეხოსან მოლაშქრეთა არმია - „მჴედარნი ქართლისანი“, „ფარნავაზს განემრავლნეს მჴედარნი ქართლისანი“.

სამეფო ლაშქარი, წესის მიხედვით, უნდა შევსებულიყო საერითავოებში.

სამეფო ლაშქრის შეკრება ევალებოდა სპასპეტს, ის თავის მხრივ ავალებდა ერისთავებსა და სპასალარებს, ისინი კი საერითავოებში კრებდნენ ლაშქარს და გადასცემდნენ სპასპეტის განკარგულებაში, ამით „ყოველ საბრძანებელის“ ანუ მთელ ქვეყნის ლაშქარი (ჯარი) მწყობრში დგებოდა.

„ერთი დაადგინა **სპასპეტად** და მისცა ტფილისითგან და არაგჳთგან ვიდრე ტასისკარამდე და ფანვარადმდე, რომელ არს შიდა-ქართლი. და ესე სპასპეტი იყო შემდგომად-ვე წინაშე მეფისა, **მთავრობით განაგებდის ყოველთა ერის-თავთა ზედა.** ხოლო ამათ ერის-თავთა ქუეშე, ადგილთა და ადგილთა, განაჩინნა **სპასალარნი** და **ათასის-თავნი,** და მათ ყოველთაგან მოვიდოდა ხარკი სამეუფო და საერისთავო“.

მაშასადამე ქართული პირველი ერთიანი არმია იყოფოდა ათასეულებად, რომელთაც სპასალარები მეთაურობდნენ, სპასალარები კი სპასპეტს ექვემდებარებოდნენ. სამხედრო მოვალეობის გარდა მათ მიერ ასევე იკრობებოდა გადასახადი „სამუფო და საერისთავო ხარკი“, ანუ დგებოდა სახელმწიფო ბიუჯეტი, რომელიც ადმინისტრაციისა და ლაშქრის შესანახად იყო საჭირო.

ამასვე წერს ვახუშტიც – „წესი **სპასალარისათჳს** – ესევე შეჰკრებდა ლაშკართა და ხარკსა სამეფოსა ერისთავთა მიერ ყოველთა საბრძანებელთა“.
https://wikisource.org/wiki/ზნენი–და–ჩვეულებანი–საქართველოსანი

სპასპეტი სახელმწიფოს სამხედრო აპარტის მეთაური იყო და ის უშუალოდ მეფეს ემორჩილებოდა.

ვახუშტი წერს პარაგრაფში – „**ლაშკართათჳს,** ხოლო ლაშქართა წესნი აქუნდათ: მეფეთა ჰყვა როქითა, რაოდენი ძალედვა სპანი მცველად თჳსად, ვითარცა იტყჳს მირიანისასა და აღმაშენებელისასა ๐ (60) ათასსა მარადის მცველად მისად, და დავითთასა, არღარა განიყოფოდა საჭურჭლე სპათა ზედა, და პატივი ამათი იყო სხუა. ხოლო სხუანი სპანი იყვნენ ქუეყანათაგან და ერისთავთა ქუეშე დაწესებულნი, რომელთა მოუწოდიან ჟამად“.

ფარნავაზის ლაშქარში არსებობდნენ ფეხოსანთა და ცხენოსანთა დანაყოფები.

ვახუშტი წერს თუ რა სახის იარაღს ფლობდა ქართული ჯარი, ეს ყოფილა - „ხოლო საომარნი საჭურველნი აქუნდათ: ჯავშანი, ხვაფთანი, პოლოტიკნი, საბარკულნი, მუზარადნი, ჩაბალახნი, ჴმალნი, ხანჯალნი, ლახტნი, ჩუგლუგნი, გურზნი, ოროლნი, შუბნი, ხიშტნი და მშჳლდისარნი. ცხენოსნებისა და ფეხოსნების სამხედრო ვარჯიშის საუკეთესო სახედ ითვლებოდა ნადირობა. ვახუშტი ჩამოთვლის იმჟამინდელ იარაღს – „არამედ ისარი ბოძალი დიდთა ნადირთათჳს, ქეიბური მჴეცთათჳს, სარჩა და ქიბორჯი წვრილთა ნადირთათჳს, და სამუდამოდ აქუნდათ; ხოლო კაპარჭის ისარი, რომელ არს საყალნო, ომსა-ბრძოლასა შინა“).
https://wikisource.org/wiki//ზნენი–და–ჩვეულებანი–საქართველოსანი

მემატიანე ასე ამთავრებს ქართველთა ეროვნული იდეის შემოქმედი მამის ცხოვრების აღწერას – **„მაშინ ფარნავაზ უშიშ იქმნა ყოველთა მტერთა თჳსთაგან და მეფე იქმნა ყოველსა ქართლსა და ეგურსა ზედა... ჟამითი-ჟამად მივიდის ეგრისს და კლარჯეთს, და მოიკითხნის მეგრელნი და კლარჯნი, და განაგის ყოველი საქმე დაშლილი...იყო განსუენება და სიხარული ყოველსა ქართლსა ზედა მეფობისათჳს ფარნავაზისსა და იტყოდეს ამას ყოველნი: "ჴმადლობთ სუესა ჩუენსა, რამეთუ მოგუცა ჩუენ მეფე ნათესავთაგან მამათა ჩუენთასა და აღგვიჴადა ხარკი და ჭირი უცხოთა ნათესავთაგან. და ესე ყოველი აღასრულა ფარ-**

ნავაზ სიბრძნითა და სიქუელითა, სიმჴნითა და სიმდიდრითა“.

ყველაზე უმნიშვნელოვანესი მემატიანის თხრობიდან, ალბათ ისაა, რომ ამ წყაროთა მიხედვით, ფარნავაზისა და ქუჯის ეპოქაშივე საქართველოს მოსახლეობას გააჩნდა საკუთარი ნაციონალური იდენტობა, რომელიც გაძლიერდა ამ ორი მებრძოლი მამულიშვილის ერთობლივი მუშაკობის შედეგად.

ფარნავაზისა და ქუჯის მიერ დაარსებულ სახელმწიფოს „ქართლის სამეფო“ ეწოდა, მისი სტაბილური და მყარი არსებობისათვის მათ, როგორც მრავალჯერ აღინიშნა, საჭიროდ მიიჩნიეს ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე სახელმწიფო ენის უპირატესი განვრცობა, **„არღა იზრახებოდა სხვა ენა ქართლსა შინა თვინიერ ქართულისა“, ამის გარდა მეფე ფარნავაზმა „შექმნა მწიგნობრობა ქართული“.**

ძნელია განსაზღვრა იმის თუ რა იგულისხმებოდა იმჟამად „ქართული მწიგნობრობის“ ქვეშ, მაგრამ ჩანს ის გულისხმობდა საკუთარ წერით ტრადიციას, რომელიც ალბათ საჭირო იყო ცენტრის სამმართველო ადმინისტრაციისა და რეგიონების ელიტების ერთმანეთთან დასაკავშირებლად, ამასთანავე, ამ საერთო ენას უეჭველად ექნებოდა საკულტო დატვირთვა.

საკუთარი ქართული მწიგნობრობის შექმნამ და მისმა შესწავლა-განვრცობამ იმჟამინდელი საქართველოს იქამდე დანაწევრებული ოლქების მოსახლეობა გადააქცია კავკასიის უდიდეს ხალხად.

ამ სიკეთის (მწიგნობრობის) დანერგვა, როგორც ითქვა მიეწერება ფარნავაზ მეფეს. ეს გულისხმობდა ნაციონალური თვითშემეცნების გაძლიერებას.

რამდენად შესაძლებელია ქუჯი-ფარნავაზის ეპოქის საქართველოს მოსახლეობას ჰქონოდა ეროვნული იდენტობა?

გ. მელიქიშვილს არ ეეჭვება ქუჯისა და ფარნავაზის კავშირი ერთიანი საქართველოს სახელმწიფოს საფუძვლების ჩასაყრელად, რაც მათ განახორციელეს კიდეც აღნიშნულ წყაროთა ცნობებით (Меликишвили Г.А., К истории Древней Грузии, Тб., 1959).

ერთიანი სახელმწიფოს არსებობა საუკუნეთა მანძილზე ერთიანი კულტით, სახელმწიფო ენითა და მწიგნობრობით თავისთავად გულისხმობს, რომ მის ხალხს უკვე გააჩნია ნაციონალური იდენტობა თავისი ეპოქის შესაბამისად, მსგავსად, ისევე, როგორც ეს გააჩნდა მის უშუალო მეზობელ სომეხ ხალხს, სხვა მეზობელ ხალხებს, თუ არას ვიტყვით ძველი ეგვიპტის თუ ჩინეთის ხალხების შესახებ.

მაშასადამე, ქართველობა, როგორც ნაცია, სხვა მეზობელი ერების მსგავსად, ჯერ კიდევ ქრისტეშობამდე ჩამოყალიბდა. მან, ათასწლეულთა მანძილზე რამდენჯერმე შექმნა კიდეც ერთიანი სახელმწიფო, მათ შორის ერთერთი პირველი ყოფილა ქუჯი-ფარნავაზის სახელმწიფო ანუ თავდაპირველი ქართლის სამეფო, რომელმაც მრავალი საუკუნე იარსება ვიდრე არაბთა შემოსევამდე.

პირველი ერთიანი ქართული სახელმწიფო დაიშალა მეფეების მირისა და წმიდა არჩილის დროს VIII საუკუნეში. ამის შემდეგ, თანდათანობით, IX–X საუკუნებში, ქართველი ხალხის განსახლების განაპირა ტერიტორიებზე ჩამოყალიბდა ქართული სახელმწიფოები – ესენი იყვნენ – აფხაზთა სამეფო და ტაო-კლარჯეთის ანუ „ქართველთა სამეფო“, მათ თანდათან შეემატა კახეთ-ჰერეთისა და ტაშორ-ძორაკერტის სამეფოები, ამ უკანასკნელს მონოფიზიტი ქართველები მართავდნენ, ამიტომაც „სომეხთა სამეფო“ ერქვა.

ყველა ეს სახელმწიფოებრივი ერთეულები ქართველი ხალხის განსახლების განაპირა რეგიონებში იმიტომ შეიქმნა, რომ ქვეყნის გული, იმჟამად, არაბულ თბილისის საამიროს ეჭირა.

ამ ქართული სამეფოების გაერთიანება ბაგრატ III-ის შემდეგ იყო არა საქართველოს პირველი გაერთიანება, როგორც ამჟამადაა მიჩნეული, არამედ აღორძინება ქუჯი-ფარნავაზის სახელმწიფოს ათასწლოვანი ტრადიციებისა, ეს გაერთიანება ემყარებოდა აღნიშნული სახელმწიფოებრივი ერთეულების ხალხის ცოდნას წარსული მთლიანობისა, მის სწრაფვას ამ იდეის განხორციელებისა და მე-8 საუკუნემდე არსებული ერთიანი სახელმ-

წიფოს ხსოვნის საფუძველზე აღმოცენებული გაერთიანების მძლავრ სურვილს.

მტრების ძალმომრეობით XV ს. ბოლოს კვლავ დაიშალა ერთიანი სახელმწიფო, მაგრამ ჩვენს დროს ის კვლავინდებურად აღსდგა იმ ძალით, რომელიც ერის ფსიქიკაში იყო ჩაბეჭდილი წინაპართაგან ბოძებული მემკვიდრეობითი ცოდნთ, ძალით, რომლის მესაძირკვლენი იყვნენ ეგრისის სახელოვანი ერისთავი ქუჯი და ქართველთა უდიდესი მეფე ფარნავაზი. მას საფუძვლად უდევს ქართული იდეის სიცოცხლისუნარიანობა და ქართველთა მუდმივი ლოცვა ღვთისადმი –

„შენი ივერი

აღსდგეს ძლიერი

და დადგეს ერად სხვა ერთა შორის“.

28.10. 2021

ალბანეთის საკათალიკოსო და საქართველოს ეკლესიის იურისდიქცია კახეთსა და ჰერეთში

შესავალი

IV–VII საუკუნეებში კავკასიაში არსებობდა ალბანეთის საკათალიკოსო. მან მე-8 ს-ის დასაწყისში ეროვნული (ალბანურენოვანი) სახე დაკარგა და სომხური ეკლესიის ნაწილად გადაიქცა.

ამჟამად, ჩვენთვის, ამ საკათალიკოსოს ისტორია საინტერესოა იმ კუთხით, რომ ძველი ალბანეთის ისტორიულ და იურიდიულ მემკვიდრედ აზერბაიჯანელი და დაღესტნელი ისტორიკოსების ჯგუფი მიიჩნევს თავის მხარეს, მტკიცებით, რომ ალაბეთის საკათალიკოსოს იურისდიქციაში შედიოდა კახეთის უმეტესი ნაწილი. ისინი ამტკიცებენ, რომ კახეთისა და საინგილოს უძველესი ქართული ეკლესია-მონასტრები თითქოსდა არა ქართული, არამედ ალბანური კულტურის ძეგლებია. ამასთანავე მიიჩნევა, რომ ჰერეთი ალბანეთის სინონიმური სახელია, რომ ალბანეთ-ჰერეთის მიწაწყალი და კულტურა აზერბაიჯანელთა ანდა დაღესტნელთა ისტორიული მემკვიდრეობაა.

ამ საკითხის აქტუალურობას ამძაფრებს ასევე ის ფაქტი, რომ ჩვენი ცნობილი ისტორიკოსების მტკიცებითაც თავდაპირველი კახეთი მცირე ქვეყანა იყო, რომლის საზღვარი გადიოდა თელავათან ახლოს, ისე, რომ თელავი და მის ქვემოთ მდებარე კახეთი ჰერეთში, ანუ ალბანეთში, შედიოდა, შესაბამისად, მიიჩნევა რომ თელავი და მთელი სამხრეთ კახეთი, თითქოსდა, ალაბნეთის საკათალიკოსოში შედიოდა და მხოლოდ შემდგომში გაავრცელა აქ ქართულმა ეკლესიამ თავისი იურისდიქცია.

როგორც აღინიშნა, ჰერებს თელავის ქვემოთ მცხოვრებ ალბანურ ტომად მიიჩნევენ, რომელიც, თითქოსდა, გაქართველდა ქართული პროზელიტური ეკლესიის მიერ და ის, ამ პროცესის შედეგად ჩამოაშორდა ალბანეთის საკათალიკოსოს.

ჩვენი კვლევით კი ჰერები იყო არა ალბანური, არამედ ქართულენოვანი ტომი, რომელიც ალბანეთში ცხოვრობდა.

რაც შეეხება იბერია-ალბანეთის საზღვარს, ის, თადაპირველადვე გადიოდა არა თელავთან, არამედ, როგორც გამოვიკვლიეთ, კავკასიის მთებიდან გამომავალ მდ. ალჯანჩაისა და გიშისწყალზე. შესაბამისად, ისტორიულად, ჰერები ცხოვრობდნენ ამ მდინარეებიდან ვიდრე მდ. თეთრწყლამდე, ანუ აღსუმდე (მტკვრის მარცხენა სანაპირო, მტკვარ-არაქსის შესართავის მახლობლად, საქართველოს სახელმწიფოს ძველი საზღვარი).

რადგანაც ჰერეთს ალბანეთთან აიგივებენ და ამ საკითხს იყენებენ საქართველოს ეკლესიის იურისდიქციის საზღვრების დასამცრობად (კერძოდ კი, კახეთის ეკლესია-მონასტრების მისათვისებლად), ამიტომაც ვიკვლევთ ჰერეთ-ალბანეთისა და ჰერების საკითხს.

ამ ნაშრომის უმთავრესი მიზანია დაამტკიცოს, რომ ჰერეთის საზღვარი ისტორიულად, თავდაპირველადვე, გადიოდა არა თელავთან, არამედ მდ. ალიჯანჩაისთან და უფრო ხშირად გიშისწყალთან და ის მოქცეული იყო ამ მდინარეებსა და აღსუს (თეთრწყალს) შორის და **მხოლოდ, მე-9 საუკუნეში შეიცვალა ეს საზღვარი სამხრეთ კახეთის ხარჯზე.**

შესაბამისად, თავდაპირველი საზღვარი ისტორიულ კახეთსა და ჰერეთს შორის გადიოდა მდინარე გიშისწყალზე (ან ალიჯანჩაიზე). აღსანიშნავია, რომ მდ. ალიჯანჩაი წარმოადგენდა შემდეგი დროის კახეთის, შემდეგ კი ქართლ-კახეთის სამეფოს საზღვარს XVI–XVIII საუკუნეებში.

საკითხი ეხება საქართველოს ეკლესიის იურისდიქციის საზღვრების დაცვას. შესაბამისად, მას ვიკვლევთ სხვადასხვა კუთხით, სხვადასხვა ასპექტით, ამიტომაც

ხშირად ვიმეორებთ, რისთვისაც მკითხველისაგან ვითხოვთ შენდობას.

ამასთანავე, როგორც აღნიშნულია, უცხოეთშიც, საქართველოს ეკლესიის იურისდიქციის საკითხს არასწორად წარმოაჩენენ.

მაგალითად, რუსეთის საპატრიარქოს ბაქო-აზერბაიჯანის ეპარქიის ვებგვერდი ამტკიცებს, მე-12 საუკუნეშიც კი საინგილო, თითქოსდა, ალბანურ ეკლესიაში შედიოდა და იქაური ეკლესია-მონასტრები ალბანური კულტურის ძეგლებია (იხ. ქვემოთ). მაშინ, როცა მე-12 საუკუნე ქართული სახელმწიფოებრიობის სიძლიერის მწვერვალია და ამ დროს საინგილო მხოლოდ ქართული ეკლესიის იურისდიქციაში შედიოდა, მით უფრო, რომ ამ დროს უკვე აღარ არსებობდა არავითარი ალბანური საკათალიკოსო, რადგანაც ის მე-8 ს-ის დასაწყისში გაქრა.

სამწუხაროდ, ზემოთ მოყვანილი შეხედულებები გაბატონებულია, რადგანაც, ამ კუთხით, ქართული მხარე (მეცნიერები) თითქმის არ აკეთებენ საპასუხო ანალიზს და ეს საკითხი შედარებით უყურადღებოდაა დარჩენილი, შესაბამისად, დაინტერესებული მხარე, საერთაშორისოდ („მეცნიერული არგუმენტებით") ამტკიცებს, რომ, თითქოსდა, ინგილოები წარმოშობით ალბანელები არიან და არა ქართველები.

არსებობს დაინტერესებული მხარის მისწრაფება, რომ დააარსონ ე.წ. „ალბანეთის აღორძინებული ეკლესია" და მის მრევლად გამოაცხადონ ინგილოები, უდინები და აზერბაიჯანელი ქრისტიანები, შესაბამისად, იგეგმება ინგილოების გაყვანა საქართველოს ეკლესიის იურისდიქციიდან.

ამასთან დაკავშირებით საჭიროდ ჩავთვალე მეკვლია ჰერეთ-ალბანეთის ნამდვილი საზღვრები. როგორც ითქვა, ჰერეთს ალბანეთად მიიჩნევენ, მათ შორის ჩვენშიც (აკაკი შანიძე, მაგალითად, ალბანურ ენას ჰერულ ენას უწოდებდა), საერთაშორისოდ კი მიჩნეულია, რომ თითქოსდა, ალბანური ანუ „აღვანური" ენა აღმოსავლეთ საქართველოშიც იყო გავრცელებული და შემდგომ ის ქართულმა ენამ გადაფარა (Коряков Ю. Б. Атлас кавказских языков / РАН. Институт языкознания. М., 2006. с. 39; Карта № 15).

ოფიციალური ქართული ისტორიოგრაფიაც კი, მიიჩნევს, რომ სახელწოდება „ჰერები" ერთ-ერთი ალბანური ტომის სახელია და აღნიშნება კიდეც: „ალბანური ტომები, იმავე წყაროებში, ჰერებადაც იწოდებოდნენ... ამ სამეფოს სახელწოდება ქართველებმა თავიანთი უახლოესი მეზობლის, ძველი ალბანეთის ერთ-ერთი ტომის, ჰერებისაგან აწარმოეს" (https://ka.wikipedia.org/wiki/hereTis-samefo). ანდა, მაგალითად წერენ „...არსებობდა **ჰერული (ალვანური) მოსახლეობა და სწორედ მათი გაქართველების მისია ეკისრებოდა ბოდბის საეკლესიო ცენტრს** (საერთაშორისო კონფერენცია „არქივთმცოდნეობა, წყაროთმცოდნეობა – ტენდენციები და გამოწვევები 25–27 ოქტომბერი, 2017 წელი)". https://archive.gov.ge/storage/files/doc/3891.pdf.) და სხვა მრავალი.

ჩვენ ვეძიებთ, თუ რა არის ასეთი შეცდომების წყარო და ვიკვლევთ და რა არის მისი (ისტორიული კახეთის დიდი ნაწილის ალბანეთისადმი მიკუთვნების) საფუძვლები.

პირველ რიგში, ალბათ, საჭიროა თქმა იმისა, რომ საბჭოთა ეპოქაში გამრუდდა წარმოდგენა ჰერეთის ადგილმდებარეობის შესახებ, **ჰერეთი გააიგივეს კავკასიის ალბანეთთან, ხოლო ალბანელები მიიჩნიეს აზერბაიჯანელების წინაპრებად,** ალბანეთის საზღვრებში კი თელავი შეიყვანეს კახეთის დიდ ნაწილთან ერთად.

რადგანაც, წარმოიდგინეს, რომ, თითქოსდა, ალბანეთის ისტორიული საზღვარი ძველთაგანვე თელავთან გადიოდა, შესაბამისად, დაინერგა კიდეც მტკიცება, რომ ისტორიული ალბანეთის მიწა-წაყლია თელავი და თელავის ქვემოთ მდებარე კახეთის უმეტესი ნაწილი, ალაზნის ხეობა, სამხრეთ კახეთი, ბოდბის, საინგილოსა და დავითგარეჯას რეგიონნები.

ამ ფაქტის ამსახველი რამდენიმე არასწორი უცხოური და ქართული რუკა წარმოდგენილია ქვემოთ. ამ რუკებზე, სამხრეთ კახეთი, თელავის ქვემოთ, ალბანეთსაა მიკუთვნებული:



არასწორი აზერბაიჯანული რუკა, სადაც
კახეთის უმეტესი ნაწილი ალბანეთშია შეყვანილი.
https://zen.yandex.ru/media/centralasia/pochemu-predki-azerbaidjancev-perestali-

არასწორი ქართული რუკა, სადაც
კახეთის უმეტესი ნაწილი ალბანეთშია შეყვანილი
https://burusi.files.wordpress.com/2009/07/e183a1e18390e183a5e18390e183a0e18397

ჩვენი მეზობელი ქვეყნის დაინტერესებული მხარე, როგორც აღინიშნა, თავს მიიჩნევს ალბანელების სამართლებრივ მემკვიდრედ, ამიტომ აღნიშნული თეორია, რომ კახეთის უმეტესი ნაწილი ალბანეთში შედიოდა, საფუძველს აძლევს მას, ალაზნის ხეობა და სამხრეთ კახეთი თავის ისტორიულ ტერიტორიად წარმოადგინოს.

საინტერნეტო სივრცესა და სამეცნიერო ასპარეზზე კახეთის დიდი ნაწილი სადავო ხდება, რაც გამოჩნდა კიდეც დავითგარეჯასთან დაკავშირებით, ამიტომ, შესაბამისი სულისკვეთებით ამ ქვეყნებში იწერება უამრავი ნაშრომი.

ჩვენი კვლევით, თეორია, რომ სამხრეთ კახეთი ისტორიულად, თავდაპირველად ალბანეთში შედიოდა, მცდარია, არასწორია.

შეცდომის წყაროა არასწორი ლოკალიზაცია წყაროებში ნახსენები ისტორიული ოლქებისა, ქვეყნებისა, პუნქტებისა თუ მდინარეებისა, მაგალითად, ოფიციალური ისტორიოგრაფიის მიერ არასწორადაა ლოკალიზებული თავდაპირველი კახეთისა და ჰერეთის, კამბეჩანისა და სხვა ოლქების ადგილმდებარეობა, მათთან ერთად ასევე სხვა ცნობილი პუნქტებისა (მაგ., ტყეტბა-გულგულა) და სხვა.

კამბისენას, სხვა ქალაქებისა და ოლქების ადგილმდებარეობის სწორი განსაზღვრა, ასევე იბერიასა და ალბანეთს შორის საზღვრის შესახებ ანტიკურ მწერალთა ცნობების სწორი გააზრება დაგვაახლოებს ჭეშმარიტებასთან, რომელიც სადავოდ აღარ გახდის ქართულ საეკლესიო იურისდიქციას ამ მხარეებში.

ყოველივე ეს საეკლესიო საკითხია.

ისტორიულად, ალბანეთს ჰყავდა საკუთარი კათალიკოსი, არსენ საფარელი ალბანეთის კათალიკოსს „ჰერთა კათალიკოსს“ უწოდებს.

თუკი ბოდბე და მის გასწვრივ საინგილო, მთელ სამხრეთ კახეთთან ერთად ალბანეთის საკათალიკოსოში შედიოდა, მაშინ ამ მხარეს საკუთარი (ე.ი. ალბანეთის) კათალიკოსები ჰყოლია, რომელნიც შეუნაცვლებია ქართველ კათალიკოსებს. თუ ასე მოხდა, მაშინ საქართველოს ეკლესია პროზელიტური ყოფილა, რომელიც შეიჭრა სხვა საკათალიკოსოს იურისდიქციაში, რაც აკრძალულია საეკლესიო კანონებით, კერძოდ კი, მე-3 მსოფლიო საეკლესიო კრების მე-8 კანონით.

ამასთან დაკავშირებით, უნდა აღინიშნოს, რომ ისტორიული საზღვარი იბერიასა და ალბანეთს შორის გადიოდა არა თელავთან, როგორც ამჟამადაა მიჩნეული, არამედ მდ. ალიჯანჩაიზე, ანდა მდ. გიშისწყალზე (ქ. შაქის ოლქში), რომელიც ალაზნის უმთავრესი შენაკადია და მასაც ალაზანი ერქვა. ალაზანთან შერთვის შემდგომ მის უხვ წყლებს, შესაძლოა, პლინიუს უფროსი უწოდებდა ოკაზანს. პლინიუსის ცნობით, საზღვარი იბერიასა და ალბანეთს შორის გადიოდა კავკასიის მთებიდან გამომავალ მდინარეზე, რომელიც ვაკე ადგილზე მტკვარს უერთდებოდა, ასევე, ასეთია მდ. გიშისწყლის ახლოს გამდინარე ალიჯანჩაი, რომელიც გამოედინება კავკასიის მთებიდან და ვაკეზე მტკვარს უერთდება. მდ. ალიჯანჩაი, როგორც აღინიშნა, კახეთის სამეფოს საზღვარს წარმოადგენდა საუკუნეთა მანძილზე, ვიდრე მე-19 ს.-მდე. უფრო ადრე, ეს მდინარე არაბების მიერ დაარსებული გურჯისტანისა („არმინიია1“) და „არმინიია მეორის“ საზღვარს ანუ საქართველოს საზღვარს წარმოადგენდა არაბობის დროსაც.

აღსანიშნავია, რომ ჰერეთის საზღვრად ალიჯანჩაის უახლოეს მდინარეს, გიშისწყალს ასახელებს ვახუშტიც (ქ.ც. ტ. 4. გვ.539).

წყაროთა შეჯერება მიუთითებს, რომ ეს საუკუნოვანი საზღვარი მდ. გიშისწყალზე (ანდა მდ. ალიჯანჩაიზე) მხოლოდ მე-9 საუკუნეში შეცვალეს არაბთა სარდალმა ხალილ იზიდის ძემ და არაბთა მოკავშირემ შაქ-არცახ-არანის მმართველმა, მონოფიზიტმა საჰლ სმბატიანმა, იგივე „საჰლ იბნ სუნბატ ალ არმანმა“, ე.წ. „ჰერეთის მეფემ“.

საჰლ სმბატიანმა ხალიფასაგან 839 წელს მიიღო „არანის მეფის“ წოდება. პარალელურად, იმავე, 840-იანი წლების

დასაწყისში, არაბი სარდალი ხალილ იზიდის ძე ლაშქრით შეიჭრა სამხრეთ კახეთში. ამ ლაშქრობის შემდეგ, ჩვენი კვლევით, რომელიც ქვემოთაა მოცემული, კახეთმა დაკარგა თავისი სამხრეთი ნაწილი, ტერიტორია გიშისწყლიდან ვიდრე ე.წ. თელავ-გავაზის ხაზამდე და ეს მიწა-წყალი არაბებმა მიუერთეს მათ მოკავშირე საჰლ სმბატიანის შაქის ჰერეთს, ეს იყო მე-9 საუკუნეში კახეთის დამცრობისა და ჰერეთის გაფართოების ხანა.

არაბული მხარის სურვილი იყო სრული კახეთის დაპყრობა, მაგრამ ქართველებმა ის გავაზთან დაამარცხეს, ამიტომაც მას მხოლოდ უკვე დაპყრობილ, ანუ გავაზამდე მდებარე სამხრეთ კახეთის ტერიტორიებზე გააჩნდა უფლება.

როგორც ითქვა, დაპყრობილი კახეთის მიწა-წყალი, გიშისწყლიდან გავაზის ხაზამდე შაქ-არცახ-არანის მეფეს საჰლს გადაეცა, რომელსაც, ქართველი ისტორიკოსები „ჰერეთის მმართველს“ უწოდებენ.

საჰლ სმბატიანს, მოვსეს კალანკატუაცის ცნობით, რამდენიმე ხნით ადრე ხალიფისაგან ნება მიეცა, რათა **„სამეფო უფლებით ემართა არმანია, იბერია და ალუანქი (ალბანეთი)“**
http://www.vostlit.info/Texts/rus5/Kalank/frametext11.htm.

როგორც ითქვა, ამ უფლების განსახორციელებლად, იმავე, დაახლოებით 841–842 წლებში, მას დამხმარედ მიუვიდა დიდი არაბული ლაშქარი ხალილ იზიდის ძე არაბიელის სარდლობით, მათ გადალახეს კახეთ-ჰერეთის სასაზღვრო მდინარე გიშისწყალი და დაიპყრეს სამხრეთ კახეთი ვიდრე გავაზამდე, აქ მათი წინსვლა შეაფერხა კახეთის ქორეპისკოპოსმა გარდაბნელთა და წანართა ლაშქრით – **„შეებნენ გარდაბნელნი გავაზში და გააქციეს ხალილ“** (ქ.ც.1. 1955, გვ. 254).

მართალია, მტერმა (ხალილ იზიდის ძემ) გავაზთან მარცხის შემდეგ ვეღარ შეძლო კახეთის სხვა ნაწილების დაპყრობა. მაგრამ მას უკვე დაპყრობილი ჰქონდა კახეთის მიწა-წყალი გიშისწყლიდან გავაზამდე, სადაც გაივლო კიდეც კახეთის ახალი საზღვარი ჰერეთთან, ან უკეთ რომ ვთქვათ, არცახ-რან-შაქის სამთავროსთან.

ამ ომის შემდეგ შეიცვალა კახეთის ისტორიული, ათასწლოვანი საზღვარი, ნაცვლად გიშისწყლისა მან ახლა, მე-9 საუკუნისათვის, გადაინაცვლა უფრო ჩრდილოეთით, კერძოდ, კი ამის შემდეგ ჰერეთის საზღვარმა გიშისწყლიდან გადმოიწია თელავის მიმართულებით.

კახეთმა თავისი საზღვარი გიშისწყალთან მალევე დაიბრუნა საჰლ სმბატიანის შემდეგ (შაქ-არცახ-არანის შედარებით სუსტი მმართველის დროს), მაგრამ მისმა შემდგომმა მმართველმა გრიგოლ ჰამამმა და შემდეგ იოანე სენექერიმმა, როცა ის შეიჭრა კახეთში, საზღვარი გიშისწყლიდან კვლავ გადმოსწია გავაზის მიმართულებით.

არაბები კახეთს „სანარიას“ სახელით იცნობდნენ (წანარების მებრძოლი ტომის სახელის მიხედვით), ამიტომაც სამხრეთ კახეთის (ე.ი. გიშისწყლიდან ვიდრე გავაზის ხაზამდე) დაპყრობის შემდეგ იოანე სენექერიმს „წანართა მეფე“ უწოდეს და გულისხმობდნენ მის მიერ სამხრეთ კახეთის დაპყრობას (ამჟამად, არასწორად მიიჩნევა, თითქოსდა მან თანამედროვე ყაზბეგის რაიონი დაიპყრო).

ამჟამად ზოგიერთი ქართველი ისტორიკოსი არასწორად მიიჩნევს, რომ საჰლ სმბატიანი, გრიგოლ ჰამამი და იოანე სენექერიმი ჰერეთის ქართველი მმართველები იყვნენ, მაგრამ სხვაგვარია რეალობა, საჰლ სმბატიანზე უკვე ითქვა, რომ ის იყო არცახ-არანის სომეხი მმართველი და ჰერეთი ანუ შაქი (იგივე შექის ოლქი) მისი ვრცელი სახელმწიფოს ერთ მცირე ნაწილს შეადგენდა. ხოლო, რეალურად, გრიგოლ ჰამამი იყო სომეხი პოეტი და საზოგადო მოღვაწე, ხოლო იოანე სენექერიმი ფარისოსის სომეხი მეფე იყო. ისინი შაქ-არცახ-არანის მეფეები იყვნენ, რომელსაც ქართველები, ე.წ. ჰერეთს უწოდებდნენ. სინამდვილეში, როგორც ითქვა, ისტორიული **ჰერეთი, ანუ შაქის ოლქი, მათი ვრცელი სამფლობელოს მხოლოდ ერთ-ერთი მცირე ნაწილი იყო**.

ისინი არაბთა შემწეობით იბრძოდნენ კახეთის დასაპყრობად და გარკვეულ წარმატებას მიაღწიეს, როცა მათ შეძლეს

სამხრეთ კახეთის მიტაცება ე.წ. გავაზის ხაზამდე.

მე-9 საუკუნეში წარმოქმნილი კახეთ-ჰერეთის საზღვრის შესახებ მოგონება უნდა იყოს ასახული ვახუშტის მე-18 საუკუნის ცნობაში გავაზთან და თურდოს ხევთან გამავალ ჰერეთის საზღვართან დაკავშირებით.

ეს იმას ნიშნავს, როგორც წერს ივანე ჯავახიშვილი, რომ ვახუშტის კახეთისა და ჰერეთის თავდაპირველი, ისტორიული საზღვრების შესახებ ცნობები არ ჰქონია და ამიტომ მან კახეთსა და ჰერეთს შორის მე-9 საუკუნეში წარმოქმნილი საზღვარი მიიჩნია ჰერეთის უძველეს, ისტორიულ საზღვრად.

კახეთის შიგნით, მე-9 ს-ში წარმოქმნილი ახალი საზღვარი ჰერეთთან იყო დროებითი მოვლენა, რადგანაც მხნე წანარებმა კვლავ აღადგინეს კახეთის ძველი საზღვარი გიშისწყალზე, თუმცა დროებით.

როგორც აღინიშნა, მართალია, ჩვენი თანამედროვე ზოგიერთი ქართველი ისტორიკოსი მე-9 საუკუნის დასასრულის მოღვაწე გრიგოლ ჰამამს (გარდ. 897 წ.) უწოდებს „ჰერეთის ქართული სამეფოს დამაარსებელ პირველ მეფეს“ (პაპუაშვილი თ., ჰერეთის ისტორიის საკითხები, თბ., 1970; მისივე, რანთა და კახთა სამეფო (VII–XI სს.), თბ., 1982), მაგრამ, სინამდვილეში, ის იყო „ხაჩენის მთავარი გრიგორ ამამი“, როგორც მას უწოდებენ ამჟამად უცხოეთში (армянский князь Хачена во второй половине IX века, учёный, поэт).

გრიგოლ ჰამამი იყო გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწე, ჰყავდა 5 შვილი. მისი სამთავრო (ხაჩენი) შაქთან ერთად მოიცავდა მტკვრის მარჯვენა სანაპიროს მხარეს, ე.ი. რანს, საკუთრივ ხაჩენს და მტკვრისგაღმა კამბეჩანს (ეს კამბეჩანი არ იყო ქიზიყი, არამედ მტკვრის ხეობის მომცველი ქვეყანა, მტკვარ-ალაზნის შესართავის ქვემოთ).

გრიგოლ ჰამამს აღუდგენია ე.წ. „ალბანეთის სამეფო“, თუმცა მცირე ხნით, იგულისხმება მის მიერ რანის ანუ ალბანეთისა და ასევე შაქის ფლობა. მისი, როგორც სომეხი მოღვაწის, სამშენებლო წარწერები შემორჩა არცახში.

გრიგოლ ჰამამმა, ვითარცა სომეხმა პოეტმა, სომხურ ენაზე შექმნა მნიშვნელოვანი პოეტურ-საღვთისმეტყველო ქმნილებები. როგორც ითქვა, ჰერეთი მისი ვრცელი სამთავროს მხოლოდ ერთ-ერთი მცირე ნაწილი იყო და სწორედ გრიგორ ჰამამის სიკვდილის შემდეგ გათავისუფლდა ჰერეთი არცახის სომხური სამთავროს ბატონობისაგან.

შაქის, ანუ საკუთრივ ჰერეთის ხალხისათვის, ანუ ქართულენოვანი მკვიდრი მოსახლეობისათვის, არცახი და სხვა სომხური ერთეულები უცხო ქვეყნები იყო, დასახლებულნი სხვადასხვა ეთნოსით.

შაქის ოლქი წარსულში ალბანეთის ერთ-ერთ ნაწილს წარმოადგენდა, თუმცა დასახლებული იყო ქართულენოვანი მოსახლეობით, რომელიც არაბობის დროს ტარონელი სომხური წარმომავლობის მთავართა ხელში მოექცა, რომელნიც მონოფიზიტობას აღიარებდნენ

შესაბამისად, საჰლ სმბატიანის დროს შაქელები ანუ შაქის ოლქის მკვიდრი ქართულენოვანი მოსახლეობა სომხური მონოფიზიტური ეკლესიის იურისდიქციაში მოექცა, ისევე, როგორც მთელი ალბანეთი, გუგარქი და ტაო, სადაც მკვიდრი ადგილობრივი მოსახლეობა ჯერ სპარსელებმა მე-6 საუკუნეში, შემდეგ კი არაბებმა მე-7 საუკუნიდან სომხურ ეკლესიას დაუქვემდებარეს (აღსანიშნავია, რომ ალბანეთმა ვერ შეძლო სომხური ეკლესიისაგან გათავისუფლება, ამიტომ ეროვნული სახე დაკარგა, გუგარქმა (გოგარეთმა) კირიონ კათალიკოსის შემწეობით შეძლო სომხური საეკლესიო უღელისაგან გათავისუფლება VI საუკუნეში, ხოლო ტაომ – VIII საუკუნეში და ისინი დაუბრუნდნენ დედაქართული ეკლესიის წიაღს).

ამ მიზეზის გამო გრიგოლ ჰამამის შემდეგ შაქის გათავისუფლება, ჯერ პოლიტიკურად (გრიგოლის შვილების, კერძოდ კი ადერნესე II-ის დროს), შემდეგ კი ეკლესიურად **(დინარა დედოფლის დროს)** უდიდესი მნიშვნელობის მოვლენას წარ-

მოადგენდა, განმანთავისუფლებელ მომენტს, შაქის ოლქის, ანუ საკუთრივ ჰერეთის მოსახლეობისათვის.

გრიგორ ჰამამის შვილებმა მისი სიკვდილის შემდეგ მისი, ანუ ხაჩენის სამთავრო, ერთმანეთში გაინაწილეს, კერძოდ, 890-იანი წლების შემდეგ მისი შვილის სმბატის შთამომავლები დაეუფლნენ მიწა-წყალს განძასარის ირგვლივ, ანუ საკუთრივ ხაჩენს, მეორე შვილი ადერნესე II, იგივე ატრნერსეჰი, დაეუფლა მტკვრის მარცხენა ნაპირზე მდებარე შაქსა და ასევე ამავე, მტკვრის მარცხენა მხარეს მდებარე კამბისენას ნაწილს (კიდევ ერთხელ ვთქვათ, რომ კამბისენა არაა ქიზიყი). არაბი ავტორი მასუდიც აღნიშნავდა, რომ მის დროს „შაქელების მეფეა ადერნესე-იბნ-ხამიმი“.

გრიგოლ ჰამამის შემდეგ დაახლოებით 915 წელს მის მიერ დაპყრობილი სამხრეთ კახეთის გასათავისუფლებლად კახთა ქორეპისკოპოსმა კვირიკე I-მა აფხაზთა მეფე კონსტანტინე III-სთან ერთად იბრძოლა კახეთის ციხესიმაგრეების დასაბრუნებლად გავაზთან, არიშთან და ორჭობთან.

ვახუშტი წერს – „უხმო კვირიკე ქორიკოზმან კოსტანტინეს აფხაზთა მეფესა, მივიდნენ ჰერეთს და მოადგნენ ვეჯინს, ამისად მივიდა ადარნასე პატრიკი, მიუპყრა ჯვარი, მოსცა კოსტანტინეს არიში, გავაზი და კვირიკეს ბოჭორმა, დაეზავნენ და წარმოვიდა კოსტანტინე“ (ქ.ც. 4, გვ.133).

915 წლის ამ ომში ქართულმა მხარემ გაიმარჯვა და ეს ციხეები გაათავისუფლა, კახეთმა დაიბრუნა თავისი ისტორიული მიწა-წყალი გავაზის ხაზიდან გიშისწყლამდე, მაგრამ ეს დროებითი მოვლენა აღმოჩნდა.

აფხაზეთსა და კახეთში შიდაომების გამო ჰერეთის სამეფომ (რეალურად კი ხაჩენის სამთავრომ) კვლავ დაიპყრო სამხრეთ კახეთის მიწები. მაგრამ, ამავე დროს, დიდი რეფორმები და პოლიტიკურ-ეკლესიური ცვლილებები მიმდინარეობდა შაქის ოლქში, ანუ საკუთრივ ჰერეთში, ამ პერიოდში ჰერეთის, ანუ შაქის სამეფოს ხალხმა დაიწყო მოძრაობა ეროვნულ-სარწმუნოებრივი იდენტობის აღდგენისათვის, კერძოდ კი, სომხურ-მონოფიზიტური ეკლესიისაგან გათავისუფლებისათვის.

ჰერეთმა, დინარა დედოფლის დროს, დაიბრუნა ქალკედონური აღმსარებლობა. ამით შაქის (ჰერეთის) ეკლესია გათავისუფლდა მონოფიზიტური უღლისაგან და დაუბრუნდა ეროვნულ-ქართული ეკლესიის წიაღს.

ამ უდიდესი მოვლენის ინიციატორები იყვნენ ადარნასე მეფის (იგივე ადარნესე პატრიკის) ძის მეუღლე, იმჟამად ქვრივი **დედოფალი დინარა და მისი ძე იშხანიკი** (ჰერეთის მეფე, დაახლ. 943–951 წწ.).

დინარა დედოფალი ყოფილა არა მეფე ადარნასეს მეუღლე, არამედ მისი ძისა, რომლის სახელი უცნობია, ამას მიუთითებს გენეალოგია, რომელიც 1826 წელს შეუდგენია დავით თუმანიშვილს („მეფე ერეკლე“, 2021). შესაბამისად, იშხანიკი, დინარ დედოფლის ვაჟი, ადარნასეს შვილიშვილი იყო. როგორც აღინიშნა, ადარნასე იყო შაქის მეფე და მის სამეფოს ქართველები ჰერეთს უწოდებდნენ. მას ასევე მე-10ს-ის არაბი ისტორიკოსი მასუდი „შაქელთა მეფეს“ უწოდებს („ატრნერსეხ იბნ ჰამიმ“). დავით თუმანიშვილის გენეალოგიით **ადარნასეს შვილიშვილის იშხანიკის შთამომავალი ყოფილა გაგიკი, რომელიც იშვილა კახეთ-კუხეთის მეფე კვირიკემ** და ამის შედეგად გაერთიანებულა ორი ქვეყანა, ანუ **ასე წარმოქმნილა კახეთ-ჰერეთის სამეფო.**

აღსანიშნავია, რომ ამჟამად გაგიკს მიიჩნევენ არა ჰერეთის მეფის იშხანიკის, არამედ – ტაშირ ძორაკერტის მეფის, დავით უმიწაწყლოს ძედ, რაც შეცდომა უნდა იყოს.

შაქის ჰერეთის მეფე ატრნერსეხი, ანუ ადარნასე ყოფილა გრიგოლ ჰამამის ძე და უმცროსი ძმა სააკ სევედასი. ის შაქი-კამბეჩანის მეფე გახდა 910 წელს, მას მოვსეს კალანკატუაცი ალბანეთის მეფეს უწოდებს.

თავისთავად, ადარნასეს ბიზანტიური წოდება „პატრიკი“ მიუთითებს, რომ მისთვის ბიზანტიური ეკლესიური და პოლიტიკური ორიენტაცია მიმზიდველი

გახდა და მისი ეს მიმართულება მისი ძის ქვრივის დროს რეალიზდა, როცა შაქელებმა, ანუ ისტორიული ჰერეთის მოსახლეობამ გადაწყვიტა დაბრუნებოდა ქართულ საეკლესიო წიაღს.

ადარნასე პატრიკის შთამომავალი კვლავ შეჭრილა კახეთში და კვლავ აუღია კვირიკე ქორეპისკოპოსისა და აფხაზთა მეფე კონსტანტინეს მიერ გათავისუფლებული კახეთის ციხეები – არიში, გავაზი და ბოჭორმა. მაშასადამე, ადარნასე პატრიკის ძის დროს ჰერეთმა კვლავ დაიპყრო სამხრეთ კახეთი, მაგრამ, მისი გარდაცვალების შემდეგ, ჰერეთის ქვეყანა მისი ქვრივის დინარას მმართველობაში მოექცა და ორი ქვეყნის ურთიერთობამ სრულიად სხვა სახე მიიღო.

ადარნასე პატრიკის ძის ქვრივის, წმ. დინარას და მისი შვილის იშხანიკის დროს ვითარება კარდინალურად შეცვლილა.

ვახუშტი წერს – **„ხოლო იშხანიკის ჟამამდე ჰერეთი მწვალებელი იყო, არამედ იშხანიკ დისწული იყო გუარამ ერისთავთ ერისთავისა და დედოფალმან დინარ, დამან გუარამისამან, მოაქცივნა მართლმადიდებლად“** (ქ.ც.4. გვ.134).

მაგრამ შაქის მფლობელობისათვის ომები გრძელდებოდა. იშხანიკის შემდეგ 958 წლიდან ტახტზე ავიდა ფარისოსის მეფე იოანე სენექერიმი (примерно с 958 г. – 1003) – царь Парисоса (Северный Арцах, горный Утик) Сын Саака Севады) http://www.vostlit.info/Texts/rus11/Vardan/primtext3.phtml.

იოანე სენექერიმს ამჟამად ქართველები იშხანიკის ძედ მიიჩნევენ, მაგრამ ის ყოფილა არა იშხანიკის ძე, არამედ საჰლ იბნ სუმბატ ალ არმანის ანუ **საჰლ სმბატიანის სხვა შტოს წარმომადგენელი**, საჰაკ სევადის ძე. მან თავისი ენერგიული ქმედებით შეძლო კვლავ მოქცეოდა სათავეში ხაჩენის ზემო ნაწილის სამთავროს დაახლ. 958 წლიდან. მან ის გააერთიანა ფარისოსთან და დააარსა ფარისოსის სამთავრო.

მოვსეს კალანკატუაცის ცნობით მისი (იოანე სენექერიმის) სამეფო უფლება უცვნია ბიზანტიასა და სპარსეთის სამეფო კარს. ებრძოდა განძის ამირას ფადლონს, აქედან გამომდინარე, მის ხელში იყო მოქცეული შაქის, ანუ ჰერეთის მმართველობაც. ის (იოანე სენექერიმი) იყო არა ჰერეთის მეფე ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით, არამედ ფარისოსის სომხური სამეფოს მეფე, რომელიც იმჟამად იპყრობდა ასევე შაქს ანუ ქართულ ჰერეთს.

იოანე სენექერიმს თავისი აგრესიული პოლიტიკა გაუგრძელებია კახეთის მიმართაც და დაუპყრია სამხრეთ კახეთი. ამიტომაც მას ასევე უწოდეს „წანართა მეფე“ (სამხრეთ კახეთის (სანარიის) პყრობის გამო).

ასე რომ, სამხრეთ კახეთი გიშისწყლიდან ვიდრე გავაზის აღნიშნულ ხაზამდე კვლავ ჰერეთის, ანუ ამ შემთხვევაში ფარისოსის სომხური სამეფოს მიერ იქნა დაპყრობილი.

იოანე სენექერიმს, რომელმაც შეძლო ორი სომხური ოლქის (ფარისოსისა და კოგტის (ზემო ხაჩენი) ოლქის გაერთიანება და ერთიანი სამეფოს დაარსება მოვსეს კალანკატუაცი **„ალბანეთის სამეფოს აღმდგენელს“** უწოდებს, თუმცა ამ დროს ალბანეთი, როგორც ეთნიკური ერთეული, დიდ ხნის გამქრალი იყო და აღნიშნულო ოლქები სომხეთის ნაწილებად მიიჩნეოდა. შესაბამისად, ამ სამეფოს (ფარისოსის) მიერ შაქის ოლქის დამორჩილება ნიშნავდა ისტორიულ ჰერეთში კვლავ მონოფიზიტობის გაძლიერებას.

შაქის ოლქს არცახ-ფარისოსის სამთავროს უღელი იოანე სენექერიმის სიკვდილისთანავე მოუშორებია და მან (ისტორიულმა ჰერეთმა, ანუ შაქის ოლქმა) კვლავ აღიდგინა თავისუფლება დინარა დედოფლის დროს.

ჰერეთის დედოფალი დინარა, როგორც ეს კარგად ჩანს მის შესახებ რუსული თქმულებებიდან, იყო მართლმადიდებლობისათვის მხნე მეომარი, იმჟამინდელი მრევლისათვის სახელოვანი ხელმწიფე. ის რუსულ წყაროებში იხსენიება, როგორც ივერიის დედოფალი. ჩემი სტატია, რომ რუსული წყაროების დინარა დედოფალი იგივე ჰერეთის მე-10 საუკუ-

ნის დინარა დედოფალია დაიბეჭდა წიგნში „ქართველ წმიდათა ცხოვრებანი“ (2004) წელს, ჩემი (ანუ ამ წიგნში ჩემს მიერ დაწერილი პარაგრაფის) თვალსაზრისი ამ საკითხის ირგვლივ გაზიარებულ იქნა უცხოეთის მკვლევართა მიერ, რაც რუსული საინტერნეტო გვერდებიდან ჩანს.

დინარა დედოფალი მეათე საუკუნის მოღვაწე წმიდანია, აღსანიშნავია, რომ ვახუშტი მის შესახებ უთითებს 917 წელს – **„ხოლო 917 მოიხსენების სახელი ადარნასე პატრიკისა და ძისა მისისა დინარს დედოფლის ქმრისა და ძისა მათისა იშხანიკისა“** (ქ.ც.4. გვ. 557).

მაშასადამე, ვახუშტის მიხედვით დინარ დედოფალი ყოფილა არა ადარნასე პატრიკის მეუღლე, არამედ მისი ძის მეუღლე.

მაშასადამე, დინარ დედოფალი, როგორც უკვე აღნიშნული იყო, ყოფილა ადარნასე პატრიკის რძალი – „ხოლო ადარნასე პატრიკმან მოგვარა ცოლი ძესა თვისსა ასული ადარნასესი და დაი გურგენ ერისთავთერისთავისა ძის ძისა აშოტ კურაპალატისა სახელით დინარ და ამის ძის იშხანიკისამდე იყო ჰერეთი მწვალებელი ქასრეს ჟამითგან აქამომდე. ხოლო ამან დინარ დედოფალმან მოაქცია ჰერეთი სომეხთა წვალებისაგან მართლმადიდებლობისა აღმსაარებლად“ (ქ.ც. 4. გვ.559).

მასასადამე, ჰერეთი, „ქასრეს ჟამიდან“, ანუ მე-6 საუკუნედან წმ. დინარამდე მწვალებლობაში ყოფილა. ეს იმას ნიშნავს, რომ მე-6 საუკუნემდე, ანუ IV–V საუკუნეებში ის მართლამადიდებელი ყოფილა, რაშიც იგულისხმება, რომ ჰერეთი, მე-6 საუკუნემდე საქართველოს ეკლესიის ნაწილი ყოფილა, ეს ერთობა დედა ეკლესიასთან კვლავ აღადგინა დინარა დედოფალმა.

მე-6 საუკუნეში მართლამადიდებელ ბიზანტიასთან სამკვდრო სასიცოცხლოდ მებრძოლმა სასანიდების ირანმა მკვეთრად დაუჭირა მხარი სომხურ მონოფიზიტურ ეკლესიას, რაც ნიშნავდა პოლიტიკურ პროცესს ალბანეთისა და ქართლის მაღთლმადიდებელ მრევლზე სომხური ეკლესიის გაბატონების მხარდაჭერისა.

კირიონ კათალიკოსის ქალკედონურ პოზიციას სომხური ეკლესია ანტისპარსულ ქმედებად განიხილავდა, რაც „ეპისტოლეთა წიგნშია“ ასახული.

ანტიბიზანტიური საეკლესიო პოლიტიკა მე-7 საუკუნიდან გააგრძელა არაბთა სახალიფომ, ისიც მხარს უჭერდა სომხურ ეკლესიას, ვითარცა ანტიბიზანტიური საეკლესიო მიმართულების მქონე ეკლესიას და ამიტომ, მკვეთრი, ძალისმიერი მეთოდით დაუმორჩილა ალბანეთის ეკლესია სომხურს, შესაბამისი იყო პოზიცია ჰერეთის მიმართ. ასე გაგრძელებულა ჰერეთის პოლიტიკურ გათავისუფლებამდე, რასაც ეკლესიური თავუფლებაც მოჰყვა, რაც ასახა წმ. დინარას სარწმუნოებრივმა რეფორმამ.

მიუხედავად წმ. დინარას უდიდესი ავტორიტეტისა, ის ჰერეთში შესულ მეფე ბაგრატისათვის პოლიტიკური ფიგურა იყო, და ამიტომ, როგორც ვახუშტი წერს, დინარა დედოფალი საქართველოს მეფე ბაგრატ III-მ განარიდა ჰერეთს, როდესაც მან შეძლო შაქის ოლქის, ანუ საკუთრივ ჰერეთის გაერთიანება თავის სამეფოში. ეს მომხდარა დავით ქორეპისკოპოსის (976–1010) შემდეგ, კვირიკე III-ის (1010–1037) დროს.

ვახუშტი წერს – „ხოლო შემდგომად მოკვდა დავით ქორიკოზი, მაშინ გამოვიდა კუალად მეფე ბაგრატ და აღიღო ჰერეთი და დაიჭირა დედოფალი დინარ და ორ წელ აღიღო კახეთიცა და შეაწყვდია კვირიკე ბოჭორმას“ (ქ.ც. 4. გვ. 140).

თუ შევაჯამებთ, ვახუშტის ცნობით ჯერ კიდევ სპარსეთის ქასრე მეფის (ხოსრო I ანუშირვანის 496–579) შემდეგ ეს მხარე (შაქის ჰერეთი ანუ ტერიტორია გიშისწყალ-ალიჯანჩაიდან თეთრწყლამდე) მონოფიზიტური გამხდარა, რაც საჰლ სმბატიანის დროს დაკანონდებოდა, ხოლო წმიდა დინარა დედოფალმა თავის შვილ იშხანიკთან ერთად თავის ხალხს მართლმადიდებლობა დაუბრუნა მე-10 საუკუნის შუა წლებში.

თავი I

წყაროებისა და ლიტერატურის მიმოხილვა იბერიისა და ალბანეთის საზღვრებთან დაკავშირებით

პლინიუს უფროსის, ეღიშეს, მოვსეს კალანკატუაცისა და ლეონტი მროველის ცნობები იბერიასა და ალბანეთს, კახეთსა და ჰერეთს შორის საზღვრების შესახებ

როგორც აღინიშნა, ჩვენი თანამედროვე ისტორიოგრაფია მიიჩნევს, რომ საზღვარი იბერიასა და ალბანიას (ალბანეთს) შორის გადიოდა რუსთავის ქვემოთ, კვეთდა ცივგომბორის ქედს, ისე, რომ ალბანეთში შედიოდა – ბოდბე, გურჯაანი, დავითგარეჯას მონასტრები და ამჟამინდელი საინგილოს ეკლესიები, ამის შესაბამისად ამტკიცებს, რომ ბოდბის, გურჯაანისა და სხვა ეკლესიები მე-7, მე-9 საუკუნეებამდე არა ქართული, არამედ ალბანური ეკლესიები იყო. მიიჩნევა, რომ დავითგარეჯას მონასტრები, საინგილოს ეკლესიები და სხვა, ალბანური წარმოშობის ეკლესია-მონასტრები იყო.

ასე მიიჩნევენ არა მხოლოდ ქართველი, არამედ რუსი და ცხადია, აზერბაიჯანელი ისტორიკოსები. ეს არასწორი მტკიცება საერთაშორისო ასპარეზზე, ასე ვთქვათ, დააკანონა ავტორიტეტულმა „პრავოსლავნაია ენციკლოპედიამ“, ამ მტკიცებით ბოდბეც კი, სადაც ივერთა განმანათლებელი წმიდა ნინო განისვენებს, ალბანეთსაა მიკუთვნებული!

იგივე არასწორი მტკიცებაა, როგორც აღინიშნა, ბაქო-აზერბაიჯანის ეპარქიის ვებგვერდზე –
http://baku.eparhia.ru/history/albania/architrave/

ხოლო რაც შეეხება ზოგიერთ აზერბაიჯანელ ისტორიკოსს, ისინი საერთოდ ალაზნის მთელ ხეობას ისტორიულ ალბანეთად, ანუ აზერბაიჯანელთა ისტორიულ მემკვიდრეობად მიიჩნევენ.

ჩვენ არ ვიზიარებთ ასეთ განსაზღვრებას, რადგანაც არ ეყრდნობა წყაროთა ცნობებს ალბანეთ-ქართლის (იბერიის) საზღვრების შესახებ, ასევე არასწორია ოფიციალურად გავრცელებული რუკა ალბანიისა.

საერთოდ, ალბანეთი ძალზე არამდგრადი ეროვნულ-პოლიტიკური ერთეული იყო და ის გაქრა მე-7 საუკუნის ბოლოსათვის, ამიტომაც შემდეგი ავტორების ცნობები მის შესახებ, გარკვეულწილად, საეჭვოა, მაგალითად, ივ. ჯავახიშვილს ეეჭვებოდა არა თუ ვახუშტის, არამედ ლეონტი მროველის ცნობები ჰერეთ-კახეთის საზღვრების შესახებ (ივ. ჯავახიშვილი, ტ.II, 1983, გვ.46).

განვიხილოთ წყაროები:

წყაროები იბერიისა და ალბანეთის საზღვრის შესახებ

სულ ოთხი ძირითადი წყარო არსებობს იბერიისა და ალბანიის საზღვრის შესახებ.

ინფორმაციას ქართლის, ანუ იბერიისა და ალბანეთს შორის საზღვრის შესახებ გვაძლევს ოთხი ცნობილი ავტორი, ესენია –

1. პლინიუს უფროსი (23–79 წწ.)
2. ეღიშე (მე-5 ს.) და
3. მოვსეს კალანკატუაცი (VII ს. ან X ს.)
4. ლეონტი მროველი (VIII ს.), იძლევა ცნობას ქართლსა და ჰერეთს შორის საზღვრის შესახებ.

ამ ავტორების დროს ალბანეთი (ანდა მოგონება მის შესახებ) ჯერ კიდევ არსებობდა, ამიტომ მათი ცნობები მნიშვნელოვანია.

განვიხილოთ თითოეული წყარო:

I. პლინიუს უფროსი (23–79 წწ.) იბერიისა და ალბანეთის საზღვრის შესახებ

პლინიუს უფროსი წერდა – **„მდინარე მტკვრის იქეთ მთელი ვაკე დასახლებულია ალბანთა ტომით და, შემდეგ, იბერებით, რომელნიც ერთმანეთისაგან გამოყოფილი არიან მდინარე ოკაზანით, რომელიც გამოედინება კავკასიის მთებიდან და ჩაედინება მდ. კირში“** (პლინიუს უფროსი, ბუნების ისტორია, 6, 28–29).

„Теперь будут перечислены жители пограничных с Арменией областей: всю равнину, начиная от реки Кура, заселяют племена албанов, а затем иберов, которые отделены от первых рекой Оказаном, текущей с Кавказских гор в реку Кир“ … (Плиний Старший, «Естественная история», кн. VI, 28-29).

პლინიუს უფროსი გვაძლევს რამდენიმე მინიშნებას იბერიასა და ალბანიას (ალბანეთს) შორის საზღვრის შესახებ – 1. საზღვარი გადიოდა მტკვრისპირა ვაკეზე, 2. ეს ვაკე დასახლებული იყო იბერებითა და ალბანელებით, 3. მათ ერთმანეთისაგან ყოფდა სასაზღვრო მდინარე ოკაზანი, რომელიც კავკასიის მთებიდან გამოედინებოდა და მტკვარს უერთდებოდა, 4. ამასთანავე, ეს ვაკე მტკვრის სანაპიროზე იწყებოდა.

„всю равнину, начиная от реки Кура, заселяют племена албанов, а затем иберов, которые отделены от первых рекой Оказаном, текущей с Кавказских гор в реку Кир“.

(ე.ი. მინიშნებებია – 1. მტკვრისპირა ვაკე; 2. სასაზღვრო მდინარე ოკაზანი; 3. კავკასიის მთები, სადაც ამ მდინარის სათავეა; 4. ეს მდინარე მტკვარს ერთვის)

მიუხედავად იმისა, რომ პლინიუსი გვაძლევს ზუსტ მინიშნებას, რომ იბერია-ალბანიის საზღვარი გადიოდა ვაკეზე, მაინც, ამ ცნობის სრული იგნორირებით, თანამედროვე ისტორიოგრაფია სრულიად უმართებულოდ ამ საზღვარს ავლებს ხაზზე, რომელიც კვეთს დიდი მდინარეების იორისა და ალაზნის დახრამულ ხეობებს, ასევე, გომბორის ქედს და ბოდბე – ყვარლის გავლით უერთდება კავკასიის მაღალ მთებს.

ანუ ამჟამიდელი ისტორიკოსები საზღვარს არ ავლებენ ვაკეზე.

მაშასადამე, 1 – უგულებელყოფილია წყაროს პირველი მინიშნება „ვაკესთან“ დაკავშირებით. ამიტომაც გავაანალიზოთ პლინიუსის მიერ ნახსენები ტერმინი „ვაკე“ .

პლინიუსის მიერ ნახსენები ვაკე იწყება მტკვრის სანაპიროდანვე – равнина, начиная от реки, ამასთანავე, მეორე მინიშნებით ამ ვაკეზე მთიდან გამომავალი მდინარე „ოკაზანი“ (ალაზანი) უერთდება მტკვარს.

მოვძებნოთ, თუ რომელი ვაკე იწყება ალაზან-მტკვრის შესართავის რეგიონში მტკვრის სანაპიროსთან.

ასეთი აქ არის მხოლოდ ერთი ვაკე, რომელსაც კარგად იცნობდნენ ქართული წყაროები და მას ძალზე ხშირად ახსენებენ რანთან ერთად .

ესაა, აჯინოურის ვაკე, ნაწილი ცნობილი „მოვაკანისა“ ანუ ვრცელი ვაკისა მტკვრის ნაპირზე.

„ქართლის ცხოვრების“ ცნობით მოვაკანი იწყებოდა მტკვარ-იორის შესართავთან და გრძელდებოდა ვიდრე კასპიის ზღვამდე.

„მცირისა ალაზნისა შესართავითგან ვიდრე ზღუამდე“

(ვახუშტი ბატონიშვილი, „საქართველოს გეოგრაფია“, 1904 წ., გვ. 131–132).

მოვაკანი და რანი ქართულ წყაროებში მუდამ ერთად იხსენიებიან, მაშასადამე, ის რანთანაა, ანუ ისაა შირვანის ვრცელი ვაკის დასაწყისი მონაკვეთი.

შირვანის დიდი ვაკის დასაწყისში, მტკვარ-ალაზნის შესართავიდან აჯინოურის ვრცელი ვაკე, ანუ დაბლობია, ის ისტორიული მოვაკანის ერთი ნაწილია (ამჟამინდელ მინგეჩაურის წყალსაცავის გასწვრივ, მტკვრის მარცხენა სანაპიროს მხარეს), საერთოდ მოვაკანს ვახუშტის რუკაზე ეწოდება შირვანი. ვაკე „მოვაკანისა-რომელ არს შირვანი“.

აქედან შეიძლება გამოვიტანოთ დასკვნა, რომ ჩვენ თუ გვსურს წყაროს მიხედვით ვეძიოთ საზღვარი იბერიასა და

ალბანეთს შორის, ის მოვაკანის (აჯინოურის – შირვანის) ვაკეზე უნდა ვეძიოთ.

მართლაც, აქ, საქართველოსთან ახლოს, ამ ვაკეზე გაედინება რამდენიმე მდინარე, რომლებიც კავკასიის მთებიდან გამოედინება, გაივლის ამ ვაკეს და მტკვარს უერთდება. ვნახოთ, რომელი მათგანი ეთანადება პლინიუსის მინიშნებას.

ასეთი მდინარე აქ, ამ მტკვრისპირა ვაკეზე რამდენიმეა.

იბერია-ალბანეთს შორის საზღვართან დაკავშირებით, როგორც ითქვა, პლინიუსის პირველი მინიშნება, არის ის, რომ ეს საზღვარი მტკკვრისირა ვაკეზე გადიოდა, ანუ სწორი ზედაპირის მქონე მონაკვეთზე, მეორე მინიშნება კი ისაა, რომ საზღვარი მდინარე ოკაზანს მიუყვებოდა, რომელიც კავკასიის მთებში გამოედინება და ამ ვაკეზე მტკვარს უერთდება.

მაშასადამე, 2 – ამჟამად უგულებელყოფილია წყაროს ეს მეორე მინიშნებაც.

კერძოდ, პლინიუსის ცნობა, რომ **საზღვარი მიუყვებოდა მდინარეს.**

მაშასადამე, **იბერიასა და ალბანეთს შორის საზღვარი მდინარეს უნდა მიუყვებოდეს,** ეს არის წყაროს, ანუ პლინიუსის ცნობის მინიშნება, ის ამჟამად უარყოფილია.

ამჟამინდელი ისტორიკოსები იბერიასა და ალბანეთს შორის საზღვარს არ ავლებენ მდინარეზე, პირიქით, მათ მიერ გავლებული საზღვარი არათუ მიუყვება რომელიმე მდინარეს, არამედ პირიქით, ჰორიზონტალურად კვეთს სამი დიდი მდინარის – მტკვრის, იორისა და ალაზნის ხეობათა შუაწელს. რაც ეწინააღმდეგება წყაროთა მინიშნებებს, თუნდაც პუნქტ ხალხალასთან დაკავშირებით, რომელიც სასაზღვრო წერტილი იყო წყაროთა ცნობით.

მაშასადამე, 3 – ამჟამად უარყოფილია წყაროს მე-3 მინიშნებაც, კავკასიის მთების შესახებ, რომ იბერია-ალბანეთის საზღვარი მიუყვებოდა მდინარეს, რომელიც კავკასიის მთებიდან გამოედინებოდა და ვაკეზე უერთდებოდა მტკვარს.

ოკაზანი **„კავკასიის მთებიდან“** გამოედინებოდა და მტკვარს უერთდებოდა.

„отделены от первых рекой Оказаном, текущей с Кавказских гор в реку Кир“.

საერთოდ, პლინიუსი საუბრობს იბერიასა და ალბანეთს შორის მოქცეულ სასაზღვრო რეგიონზე, სადაც მტკვარს უერთდება კავკასიის მთებიდან გამომავალი მდინარე. ამ რეგიონში ასეთი მდინარე უპირველესად არის **მდ. ალიჯანჩაი**, რომელიც კავკასიის მთებიდან გამოედინება და ვაკეზე მტკვარს უერთდება მინგეჩაურის წყალსაცავთან. ასევე, ასეთივეა, შაქის მახლობელი კავკასიის მთებიდან გამომდინარე ალაზნის მარცხენა უმთავრესი შენაკადი – გაიჩაი, (ჩვენ მას გიშისწყლის სახელით მოვიხსენიებთ) რომელსაც, ჩანს, ასევე ალაზანი ერქვა, ისევე, როგორც აქ გამავალ მრავალ მდინარეს, მაგალითად, იორსაც, ალაზნის მთავარ ძარღვთან ერთად.

აღსანიშნავია, რომ მდინარე ალიჯანჩაი კახეთის მუდმივი აღმოსავლეთის საზღვარი იყო, როგორც კახეთის პირველი სამეფოს დროს, ანუ მე-11 საუკუნემდე (В состав королевства входили территории от Ксани (западная граница) до реки Алиджанчай (восточная граница) и от дидойцев (северная граница) к югу вдоль реки Мтквари (южная граница).

https://www.wikiwand.com/ru/Первое_кахетинское_царство. ასევე მეორე სამეფოს დროს, ანუ მე-18 საუკუნეშიც. ამ მხრივ მდ. ალიჯანჩაი სრული სიზუსტით ემთხვევა პლინიუსის ცნობას ოკაზანის შესახებ.

ამ ნიშნით, აქ ყველაზე დიდი მდინარე, რომელიც მტკვარს უერთდება არის ალაზანი, მისი სათავე ასეულობით კილომეტრითაა დაშორებული მტკვართან შესართავს, მაგრამ, რადგანაც ამ მტკვრისპირა რეგიონის მახლობლად, სულ რამდენიმე კილომეტრში კავკასიის დიდი ქედის მთებია, რომლიდანაც გამომავალი მდინარეები აქვე ვაკეზე ერთვიან მტკვარს, ამიტომ შევეხოთ მათ.

ვნახოთ ამ რეგიონს (მტკვარ-ალაზნის შესართავის ოლქს) ესაზღვრება თუ არა კავკასიის მთები.

ანუ **ვეძიოთ მესამე მინიშნება – 3. კავკასიის მთების ის მონაკვეთი, საიდანაც გამოედინება მდინარე, რომელიც აქ მტკვარს უერთდება.**

დიახ, არის აქ, ამ ვაკესთან ახლოს კავკასიის მთების მონაკვეთი (ეს ვაკე, როგორც ითქვა მტკვარ-ალაზნის შესართავთან ახლოს მდებარე აჯინოურის ვაკეა, ნაწილი ზემოთ აღნიშნული სხვა ვაკეებისა).

კავკასიის მთები უშუალოდ ესაზღვრება ამ ვაკეს, ამ ადგილებში მტკვრიდან კავკასიის მთებამდე სულ რაღაც 30–40 კილომეტრია.

კავკასიონის მთაგრეხილი 1500 კილომეტრ სიგრძეზე გადაჭიმულია ზღვიდან ზღვამდე მაგრამ, აღნიშნულ ადგილებში ის მტკვარს ყველაზე მეტად უახლოვდება, რაც მეტადაა აღსანიშნავი.

ამ ვაკე-დაბლობზე მტკვარს უერთდება რამდენიმე მდინარე, რომელთა სათავეები არის დაბლობის მახლობელი კავკასიონის მთებში (ესაა ამჟამინდელი შაქის რეგიონი, სადაც მდ. ალიჯანჩაიზე ისტორიულად საუკუნეთა მანძილზე გადიოდა კახეთის სამეფოს საზღვარები).

ხოლო რაც შეეხება ალაზანს, მართალია, ის ამ ადგილებში ერთვის მტკვარს, მაგრამ მისი სათავე ამ შესართავს ძალზეა დაშორებული, დაახლოებით, 400 კილომეტრით.

მაშასადამე, 4 – უარყოფილია წყაროს მე-4 მინიშნებაც.

აქ, დაბლობში ალაზნის პირველი რიგის შენაკადია გიშისწყალი, ანუ აგრიჩაი, რომელიც აქ, აქვე, კავკასიის მთებში იღებს სათავეს.

გიშისწყალ-აგრიჩაი (გაიჩაი) თავისი წყალუხვობის გამო და ასევე, რადგანაც ის ალაზნის უმთავრესი შენაკადია, შესაძლოა მასაც უწოდებდნენ ალაზანს, მით უფრო, რომ ალაზანი აქ უამრავ მდინარეს ეწოდება.

აგრიჩაი-გიშისწყალი ამჟამად ძალზე ვრცელი რეგიონის მოსარწყავ სისტემებშია მოქცეული, მაგრამ პლინიუსის დროს ის გაცილებით წყალუხვი იქნებოდა, რადგანაც სათავეს იღებს კავკასიის მთის სოფელ ხილხალასთან ახლოს, საიდანაც იკვებება მისი მრავალი შენაკადი.

სახელი „ალაზანი“ კი ამ რეგიონში მრავალ მდინარეს ერქვა („პირიქითა ალაზანი“, „თუშეთის ალაზანი“, „მცირე ალაზანი“ – იორი (ქართული წყაროები იორს „მცირე ალაზანს“ უწოდებენ) და სხვა.

მდინარე ალაზნის მთავარი ძარღვის ყველა შენაკადი „ალაზნად“ იწოდებოდა. აქედან გამომდინარე, ჩანს, ერთ დროს გიშისწალს, ანუ აგრიჩაის ასევე ალაზანი ერქვა.

პლინიუსი შესაძლოა ოკაზანს უწოდებს ალაზნის უმთავრეს წყალუხვ შენაკადს გიშისწყალს (აგრიჩაი – გეტარუ) და აგრეთვე მის წყალს ალაზანთან შერთვის შემდეგ ვიდრე მტკვრამდე.

კიდევ ერთხელ რომ ვთქვათ, ალბანიასთან მიმართებაში სწორედ ეს მდინარეც (გიშისწყალი, ანუ აგრიჩაი) შესაძლოა წოდებულიყო ალაზნად, რადგანაც მდინარის ეს უმთავრესი ძარღვი (აგრიჩაი) ალბანიასთან ყველაზე ახლოს იყო.

მაშასადამე, ოკაზანი, ჩვენი აზრით, გიშისწყალ-ალაზანია.

გიშისწყლის სათავე აქვე, კავკასიის მთებშია, ერთვის ალაზნის მთავარ ტოტს და მათი გაერთიანებული წყლები აქვე, ვაკეზე უერთდება მტკვარს, მაშასადამე, შესაძლოა, პლინიუსი ოკაზანს უწოდებდა გიშისწყლისა და ალაზნის გაერთიანებული წყლებით შედგენილ მდინარეს, რომელიც აქვე, ვაკეზე უერთდებოდა მტკვარს.

ის ახლოა სასაზღვრო პუნქტად მიჩნეულ „ხალხალთან“.

როგორც აღინიშნა, პლინიუსის გარდა, არსებობს ასევე სხვა მნიშვნელოვანი წყაროების ცნობები იბერიისა და ალბანიის სასაზღვრო პუნქტების შესახებ, ედიშესა, მოვსეს კალანკატუაცისა და სხვათა ცნობები, კერძოდ, ისინი იძლევიან ინფორმაციას, რომ იბერიისა და ალბანიის საზღვარზე მდებარეობდა პუნქტი „ხალხალა“.

II. ედიშეს ცნობა იბერია-ალბანეთის სასაზღვარო პუნქტ ხალხალას შესახებ

ცნობილია ორი პუნქტი, რომელნიც ატარებენ სახელს „ხალხალა“, ორივე ახლოა სასაზღვრო მდინარე გიშისწყალთან.

ედიშე, სომეხი ისტორიკოსი და ღვთისმეტყველი მე-5 ან მე-6 საუკუნისა, წერს – „შეხვდა მათ იბერიის საზღვართან, ქალაქ ხალხალში, სადაც ალბანთა მეფეებს ჰქონდათ თავისი ზამთრის რეზიდენცია“.

„Это он написал и посвятил в это мазпана, имя которого было Себухт. А тот, когда услышал все эти ободряющие вести от Васака и, проверив, и утвердился в мысли, что с малосильным полком идет на него спарапет Армении, не стал выжидать в краях Чора, а сосредоточил все множество своих войск и поспешно перешел большую реку, именуемую Кур, и встретился с ним близ границ Иверии, против города Халхала, который был зимней ставкой царей – Албанских“ (Егише. О Вардане и войне армянской / К.Н.Юзбашян. – Ереван: Издательство АН Армянской ССР, 1971. – с. 77).

III. მოვსეს კალანკატუაცის ცნობა იბერია-ალბანეთის სასაზღვრო პუნქტ „ხალხალას“ შესახებ

მოსე კალანკატუაცი მე-7 ს-ის სომეხი ისტორიკოსი, „ალვანთა ქვეყნის ისტორიის“ ავტორი მსგავსადვე წერს – „და შეხვდა მათ იბერიის საზღვარზე, ხალხალას პირისპირ, ალბანთა სამეფოს საზამთრო რეზიდენციასთან“ .

Моисей Каланкатуйский передает: «…и встретился с ним на границах Иберии, напротив Халхала, зимней резиденции царства Албанского» (Политическая история и историческая география кавказской албании (III в. до н. э. – VIII в. н. э.) Баку «Элм» 1986).

ამჟამინდელი აგრიჩაის მახლობელ რეგიონში მართლაც ორი ისტორიული „ხალხალა“ არსებობდა, ერთი (ამჟამინდელ აზერბაიჯანში, ქალაქ ყაზახთან) ახლოს იყო „ხორანთასთან“ (იორ-ალაზნის შესართავთან), ხოლო მეორე ხალხალა დღესაც არსებობს ოგუზის რაიონში. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, მასთან ახლოს კავკასიის მთებშია სათავე მდ. ალიჯანჩაისა (გალაჩაი), რომელიც აქვე ახლოს, დაბლობში მტკვარს უერთდება აჯინოურის ველთან.

შეჯამება: მაშასადამე, ცნობა პლინიუსისა, რომ იბერიასა და ალბანეთს ერთმანეთისაგან ყოფდა მდინარე, რომელიც კავკასიის მთებში იღებდა სათავეს და ბარში მტკვარს უერთდებოდა, საჩინო ხდება იორ-ალაზნის შესათავისა და ამჟამინდელ სოფელ ხილხილას (ხალხალას) შორის მოქცეულ რეგიონში (მათ შუა მდებარე ქ. შექის ოლქში), აქ ცნობა პლინიუსისა თვალნათელი ხდება, კერძოდ:

გიშისწყლის მახლობლად, სოფელ ხალხალასთან კავკასიის მთებში სათავეს იღებს ორი მდინარე: ესენია, ალიჯანჩაი და ტურიანჩაი, რომელნიც აქვე ახლოს მტკვარს უერთდებიან. 2. ამ ხალხალასთან ძალზე ახლოსაა სოფელი ამავე ეტიმოლოგიის სახელის მქონე – ძველი ციხე, ამჟამად კი სოფელი ფილფილა. რომ მოვსეს კალანკატუაცის ცნობით იბერიის საზღვარზე ჩრდილო კავკასიიდან შემოვიდა ჯარი ალბანეთის დასარბევად. ფილფილა იმითაა შესანიშნავი, რომ მასზე გადის ჩრდილო კავკასიასთან მტკვრის ხეობის დამაკავშირებელი გზა, რომელიც ამჟამადც მოქმედია, ხოლო ძველად კასპიისპირა ქალაქ ჩორს აკავშირებდა მტკვრის ხეობასთან და ბარდასთან.

როგორც ითქვა, ამ სოფელთან კავკასიის მთებში სათავეს იღებს მდინარე ტურიანჩაი, რომელიც, ალიჯანჩაის მსგავსად, აქვე, დაბლობზე მტკვარს უერთდება, რაც პლინიუსის მოთხოვნის შესაბამისია. სოფელი ახლოა გიშისწყლის სათავესთან. ასევე სახელ ფილფილას ეტიმოლოგია ჩვენ გვაგონებს ლეონტი მროველის სახელს გულგულა.

ამ შემთხვევაში, სამი წყარო ერთმანეთს ეთანადება – როგორც ითქვა, ხალხალა ამჟამინდელი სოფელია ამ რეგიონში კავკასიის მთებიდან გამომავალ მდინარეებთან (გიშისწყალ – აგრიჩაისთან და ალიჯანჩაისთან, გალაჩაისთან) ახლოს, ოგუზის რაიონში, ყოფილ ვართაშენთან.



IV. ლეონტი მროველის ცნობა ჰერეთ-კახეთის სასაზღვრო პუნქტ ტყეტბა-გოლგოლას შესახებ

ამ თემასთან დაკავშირეით, ალბათ პირველ რიგში უნდა ითქვას, რომ ტერმინი „გულგულა“ თელავთან გააიგივა არა ლეონტი მროველმა, არამედ ვახუშტიმ.

შესაბამისად, უნდა ვეძიოთ მეოთხე წყაროს – ლეონტი მროველის მიერ დასახელებული გულგულას ადგილმდებარეობა.

ლეონტი წერს – **„ხოლო ჰეროსს მისცა ქუეყანა მტკურისა ჩრდილოთ, მცირისა ალაზნისა შესართავითგან ვიდრე ტყეტბამდე, რომელსა აწ ჰქჳან გულგულა. და ამან ჰეროს აღაშენა პირველად ქალაქი შესაკრებელთა შორის ორთავე ალაზანთასა. და უწოდა სახელი თჳსი ჰერეთი. და მის გამო ჰქჳან ჰერეთსა ჰერეთი. და აწ მას ადგილსა ჰქჳან ხორანთა“** (ქ.ც. 1. 1955, გვ.17).

მაშასადამე, ლეონტის მინიშნებები ასეთია – „ხოლო ჰეროსს მისცა ქუეყანა

1. მტკურისა ჩრდილოთ,

2. მცირისა ალაზნისა შესართავითგან ვიდრე ტყეტბამდე, რომელსა აწ ჰქჳან გულგულა.

3. და ამან ჰეროს აღაშენა პირველად ქალაქი შესაკრებელთა შორის ორთავე ალაზანთასა. და უწოდა სახელი თჳსი ჰერეთი. და მის გამო ჰქჳან ჰერეთსა ჰერეთი. და აწ მას ადგილსა ჰქჳან ხორანთა“.

მაშასადამე, **ჰერეთი არის ქვეყანა „მტკვრისა ჩრდილოთ“**.

ჰერეთი მტკვრის მიმდებარე, მახლობელი ქვეყანა ყოფილა, მტკვრის ახლო რეგიონში მდებარეობდა, როგორც ლეონტი ამბობს „მტკურისა ჩრდილოთ“, ანუ მტკვრის ჩრდილოეთით მდებარე ქვეყანაა „შესაკრებელთა შორის ორთავე ალაზნისათა“, ანუ იორ-ალაზნის შესართავთან მიმდებარედ.

ასეთია მტკვრის მარცხენა ნაპირზე მდებარე შაქის ოლქი, რომელსაც ქართულ წყაროებშიც ჰერეთი ერქვა, საარიშიანო.

ლეონტის თქმით – ჰერეთი იწყებოდა იორ-ალაზნის შესართავიდან ვიდრე „ტყეტბამდე, რომელსაც აწ ჰქვია გულგულა“.



ედიშესა და კალანკატუაცის მიერ იბერიასა და ალბანიას შორის საზღვრად დასახელებული პუნქტი „ხალხალა“ უნდა ყოფილიყო სწორედ ის ტყეტბა-გულგულა, რომელსაც ასახელებს ლეონტი. არა თელავთან მდებარე პუნქტი გულგულა, არამედ ხალხალა, ოგუზის (ვართაშენის) რაიონში. მასზე შუა საუკუნეებშიც გადიოდა კახეთის სამეფოს საზღვარი.

ოთხი წყაროს შეჯერება

იბერია-ალბანეთისა (და შემდგომ კახეთისა და ჰერეთის) საზღვრის შესახებ ოთხი წყაროს – პლინიუს უფროსის, მოვსეს კალანკატუაცის, ედიშესა და ლეონტი მროველის ცნობების ურთიერთშეჯერებით აღმოჩნდა, რომ ისტორიულად იბერიასა და ალბანეთს, კახეთსა და ჰერეთს შორის საზღვარი თავდაპირველადვე გადიოდა შექის ოლქში, ემთხვეოდა ან მდ. ალიჯანჩაის, რომელიც კავკასიის მთებში იღებს სათავეს და ვაკეზე მტკვარს უერთდება, ანდა მდინარე გიშისწყალ-ალაზნის გაერთიანებულ ნაკადს, რომელსაც, ჩანს, ერქვა კიდეც ოკაზანი.

მართალია, შემდგომ, მე-9 საუკუნიდან, ორიოდე საუკუნით, ჰერეთის საზღვარი კახეთის ხარჯზე შეიცვალა, მაგრამ, თავდაპირველი ანუ ისტორიული საზღვარი იორ-ალაზნის შესართავის ოლქში უნდა ვეძიოთ.

შესაბამისად, შეცდომაა იბერია-ალბანეთისა (და შემდგომ კახეთისა და ჰერეთის) ისტორიული სასაზღვრო ხაზის გავლება ამჟამინდელი კახეთის სიღრმეში (თელავთან ახლოს), რადგანაც ეს ეწინააღმდეგება წყაროებს, რაც შეეხება სასაზღვრო პუნქტ „ტყეტბა-გოლგოლას“, ის უნდა ვეძიოთ აღნიშნული მდინარეების სათავეებთან და არა თელავთან.

ვახუშტი ბატონიშვილის ორი ცნობა ჰერეთის გეოგრაფიის შესახებ

ვახუშტის I ცნობა

ვახუშტის ცნობით ჰერეთი ეწოდება გიშისწყლის მარცხენა სანაპიროს მხარეს, მარჯვენა სანაპიროს მხარეს ერქვა „კულმუხი“, კულმუხის ქვეყანასა და ჰერეთს შორის საზღვარზე გადიოდა მდინარე **გიშისწყალი**.

„ხორანთას „ქუეით დიდს ალაზანს მოერთვის გიშის წყალი, რომელიც გამოსდის კავკასს, კულმუხსა და ჰერეთს შორის... და მოდის გიშამდეს“ (ქ.ც.IV. გვ. 539).

აქ „კულმუხი“ ეწოდება ქურმუხს, ანუ ქურმუხის ოლქს, ანუ დღევანდელ საინგილოს.

მაშასადამე გიშისწყალი (აგრიჩაი) ერთმანეთისაგან ყოფდა ქურმუხის ქვეყანას (საინგილოსა) და ჰერეთს, როგორც ითქვა, **ქურმუხის ქვეყანას დღეს ეწოდება საინგილო,** ხოლო ვახუშტი მას უწოდებს **„კულმუხს“**.

კულმუხის ქვეყანა კახეთის ნაწილი იყო წმ. არჩილის დროსაც.

წყარო ცნობით, არჩილის მიერ აგებული ნუხპატის ციხე-ქალაქი კახეთში მდებარეობდა, მდ. გიშისწყლის მარჯვენა სანაპიროს მხარეს, შაქთან ახლოს (შაქი გიშისწყლის მარცხენა სანაპიროზე უნდა ყოფილიყო). მაშასადამე, შეიძლება ვივარაუდოთ, ნუხპატსა და შაქს, ერთმანეთის მომიჯნავე ქალაქებს, ყოფდა გიშისწყალი, რომელიც ამავე დროს საზღვარი იყო კახეთსა და ჰერეთს შორის,

მ. ჯანაშვილი წერს **შაქის ოლქზე – „ძველთაგან ადგილი ესე კახეთის სამეფოს ნაწილი ყოფილა“** (მ. ჯანაშვილი, საინგილო, 1910, გვ.14).

შესაბამისად, თუკი მ.ჯანაშვილს შაქის ოლქი კახეთის ნაწილად მიაჩნდა, მით უმეტეს, **ის საინგილოსაც კახეთის ნაწილად მიიჩნევდა.**

მაშასადამე, ამჟამინდელი გაბატონებული თვალსაზრისი, რომ ამჟამინდელი საინგილოს მიწაწყალი ისტორიულად შედიოდა ჰერეთში, არის შეცდომა, პირიქით, **საინგილოს მიწაწყალი ისტორიულად შედიოდა „შიგნით კახეთის“ ოლქში, რომელსაც ჰერეთი ესაზღვრებოდა სამხრეთის მხრიდან და მათ ერთმანეთისაგან ყოფდა გიშისწყალი (აგრიჩაი).**

როგორც ითქვა, მხოლოდ მე-9 საუკუნეში, როდესაც რან-არცახ-შაქის სამეფომ, რომელსაც ქართველები ჰერეთს უწოდებდნენ, დაიპყრო სამხრეთ კახეთი (შესაბამისად, შემდგომი საინგილოს მიწაწყალიც), მხოლოდ ამის შემდეგ სამხრეთ კახეთი გახდა ჰერეთის ნაწილი ორიოდე საუკუნის მანძილზე.

მხოლოდ ამის შემდეგ ეწოდა სამხრეთ კახეთს ჰერეთი, ხოლო ისტორიულად, უძველესი ხანიდანვე, გიშისწყალი იყო საზღვარი კახეთისა, ამიტომაც წერდა ვახუშტი:

„დიდს ალაზანს მოერთვის გიშისწაყლი, რომელი გამოსდის კავკასს, კულმუხსა და ჰერეთს შორის“.

შესაბამისად, ჩვენ შეცდომად მიგვაჩნია ასეთი განსაზღვრება: „შიდა და გარე კახეთის მხარეებად დაყოფილი ჰერეთის ტერიტორია“.

როგორც ითქვა, სამხრეთ კახეთი დღევანდელ საინგილოსთან ერთად მიიტაცა შაქის მმართველმა საჰლ სმბატიანმა.

არაბებთან გმირულმა ომმა კახეთი ძალზე დაასუსტა, ამიტომაც შეძლო მან (საჰლმა) არაბი სარდლისა და მისი ჯარის დახმარებით მიეტაცებინა კახეთის ეს მიწები. მან არაბთა წინააღმდეგ გმირული აჯანყებების მეთაური बაბეკიც დააპატიმრა და ხალიფას დასასჯელად გაუგზავნა. სანაცვლო ჯილდოდ, არაბებისაგან ბატრაკის, ანუ მეფის ტიტული მიიღო 1 მილიონ დირჰემთან ერთად. ეს ნიშნავდა, რომ მას უფლება მიეცა ნებისაებრ ემართა დაპყრობილი რანი (არანი) და სამხრეთ კახეთი.

აღსანიშნავია, რომ იმის შემდეგ, რაც მან მზაკვრულად ამოხოცა რანის ძველი დინასტია, ამჟამინდელი მთიანი ყარაბაღიც მის ხელში აღმოჩნდა.

ითქვა, რომ საჰლ სმბატიანს, ანუ საჰლ იბნსუნბატ ალ-არმანს არაბები ძალზე უჭერდნენ მხარს, რადგანაც მათ-

თან თანამშრომლობდა, განსაკუთრებით შეიყვარეს და ბატრაკის ანუ მეფის წოდებით დააჯილდოვეს მას შემდეგ, რაც მან მზაკვრულად შეპყრობილი ბაბეკი გადასცა ხალიფას. ამის შემდეგ მისი ძალაუფლება გაიზარდა.

მაშასადამე, ისტორიული ანუ თავდაპირველი საზღვარი კახეთსა და ჰერეთს შორის იყო მდინარე გიშისწყალი. ჩანს ამის შესახებ შესაბამისი ცნობა ჰქონია ვახუშტის, და წერს კიდეც ჰერეთის საზღვრის შესახებ – **„დიდს ალაზანს მოერთვის გიშისწყალი, რომელი გამოსდის კავკასს, კულმუხსა და ჰერეთს შორის“.**

მაგრამ, იმის გამო, რომ ივ. ჯავახიშვილის კვლევით, მას არ ჰქონია ჰერეთის საზღვრების შესახებ უფრო დიდი ინფორმაცია, უფრო სანდოდ მიუჩნევია თავისი ვარაუდის გამოთქმა თელავის ახლო მდებარე პუნქტ გულგულასთან დაკავშირებით და ეს პუნქტი მიუჩნევია ძველ წყაროებში დასახელებულ ჰერეთის სასაზღვრო პუნქტ ტყეტბად. მაგრამ, მართლდება ვახუშის **პირველი ცნობა, რომ ჰერეთის სასაზღვრო მდინარე იყო გიშისწყალი.** შესაბამისად, **სასაზღვრო პუნქტი ტყეტბა-გულგულაც ამ მდინარის – გიშისწყლის მახლობლად უნდა ვეძიოთ.**

ვახუშტის II ცნობა

ვახუშტი ბაგრატიონს, როგორც აღინიშნა, ჰერეთ-კახეთის საზღვრის შესახებ აქვს ორი ერთმანეთისაგან ძალზე განსხვავებული მოსაზრება, პირველის მიხედვით ჰერეთის საზღვარი გადიოდა მდ. გიშისწყალზე, ანუ შაქთან, ხოლო მეორის მიხედვით ჰერეთის საზღვარი გადიოდა თურდოსხევზე, ანუ თელავთან.

რომელი მათგანია საფუძვლიანი.

უნდა ითქვას, რომ თელავთან, ანუ გულგულასთან საზღვრის შესახებ ვახუშტიმ ცნობა აიღო ლეონტი მროველისაგან, როგორც ეს გაარკვია ივანე ჯავახიშვილმა, თვითონ ლეონტი კი თავის დაბადებამდე რამდენიმე ათასი წლით ადრე მომხდარ ამბავს გადმოსცემდა, როცა ლეგენდარულმა თარგამოსმა საზღვრები გაუყო თავის შვილებს, მათ შორის ჰეროსის ქვეყნის, ანუ ჰერეთის ერთ-ერთ სასაზღვრო წერტილად დასახელდა „ტყეტბა“.

ლეონტის დროს ამ სახელის (ტყეტბა) მქონე პუნქტი უკვე აღარ არსებობდა, ამიტომ ლეონტიმ გამოთქვა ვარაუდი, რომ შესაძლოა ეს პუნქტი, ანუ ტყეტბა ყოფილიყო თელავთან ახლოს გულგულა (ეს გაარკვია ივანე ჯავახიშვილმა, რაც მოცემულია).

რატომ უნდა მიეჩნია ლეონტის თელავთან ახლოს პუნქტი ჰერეთის საზღვრად?

იმ მიზეზის გამო, რომ **ლეონტის ეპოქაში (დაახლოებით IX–X სს.-ში) სამხრეთ კახეთი რეალურად უკვე იყო მიტაცებული შაქ-არცახ-რან-ხაჩენის სამეფოს, ანუ ჰერეთის** მიერ და სამხრეთ კახეთსა, ანუ მიწა-წყალს გიშისწყლიდან თელავამდე ჰერეთს უწოდებდნენ,

კახეთის ქორეპისკოპოსები და ზოგადად, საქართველოს ხელისუფლება აფხაზთა მეფეების სახით, არ ურიგდებოდა ამ ვითარებას დ ცდილობდნენ სამხრეთ კახეთის გათავისუფლებას, ანუ სამხრეთ კახეთის იმ მიწა-წყლის გათავისუფლებას, რომელიც მოქცეული იყო გიშისწყლიდან ვიდრე გავაზ-თურდოს ხევამდე. ამიტომაც აფხაზთა მეფეები იბრძოდნენ სამხრეთ კახეთის გასათავისუფლებლად. რაც ასახულია მატიანეებში.

იმის შემდგ კი, რაც შეიქმნა ერთიანი ქართული სახელმწიფო – „რანთა და კახთა სამეფო“, ჰერეთის უკვე არსებული შესაბამისი ტერმინები დარჩა სამხრეთ კახეთის ტოპონიმიკაში.

მაშასადამე, ვახუშტის ცნობა თელავთან ჰერეთის საზღვრის შესახებ შედეგია ლეგენდარული ცნობებისა და მე-9 საუკუნის შემდგომი რეალური ფაქტების აღრევისა.

რაც შეეხება ვახუშტის მეორე ცნობას, რომელშიც ჰერეთის საზღვრად დასახელებულია გიშისწყალი, ეს ცნობა ვახუშტის უნდა აეღო რომელიღაც ისტორიული დოკუმენტიდან, რომელიც ჯერჯე-

რობთ შესაძლოა არა არის გამოვლენილი, ანდა დაიკარგა.

ამიტომაც მეორე ცნობა ჰერეთის საზღვრის შესახებ გიშისწყალზე ასახავს რეალურ ისტორიულ სურათს და მას უნდა მიენიჭოს უპირატესობა პირველ ცნობასთან შედარებით.

ამდენად, კახეთისა და ჰერეთის ისტორიული საზღვარი გიშისწყალია.

ვახუშტი წერს – „ქრისტესა ჩუდ (1466), ქართული რნდ (154), მოისპო სახელი ჰერეთისაცა, და იწოდნენ საკუთრად კახთ მეფედ; და ჰერეთს უწოდებენ შემდგომად აწამდე განყოფით ესრეთ: გაღმა მხარს, ელისენსა, შიგნით კახეთს, ქისიყს და გარეთ კახეთს“.

აღსანიშნავია,რომ სამხრეთ კახეთის ნაწილს ჰერეთი ეწოდა მხოლოდ მე-9 საუკუნის შემდეგ, ანუ ვახუშის მიერ დასახელებული კახეთის ისტორიულ მხარეებს – გაღმა მხარს, ელისენს, შიგნით კახეთსა და ქიზიყს ჰერეთი ეწოდა მხოლოდ მე-9 საუკუნის შემდეგ ანუ არაბი სარდლის ხალილ ისიდის ძის ლაშქრობის შემდეგ. მან დაპყრობილი სამხრეთ კახეთის აღნიშნული მხარეები შეიყვანა სახალიფოს მიერ გაძლიერებულ შაქის (ჰერეთის) მეფის საჰლ ალ არმანის სამეფოში.

იქამდე, უძველესი ხანიდან ვიდრე მე-9 საუკუნემდე საზღვარი ისტორიულ კახეთსა და ჰერეთს შორის გადიოდა მდ. გიშისწყალზე (ზოგჯერ ალიჯანჩაიზე), რის შესახებაც ცნობა ჰქონია ვახუშტის და მან ეს ცნობა ჩართო თავის წიგნში.

მართალია, მან მიუთითა ჰერეთის ისტორიული საზღვარ მდ. გიშისწყალის შესახებ, მაგრამ ბოლომდე არ იყო დარწმუნებული და ზუსტად არ იცოდა ჰერეთის ისტორიული საზღვარი, წყარო (ლეონტი) სხვა საზღვარს აჩვენებდა, ამიტომ ვახუშტიმ ივარაუდა, რომ ისტორიულადაც უძველესი ხანიდან ჰერეთში შედიოდა აღნიშნული მხარეები.

როგორც აღინიშნა, ივანე ჯავახიშვილმა გამოიკვლია, რომ ვახუშტის არ ჰქონია ცნობები ამ საზღვრების შესახებ. მას ცნობები ძირითადად ლეონტისაგან აუღია, მაგრამ ისინი გადამწერთა მიერ ყოფილა დამახინჯებული.

ივანე ჯავახიშვილი წერს – **„ამ საკითხის გამოსარკვევად იმაზე მეტი მასალები, რაც ჩვენ მოგვეპოვება, არც ვახუშტის ჰქონია, მისი განმარტება მთლად ლეონტი მროველის ცნობებზეა დამყარებული“** (ივ. ჯავახიშვილი, ტ. 1, 1983, გვ. 41).

ჩვენი კვლევით, ვახუშტის ცნობები ასახავს იმ ფაქტს, რომელიც მე-9 საუკუნის შემდეგ შეიქმნა შაქის (ჰერეთის) სამეფოს მიერ სამხრეთ კახეთის მიწების მიტაცების გამო.

ლეონტის ცნობით, **„კახეთის მთასა და კავკასს შორის“,** ანუ გომბორსა და კავკასიონის ქედს შორის ტერიტორია ეკუთვნოდა კახოსს, რაც შეეხება კუხოსის კერძ მიწა-წყალს ის მდებარეობდა გომბორსა და მტკვარს შორის, ანუ **„კახეთის მთასა და მტკვარს შუა“.**

(ტერმინი „კახეთის მთა“, ბოლო დრომდეც კი, მაგალითად, იაკობ გოგებაშვილის შრომებში, ერქვა გომბორის ქედს, მხოლოდ, მე-20 ს.-ში შეცვალეს ძველ საქართველოში დამკვიდრებული ტერმინოლოგია და „კახეთის მთა“ უწოდეს ქედს თიანეთთან ახლოს, რაც შეცდომათა ერთერთი სათავეა).

შესაბამისად, კახოსისა და კუხოსის საერთო ტერიტორია მოქცეული იყო კავკასიის ქედსა და მტკვარს შორის.

რაც შეეხება იმჟამინდელ ჰერეთს, მისი საზღვარი მიუყვებოდა იმ მდინარეს, რომელიც კავკასიის მთებში იღებდა სათავეს და მტკვარს უერთდებოდა, ასეთი მდინარეებია ალიჯანჩაი და გიშისწყალი, მათი სათავეები ერთმანეთის ახლოსაა, იქ, სადაცაა სოფლები ხალხალა და ფილფილა, აქ უნდა ყოფილიყო ლეონტი მროველის სასაზღვრო სოფელი ტყეტბაგულგულა, ვუწოდოთ მას კახეთ-ჰერეთის სასაზღვრო პირველი წერტილი.

მეორე წერტილი კი იყო **იორ-ალაზნის შესართავი,** მტკვარ-ალაზნის შესართავთან ახლოს.

ამ წერტილების შემაერთებელი ხაზი იყო საზღვარი, რომელიც ერთმანეთისაგან ყოფდა ჰერეთსა და კახოს-კუხოსის ქვეყნებს.

ესაა ლეონტი მროველის ცნობაზე დაყრდნობილი მოსაზრება.

საზღვარი კახეთ-ჰერეთისა, როგორც ითქვა, შეიცვალა მე-9 საუკუნის შემდეგ, რაც უკვე ასახულია ვახუშტის ცნობაში საზღვრებთან დაკავშირებით.

კერძოდ, მხოლოდ, მე-9 ს.-ში, კახეთ-ჰერეთის საზღვარმა მდინარე ალიჯანჩაიდან (ან გიშისწყლიდან) ჩრდილოეთით გადაიწია და ჰერეთის ხელში აღმოჩნდა კახეთის მიწები.

კერძოდ, ახლა ალიჯანჩაის (ან გიშისწყლის) ნაცვლად საზღვარმა ჩრდილოეთით გადაიწია და დაიდო ვახუშტის მიერ ნახსენებ „თურდო-შტორის ხევზე“.

კიდევ ერთხელ გავიმეორებთ, ჩემს მიერ გადმოცემული მოსაზრების პირველი **ავტორია ვახუშტი ბატონიშვილი,** რადგანაც ის ჰერეთის თავდაპირველ საზღვრად მიიჩნევდა მდინარე გიშისწყალს. ის, როგორც აღინიშნა, წერდა –

„სად არს ხორანთა, მას ქუეით დიდ ალაზანს მოერთვის გიშისწყალი, რომელი გამოსდის კავკასს, კულმუხსა და ჰერეთს შორისს...“ (ქ.ც.IV. გვ. 539).

ჰერეთის თავდაპირველი საზღვრის გაგებისათვს ვახუშტის ეს ცნობა არის უპირველესი, მას უნდა მიენიჭოს უმთავრესი მნიშვნელობა, ეს ცნობა ასახავს ძველი ქართული ისტორიოგრაფიის ცოდნას ჰერეთის თავდაპირველი, ანუ თარგამოსის ეპოქის ეთნარქების დროინდელი საზღვრის შესახებ კახეთსა და ჰერეთს შორის. ეს საზღვარი გადიოდა გიშისწყალზე, ანუ თავდაპირველად, ანუ მე-9 საუკუნემდე, კახეთსა და ჰერეთს შორის საზღვრად მიიჩნეოდა მდ. გიშისწყალი, შემდეგ კი ეს საზღვარი შეიცვალა და თურდოს ხევზე იქნა გადატანილი შაქის მეფეების, ანუ არაბთა ხელისფლების აგრესიის შედეგად. კულმუხი არის ქურმუხის ქვეყანა, როგორც ეს უკვე აღვნიშნეთ. ამ მიმართულებით ჰერეთის ძველი საზღვარი გიშისწყალი იყო. ესაა ჩვენი თეორია, რომელიც **ეყრდნობა ვახუშტის** ამ ძვირფას ცნობას.

მაშასადამე, ვახუშტიმ თავის ნაშრომში შეიტანა უძველესი ცოდნა მდ. გიშისწყალზე ისტორიული ჰერეთის საზღვრის შესახებ.

ამის მიუხედავად, მას, როგორც ცნობილია, ჰერეთის საზღვარი არა გიშისწყალზე, არამედ უფრო ჩრდილოეთით, ე.წ. „თურდო-შტორის ხევზე გაყავდა“, რა შეიძლებოდა ყოფილიყო ამის მიზეზი?

ჩანს, მას მხედველობიდან გამორჩა უფრო ძველი ცოდნა მდ. გიშისწყალზე ისტორიული ჰერეთის საზღვრის შესახებ და ამის ნაცვლად დაეყრდნო ლეონტი მროველის ცნობას ტყეტბა-გულგულაზე. ვახუშტი ენდო იმ ფაქტსაც, რომ მართლაც თელავთან ახლოს მდებარეობდა იმავე დასახელების სოფლის – გულგულა, ამიტომაც დაასკვნა, რომ ეს იყო ლეონტის მიერ ნახსენები საზღვარი ჰერეთისა, ამავე დროს, რადგანაც ძველ დროს საზღვარი მდინარეს, ანდა რომელიმე ქედს უნდა გაჰყოლოდა, იფიქრა, რომ გულგულასთან მდებარე თურდო-შტორის ხევი იყო საზღვარი ჰერეთისა და ასევე შეიტანა კიდეც ის თავის თხზულებაში.

ტოპონიმი „გულგულა“ მსგავსია, მახლობელ თურქულენ სამყაროში გავრცელებული ტერმინისა – „გოლგოლ“

თურქულენოვან სამყარში გულგულა ნიშნავს „ლამაზ ტბას“, ანდა ლურჯ ტბას, ფაქტობრივად იგივეა, რაც ქართული ტერმინი „ტყეტბა“.

ამჟამინდელ აზერბაიჯანში რამდენიმე ასეთი დასახელების პუნქტი და ტბებიცაა (გოლ-გოლ), სხვათა შორის, ლეონტი მროველიც წერდა არა გულგულას, არამედ „გოლ-გოლას“.

Гёйгёль (азерб. *Göygöl* – голубое озеро) – озеро в западной части Азербайджана, расположенное на территории Гёйгёльского района, ეს ნიშნავს, რომ ტოპონიმი „გულგულ – გოლგოლ“, შესაძლოა ვეძიოთ მდ. გიშისწყლის არეალშიც. აღსანიშნავია, რომ ქართული ტერმინი „ტყეტბა“ ეთანადება კიდეც ამ ტოპონიმს, მისი თარგმანს სახე აქვს.

აქაურ ტოპონიმიკაში გაჩენილი თათრულ-თურქული სიტყვა „გოიგოლ“ (აქედან – „გოლგოლა“), ანუ ლურჯი, ლამაზი ტბა უნდა იყოს თარგმანი ქართული სიტყვისა „ტყე-ტბა“, მაგრამ ასეთი ტყეტბა და ლამაზი საკურორტო ადგილი

უამრავი იყო კავკასიის ქედზე, ამიტომაც, როგორც ითქვა, ასეთი ტერმინი უამრავია აზერბაიჯანში, ერთ-ერთი უნდა ყოფილიყო გიშისწყლის სათავეში მდებარე ამჟამინდელი შესანიშნავი ტყიან-ტბიანი კურორტი სოფელ ხალხალთან და იქვე ფილფილასთან.

На севере села Халхал, овраги, названные Кордере, склоны гор, горячие минеральные источники, маленькие горные реки, долины; 3. На северо-востоке села Фильфилли лесные, овражные, родниковые склоны гор.

Рядом с селом находится природный водопад Хал-Хал.
https://ru.wikipedia.org/wiki/Халхал_(Огузский_район)#/media/Файл:Khalkhal,_Oghuz_(P1090343).

მაშასადამე, ჩვენი აზრთ, რასაც ეთანადება ვახუშტის ცნობა, რომ ჰერეთის საზღვარი მდ. გიშისწყალზე გადიოდა, სასაზღვრო ცნობილი პუნქტი „ტყე-ტბა გულგულა“ უნდა იყოს პუნქტი, რომელიც ამჟამად გიშისწყლის სათავეში მდებარეობს სოფლებ ხალხალთან და ფილფილთან, აქვეა შესანიშნავი ტყე-ტბები, რაც ფოტოზეც ჩანს, როგორც ეს ქვემოთაცაა რამდენჯერმე აღნიშნული.

შესაბამისად, ვახუშტის ცნობა, რომ გიშისწყალი იყო ჰერეთის საზღვარი – ასახავს თავდაპირველ, ისტორიულ ფაქტს.

სხვა ცნობები, რომელნიც კახეთ-ჰერეთის საზღვრებთანაა დაკავშირებული, როგორც ივანე ჯავახიშვილმა გაარკვია, არის საეჭვო, რადგანაც ლეონტი მროველის იმ ცნობებზეა დამყარებული, რომელნიც გადამწერთა მიერ ძლიერ იყო დამახინჯებული და ვახუშტის დროისათვის გაუგებარი იყო.

„და მისცა კახოსს საზღვარი: აღმოსავლით მთა კავკასი; სამჴრით საზღვარი ჰერეთისა, თურდო-შტორის ჴევი, ვიდრე კავკასამდე; დასავლით მთა კახეთისა, რომელსა განჰკუეთს, ერწო-თიანეთს, იორის მდინარე, და მერმე მზღვრის მდინარე არაგჳ, და ჩდილოთ მთა კავკასი. და ამათ-შორისი ქუეყანა არს კახეთი, წილი კახოსისა, და მისის სახელის გამო ეწოდა ამას სახელი ესე, არამედ აწ უწოდებენ ფშავ-ჴევსურსა (რომელთა პირველ ეწოდათ ფხოელნი), თიანეთს, ერწოს, ირტოს-ჴევს, პანკისის ჴეობას, საყდრიონს და ალონს.

ხოლო კუხოსს მისცა საზღვარი: აღმოსავლით მთა კახეთისა; სამჴრით საზღვარი ჰერეთისა, რომელ არს ხუნანის გამოსწურივ გულგულადმდე; დასავლით მტკუარი და არაგჳ; ჩდილოთ იგივე მთა კახეთისა. და ამათ-შორისს ქუეყანას ეწოდა კუხეთი, კუხოსის სახელის გამო, არამედ აწ უწოდებენ თიანეთს, საგურამოს ანუ თეძმის ჴევს (რომელსა ეწოდებოდა ხერკი ამის გამო, ოდეს ლტოლვილნი ნაბუქოდონოსორისაგან მოსრულნი ჰურიანი დასხნა აქა მცხეთელ მამასახლისმან და ყვნა მეხარკედ), კუალად გრდანი, მარტყოფი, ლილო, დიდუბე, სამგორი, ჩადივარი, ომანის ჴევი, ყარაღაჯი და ნაგები და ყარაია. ხოლო ხოსროვანთ გარდავლინებისა შემდგომად, განდგა რა გრიგოლი მთავარი, ამან მოსპო სახელი კუხეთისა და იწოდა კახთა მთავრად ანუ ქორიკოზად. და ამათ მთავრობასა შინა ჯუარს ქუეითს, სამჴრის კერძს, ეწოდა გარდაბანად, არამედ შემდგომად კჳრიკემ, დაიპყრა რა ჰერეთიცა, იწოდა კახთ მეფედ, გარნა ჰერეთს აქუნდა თჳსივე სახელი მოუსპელი.

ხოლო შემდგომად განდგომილებისა ქ{რისტე}სა ჩუდ, ქარ{თულსა} რნდ, მოისპო სახელი ჰერეთისაცა, და იწოდნენ საკუთრად კახთ მეფედ; და ჰერეთს უწოდებენ შემდგომად აწამდე განყოფით ესრეთ: გაღმა მჴარს, ელისენსა, შიგნით-კახეთს, ქისიყს და გარეთს-კახეთს. და არს სრულიად აწინდელის კახეთის საზღვარი: სამჴრით დიდის ალაზნისა და პატარას ალაზნის შესართავი და მუნიდამ ხაზი კავკასამდენ გავლილი და კუალად ხაზი მტკურამდე მისული; აღმოსავლით მთა კავკასი, ლეკეთსა და კახეთს შორისი; დასავლით საზღვარი ქართლისა, რომელი აღვსწერეთ, და მწარე წყალს ქუეით, მტკუარი, და ჩდილოთ მთა კავკასივე.

და მდებარებს ქუეყანა ესე სიგრძით ჩდილო-დასავლეთს შუადამ აღმოსავლეთ-სამჴრეთს შუა, და არს ქართლისა, რანისა, მოვაკანისა და ლეკეთის შუა მდებარე. ხოლო ქუეყნისა ამის საშუალს არს მთა,

რომელი გამოჴდების ფშავ-ღლიღვისსა-შორისის კავკასიდამ და გამოვლის მახჴლის ჴევსა და ფშავს შორის, კუალად ერწო-თიანეთსა და ირტო-საყდრიონს შორის, და ჟალეთის ბოლომდე მდებარებს ჩდილოდამ სამჴრით, მერმე წარმოვალს და მივალს მაღარო-ხორნაბუჯამდე, აღმოსავლეთ-სამჴრეთს შუა მდებარეობს და უძეს აღმოსავლით შიგნით-კახეთი, სამჴრით ქისიყი, დასავლით გარეთკახეთი და ერწო-თიანეთი. და ეწოდების მთასა ამას კავკასის კერძოსაკენ მთა კახეთისა, მერმე გომბორი, შუამთა და ცივი. არამედ მთა კუხეთისა ანუ აწ ზედაძნისა უმეტეს საჩინოდ შემოერთდების მთასა ამას, და მთა ზედაძნისა მობმული არს მთისა სარკინეთისა, რომელსა კუერნაქადცა უწოდებენ თჳნიერ განკუეთისა არაგჴსაგან, ამისთჳს უწოდებენ გომბორის მთასაცა ქისიყამდე კუერნაქად.

არამედ მთასა ამას და კავკასს შორისი ქუეყანა არს ტყიანი შაქამდე და მცირე-ველოვანი, და ამისი დასავლით კერძი, საგარეჯოს ქუეით უტყეო, მცირეთაგან კიდე, ჩალიან-ბალახიანი, ლერწმოვანი, უმდინარო. თჳნიერ იორის მდინარისა, და მცირე-წყაროიანი. ხოლო ჰავითა არიან მშუენნი, ზამთარ თბილი, ზაფხულ ცხელი და არა ეგდენ, მცირე-თოვლიანი, უყინულო, უყინვო, ვინადთგან ვეროდეს განჰყინავს მდინარეთა, და არცა დაადგრების თოვლი დღე სამ, და უქარო. არამედ ალაზნისა და იორის კიდენი და მისნი ქუემოთნი ფრიად ხაშმიანნი, ცხელნი და გაუძლისნი.

„ოპოტის წყლის შესართავის ზეით ალაზანს მოერთვის თურდოსხევი, გამომდინარე შუამთიდამ. ამ ხევზედ არს გულგულა, რომელსა ეწოდა პირველ ტყე-ტბა. ეს ხევი არს საზღვარი ჰერეთისა და კახეთისა“ **(ვახუშტი, აღწერა ჰერეთისა, კახეთისა და კუხეთისა, კუალად თუშეთისა და დიდოეთისა, გეოგრაფია, 1904, გვ.162).**

ვახუშტი ცდებოდა, თურდოს ხევზედ მდებარე გულგულას არ უწოდებდა ლეონტი ტყე-ტბას, არამედ შაქის მთებში, კავკასიის ქედზე, იბერია-ალბანეთის საზღვრო სოფელ ხალხალასთან მდებარე ადგილს (ამჟამინდელ ფილფილასთან), თუმცა აღსანიშნავია, რომ ვახუშტის ცნობა ასახავს იმ საზღვარს, რომელიც დაფიქსირდა იმის შემდეგ, რაც შაქის ჰერეთმა მიიტაცა სამხრეთ კახეთის მიწა-წყალი, მაშასადამე, ვახუშტის ცნობა უფრო მე-9 ს-ის შემდეგ ვითარებას ასახავს, ამ ადგილის ტოპონიმიკა შეცვლილა ამ მიტაცების გამო.

საინტერნეტო გვერდი წერს – „სახელწოდება ხალხალაში მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე კითხულობს გულგულას. გულგულას ადგილსამყოფელი უცნობი ყოფილა ჯერ კიდევ ლეონტი მროველის დროს, მით უმეტეს, მისი ადგილსამყოფელი დაზუსტებით არ სცოდნია ვახუშტისაც – ივ. ჯავახიშვილის კვლევით. ივ. ჯავახიშვილი გულგულას თელავთან არსებობის მოსაზრებას არ იზიარებდა და წერდა:

„ტყეტბა, როგორც საგეოგრაფო სახელი, უკვე ლეონტი მროველის დროს აღარ არსებობდა თურმე და იგი უხსნის თავის მკითხველს, რომ ამ ადგილს „აწ ჰქვიან გოლგოლა“, ახლა გულგულად გამოითქმის. ამ ადგილის (ტყეტბას) მდებარეობას დიდი მნიშვნელობა აქვს კახეთ-კუხეთ-ჰერეთის საზღვრების გამორკვევისათვის და სხვადასხვა მოსაზრებათა გამო ეჭვი გვებადება, ლეონტი მროველი ხომ არ სცთება, როდესაც ძველი ტყეტბა მერმინდელ გოლგოლად იცნა? გოლგოლას სამხრეთით მდებარეობდა თელავი“. მოვსეს კალანკატუაცის ცნობა აჩვენებს, რომ ქართველთა ქვეყნის საზღვარი მდებარეობდა პუნქტ ხალხალამდე. „ქართველთა საზღვრები მახლობლად ქალაქ ხალხალისა“. „მეორე რაზმი ჩააბარა ზორავარ ვარდანს, რათა ქართველთა საზღვრებთან შებრძოლებოდა ჩორის მარზპანს, რომელიც წამოსული იყო ალვანთა ეკლესიების დასარბევად“.

ივ. ჯავახიშვილის რედაქტორობით 1923 წელს გამოცემულ საქართველოს ისტორიულ რუკაზე საქართველოსა და ალვანეთს შორის საზღვარზე მართლაც აღნიშნულია პუნქტი სახელწოდებით ხილხა-

ლა. პუნქტი ხილხალა საქართველოსა და ალბანეთს შორის საზღვარზე იდო. აღნიშნული პუნქტი შაქსა და კაბალას შორისაა. დღესდღეობით შემორჩენილია სოფელი სახელწოდებით ფილფილა. მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე ალბანეთის დროინდელ საზღვარ ხილხილას უკავშირებს ქართლოსის დროინდელ ტყეტბა-გულგულას და მიაჩნია, რომ გულგულა-გოლგოლა-ხალხალა-ფილფილა ეტიმოლოგიურად ერთი და იგივე ძირის მატარებელნი არიან. მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე, „საქართველოს ისტორია“, I ნაწილი, გვ. 111–113 .

ძველი ქართული საისტორიო გეოგრაფია აღნიშნულ საზღვრებს რომ აღიარებდა XX ს-მდე, ეს ჩანს თვით იაკობ გოგებაშვილის წიგნიდან, რომელშიც ყმაწვილებს უხსნიდა – „ცივ-გომბორის მთა კახეთს ორ ნაწილად ჰყოფს: იქითა, აღმოსავლეთის ნაწილს, „შიგნით კახეთი“ ჰქვია, აქეთას – დასავლეთისას – „გარეთ კახეთი“, უწინდელს დროში პირველს „საკუთრივ კახეთს“ უწოდებდნენ, მეორეს „კუხეთს“ ეძახდნენ. შიგნით კახეთს ალაზანი რწყავს, გარეთ კახეთს იორი“, – წერდა გოგებაშვილი, რომელიც იმეორებდა ძველი ქართული საისტორიო ისტორიოგრაფიის ათასწლოვან თვალსაზრისს.

როგორც ითქვა, XXს-ის საბჭოთა ეპოქის ისტორიოგრაფიამ არ ცნო ეს საზღვრები, მან კახეთის მიწა-წყალი თელავამდე – ჰერეთში შეიყვანა, თუმცა, ივ. ჯავახიშვილის სიტყვით – „კახეთის, კუხეთისა და ჰერეთის საზღვრები ზოგჯერ ერთმანეთში ირევა“ (ივ. ჯავახიშვილი, II, გვ. 41).

კახეთ-ჰერეთის საზღვრები ისაზღვრებოდა „იმისდა მიხედვით, თუ რომელი კუთხე ჰეგემონობდა ამა თუ იმ ისტორიულ პერიოდში და თავის საზღვრებს აფართოებდა, მაგალითად, ერთ პერიოდში (IX–X სს.) ჰერეთი – კახეთსაც მოიცავდა, და პირიქით, კახეთში ჰერეთის ნაწილიც შედიოდა“ (იქვე, გვ. 41).

ასეთი მიზეზების გამო „ვახუშტის ჰერეთისა და კახეთის საზღვრების შესახებ მასალები არ ჰქონია“ (ივ. ჯავახიშვილი, II, გვ. 41).

გიშისწყალი და ალიჯანჩაი – საზღვარი ისტორიულ კახეთსა და სხვადასხვა პოლიტიკურ-ადმინისტრაციულ ერთეულს შორის

ლეონტის ცნობით ტყეტბა – გულგულა **„მტკვრის ჩრდილოთ“**, ანუ მტკვრის ახლო რეგიონში მდებარეობდა, ასეთი მაგალითად, ყოფილა ეღიშეს მიერ დასახელებული ხალხალა, რაც შეეხება თელავის გულგულას, ის გეოგრაფიულად ძალზე დაშორებულია მტკვარს, თითქმის 300 კილომეტრით.

თელავის გულგულას დაკავშირება მტკვართან შეუძლებელია, გეოგრაფიული შეუსაბამობის გამო. მტკვარსა და თელავს შორის სხვა დიდ მდინარეთა ხეობებია.

თუკი, იბერია-ალბანიის საზღვარი არ გადიოდა თელავის გულგულასთან, მაშ სად გადიოდა ის?

ივანე ჯავახიშვილიც აღნიშნავდა, რომ საეჭვოა გულგულას ლოკალიზება თელავთან, რომ ამ პუნქტის შესახებ ვახუშტისაც, მე-18 ს.-ში, უკვე აღარ ჰქონია ცნობები. **ტყეტბა-გულგულას მდებარეობა თელავთან ახლოს, ეეჭვებოდა ივ. ჯავახიშვილს.**

ამის მიუხედვად, ამჟამად მტკიცედაა მიჩნეული, რომ ის თელავთან, მის ოდნავ ჩრდილოეთით, თურდოს ხევთან მდებარეობდა.

ივ. ჯავახიშვილი წერს – **„ტყეტბა, როგორც საგეოგრაფო სახელი უკვე ლეონტი მროველის დროს აღარ არსებობდა თურმე და იგი უხსნის თავის მკითხველს, რომ ამ ადგილს „აწ ჰქვიან გოლგოლა“, ახლა გულგულად გამოითქმის (ივ. ჯავახიშვილი, ტ.II, 1983, გვ.46).**

ივ. ჯავახიშვილი წერს – **„ამ ადგილის (ტყეტბას) მდებარეობას დიდი მნიშვნელობა აქვს კახეთ-კუხეთ-ჰერეთის საზღვრების გამორკვევისათვის და სხვადასხვა მოსაზრებათა გამო ეჭვი გვებადება, ლეონტი მროველი ხომ არ სცდება, როდესაც ძველი ტყეტბა მერმინდელ გოლგოლად იცნა? გოლგოლას სამხრეთით მდებარეობდა თელავი“ (ივ. ჯავახიშვილი, ტ.II, 1983, გვ.46).**

თუ თვით ლეონტი მროველის დროს უკვე აღარ იცოდნენ, თუ სად მდებარეობ-

და ტყეტბა-გოლგოლა, მით უმეტეს მე-18 საუკუნეში, ვახუშტი ბატონიშვილის დროს, ხოლო ივ. ჯავახიშვილს, როგორც ითქვა, ძალზე ეეჭვებოდა ამჟამად აღიარებული მოსაზრება, რომ ეს პუნქტი თელავთან მდებარეობდა.

მასაშადამე, თელავთან ახლოს მდებარე პუნქტი გულგულა არაა ლეონტის მიერ ნახსენები „გოლგოლა“ (გულგულა), ლეონტი, ჩანს, პუნქტ „ხალხალას“ გულისხმობდა.

ჩვენ, ქვემოთ, ვცდილობთ სხვადასხვა მეთოდით დავამტკიცოთ, რომ იბერია-ალბანეთის სასაზღვრო მდინარეების აგრიჩაის (გიშისწყლის), ალიჯანჩაისა და ტურიანჩაის სათავეებთან ახლოს, კავკასიის მთებში ამჟამადაც მდებარე სოფლები ხალხალა (იგივე ხილხილი) და ფილფილის არეალში მდებრეობდა ლეონტი მროველის მიერ ნახსენები ტყეტბა-გულგულა.

აღსანიშნავია, რომ ეტიმოლოგიურად სიტყვები „ხალხალა“ და „გოლგოლა“ თითქმის იდენტურია, გოლგოლა „მტკვრის ჩრდილოეთ“, ანუ მის მარცხენა სანაპიროზე მდებარეობდა, ასეთია ვართაშენთან ახლოს მდებარე ხალხალა. მას უნდა ახსენებდნენ წყაროები.

ლეონტის ცნობის შესატყვისად, ამჟამინდელი ხალხალა „მტკვრის ჩრდილოთ“ მდებარეობს და საზღვარი ხალხალაზე გადიოდა ეღიშესა და კალანკატუაცის ცნობებით, ასეთია ოგუზის, ანუ ვართაშენის რაიონის პუნქტი ხალხალა.

ხალხალა იმით იყო ცნობილი, რომ მასზე გადიოდა და ამჟამადაც გადის გზა, რომელიც მტკვრის ამ რეგიონს აკავშირებს ჩრდილოეთ კავკასიასთან.

ისტორიულად, ეს ხალხალაზე გამავალი გზა აკავშირებდა ალბანეთის ქალაქ ბარდას კასპიისპირეთის ქალაქ ჩორდთან (ჩორთან). ამ გზით შემოდიოდნენ არა მხოლოდ ვაჭრები, არამედ დამპყრობლებიც. თუმცა, რამდენიმე ათეულ კილომეტრში, ამავე რეგიონში, ვაკეზე, ასევე არსებობდა მეორე ქალაქი ამავე სახელით „ხალხალა“. ისიც სასაზღვრო ქალაქი იყო.

რადგანაც ჩვენ ვეძებთ საზღვარს იბერიასა და ალბანეთს შორის, საჭიროა დაზუსტება, კავკასიის მთებში მდებარე ხალხალას პირობითად ვუწოდოთ „ვართაშენის“ ან „ოგუზის ხალხალა“. ის უნდა ყოფილიყო საზღვრის მნიშვნელოვანი წერტილი, ჩანს, მას უწოდებს ლეონტი ტყე-ტბა გოლგოლას, მართლაც, აქ შესანიშნავი ტყეები და ტბებია, როგორც ეს მის ფოტოზეც ჩანს.

ნამდვილი ტყე-ტბაა სოფლებს ხალხალასა და ფილფილას შორის. ოგუზის რაიონი შეფენილია კავკასიის სამხრეთ ფერდზე და იმდენად მშვენიერი ბუნებისაა, რომ უწოდებენ აზერბაიჯანის შვეიცარიას. მისი ტერიტორიის ნახევარი დაფარულია ტყეებით, აქ ბევრია ჩანჩქერი, წყარო, ხარობს ხეხილი, აქ მდებარეობდა ლეონტი მროველის მიერ დასახელებული ტყე-ტბა-გულგულა, აქ ერთ-ერთ ქედს ეწოდება გურჯი-დაღი, ადგილობრივების გადმოცემით ამ ქედზე გადიოდა საზღვარი საქართველოსთან. (სახელი „ოგუზი“ დაარქვეს ყოფილ ვართაშენის რაიონს).

ოგუზის ხალხალადან გავლებული სასაზღვრო ხაზი, რომელიც უერთდებოდა იორ-ალაზნის შესართავთან მდებარე ჰერების ქალაქს ხორანთას – უნდა ყოფილიყო საზღვარი იბერიასა და ალბანიას შორის, ეს ხაზი გაჰყვება კავკასიის მთებიდან გამომავალ ალაზნის მთავარ შენაკად გიშისწყალს, რომელიც ხორანთასთან ახლოს, უკვე ალაზნად სახელდებული, ერთვის მტკვარს.

ეს მდინარე (ალაზანი გიშისწყალთან ერთად, ანდა ახლოს ასევე კავკასიის მთიდან ჩამომავალი რომელიმე მდინარე, მაგალითად, ალიჯანჩაი), რომელიც დაბლობზე, ამ რეგიონში, მტკვარს ერთვის, უნდა იყოს საზღვარი იბერიასა და ალბანეთს შორის.

მაშასადამე, ჩვენი აზრით, ოკაზანი არის კავკასიის მთებიდან გამომდინარე მთავარი შენაკადი ალაზნისა (ყველაზე წყალუხვი სხვა შენაკადთა შორის), რომელიც ალაზანს ერთვის და უკვე ალაზნად სახელდებული აქვე, დაბლობზე, უერთდება მტკვარს, ის უნდა ყოფილიყო საზღვარი იბერებსა და ალბანელებს შორის ამ მტკვრისპირა დაბლობზე.

მრავალი საუკუნის მანძილზე გიშისწყლის სათავე (იქ, სადაც ოდესღაც არსებობდა ტყეტბა-გულგულა), ამჟამინდელ სოფლებ ხალახალასა და ფილფილასთან ახლოს, წარმოადგენდა კახეთის სამეფოს სასაზღვრო წერტილს. კახეთის სამეფოს სასაზღვრო ხაზი იწყებოდა იორ-ალაზნის შესართავთან, გაივლიდა აჯინოურის ტბას და უერთდებოდა სოფელ ფილფილას. ეს იყო კახეთის ტრადიციული საზღვარი და ლეონტი მროველიც ამ საზღვარს აღწერს ჰეროსის წილხვედრი ქვეყნის საზღვრის გადმოცემისას, კერძოდ კი, ეს ხაზი ერთმანეთისაგან ყოფდა ისტორიულ კახეთსა და ჰერეთს. **„XVII საუკუნის დასაწყისამდე კახეთის აღმოსავლეთი საზღვარი იწყებოდა იქ, სადაც იორ-ალაზანი მდ. მტკვარს უერთდება, შემდეგ მიემართებოდა ჩრდილოეთით აჯინოურის ტბის გასწვრივ, კვეთდა მდ. აგრიჩაის და მდ. გიშისწყლის (გიშჩაი) გაყოლებით კავკასიონის ქედამდე გადიოდა“.**
https://ka.wikipedia.org/wiki/kaxeTis_samefo.

ამ მოსაზრებას ამტკიცებს ის, რომ სწორედ ამ ხაზზე გადიოდა არაბობის დროს გურზანისა (გურჯისტანის) და ალრანს (რანს) შორის საზღვარი, აქ გადიოდა შუა საუკუნეებში კახეთის სამეფოს საზღვარი, აქ ახლაც გადის საზღვარი აზერბაიჯანის ორ ეკონომიკურ რაიონს შორის (ზაქათალა-შექის ეკონომიკური რაიონი აქ ესაზღვრება შირვანის ეკონომიკურ რაიონს).

თუ ეს მოსაზრება სწორია, მაშინ დაცულია პლინიუსის ყველა მინიშნება იბერია-ალბანიის საზღვართან დაკავშირებით, კერძოდ, საზღვარი გადის დაბლობზე, მდინარეზე, რომელიც გამოედინება კავკასიის მთებიდან და უერთდება მტკვარს.

ოკაზანი მდინარე ალიჯანჩაია ანდა გიშისწყალია (აგრიჩაი), რომელიც ალაზანთან შერევის შემდეგ უკვე თვითონაც ალაზნად იწოდება.

როგორც აღინიშნა, იბერია-ალბანიის საზღვარზე პუნქტ ხალხალას შესახებ აღნიშნავენ ედიშე და მოვსეს კალანკატუაცი.



ამ რუკაზე კახეთის სამეფოს საზღვარს წარმოადგენს მდ. გიშისწყლის შენაკადი
Kingdom – of – Georgia – after – dissolution – as – a – unified – state, – 1490 – AD.svg.png

მდინარე გიშისწყალთან ახლოს მდებარეობს ორი პუნქტი „ხალხალა“, ერთი ალაზნის მტკავრთან შესართავის ახლოს, მეორე მის შენაკად გიშისწყლის სათავეში.

მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე მდებარე ხალხალა სულ რამდენიმე კილომეტრითაა დაშორებული ალაზან-მტკვრის შესართავს, ხოლო მარცხენა სანაპიროზე მდებარე ხალხალა არის გიშისწყლის სათავეში, მთაში (გიშისწყალს აღნიშნულ რუკაზე „გეტარუ“ ეწოდება).

ორივე ხალხალა საზღვარზე იყო იბერიასა და ალბანეთს შორის, სხვათაშორის, მთის ხალხალასთან ახლოს, სოფელ ფილფილასთან მე-20 საუკუნეშიც კი ადგილობრივები ერთ-ერთ იქაურ ქედს უწოდებდნენ „გურჯი დაღს“ და აღნიშნავდნენ, რომ ის იყო საზღვარი ძველი საქართველოსი. „Село **Филь-Филли**, Самое высокогорное село Огузского района р. Азербайджан. 1160 метров над уровнем моря. Расположена на правом берегу реки Галачай, у южного склона Кавказских гор, в 10 км. на север от деревни Хачмаз. Так же граничит с лезгинскими сёлами: Мухас, Халхал. На севере граничит с Селом Фий Ахтынского района р. Дагестан“ https://vk.com/wall-42106541_925

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ან ფილფილა, ანდა ხალხალი იყო ის ტყე-ტბა-გოლგოლა, რომელიც ლეონტი მროველის სიტყვით ერთმანეთისაგან საზღვრავდა ჰერეთსა და კახეთს.

ამიტომ, ალბათ, შეიძლება ისიც ვიფიქროთ, ფილფილასთან ახლოს კავკასიის მთებიდან გამომავალი მდინარე გალაჩაი, რომელიც აქვე, დაბლობში მტკვარს უერთდება, იწოდებოდა კიდეც ოკაზანად პლინიუსის დროს.

მაშასადამე, ოთხი წყაროს – პლინიუს უფროსის, ედიშეს, მოვსეს კალანკატუაცისა და ლეონტი მროველის ურთიერთშეჯერებით მივედით დასკვნამდე, რომ საზღვარი იბერიასა და ალბანიას შორის ერთმანეთს აერთებდა ხორანთასა და ხალხალას (ოგუზ-ვართაშენთან).

აღსანიშნავია, რომ სწორედ ამ ხაზზე გადიოდა საზღვარი მე-8 საუკუნეში არაბების მიერ დაპყრობილ გურზანსა (გურჯისტანსა) და ალბანეთს (რანს) შორის (არაბებმა დაპყრობილ ალბანეთს „ალ-არმინიია 1“ უწოდეს, ხოლო გურზანს „ალ-არმინიია 2“, მათ შორის საზღვარი მოცემულია რუკაზე), ასევე სხვა ადმინისტრაციული ერთეულებისა თუ სახელმწიფო წარმონაქმნებისა საუკუნეთა მანძილზე, რაც მოცემულია ქვემოთ.

ამ რუკაზე, საზღვარი გურჯისტანსა და არანს (ალ-არმინიია 1) შორის გადის მდ. ალიჯანჩაისთან
https://upload.wikimedia.org/wikipedia/commons/c/c4/Emirate_of_Armenia_750-885.png

შეიძლება ისიც აღინიშნოს, რომ ხალხალასა და ფილფილასთან კავკასის მთებიდან გამომდინარე აგრიჩაისა და გალაჩაის შორის, მიწის ძალზე მცირე მონაკვეთში გაედინება კავკასიის მთებიდან გამომავალი მდინარე ალიჯანჩაი (Алиджанчай).

ეს სამი მდინარე – აგრიჩაი, გალაჩაი და ალიჯანჩაი მთიდან გამოედინებიან ერთმანეთთან ძალზე ახლოს, შემდეგ კი იყოფიან დიდ ვაკეზე. როგორც ითქვა, დიდი ვაკის გავლის შემდეგ ალიჯანჩაი და გალაჩაი უშუალოდ მტკვარს უერთდებიან, მესამე კი, აგრიჩაი ალაზანს უერთდება. ანუ ისინი აკმაყოფილებენ წყაროს მოთხოვნას, რომ კავკასიის მთებიდან გამომავალი მდინარე უნდა უერთებოდეს მტკვარს, თანაც აქაა პუნქტები წყაროსვე მიერ მოცემული მოთხოვნის შესაბამისი ეტიმოლოგიისა.

მდ. აგრიჩაი გაედინება დიდ ველზე, რომელსაც ოფიციალურად ეწოდება „ალაზან-აგრიჩაის ვაკე“, ხოლო გალაჩაი და მდ. ალიჯანჩაი მტკვარს უერთდებიან „შირვანის ვაკეზე“.

ეს ორი ვაკე ერთმანეთს უერთდება იმ რეგიონში, სადაც უნდა ყოფილიყო საძიებელი საზღვარი.

აქვე, იორ-ალაზნის შესართავთანაა აჯინოურის დიდი ვაკე თავისი ტბით, რომელსაც ასევე აჯინოური ეწოდება. აქ, ამ ტბასთან გადიოდა კახეთის სამეფოს საზღვარი საუკუნეთა მანძილზე, ვიდრე მე-17 საუკუნემდე, და შემდეგაც, რომელიც იწყებოდა იორ-ალაზნის შესართავთან და ამ ტბის გავლით მიემართებოდა გიშისწყლის სათავისაკენ. ასეთი იყო სასაზღვრო ხაზი კახეთის სამეფოსი ამ რეგიონში.

იბერიასა და ალბანეთს შორის საზღვარი, წყაროს შესაბამისად, უნდა ვეძიოთ სწორედ აქ, კავკასიის მთებიდან გამომავალ აღნიშნულ მდინარეებთან, სადაც ერთმანეთს უერთდება ორი დიდი მტკვრისპირა ვაკე, ამჟამადაც აქ გადის საზღვარი „შექი-ზაქათალას ეკონომიკური რაიონსა“, ხოლო წინა საუკუნეებში აქ გადიოდა საზღვარი იბერიასა და ალბანეთს, მე-8 საუკუნისათვის კახეთსა და ჰერეთს შორის.

ამჟამადაც კი, 21-ე საუკუნეში, საზღვარი შაქი-ზაქათალასა და შირვანის ოლქებს შორის გადის იქ, სადაც ჩვენ ოთხი წყაროს ურთიერთშეჯერებით დავადგინეთ საზღვარი იბერიასა და ალბანეთს შორის.
http://www.azerbaijan.az/portal/Society/Tourism/tourism_r.html?tourism_04https

საბოლოოდ, პლინიუს უფროსის, ეღიშეს, მოვსეს კალანკატუაცისა და ლეონტი მროველის ურთიერთშჯერებით, უნდა დავასკვნათ:

დასკვნა:

იბერიასა და ალბანეთს შორის საზღვრად დასახელებული მდინარე ოკაზანი შესაძლოა იყოს იორ-ალაზნის შესართავთან ახლოს კავკასიის მთებიდან გამომავალ მდინარეთაგან რომელიმე, ესენია – გიშისწყალი (აგრიჩაი), გალაჩაი და ალიჯანჩაი.

გიშისწყალი ალაზანთან შერთვის შემდეგ მალევე უერთდება მტკვარს დაბლობზე, მას, ვახუშტი მიიჩნევდა ჰერეთის საზღვრად.

ალიჯანჩაი, რომელიც პლინიუსის ცნობის შესაბამისად კავკასიის მთებიდან გამოედინება და დაბლობში მტკვარს უერთდება, რეალურად მრავალი საუკუნის მანძილზე იყო საზღვარი კახეთის სამეფოსი, ასევე, არაბობის დროს ეს მდინარე საზღვარავდა ერთამანეთისაგან გურზან-გურჯისტანის ოლქს (ალ-არმინიია II) და რანის ოლქს (ალ-არმინიია I), შემდეგ კი ამ მდინარეზე გადიოდა სხვადასხვა პოლიტიკურ-ადმინისტრაციული ოლქების საზღვრები. ჩვენი მტკიცებით უფრო ამ მდინარე ალიჯანჩაიზე გადიოდა იბერია-ალბანეთის საზღვარი პლინიუსის ეპოქაში.

ეს სამი მდინარე – აგრიჩაი, გალაჩაი და ალიჯანჩაი კავკასიის მთებიდან გამოედინებიან ამჟამინდელ სოფელ ხალხალასთან და სოფ. ფილფილთან ახლოს შემდეგ კი იყოფიან დიდ ვაკეზე. ამ სოფლებთან ახლოს, ჩვენი შეხედულებით, ეგულებოდა ლეონტი მროველს კახეთ-ჰერეთის სასაზღვრო პუნქტი „ტყეტბა გულგულა“. ხალხალი ისტორიულად იბერიის სასაზღვრო წერტილი იყო.

როგორც ითქვა, ალიჯანჩაი და გალაჩაი დიდი ვაკის გავლის შემდეგ უშუალოდ მტკვარს უერთდებიან, მესამე კი, აგრიჩაი ალაზანს უერთდება. ანუ ისინი აკმაყოფილებენ წყაროს (პლინიუსის) მოთხოვნას, რომ კავკასიის მთებიდან გამომავალი მდინარე უნდა უერთებოდეს მტკვარს, თანაც აქაა პუნქტები წყაროსვე მიერ მოცემული მოთხოვნის შესაბამისი ეტიმოლოგიისა.

შესაბამისად, რომელიმე ამ მდინარეთაგანი (აგრიჩაი, გალაჩაი და ალიჯანჩაი) ერთმანეთისაგან ყოფდა იბერებსა და ალბნელებს ხორანთასთან ახლოს.

ზოგიერთი ქართველი მეცნიერის შეხედულება ჰერეთთან და ალბანეთთან დაკავშირებით

საბჭოური ისტორიოგრაფიის თანახმად, ჰერები ალბანელები იყვნენ, რომელნიც შემდგომში გაქართველდნენ და თანაც, თითქოსდა, ალბანელები კახეთის თავდაპირველ მოსახლეობას წარმოადგენდნენ.

ეს საკითხი ასევეა მოცემული 2012 წ. გამოცემულ, „საქართველოს ისტორიის“ II ტომში, რომლის მიხედვითაც ჰერები მიიჩნევა არა ქართველებად, არამედ ალბანელებად, კერძოდ, იქ ნათქვამია: **„ჰერებს ქართველთა მეზობლად მოსახლე ერთ-ერთ ალბანურ ტომად მიიჩნევენ, რომელმაც იბერიის გავლენის შედეგად განიცადა ქართიზაცია“** (საქართველოს ისტორია, 2012, ტ. II, გვ. 180).

ამასთანავე მიიჩნევა, თითქოსდა, ისტორიულად ჰერეთს ეკუთვნოდა ამჟამინდელი კახეთის მიწა-წყალის დიდი ნაწილი – ბოდბე, დავითგარეჯის მონასტრების ტერიტორია.

იქვე აღნიშნულია, თითქოსდა, ჰერეთში მოღვაწეობდნენ სირიელი მამები: **„ჰერეთში მოღვაწეობდნენ ცნობილი სირიელი მამები: დავით გარეჯელი, იოსებ ალავერდელი, აბიბოს ნეკრესელი, სტეფანე ხირსელი“** (იქვე, გვ. 181), – წერს II ტომის ავტორი. ჰერეთი კი გაქართველებულ ალბანელებად მიაჩნიათ. ჰერ-ალბანელებს აკუთვნებენ ბოდბე-გურჯაანის რეგიონში მცხოვრებთაც, რომელთა ქართიზაცია თითქოსდა მოხდა ჯერ კიდევ ჩვენს ერამდე. მაშასადამე, ამ II ტომის

ავტორის წარმოდგენით გარეჯა, ალავერდი, ნეკრესი და ხირსა ჰერეთში შედიოდა, სადაც სირიელი მამები – დავითი, იოსები, აბიბოსი და სტეფანე მოღვაწეობდნენ, თუკი **„ჰერები ქართველთა მეზობლად მოსახლე ერთ-ერთ ალბანურ ტომად მიიჩნევა“** (როგორც ის წერს), მაშინ დავით გარეჯა, ალავერდი, ნეკრესი და ხირსა (აღნიშნული ავტორის ლოგიკით) ალბანელების ისტორიული მიწა-წყალი ყოფილა (ამჟამად, დავით გარეჯას ალბანელების სახელის გამოყენებით გვედავებიან კიდეც).

აღნიშნული ავტორის მოსაზრება, რომ ჰერეთი არ იყო ქართული ქვეყანა და ჰერები ისტორიულად არ იყო ქართული ტომი, არაა ორიგინალური, რადგანაც 2012 წელს გამოცემულ საქართველოს ისტორიაში გამეორებულია საბჭოთა ისტორიოგრაფიაში შემუშავებული თეორია კახეთის დიდი ნაწილის ე.წ. ქართიზაციის შესახებ.

2005 წელს, საერთაშორისო კონფერენციაზე, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის სახელით წარდგენილ იქნა მოხსენება – **„ქართული ეკლესია და სახელმწიფო ტერიტორია** შუა საუკუნეებში, სადაც ნათქვამია: **„ქართული ეკლესიის კულტურულ-იდეოლოგიური პროზელიტიზმი** წინასწარ ქმნიდა მკვიდრ ნიადაგს პოლიტიკური პროცესების წარმატებით განვითარებისათვის“ [დ. მუსხელიშვილი. ქართული ეკლესია და სახელმწიფო ტერიტორია შუა საუკუნეებში. საქართველოს საპატრიარქოს ქრისტიანული კვლევის საერთაშორისო ცენტრი, II საერთაშორისო სიმპოზიუმი, 24–26 ნოემბერი, 2005].

ქართველი მეცნიერი წერს:

– მეფე მირიანის დროს ბოდბე ახლად შემოერთებული იყო, აქ **„ალბანელებიც (ჰერები) ცხოვრობდნენ ... მათი საბოლოო ასიმილაცია დროის ამბავი იყო“** –

და განაგრძობს –

„ჩანს, მირიან მეფის და წმიდა ნინოს ინტენსიური კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობა მიმართული იყო ჰერეთში ქართული ქრისტიანობის გავრცელებისაკენ... რომელიც წინააღმდეგობას აწყდებოდა არა მხოლოდ ალბანელთაგან, არამედ სომხებისგანაც“

(დ. მუსხელიშვილი. საქართველო IV–VIII საუკუნეებში, 2003, გვ. 38).

მრავალ მეცნიერს მიაჩნია, რომ ჰერეთ-ალბანეთი ერქვა კახეთის მიწა-წყალს ვიდრე თელავის სოფელ გულგულამდე, რომელიც ისტორიულ პუნქტ „ტყეტბა-გოლგოლად“ მიაჩნიათ,

შესაბამისად, მიაჩნიათ, რომ სამხრეთ კახეთის მოსახლეობა, თითქოსდა, გაქართველებული ალბანელები და სომხები იყვნენ და წმიდა ნინო მათ აქართველებდა.

ეს თეორია ეწინააღმდეგება საეკლესიო წყაროებს, არა მხოლოდ ქართულს, სომხურსაც კი.

მაგალითად, ამ თეორიის საწინააღმდეგოა მოვსეს ხორენაცის ცნობა, რომ **წმიდა ნინო ქადაგებდა ქართველთა შორის ვიდრე მასქუთებამდე** (ამჟამინდელ შუაგულ აზერბაიჯანამდე).

მოვსეს ხორენაცი, მეხუთე საუკუნის მოღვაწე, შეიძლება ითქვას, თითქმის წმიდა ნინოს თანამედროვე იყო, მის დროს შეიძლება ჯერ კიდევ ცოცხალი იყო წმიდა ნინოს მომსწრე რომელიმე პიროვნება, ამიტომაც მოვსეს ხორენაცის ცნობა გაცილებით სანდოა, ვიდრე მე-20 საუკუნის მკვლევართა მტკიცებანი.

მოვსეს ხორენაცს მოსახლეობა „კლარჯეთიდან მასქუთებამდე“ (ანუ კასპიის ზღვისპირეთში მცხოვრებ ტომ მასქუთებამდე) ეთნიკურ ქართველებად მიაჩნია (აქამდე, „ქართველთა ქვეყანაში“, იქადაგა წმიდა ნინომ) და არა სომხებად, ანდა ალბანელებად (ჰერებად), როგორც წარმოადგინა საბჭოთა ისტორიოგრაფიამ.

სომხური საისტორიო მწერლობის მამა, სომეხთა ჰეროდოტედ წოდებული, მოვსეს ხორენაცი წერს:

„სანატრელი ნუნე წავიდა იქედან (ე.ი. მცხეთიდან), რათა თავისი ადვილგასაგები საუბრით **ქართველთა ქვეყნის სხვა კუთხეებიც დაემოძღვრა.** გავბედავ და ვიტყვი, რომ ნუნე მოციქული ქალი გახდა. მან **იქადაგა სახარება კლარჯე-**

თიდან დაწყებული ვიდრე ალანთა და კასპიის კარამდე, მასქუთთა საზღვრებამდე, როგორც ამას აგათანგელოზი გვაუწყებს“ (მოვსეს ხორენაცი „სომხეთის ისტორია“, 1984, გვ. 172).

მცხეთიდან ვიდრე მასქუთებამდე მდებარე ვრცელი ოლქები მ. ხორენაცის **„ქართველთა ქვეყნის კუთხეებად“** მიაჩნია.

წმიდა ნინოს სომხები, ანდა თუნდაც ალბანელები (ჩვენი მეცნიერის აზრით, იგივე ჰერები) რომ გაექართველებინა, როგორმე ხორენაცი მიუთითებდა ამის შესახებ, მაგრამ ის სულ სხვა რაიმეს გვაუწყებს, კერძოდ, **საზღვრავს ქართველების ეთნიკურ განსახლებას – კლარჯეთიდან ვიდრე ალანთა და კასპიის კარამდე (ე.ი. კასპიის ზღვამდე) და ვიდრე მასქუთთა საზღვრამდე – ამ საზღვრებში ქართველები სახლობენ, მათ უქადაგა წმიდა ნინომ.**

ასე რომ, ხორენაცის აზრით, დარიალამდე (ალანთა კარამდე) მცხოვრები დვალები გაქართველებული ვაინახები კი არ იყვნენ, როგორც წარმოუდგენია საბჭოური ეპოქის ისტორიოგრაფიას, არამედ ქართველები,

ასევე, მასქუთების ქვეყნამდე, ანუ მტკვარ-არაქსის შესართავამდე, მცხოვრები **ჰერები მოვსეს ხორენაცს ეთნიკურ ქართველებად მიაჩნია და არა ალბანელებად.**

ხორენაცისაგან განსხვავებით, ქართველი მეცნიერი ფიქრობს, რომ წმიდა ნინოს „პროზელიტიზმის **სიმბოლო“ აღუმართავს ახლად შემოერთებულ ალბანურ ქალაქ ბოდისში** (უჯარმა – ბოდბეში) და წერს – **„მგონია ასე უნდა გავიგოთ წმიდა ნინოს გადაწყვეტილება, რომ ჯვარი – ქრისტიანული პროზელიტიზმის სიმბოლო – „აღიმართოს იგი უჯარმას ქალაქსა და დაბა ბოდისი არა წინ აღუდგეს ქალაქსა მას მეფეთასა, რამეთუ ერისა სიმრავლე არს მუნ“** (დ. მუსხელიშვილი, საქართველო IV–VIII საუკუნეებში, 2003, გვ. 38).

ბოდბესთან ჩამოყალიბდა, ჩვენი მეცნიერის სიტყვით, **„ორი ფაქტობრივად ეთნიკურად ერთმანეთისაგან განსხვავებული ქვეყანა ერთ კულტურულ ერთეულად“** (დ. მუსხელიშვილი. საქართველო IV–VIII საუკუნეებში, 2003, გვ. 38).

აქედან ჩანს, რომ საბჭოთა ეპოქის ისტორიკოსების აზრით, წმიდა ნინო ქართლის გარდა, ალბანეთშიც მოღვაწეობდა და მან ალბანეთის ქვეყნის ერთი ნაწილი ქართულ ეკლესიას შემოუერთა.

მათ მიერ ბოდბის მიჩნევა არა ქართლის, არამედ ჰერეთ-ალბანეთის ქალაქად, ქართულ წყაროებს ეწინააღმდეგება.

წმიდა ნინო ქართველთა განმანათლებელია და არა ალბანელებისა. ჯვარი არ არის პროზელიტიზმის სიმბოლო, როგორც ისტორიკოსი წერს. საქართველოს ეკლესიას ჯვარი პროზელიტური მიზნით არასოდეს გამოუყენებია, მით უმეტეს, არაქართული ტომების „ასიმილაცია – გაქართველების“ მიზნით; ასეთი მოსაზრება უსაფუძვლოა, იგი არ ეყრდნობა წყაროებს.

ეს არაა ერთეული ისტორიკოსების კერძო მოსაზრება, არამედ არის საბჭოური ეპოქის ქართული ისტორიოგრაფიის უმთავრესი თვალსაზრისი, რომელიც აისახა კიდეც ეპოქის ოფიციალურ გამოცემებში.

იგივე ითქმის წმიდა ასურელი მამების მიმართაც, ისინი ქართლში ქადაგებდნენ და არა ალბანეთში, როგორც ამჟამად მიიჩნევა.

ასურელი მამებისათვის კახეთი ქართლის ნაწილი იყო, ქართულენოვანი ხალხით დასახლებული, ამიტომაც, წაჯროს ცნობით – მათ უფლის მიერ მიენიჭათ ქართული ენის ცოდნა, რათა ამ ენით ექადაგათ, მათ შორის ქართლის ერთერთ ნაწილ – კახეთში.

ასურელი მამის დავით გარეჯელის „ცხოვრება“, ისევე, როგორც სხვა ასურელი მამებისა, გვამცნობს, რომ მათ, როცა ისინი ჯერ კიდევ სირიაში იყვნენ, თვით უფალმა **ღმერთმა უბრძანა, რომ სირიიდან წასულიყვნენ „ქართლის ქვეყანაში“** და იქ ექადაგათ, ანუ ასურელი მამები უფლის ბრძანებით ჩამოვიდნენ ქართლში (ქართლში და არა ჰერეთ-ალბანეთში).

შესაბამისად, ასურელი მამები ქადაგებდნენ ქართლში და არა ჰერეთ-ალბანეთში, ასე წერს წყარო.

ამიტომ 2012 წელს ზოგიერთი ცნობილი ისტორიკოსების მტკიცება, რომ ასურელი მამები ჰერეთში მოღვაწეობდნენ, არის წყაროს გამრუდება, მით უფრო, რომ მათ ჰერეთი არაქართულ, ალბანურ, ქვეყნად მიაჩნიათ, რომელიც გარკვეულ ეტაპზე თითქოსდა გაქართველდა.

მაშასადამე, არასწორია ზოგიერთი ცნობილი ისტორიკოსი, როცა წერს – **„ჰერეთში მოღვაწეობდნენ ცნობილი სირიელი მამები: დავით გარეჯელი, იოსებ ალავერდელი, აბიბოს ნეკრესელი, სტეფანე ხირსელი“** (იქვე, გვ. 181).

როგორც ითქვა, დავითგარეჯა, ალავერდი, ნეკრესი და ხირსა ისტორიულად კახეთის პუნქტები იყო და არა ჰერეთისა, რადგანაც ჰერეთი მოქცეული იყო მდ. გიშისწყალსა და აღსუს (თეთრწყალს შორის), საზღვარი კახეთსა და ჰერეთს შორის გადიოდა მდ. გიშიწყალთან, კერძოდ, იორ-ალაზნის შესართავიდან სასაზღვრო ხაზი გაივლიდა იქვე მდებარე აჯინოურის ტბასთან და უერთდებოდა ამჟამინდელ პუნქტებს, სოფ. ხალხალასა და ფილფილს, რომელსაც ლეონტი მროველამდე ტყეტბა-გულგულა ერქვა, რის მტკიცებაც მოცემულია ქვემოთ.

(კვლავ შევნიშნავთ, ამჟამად არასწორად მიიჩნევა, რომ ჰერები, თითქოსდა, თარგამოსის ეპოქიდან, ანუ თავდაპირველადვე იყვნენ მკვიდრები კახეთისა და შემდგომში აქ მოხდა მათი ე.წ. ქართიზაცია. **ჰერებს არა თუ აზერბაიჯანელები, ქართველი მეცნიერებიც (იხ. ქვემოთ) ალბანელებად მიიჩნევენ,** რომელნიც თურმე შემდგომში ქართიზებულნი იყვნენ. იგივეს წერს, მაგალითად, არათუ ჩვენი ყველაზე ოფიციალური გამოცემები (მაგალითად, ოთხტომეული „საქართველოს ისტორია“, 2012), არამედ საინტერნეტო გვერდებიც, მაგალითად, საჯარო ქართული საიტი წერს:

– „...ისტორიკოსთა გარკვეული ჯგუფი მიიჩნევს, რომ ჰერეთში სახლობდნენ საქართველოს აღმოსავლეთით მცხოვრებ ალბანელებთა ნაწილი, რომელმაც შემდგომ ქართლიზაცია განიცადა“. https://ka.wikipedia.org/wiki/kaxeTis_istoria 18.01.2021.

მაშასადამე, ამჟამად ბავშვებს ასწავლიან, რომ კახეთის დიდ ნაწილს მოიცავდა ჰერეთი, ხოლო ჰერეთში ცხოვრობდნენ ალბანელები!

ქართველი მეცნიერების შეცდომითი მტკიცებანი, რომ კახეთი ისტორიული ალბანელების ქვეყანაა, რომელიც გაქართველდა, მეისიერად გამოიყენა უცხოელი მეცნიერების ნაწილმა და ისინი უკვე წერენ იმის შესახებ, რომ კახეთი, თელავის ჩათვლით, ისტორიული ალბანეთია. მაგალითები უამრავია.

ზოგიერთი რუსი მკვლევრის შეხედულება კახეთთან და ალბანეთთან დაკავშირებით

კახეთს ალბანეთ-აზერბაიჯანის ნაწილად ასევე აცხადებს ზოგიერთი უცხოელი ავტორი.

ისინი გურჯაანისა და ბოდბის ეკლესიებს ალბანური არქიტექტურის ძეგლებად მიიჩნევენ და ამ სიცრუეს არავინ აპროტესტებს! კერძოდ, ეს მეცნიერები ბოდბესა და გურჯაანის ეკლესიებს ალბანური არქიტექტურის ძეგლებს უწოდებენ გამოკვლევაში „Архитектурное наследие Албанской Церкви“ და წერენ –

„В качестве **архитектурных памятников** Албанской Церкви логично рассматривать и ряд церквей, расположенных в исторической **области** Камбисена, сохранившихся на территории современной Грузии. Это особенно оправдано в случае отнесения храмов в Гурджаане и Бодбе к эпохе VII–IX веков, до включения области в царство кахов и ранов“

http://baku.eparhia.ru/history/albania/architrave/. Бакинское епархиальное управление Азербайджанская Республика, г. Баку, ул. Ш. Азизбекова, 205 тел.(+99412) 440-43-52

მაშასადამე, აზერბაიჯანის რუსული ეპარქია მიიჩნევს, რომ, მაგალითად ბოდბის ეკლესია ალბანური არქიტექტურის

ძეგლია. ხოლო, ალბანეთის საეკლესიო ცხოვრების ცენტრი, მე-12 საუკუნეშიც კი, თითქოსდა იყო კახი-ზაქათალას ოლქი. ანუ საინგილო, თითქოსდა მე-12 საუკუნეში ალბანური ეკლესიის იურისდიქციაში შედიოდა. აქ აღნიშნულია –

„ცენტრამი церковной жизни были Арцах (XI век) и Кахи-Закаталы (XII век)“.

სიცრუითაა გადმოცემული ალბანეთის საეკლესიო ისტორია მოსკოვის სასულიერო აკადემიაში.

МОСКОВСКАЯ ДУХОВНАЯ АКАДЕМИЯ
Кафедра Истории Древней Церкви
Иеромонах Алексий (Никоноров)

История христианства в кавказской Албании, Диссертация на соискание ученой степени кандидата богословия, Научный руководитель: профессор Б.А.Нелюбов

Сергиев Посад, Троице-Сергиева Лавра, 2004 г., План диссертации: Введение Актуальность темы 2. Значение работы для Церковной науки 3. Метод работы 4. Краткий анализ и оценка используемых источников 5. Обзор литературы по данной теме Основная часть 1. Географическое положение Кавказской Албании в истории 2. Население и язык Кавказской Албании 3. Государственное устройство 4. Первоначальная религия албанов до принятия христианства 5. Иудейские общины в ветхозаветный и новозаветный периоды I. Апостольский период 1. Проповедь апостола Варфоломея 2. Святой Елисей.

II. Римско-Византийский период 1. Политическая история Кавказской Албании в IV веке.
2. Принятие Христианства. Царь Урнайр и равноапостольный Григорий Просветитель 3. Святитель ригорис, архиепископ Албанский 4. Вопрос юрисдикции.

III. Христианство в Албании при Аршакидах в V веке 1. Политическая история Кавказской Албании в V веке 2. Царь Есваген и Месроб Маштоц 3. Албанские мученики за веру в V столетии 4. Албанский царь Вече II 5. Вачаган III Благочестивый и Агуэнский Собор. 6. Внешние связи Албанской Церкви.

IV. VI век в истории народов Закавказья 1. Политическая история Албании в VI столетии.
2. Соборы Закавказских Церквей и отношение к Соборам Вселенским 3. Локализация армянских епархий.

V. Христианство в Албании при Михранидах в VII веке 1. Политическая ситуация в Албании в VII веке 2. Албанский католикос Виро 3. Хазарская миссия католикоса Елиазара и епископа Израиля.

VI. VII. Последующая судьба Албанской Церкви.

VIII. Архитектурное наследие Албанской Церкви IX. Предстоятели Албанской Церкви.

ЗАКЛЮЧЕНИЕ

აღნიშნულ დისერტაციაზე დაყრდნობით, ბაქო-აზერბაიჯანის ეპარქიის ვებგვერდი არასწორად წერს, თითქოსდა – **„ალბანეთის საეკლესიო ცხოვრების ცენტრი მე-12 საუკუნეში იყო კახი-ზაქათალა“**, მაგრამ, მათ ავიწყდებათ, რომ მე-12 საუკუნეში ალბანეთი საერთოდ აღარ არსებობდა, ხოლო რაც შეეხება ქალაქებს კახსა და ზაქათალას, ისინი ამ საუკუნეში და შემდგომში, დიდხანს, კახეთის ცენტრებს წარმოადგენდენ ერთიან დიდ საქართველოს სახელმწიფოში.

რუსული ეპარქია იმეორებს ზემოთ აღნიშნული დისერტაციის ერთერთ დასკვნას – „VII. Последующая судьба Албанской Церкви...центрами церковной жизни были Арцах (XI век) и Кахи-Закаталы (XII век).
http://baku.eparhia.ru/history/albania/after_viii_century/.

ეს დისერტაცია კი, მოსკოვის სასულიერო აკადემიაშია დაცული, შესაბამისად ის წარმოადგენს სახელმძღვანელს ყველა რუსული ეპარქიისათვის, და ასევე უცხოეთის საპატრიარქოებიათვის.

სიცრუის ერთ-ერთი საფუძველია საბჭოთა ეპოქაში ისტორიული კამბისენას ადგილმდებარეობის არასწორი განსაზღვრა, კერძოდ, როგორც აღინიშნა, მე-7 საუ-

კუნის სომხური გეოგრაფია კამბისენას ათავსებს მტკვრის ხეობაში.

ჩვენი კვლევით, რომელიც მოცემულია ქვემოთ, კამბისენა, იგივე კამბეჩანი მდებარეობდა არა ქიზიყში, არამედ მის მეზობლად, მტკვრის ხეობაში და მის სამხრეთით, კერძოდ, იმ ტერიტორიაზე, რომელიც ამჟამად დაფარულია მინგეჩაურის წყალსაცავით, სადაც მტკვრის, ალაზნისა და იორის წყლები იკრიბება.

მტკვრის ეს ხეობა, რომელიც ამჟამად მინგეჩაურის წყალსაცავითაა დაფარული, თავის დროს იყო კლდეებითა და გორებით შემოსაზღვრული ვრცელი რეგიონი, სადაც მრავალი ქალაქი და სოფელი საზრდოობდა იქაური სასოფლო-სამეურნეო მიწებით, ასევე აქ გადიოდა ალბანეთ-იბერიის დამაკავშირებელი გზა, რაც ასევე ხელს უწყობდა აქ სავაჭრო ქალაქების წარმოქმნას.

თუმცა აქვე, მტკვრის პირზე, იყო ჭაობები, სადაც ბუნებრივად მრავლდებოდნენ კამეჩები, რომლის სახელიც დარქმევია ამ ოლქს – კამბეჩიანი, კამბეჩანი, კამბისენა.

სტრაბონი ახსენებს აქაურ კლდეებსა და ჭაობებს იბერია-ალბანეთის დამაკავშირებელ გზაზე.

კამბეჩანი თავდაპირველად იბერიაში შედიოდა, იქამდე, სანამ არმენიამ იბერიას არ წააართვა ვრცელი ოლქები ძვ.წ. მე-2 საუკუნეში – პარიადრეს კალთები, ხორძენა და გოგარენა „მტკვრის იქით“, როგორც წერს სტრაბონი.

380-იანი წლების ბოლოს, სასანიდების მიერ ე.წ. „არმენიისა და იბერიის დანაწილების“ დროს, ეს ოლქი ალბანიას გადაეცა და ის ალბანეთის ნაწილად იქცა, სხვა მიწებთან ერთად.

რაც შეეხება ასევე ალბანიაში იმ დროისათვის შემავალ ჰერეთს, ის მდებარეობდა უშუალოდ კამბისენას გვერდით და, როგორც მრავალჯერ აღინიშნა, მოიცავდა ტერიტორიას გიშისწყლიდან ვიდრე აღსუმდე. ჰერეთს, აღნიშნულ საზღვრებში, სტრაბონი „გოგარენას“ უწოდებს „მტკვრის იქით“ (გუგარქი და გოგარენა სხვადასხვა ოლქები იყო).

სტრაბონის მტკიცებით, გოგარენა ქართული, ანუ იბერიული ქვეყანა იყო, ის შემდეგ არმენიისა და ალბანეთის შემადგენლობაში აღმოჩნდა, მაგრამ მას თავისი ქართული სახე არ დაუკარგავს მე-5 საუკუნეშიც კი, რაზეც მიუთითებს მოვსეს ხორენაცის ცნობა, რომ წმიდა ნინომ იქადაგა ქართველთა შორის ვიდრე მასქუთების ქვეყნამდე. მასქუთების ქვეყანა ისტორიულ გოგარენას, ანუ შაქი-გაბალას ოლქს ესაზღვრებოდა მდ. აღსუს, ანუ თეთრწყლის მხარეს.

ამ ოლქმა ალბანური ელფერი უფრო მეტად მიიღო მე-6 საუკუნიდან, რაც მოვსეს კალანკატუაცის ცნობით ალბანეთის კათალიკოსების ტახტი 552 წელს გადმოტანილ იქნა კასპიისპირა ქალაქ ჩორიდან ბარდავში. ამ დროს ჩანს ბარდავის ოლქში გადმოსახლდა ალბანური საეკლესიო და პოლიტიკური ელიტაც. იმჟამინდელმა ჰერეთმა ანუ შაქი-გაბალას ოლქმა, მართალია, მე-6 საუკუნის შემდეგ მიიღო სომხურენოვანი ღვთისმსახურება და შესაბამისად, მონოფიზიტური ორიენტაცია, მაგრამ მე-10 საუკუნეში მან შეძლო დაბრუნებოდა მშობლიურ, ანუ ქართულენოვან ღვთისმსახურებას და ქალკედონიტობას.

ჩორიდან ბარდავში ალბანეთის საპატრიარქო ტახტის გადატანის შესახებ (551–552 წლებში) მოვსეს კალანკატუაცი წერს –

„когда было положено начало армянскому летосчислению, в том самом году **патриарший престол Алуанка был перенесен** из города Чола в столицу Партав из-за разбойничьих набегов врагов креста Христова“.

http://ru.hayazg.info/Мовсес_Каланкатуаци._История_страны_Алуанк/Книга_2_гл._1-28

მოსაზრებანი კახეთ-კუხეთის საზღვრებთან დაკავშირებით

ეპოქაში, როცა უცხოელი შემფასებლებიც კი წერენ, რომ ქართველთა ეთნიკური კონსოლიდაციისა და „ერის ჩამოყალიბების პროცესი ჯერაც დაუსრულებელია“, ასეთ დროს ქართველი ისტორიკოსების მტკიცება, რომ მაგალითად, კახეთის მოსახლეობის დიდი ნაწილი (მათ შორის ინგილოების ჩათვლით) ქართიზებული ალბანელებია, არის უპასუხისმგებლობა. მით უმეტეს იმ დროს, როცა ისინი არ ეყრდნობიან ანდა ამახინჯებენ ქართულ წყაროებს, ანდა მის ცნობებს მიაწერენ და ანიჭებენ სულ სხვა დატვირთვას, მაგალითად, სრულიად თითიდანაა გამოწვილი აზრი, თითქოსდა წმიდა ნინოს დროს ბოდბე ალბანელების ქალაქი იყო და წმიდა ნინო ალბანელებს აქართველებდა, ესაა თეორია წარსული ისტორიის დამახინჯებისა, რომელიც ზეობობს საქართველოში უკანასკნელი სამეცნიერო სიტყვის სახით.

საქართველოში მომხდარ კონფლიქტთან დაკავშირებული ფაქტების დამდგენი დამოუკიდებელი საერთაშორისო მისია თავის დასკვნაში წერს – „საუკუნეების მანძილზე საქართველო დაყოფილი იყო ცალკეულ ეთნიკურ ჯგუფებად, რომელთაგანაც თითოეულს ჰქონდა საკუთარი ტრადიციები, ჩვევები და დიალექტები; მეგრელების, ლაზებისა და სვანების შემთხვევაში ცალკე ენაც კი, რომლებიც ქართულის მსგავსია. **ეთნიკური კონსოლიდაციისა და ერის ჩამოყალიბების პროცესი არ იყო დასრულებული“.** https://smr.gov.ge/uploads/prev/66c4e7.pdf

კახეთისა და კუხეთის ისტორიული საზღვრების შესახებ ჩვენ მხოლოდ ერთი წყარო გაგვაჩნია, ეს არის ქართლის ცხოვრების შესავალი, ის ლეონტი მროველს მიეწერება და მასში საუბარია, თუ რა ტერიტორიები გადასცეს ეთნარქებმა თარგამოსმა და ქართლოსმა ჰეროსს, კახოსსა და კუხოსს, იგულისხმება ქრისტეშობამდე ათასწლეულით ადრე.

ლეონტი მროველის ამ ცნობით სარგებლობდა ვახუშტი ბატონიშვილი, როგორც ივანე ჯავახიშვილმა გაარკვია, დროთა ვითარებისა და გადამწერთა შეცდომების გამო ეს ცნობები არაზუსტი ანდა საერთოდ უვარგისი იყო საზღვრების დასადგენად, ამიტომაც ივანე ჯავახიშვილს აეჭვებდა ვახუშტი ბატონიშვილის ცნობები ამ ქვეყნების საზღვრებთან დაკავშირებით.

ლეონტის გარდა ამ ქვეყნების საზღვრების გაგება შეიძლება ასევე სხვა მემატიანისა და ზოგიერთი სიგელ-გუჯარით, მაგრამ არც ისინი აკმაყოფილებდა ივანე ჯავახიშვილს, რის შესახებაც ზემოთაცაა საუბარი.

მე-20 საუკუნეში ამ თემას მრავალი ნაშრომი მიეძღვნა, მათ ცოდნას ერთგვარად აჯამებს ისტორიკოსი დავით მერკვილაძე თავის ნაშრომში „დავით-გარეჯის სამონასტრო კომპლექსის ისტორიულ-გეოგრაფიული და ეთნოკულტურული კუთვნილებისათვის (მოკლე მიმოხილვა)“ http://eprints.tsu.ge/619/1.

ამ მშვენიერ ნაშრომში, როგორც ითქვა, ერთგვარად შეჯამებულია მე-20 ს-ის ისტორიკოსთა ცოდნა კახეთ-კუხეთ-ჰერეთის საზღვრების შესახებ, ამიტომაც განვიხილოთ ის ამ კუთხით.

ჩემი აზრით, მე-20 ს-ის საბჭოთა ეპოქის ისტორიკოსთა მთავარ შეცდომას წარმოადგენს არასწორი განსაზღვრა ლეონტის მიერ სასაზღვო ხაზად მოხსენიებული „კახეთის მთისა“.

ძველ საქართველოში „კახეთის მთა“ ეწოდებოდა გომბორის ქედს (რასაც ასახულია იაკობ გოგებშვილის ნაშრომებში), ხოლო ტერმინით „თავი კახეთის მთისა“ აღინიშნებოდა გომბორის ქედის საწყისი გორები იორ-ალაზნის შესართავთან ახლოს, როგორც ეს მრავალჯერაა გამეორებული ქვემოთ.

ლეონტი ნათლად წერს, რომ კახოსსა და კუხოსს მიეცათ ქვეყანები მტკვრიდან ვიდრე კავკასიონამდე, რომელთა შორის საზღვარი იყო კახეთის ქედი, ანუ გომბორის ქედი („კახეთის მთა“).

შესაბამისად, კუხოსის ქვეყანა მოქცეული იყო კახეთის მთასა და მტკვარს შორის, ანუ გომბორის ქედსა და მტკვარს შორის, ხოლო კახოსის ქვეყანა – კახეთის მთასა (ანუ გომბორის ქედსა) და კავკასიონს შორის.

მაგრამ, ბატონი დავით მერკვილაძე კახეთის მთას უწოდებს არა გომბორის ქედს, არამედ ე.წ. **„იანლო-საგურამოს“** ქედს.

ის წერს – **„გამოკვლეულია, რომ ლეონტი მროველის“ კახეთის მთა“ დღევანდელი იალნო-საგურამოს ქედია“.** ამის შედეგად მისთვის ისტორიული კახეთი მცირე ქვეყანაა არაგვიდან საგურამოს ქედამდე, შესაბამისად, კუხეთისა და კამბისენას ანუ კამბეჩანის ლოკალიზაციაც არასწორია.

მაგალითად, ის თავის შესანიშნავ ნაშრომში – „დავით-გარეჯის სამონასტრო კომპლექსის ისტორიულ-გეოგრაფიული და ეთნოკულტურული კუთვნილებისათვის (მოკლე მიმოხილვა)“ იზიარებს მიღებულ აზრს, რომ კუხეთს **აღმოსავლეთიდან** ესაზღვრებოდა კამბეჩოვანი (ქიზიყი).

ის წერს – „კუხეთს აღმოსავლეთიდან ემიჯნებოდა კამბეჩოვანი, მოგვიანებით ქიზიყად სახელდებული ქვეყანა“.

ამ შემთხვევაში ის ცდება, კუხეთს აღმოსავლეთიდან ესაზღვრებოდა არა კამბეჩოვანი, არამედ გომბორის ქედი, ხოლო კამბეჩოვანი – **კამბეჩანი, მდებარეობდა მტკვარზე.**

კუხეთს აღმოსავლეთიდან ესაზღვრებოდა არა კამბეჩოვანი, არამედ ისტორიული კახეთი.

კუხეთის ეპოქაში შედგენილი ცნობილი წყარო მე-7 ს. სომხური გეოგრაფია მას არ დაეთანხმებოდა. რადგანაც კამბეჩანი არა ქიზიყს მოიცავდა, არამედ, სხვაგან, მტკვარზე მდებარეობდა.

ასე წერს მე-7 საუკუნის სომხური გეოგრაფია. კერძოდ, ის ტერიტორია მტკვარზე, რომელიც ამჟამად დაფარულია მინგეჩაურის წყალსაცავით, ოდესღაც კამბეჩანად (კამბისენად) იწოდებოდა, აქვე, მტკვრის მარჯვენა სანაპიროს მხარეს მოიცავდა საკასენა.

არასწორი ლოკალიზაციის საფუძვლად ჩვენ მიგვაჩნია წყაროში სასაზღვრო ხაზად დასახელებულ „კახეთის მთის“ არასწორი განსაზღვრება, რაც უნდა იყოს ფუძე უამრავი ქართველი მეცნიერის შეცდომისა, რამაც კახეთი ალბანეთად წარმოსახა.

როგორც აღინიშნა, ის ავითარებს აზრს – **„გამოკვლეულია, რომ ლეონტი მროველის“ კახეთის მთა“ დღევანდელი იალნო-საგურამოს ქედია“.**

მაგრამ, რადგანაც ქართული წაყროების „კახეთის მთა“ არის, როგორც ითქვა, არის არა საგურამო-იანლოს, არამედ გომბორის ქედი, შესაბამისად, კუხოსის წილი ქვეყანა მოქცეული იყო გომბორის ქედსა და მტკვარს შუა, ხოლო კახოსის ქვეყანა მოიცავდა ტერიტორიას გომბორის ქედსა და კავკასიის ქედს შორის, რაც შეეხება ჰერეთს, ის მოქცეული იყო იორ-ალაზნის შესართავის სამხრეთით, მტკვრის მარცხენა სანაპიროს მხარეს, რომელსაც **შექის ოლქს** უწოდებდნენ.

ასევე ესმის ეს საკითხი „მოქცევაი ქართლისაისა“ და სუმბატ დავითის ძეს. ისინი ერთხმად, **ჰერეთს უწოდებენ შაქს,** მაგალითად, როცა მეფე გიორგი I-ს მიუვიდა დამხმარედ კახთა და **ჰერთა ლაშქარი, სუმბატ დავითის ძე მათ უწოდებს „წანართა და შაქის ლაშქარს“.**

აქ, წანარეთის ქვეშ კახეთი იგულისხმება, ხოლო, **„შაქის ლაშქარი“ ჰერეთის ლაშქარია,** ანუ, სუმბატ დავითის ძე ჰერეთს უწოდებს შაქის ოლქს.

მემატიანისათვის, ჰერეთი არის შაქის ოლქი, ამიტომ, მისთვის, შაქის ლაშქარი ჰერეთის ლაშქარია.

შაქი ანუ ჰერეთი კახეთსა და კუხეთს სამხრეთის ანუ შაქის (შექის) მხრიდან ესაზღვრებოდა. ანუ, კახეთი და კუხეთი ჰერეთს ანუ შაქის ოლქს, იორ-ალაზნის შესათავის ოლქში ესაზღვრებოდა ჩრდილო-დასავლეთის მხრიდან (როგორც ეს ჩანს ჩვენს რუკაზე), აქვე, ახლოს მდებარეობდა გომბორის ქედის საწყისი გორები, ანუ „თავი კახეთის მთისა“, ეს ქედი კი, როგორც ითქვა, ერთმანეთისაგან ყოფდა კახეთსა და ჰერეთს. აქვე, ამავე მდინარეების მტკვართან შე-

სართავის რეგიონში, შაქის ოლქის მოსაზღვრედ, მდებარეობდა კამბეჩანი.

მაგრამ, სრულიად განსხვავებულია მტკიცება ქართველი მეცნიერებისა, რომელნიც არასწორად **მიიჩნევენ, თითქოსდა, კუხეთს აღმოსავლეთიდან ალბანეთი (ჰერეთი) ესაზღვრებოდა.**

დავით მერკვილაძეც მსგავსად მიიჩნევს, რომ კუხეთს აღმოსავლეთის მხრიდან ესაზღვრებოდა ალბანეთი, ხოლო, კუხეთს (კახეთი) მხოლოდ ჩრდილოეთიდან ესაზღვრებოდა.

ასევე ესმის ზოგიერთ ისტორიკოსს მემატიანის ნათქვამი, რომ მეფე ფარნავაზმა **კახეთის ერისთავს მისცა ტერიტორია „არაგვიდან ვიდრე ჰერეთამდე, რომელ არს კახეთი და კუხეთი“,** მათ მიაჩნიათ, რომ ჰერეთია შემდეგდრონდელი კახეთი და კუხეთი, სინამდვილეში კი, წყარო ამბობს, რომ კახეთი და კუხეთი მდებარეობდა არაგვიდან ვიდრე ჰერეთამდე და ეს ქვეყნები (კახეთი და კუხეთი), მდებარენი ჰერეთამდე, მიეცა კახეთის ერისთავს.

წყაროს ცნობა, რომ ქართლის მეფე მირიანმა **„მისცა ძესა მისსა რევს საუფლისწულოდ კახეთი და კუხეთი, და დასუა იგი უჯარმას“,** ნიშნავს, რომ რევის საუფლისწულოა მიწა-წყალი კავკასიონის ქედიდან ვიდრე მტკვრამდე (ანუ კავკასიის ქედიდან გომბორის ქედამდე, და ამ ქედიდან ვიდრე მტკვრამდე) იყო განფენილი, ამიტომ მეცნიერის გამონათქვამს, რომ **„კუხეთის აღმოსავლეთი საზღვრის პირდაპირ მითითებას მემატიანეებთან ვერ ვხვდებით“,** არ შეიძლება დავეთანხმოთ, როგორც ითქვა, კუხეთს აღმოსავლეთიდან კახეთი ესაზღვრებოდა, ხოლო ჰერეთი სულ სხვაგან, რანის მიმართულებით მდებარეობდა.

კუხეთს, როგორც ითქვა, აღმოსავლეთიდან ე.წ. „კახეთის მთა“, ანუ გომბორის ქედი ესაზღვრებოდა.

ბოდბე შედიოდა კუხეთში და არა კამბისენაში, **რაც სწორად აქვს გამოკვლეული მეცნიერს.** ის წერს – „ამ წყაროებში არაერთგან ფიქსირდება, რომ ამ დროს კუხეთის (// კოხეთის // კხოეთის) ტერიტორიაზე მოიაზრება დაბა ბოდბე (// ბოდი // ბოდისი). ვინაიდან ამ ხანაში კუხეთი აღმოსავლეთით ბოდბესაც მოიცავს, უდავოა, მის საზღვრებში გარეჯის მხარეც თავისთავად იგულისხმება“.

მე-4 საუკუნეში, მირინის ძის, ბაქარ მეფის სამეფო ტახტი შეარყიეს მისმა ძმისწულებმა, რომელთაც გადაწყვიტეს მოღალატეობრივად დაკავშირებოდნენ უცხო სახელმწიფოს, რათა ბიძა ტახტიდან ჩამოეგდოთ. აჯანყება დამარცხდა. გამარჯვებულმა მეფე ბაქარმა ძმისწულები იმით დასაჯა, რომ მათ თავიანთი საუფლისწულოს უკეთესი ნაწილი – კახეთი ჩამოართვა და შედარებით ხრიოკი კუხეთი დაუტოვა.

ამ ცნობიდანაც კი ჩანს, რომ კახეთი მათი წილი საუფლისწულოს საუკეთესო ნაწილი იყო, რადგანაც კახეთი, როგორც ითქვა, მოიცავდა ტერიტორიას გომბორიდან კავკასიონამდე.

ამჟამად ამ ჩვენი მოსაზრების საპირისპიროდ მიიჩნევა, რომ კახეთი, თითქოსდა, ერქვა მიწა-წყალს არაგვიდან ვიდრე იანლოს მთამდე (მარტყოფამდე).

ჩემი მსჯელობა ასეთია – თუკი იმჟამინდელი კახეთი მოიცავდა მცირე, მთახევებიან ტერიტორიას არაგვიდან ვიდრე იანლოს მთამდე, მაშინ მისი ჩამორთმევა სასჯელი არ იქნებოდა სახელმწიფოს მოღალატეებისათვის, სინამდვილეში, მეფემ რევის ძეებს ჩამოართვა უვრცელესი ნაყოფიერი ქვეყანა კახეთი, მოქცეული კავკასიონის ქედიდან ვიდრე გომბორამდე. აი, ამიტომ იყო მისი ჩამორთმევა სასჯელი.

ასეთი მთლიანობა კახეთ-კუხეთისა, რომელსაც დიდი მხარე – გარდაბანი დაემატა, სერიოზული საფრთხე გახდა არაბებისათვის, ცნობილი კახეთის საქორეპისკოპოსოს სახით.

ჩემთვის ცხადია, რომ პატარა სამთავრო, მოქცეული იანლოს მთიდან არაგვამდე, ვერ შეძლებდა თავის წიაღში კონსოლიდაციას მასთან შედარებით, ისეთი დიდი ქვეყნებისა, როგორიც იყო იმჟამად გარადაბანი და კუხეთი.

სინამდვილეში, კახეთი იყო **არა პატარა სამთავრო** მოქცეული იანლოს

ქედსა და არაგვს შორის, როგორც წარმოუდგენიათ ჩვენ ზოგიერთ ისტორიკოსს, არამედ უმსხვილესი ერთეული მოქცეული გომბორის ქედსა და კავკასიონს ქედს შორის, ამიტომაც არაბთა სარდალმა ხალილ იზიდის ძემ გავაზთან დამარცხების შემეგ, მართალია ვედარ შეძლო კაახეთის სრული დაპყრობა, მაგრამ, რადგანაც უკვე დაპყრობილი ჰქონდა გავაზის ქვემოთ მდებარე კახეთის მიწაწყალი, ის ჩამოართვა კახეთის საქორეპისკოპოსოს და გადასცა არაბთა ერთგულ შაქის ჰერეთს.

მან, დაახლოებით 840 წელს გავაზთან ომის შემდეგ, კახეთის საქორეპისკოპოსოს ჩამოართვა მიწა-წყალი გავაზის ქვემოთ ვიდრე გიშისწყლამდე და ის გადასცა მის მომხრე შაქის, ანუ ჰერეთის იმჟამინდელ მეფეს საჰლ იბნ სუმბატ ალ არმანს. მას დიდად წყალობდა ხალიფა და მოვსეს კალანკატუაცის ცნობით – „არმენიის, ივერიისა და ალუანქის მეფის“ წოდება მიანიჭა.

ისტორიული სამხრეთ კახეთის (ანუ გავაზის ხაზიდან ვიდრე გიშისწყლამდე) ტერიტორიის დაპყრობით საჰლ ალ-არმანი იბერიის ერთი ნაწილის მფლობელად იქცა, ანუ მან ხალიფას ნება აღასრულა.

ამ მიტაცებულ კახურ მიწებს ჰერეთი დაერქვა, ანუ ისტორიული სამხრეთ კახეთი ჰერეთის ნაწილად ჩაითვალა.

მას (საჰლ იბნ სუმბატ ალ არმანს) ასეთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი რომ არ გადაედგა არაბთა შემწეობით, ანუ სამხრეთ კახეთი რომ არ დაეპყრო გიშისწყლიდან გავაზის ხაზამდე, ვერ შეძლებდა პოლიტიკური სიტუაციის გაუმჯობესებას და შემდგომ რანის შემომტკიცებას.

სამხრეთ კახეთს ჰერეთი დაერქვა ამ დროიდან, ვიდრე მე-11 საუკუნემდე, თითქმის ორი საუკუნე, რამაც შესაძლოა შესაბამისი ტოპონიმიკაც ჩამოაყალიბა, რომელიც შენარჩუნდება შემდეგაც.

აღსანიშნავია, რომ შემდგომ, კახთა და რანთა გაერთიანებულ სამეფოს ერქვა არა კახეთ-ჰერეთის სამეფო, როგორც მას უწოდეს მე-20 საუკუნეში, არამედ აღნიშნული სახელი – **„რანთა და კახთა სამეფო“.**

მის მეფეს ერქვა არა კახეთ-ჰერეთის მეფე, არამედ „რანთა და კახთა მეფე“, ასეა ეს წოდება გადმოცემული წერილობით წყაროებში და მათ შორის საფლავის ეპიტაფიაზე.

რატომ უნდა მივაქციოთ ამ სახელებს ყურადღება?

ეს სახელები გვიხსნის, თუ რომელ ქვეყანას ერქვა სინამდვილეში ქართულ წყაროებში ჰერეთი.

აღნიშნული ოფიციალური სახელიდან (რანთა და კახთა სამეფო) ჩანს, რომ **ჰერეთი ერქვა რანს, ანუ შაქისა და ბარდავის მხარეებს** და არა თელავის ახლო მდებარე მიწა-წყალს, როგორც ახლა წარმოუდგენიათ.

მაშასადამე, **ჰერეთი ერქვა რანს,** საინგილო კი არასოდეს ყოფილა რანის ნაწილი, ის მუდამ ქართლის სამეფოში ან კახეთის ოლქებში შედიოდა.

რამ გამოიწვია ჰერეთის სახელის მიმართ განუსაზღვრელობა?

ამის მიზეზი უნდა ყოფილიყო ჰერეთის პოლიტიკური ასპარეზიდან გაქრობა ათასი წლის წინ.

ჰერეთის სახელი უკვე გაქრა მეორე ათასწლეულის დასწყისშივე და ცვლად გეოგრაფიულ სახელად იქცა. გეოგრაფოსები მასზე ნაკლებ ინფორმაციას ფლობდნენ და მისი ადგილმდებარეობის შესახებ მხოლოდ ვარაუდებს გამოთქვამდნენ. მოგვიანებით, სრულიად დავიწყებული ჰერეთი მე-18 საუკუნეში ვახუშტი ბატონიშვილმა გაიხსენა მაშინ, როცა შესაბამისი ცნობები უკვე დაკარგული იყო. ივანე ჯავახიშვილის კვლევით, ვახუშტის ვარაუდები ჰერეთის ადგილმდებარეობის შესახებ არაა სანდო, რადგანაც მას იმაზე მეტი ცნობები ჰერეთის შესახებ არ გააჩნდა, რაც ჩვენ გაგვაჩნიაო, წერდა ის.

ჰერეთზე უფრო ადრე გაქრა სახელი პოლიტიკური ალბანეთისა (მე-7 საუკუნის ბოლოსათვის), გაქრა თვით ალბანელი ხალხი არაბებისა და თურქ-სელჯუკების შემოსევათა შედეგად, საქართველოს სახელმწიფო კი გაძლიერდა და მისი პოლიტიკური საზღვარი ისტორიული ჰერეთის ბოლოში, მდინარე თეთრწყალზე (აღსუზე) დაიდო.

როგორც ითქვა, ჰერეთის გაქრობიდან მხოლოდ 700–800 წლის შემდეგ დაინტერესდა ჩვენი უდიდესი ისტორიკოსი ვახუშტი მისი საკითხებით. ის, იმჟამად არსებული აშლილი და არეული ცნობებით სარგებლობდა და ამიტომაც შეცდა ჰერეთის ისტორიული საზღვრების დადგენისას, კერძოდ კი მან ჰერეთის უძველეს ისტორიულ საზღვრად მიიჩნია მე-9 საუკუნისათვის ხალილ ისიდის ძისა და საჰლ სმბატიანის დროს (ანუ, შაქის ჰერეთის განვრცობის დროისათვის), არსებული საზღვარი კახეთის სიღრმეში.

ზოგიერთი აზერბაიჯანელი მკვლევრის თვალსაზრისი კახეთთან დაკავშირებით

ზოგიერთი აზერბაიჯანელი მეცნიერი არასწორად მიიჩნევს და წერს, რომ „ინგილოები არიან ალბანელები და ქართული ეკლესია მათ აქართველებს (საინგილოს კახის რაიონში), რადგანაც იქ წირვა-ლოცვა ქართულ ენაზეა“. აზერბაიჯანელები ინგილოების შესახებ წერენ, რომ ამჟამად მიმდინარეობს მათი **„გაქართველება ქართული ეკლესიის მიერ“** (მათი ტექსტები მოგვყავს რუსულად, ხოლო ჩვენ მიერი თარგმანი – ქართულად).

„Грузинская церковь. Имеет как теологический, так и политический отрицательные аспекты. Церковная служба и язык в церкви на основе грузинского языка. Исход – в дальнейшем все население грузинифицируется. Пример, удины с. Октембери и ингилойцы-христиане Кахского района. Политический аспект – территориальные притязании под воззванием западной и восточной Кахетии, опять же под прикрытием единой конфессии. Пример СВ часть Азербайджана для Грузии (Белокани-Закатали-Кахи-Алазани-Шеки).
Албанская церковь: история, реальность и перспективы; его место в церковной иерархии и в политической жизни Азербайджана. Р. Мобили 24.01.2012 от udi.az. http://udi.az/articles/0013.html

ისინი წერენ – „კეშიკჩი – დავითგარეჯა – ალბანური წარმოშობის სამონასტრო კომპლექსია, ალბანელების ისტორიული მემკვიდრე აზერბაიჯანია, ამიტომ ალბანური მონასტერი მას ეკუთვნის. მისი ქართველებისათვის გადაცემა იქნება აზერბაიჯანელი მეცნიერების მრავალწლიანი შრომის წყალში ჩაყრა“.

ისინი წერენ:

„Вопрос о принадлежности храмового комплекса Давид Гареджи («Кешикчи» по-азербайджански). Он расположен в 80 километрах от Тбилиси на границе Грузии и Азербайджана. Часть комплекса находится на территории Азербайджана. по версии азербайджанской стороны, монастырский комплекс – албанского происхождения Баку, заявляющий себя историческим наследником христианской Кавказской Албании, считает монастырь своим.
https://noev-kovcheg.ru/mag/2019-05/6554.html

Интервью с директором института истории имени А. Бакиханова Национальной Академии Наук Азербайджана, **членом-корреспондентом Академии** Ягубом Махмудовым.

აზერბაიჯანის ისტორიის ინსტიტუტის დირექტორი იაკუბ მახმუდოვი ამტკიცებს, რომ საქართველომ მიიტაცა აზერბაიჯანული ტერიტორიები საინგილოში და დავითგარეჯას რეგიონში, რომ წითელწყარო-გურჯაანის რეგიონი ისტორიული აზერბაიჯანია, შეხედეთ რუკას, როგორ არიან ქართველები შემოჭრილი აზერბაიჯანის მიწაზეო, რომ თბილისის საამიროს გაუქმებამდე ეს იყო მუსულმანების ტერიტორიები, მაგრამ აქ ქართველებმა გააჩანაგეს მეჩეთები და მედრესებიო.
http://www.kavkazoved.info/news/2012/10/24/territoria-gruzii-iskusstvenno-uvelichivalas-za-schet-azerbajdzhana.html

Одной из важнейших культурных и религиозных достопримечательностей Южного Кавказа – средневекового албанского монастырского комплекса «Кешикчи» (грузинская сторона называет его церковью Давида Гареджа), расположенного на горе Чобандаг. Читать далее: აზერბაიჯანის კულტურული და რელიგიური ღირსშესანიშნაობა შუა საუკუნეთა სამონასტრო კომპლექსი „კეშიკჩი“

https://az.sputniknews.ru/politics/20101208/43596350.html

«При этом азербайджанские историки утверждают, что **памятники монастырского комплекса Давид Гареджи («Кешикчи») в основном имеют албанское происхождение, и так как азербайджанская сторона является наследником албанской культуры, Давид Гареджи («Кешикчи») принадлежит им»**, – отмечено в сообщении.

„აზერბაიჯანელი ისტორიკოსები ამტკიცებენ, რომ დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსი კეშიკჩი ძირითადად ალბანური წარმოშობისაა. აზერბაიჯანის მხარე კი არის მემკვიდრე ალბანური კულტურისა, ამიტომ დავითგარეჯი მათ ეკუთვნით“.

Читать далее:
https://az.sputniknews.ru/politics/20101208/43596350.html

Среди спорных отрезков границы присутствует небольшая территория в 25 кв. км, на которой находится монастырь Кешикчи (по грузинской терминологии – монастырь Давида Гареджи). Грузины настаивают на передаче им всей горы, на которой находится этот христианский монастырь VI века. Наши, естественно, отдать соседям стратегически важную возвышенность в Агстафинском районе, с **вершины которой можно видеть Тбилис**и, на расстоянии 60 км, принципиально не хотят. В этом есть и историческая подоплека. Как считает заместитель директора Института археологии и этнографии АН Азербайджана Наджаф Мусейбли, участок комплекса, вокруг которого вновь разгорелся территориальный спор, исторически принадлежит Азербайджану. «На означенной территории ещё с IV в. до нашего летоисчисления по VIII в. нашей эры находилось Албанское царство, и грузины там не жили. С течением времени на этом месте расселились кивчаги, принявшие христианство, а Албанское царство прекратило существование».

ქართული თარგმანი ასეთია – „საზღვრის სადავო მონაკვეთებს შორისაა მცირე ტერიტორია 25 კვ. კმ., რომელზეც მდებარეობს მონასტერი კეშიკჩი – დავითგარეჯა.

ქართველები ითხოვენ ამ მთის მთლიანად გადაცემას, მაგრამ ჩვენები პრინციპულად არ აპირებენ გადასცენ სტრატეგიულად მნიშვნელოვანი სიმაღლე, **რომლის წვერიდანაც შეიძლება თბილისის დანახვა, თბილისიდან 60 კილომეტრში.**

მით უმეტეს, რომ აზერბაიჯანის არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის დირექტორი ნაჯაფ მუსეიბლის სიტყვით, ის ეკუთვნის აზერბაიჯანს – „აღნიშნულ ტერიტორიაზე ძველი წელთაღრიცხვის მე-4 საუკუნიდან ჩვენი ერის მე-8 საუკუნემდე მდებარეობდა ალბანეთის სამეფო და ქართველები იქ არ ცხოვრობდნენ, შემდგომში აქ ჩასახლდნენ გაქრისტიანებული ყივჩაღები და ალბანეთის სამეფომ არსებობა შეწყვიტა“.

Читать далее:
https://az.sputniknews.ru/expert/20090629/42926065.html

მსგავსადვე წერს და ამ ქართულ მონასტრებს აზერბაიჯანელთა ისტორიულ მემკვიდრეობად მიიჩნევს – «Новости-Азербайджан», Салим Балаев. „В ближайшем будущем все албанские монастыри, находящиеся на территории Азербайджана, в том числе «Кешикчи», будут отреставрированы. Об этом в эксклюзивном интервью «Новости-Азербайджан» сообщила ректор Азербайджанского государственного университета архитектуры и строительства (АГУАС) Гюльчохра Мамедова. По ее словам, Азербайджан бережно относится к своей истории, и поэтому реставрационные работы исторических памятников ведутся постепенно“.

თარგმანი ასეთია – „ნოვოსტი-აზერბაიჯან“, სალიმ ბალაევ. „უახლოეს მომავალში ყველა ალბანური მონასტერი, მათ შორის „კეშიკჩი“ რესტავრირდება. აზერბაიჯანის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ნორვეგიის საელჩოს ურთიერთთანამშრომლობით. ნორვეგიის მთავრობის მიერ გამოყოფილი თანხებით რესტავრირდა ალბანური ძეგლები – გიში-შექის რაიონში და სოფელ ნიჯში გაბალის რაიონში“.

«Как известно, при сотрудничестве АГУАС и посольства Норвегии в Азербайджане, за счет средств, выделенных норвежским правительством, уже отреставрированы два албанских памятника – в селе Киш Шекин-

ского района и в селе Нидж Габалинскиго района.

ასევე აზერბაიჯანის სხვა საელჩოების პირადი თანხებით რესტავრირდა კახის რაიონის სოფელ ყუმის ალბანური ეკლესია (სინამდვილეში კი, ყუმის ბაზილიკა ქართული ეკლესიაა, სადაც თვით საქართველოს პატრიარქი ლოცულობდა თემურ-ლენგის შემოსევის წინ, და ეს ქართული რეგიონი მხოლოდ შაჰ-აბასის შემდეგ დაიპყრეს).

„Кроме этого, за счет личных средств бывшего посла США в Азербайджане Рино Харниша, в селе **Гум Кахского района** завершилась реставрация другого албанского базилика. Базилика – это специальный вид архитектуры религиозных зданий. Это албанская базилика принадлежит к историческим памятникам V века. Мы за год завершили реставрацию этого исторического памятника. В настоящий момент идут работы по благоустройству территории вокруг монастыря. В начале лета состоится официальное открытие отреставрированного памятника, на котором ожидается участие самого Рино Харниша», **отметила ректор**“.

«Я не знаю, почему некоторые СМИ называют «Кешикчи» церковью. Это неправда.

ისინი წერენ, „რაც შეეხება კეშიკჩის – დავითგარეჯას – ეს სუფთად ალბანური ეკლესიაა, ეს ჩვენი ისტორიაა, ის აზერბაიჯანის მიწაზეა, ჩვენი ისტორიის ძეგლია“, ამას ამბობს რექტორი.

«Кешикчи» – чисто албаский монастырь, это наша история. Никто не имеет права притязать на этот исторический албанский памятник, который расположен на территории Азербайджана. И мы будем охранять его, как один из памятников нашей истории», отметила ректор.

Читать далее:
https://az.sputniknews.ru/culture/20070514/41741806.html

(მაგ.: ერთ-ერთი ავტორი, როგორც თავის თავს უწოდებს, „ფილოსოფიურ და ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი ბატონი ალეკპერ ალეკპეროვი“ გულმოდგინედ უმტკიცებს მკითხველს, რომ კახეთის ქალაქის „თელევის“ სახელი ეტიმოლოგიურად თურქულია, ასევე, რომ თითქოსდა, კასპიც ძველი თურქების საცხოვრისია, შესაბამისად, ის მიიჩნევს, რომ კახეთსა და შიდა ქართლში აბორიგენები თურქები არიან და ქართველები აქ შემდგომში მივიდნენ. ის თავის რუსულენოვან მკითხველს გვერდზე „Мир Турецкой Коалиции“ ათეულობით წყაროზე დაყრდნობით უმტკიცებს, რომ ალბანელები კახეთის მკვიდრი თურქულენოვანი ხალხი იყო და სხვა).





ზოგიერთი დაღესტნელი მეცნიერის არგუმენტი კახეთთან და ალბანეთთან დაკავშირებით

ლეკების, ავარებისა და მათი ენის მქონე დაღესტნელების რიცხვი თითქმის მილიონს აღწევს.

ზოგიერთი გავლენიანი დაღესტნელი მეცნიერი მიიჩნევს, რომ ალბანეთი იყო ლეკების ისტორიული სახელმწიფო და ის მოიცავდა აღმოსავლეთ საქართველოს.

მათი მტკიცების თანახმად, **„ძველი ლეკური სახელმწიფო – ალბანეთი“** მოიცავდა აღმოსავლეთ საქართველოსაც. https://alpan365.ru/kavkazskaya-albaniya/

ისინი წერენ – „Кавказская Албания (лезг. -Алпан, Аран, Алупан; греч. – Албания; арм. – Алуанк, Агванк; перс.–Арран) – древнее лезгинское государство, возникшее в IV в. до н.э. в восточном Закавказье, занимавшее часть территории современных Азербайджана, Восточной Грузии и Южного Дагестана. Столицами Кавказской Албании в разное время были Кабала (Кабалака, Кабалак, Кьвепелек) и Партав (Барда)“. https://alpan365.ru/kavkazskaya-albaniya/

მოსკოვის საპატრიარქოს მახაჩკალა-გროზნოს ეპარქიამ ჩაატარა სრულიად რუსეთის სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია „კავკასიის ალბანეთის გაქრისტიანების 1700 წლისთავი“

რომელმაც განიხილა კავკასიის ალბანეთის საკითხები.

„Всероссийская научно-практическая конференция «1700-летие принятия христианства в Дербенте как государственной религии Кавказской Албании» прошла в Дербенте, сообщили РИА «Дагестан» в министерстве печати информации республики. Организаторами конференции выступили администра-

ция городского округа «город Дербент», Махачкалинская и Грозненская епархия, а также Дербентский филиал Дагестанского государственного университета. В конференции приняли участие **епископ Махачкалинский и Грозненский** Варлаам... Одной из важнейших вех в истории Дербента, **служившего северным форпостом Кавказской Албании, стало принятие христианства как государственной религии в 313 году".**

https://riadagestan.ru/news/society/konferentsiya_1700_letie_prinyatiya_khristianstva_v_derbente_kak_gosudarstvennoy_religii_kavkazskoy_albanii_proshla_v_derbente/

კონფერენციაზე განიხილეს ალბანეთის საკათალიკოსოს ისტორია, გამოირკვა, რომ „ალბანეთის მოსახლეობა საუბრობდა დაღესტნურ და ნახურ ენათა ლეკურ დიალექტზე".

Кавка́зские алба́ны (др.-греч. Ἀλβανοί) или **Кавка́зские алба́ны** – племена, говорившие на языках лезгинской ветви нахско-дагестанской семьи языков, население древнего царства Кавказской Албании.

https://ru.wikipedia.org/wiki/Кавказские_албаны#Фальсификация_истории_в_Азербайджане

ამოჩნდა საინტერნეტო გვერდები, სადაც „ლეკიანობა" ქართველთა მიერ კონტრიბუციის გადახდაა წარმოდგენილი, რადგანაც მიიჩნევა, რომ აღმოსავლეთ საქართველო ალბანეთის შემადგენლობაში შედიოდა, რომელიც დასახლებული იყო დაღესტნურ ენაზე მოლაპარაკე ხალხით, შესაბამისად, ამ მიწაზე მათ ისტორიული უფლება გააჩნდათ.

Лекианоба – термин, который использовали грузины для обозначения спорадических набегов горцев Дагестана в Грузию с XVI по XIX вв. Термин происходит от слова леки, так грузины изначально называли народов Южного Дагестана составлявших одно из 26-племён древнего государства Кавказская Албания, генеалогически являющимися предками современным лезгинам, но затем позже ошибочно обозначал всех горцев Дагестана, с суффиксом аноба, который обозначает контрибуцию.

https://ru.freejournal.info/4878925/1/lekianoba.html



საკითხი იბერიისა და ალბანეთის საზღვრის შესახებ

თემა იბერიისა და ალბანეთის საზღვრის შესახებ მხოლოდ საეკლესიო საკითხია და კავშირი არა აქვს პოლიტიკასთან.

საბჭოთა ეპოქაში ჩამოყალიბდა არასწორი შეხედულება, რომ აღმოსავლეთ საქართველოს დიდი ნაწილი, კერძოდ კი, სამხრეთ კახეთი (მათ შორის, თვით ქართველთა განმანათლებლის, წმიდა ნინოს განსასვენებელი ბოდბე, გურჯაანი, საინგილო, დავით-გარეჯა და სხვა), თითქოსდა, ისტორიულად, უძველესი ხანიდანვე, შედიოდა ალბანეთის საკათალიკოსოში და საქართველოს ეკლესიამ მე-10 საუკუნის შემდეგ ის თავის იურისდიქციაში შეიყვანა და, ამასთანავე, თითქოსდა, აქ მცხოვრები ალბანელებიც „გააქართველა“ („ქართიზაციის“ ამ თეორიის მიმდევრებს კი ავიწყდებათ, რომ ალბანეთის საკათალიკოსო მე-7 საუკუნის ბოლოსათვის უკვე აღარ არსებობდა).

ამის გამო, ამჟამად, ზოგიერთი მნიშვნელოვანი უცხოური საეკლესიო ცენტრი უძველეს ქართულ ეკლესია-მონასტრებს ალბანურ ეკლესიებს უწოდებს, მათ შორის ბოდბის, გურჯაანის, დავითგარეჯას, საინგილოს და სხვა საეკლესიო ნაგებობებს.

2019 წლის გაზაფხულზე ზოგიერთმა ცნობილმა მეცნიერმა სადავოდ მიიჩნია დავითგარეჯას მონასტრების ქართულობა და ისინი ალბანური კულტურის ძეგლებად გამოაცხადა. უფრო მეტიც, 2007 წელს საქართველოს ჩამოაშორა ჩიჩხატურის, ხოლო 2019 წელს უდაბნოს მოქმედი მონასტრები, ამ მონასტრების მიწა-წყალი უცხო სახელმწიფოს შემადგენლობაში აღმოჩნდა, ხოლო თვით მონასტრები მათ ალბანური კულტურისა და ისტორიის ძეგლებად გამოცხადეს, შესაბამისად, იქ ქართული წირვა-ლოცვაც შეწყდა.

ზოგიერთი მეცნიერი, კულტურისა და ისტორიის მკვლევარი ამტკიცებს (იხ. ქვემოთ), რომ ეს ეკლესიები და მონასტრები ალბანეთის ისტორიულ მიწა-წყალზე არიან განლაგებულნი და, შესაბამისად, ისინი არა ქართულ, არამედ ალბანური კულტურის ძეგლებად მიაჩნიათ.

უცხოეთის მეცნიერთა ერთი გავლენიანი ნაწილის მიერ ალბანელები სხვა ერის წინაპრებად იქნა გამოცხადებული. ისინი, ამ თემასთან დაკავშირებით, თავიანთ კვლევებში ქართველ მეცნიერთა ნაშრომებსაც ციტირებენ, რადგანაც თვით ქართველი მეცნიერები ამტკიცებენ, რომ საერთოდ სამხრეთ კახეთი, ალაზნის ხეობასა და საინგილოსთან ერთად, თითქოსდა, ისტორიულ ჰერეთში, ანუ ალბანეთში შედიოდა.

მრავალი საინტერნეტო საიტი და რუკაც იმავეს გადმოცემს.

ამ საკითხს, აღნიშნული კუთხით, საქართველოში ყურადღება არ ექცევა, პირიქით, მტკიცება, რომ მაგალითად, ბოდბეში ან საინგილოში ისტორიულად ჰერ-ალბანელები ცხოვრობდნენ, ფაქტად მიიჩნევა.

ამასთან დაკავშირებით, შესაძლოა ავიწყდებათ, რომ ტერმინ „ალბანეთს“ ძველი ქართული წყაროები არ იყენებდნენ და მის ნაცვლად სარგებლობდნენ სიტყვით „ჰერეთი“, მაგალითად, არსენ საფარელი თავის წიგნში“განყოფისათვის სომეხთა და ქართველთა“, ალბანეთის კათალიკოსს უწოდებს „ჰერთა კათალიკოსს“, შესაბამისად ის ალბანეთს უწოდებს ჰერეთს და ა.შ.

აღნიშნულის გათვალისწინებით, თუ კი სამხრეთ კახეთი, საინგილოს ჩათვლით, ისტორიული ჰერეთი იყო, მაშინ ის ალბანეთი ყოფილა თავისი საკუთარი ალბანეთის საკათალიკოსოთი, ალბანეთს კი ამჟამინდელი აზერბაიჯანელების მემკვიდრეობად მიიჩნევენ, ამის გათვალისწინებით სამხრეთ კახეთის მომავალი კითხვის ნიშნის ქვეშაა.

ეს ფაქტი მიაგავს ქართველი ისტორიკოსების მიდგომას მე-20 ს. 30–40-იან წლებში, როცა მათ დასავლეთ საქართველო ადიღე-ჩერქეზების უძველეს ისტორიულ სამშობლოდ გამოაცხადეს „ყვა“ და „ფსა“ ფუძე-ძირებიანი ტოპონიმების ადიღეური ენის ელემენტებად წარმოჩენით.

იმჟამად ისინი არავითარ საფრთხეს არ გრძნობდნენ, მაგრამ ამ უსაფუძვლო თეორიამ, რომელიც ამჟამად მტკიცე

ისტორიულ ჭეშმარიტებად მიიჩნევა, თითქმის ნახევარი საუკუნის შემდეგ, საფუძველი დაუდო აფსუთა იდეოლოგიურ გამარჯვებას ამჟამინდელი აფხაზეთის ოკუპირების წინ.

ისიცაა გასათვალისწინებელი, რომ ალბანელებს ასევე დაღესტნის ხალხების ერთი ნაწილი თავიანთ წინაპრებად თვლის. ამის გათვალისწინებით, საინტერნეტო საიტებიდანაც კი ჩანს, რომ ისინი სამხრეთ კახეთს საკუთარ ისტორიულ სამშობლოდ მიჩნევენ, რადგანაც სახრეთ კახეთი და ალაზნის მთელი ხეობა ისტორიულ ალბანეთად მიაჩნიათ. შესაბამისად, ქართველები იქ შემდგომ მისულებად.

2019 წელს, როცა დავითგარეჯას მონასტრის სხვის ხელში გადასვლის საკითხზე ყველა მსჯელობდა, მხოლოდ გავლენიანი ქართველი ისტორიკოსები არაფერს ამბობდნენ, თუ რომელი ძველი ხალხის მიწა-წყალზე იდგა ეს მონასტრები – ალბანელებისა თუ ქართველებისა.

რადგანაც სადავოა არა თვითონ მონასტრების ბერების ვინაობა, არამედ საქმე ეხება ამ მონასტრების მიწა-წყლის ისტორიულ კუთვნილებას.

ერთი სიტყვით, დავითგარეჯას რეგიონი ისტორიული კახეთია თუ ისტორიული ალბანეთი?!

ამ კითხვას კი ჩვენში თავს არიდებენ, საუბრობენ უშუალოდ მონასტერთა წარსულის შესახებ, მაგრამ არა მისი კონკრეტული რეგიონისა.

საქმე ისაა, რომ ჩვენი ისტორიკოსები წარსულ წლებში მუდამ იგივეს ამტკიცებდნენ, რასაც ახლა იმეორებს მეზობელი ქვეყნის ზოგიერთი მეცნიერი, რომ დავით-გარეჯა ალბანეთის მიწა-წყალზე მდებარეობდა, ამის დასტურია უამრავი ლიტერატურა და თუნდაც ოფიციალური ისტორიკოსების სამეცნიერო ნაშრომი „საქართველოს ისტორია, ოთხტომეული, 2012 წ." და სხვა.

„საქართველოს ისტორია, ოთხტომეული (2012 წ.)" წერს:

„ჰერებს ქართველთა მეზობლად მოსახლე ერთ-ერთ ალბანურ ტომად მიიჩნევენ, რომელმაც იბერიის გავლენის შედეგად განიცადა ქართიზაცია" (საქართველოს ისტორია, 2012, ტ. II, გვ. 180). მაშასადამე, ოფიციალური ისტორიოგრაფია ჰერებს – ალბანურ ტომად მიიჩნევს.

ეს მოსაზრება, რომ ჰერები კახეთში მოსახლე ალბანური ტომია, რომელიც თითქოსდა, გაქართველდა, შედეგია საბჭოთა ეპოქაში აღიარებული „ქართიზაციის თეორიისა".

იქვე (საქართველოს ისტორია, 2012, ტ. II) აღნიშნულია, თითქოსდა, ჰერეთში მოღვაწეობდნენ ასურელი მამები: **„ჰერეთში მოღვაწეობდნენ ცნობილი სირიელი მამები: დავით გარეჯელი, იოსებ ალავერდელი, აბიბოს ნეკრესელი, სტეფანე ხირსელი"** (იქვე, გვ. 181).

თვით ასურელი მამების „ცხოვრებათა" მიხედვით კი ეს მამები მოღვაწეობდნენ არა ალბანეთ-ჰერეთში, არამედ კახეთში, რაც ქვემოთაცაა აღნიშნული.

ჩემთვის, როგორც სასულიერო პირისათვის, გულსატკენი იყო, როცა ვნახე სასულიერო ორგანოში, რუსეთის საპატრიარქოს ბაქო-აზერბაიჯანის ეპარქიის საინტერნეტო გვერდზე გამოქვეყნებული მტკიცება, რომ ბოდბის ეკლესიაც კი, სადაც ქართველთა განმანათლებელი წმიდა ნინოა დაკრძალული, თითქოსდა, ალბანური ეკლესიაა!

მაგრამ, რაც უფრო გასაოცარია, ბოდბის შესახებ თვით უპირველესი ქართველი ისტორიკოსიც კი იგივეს წერს –

„მეფე მირიანის დროს ბოდბე ახლადშემოერთებული იყო, აქ „ალბანელებიც (ჰერები) ცხოვრობდნენ ... მათი საბოლოო ასიმილაცია დროის ამბავი იყო" – და განაგრძობს – „ჩანს, მირიან მეფის და წმიდა ნინოს ინტენსიური კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობა მიმართული იყო ჰერეთში ქართული ქრისტიანობის გავრცელებისაკენ... რომელიც წინააღმდეგობას აწყდებოდა არა მხოლოდ ალბანელთაგან, არამედ სომხებისგანაც" (დ. მუსხელიშვილი. საქართველო IV–VIII საუკუნეებში, 2003, გვ. 38).

იგივე ითქვა 2005 წლის საერთაშორისო კონფერენციაზე მოხსენებაში, „ქარ-

თული ეკლესია და სახელმწიფო ტერიტორია შუა საუკუნეებში“ –

„ქართული ეკლესიის კულტურულ-იდეოლოგიური პროზელიტიზმი წინასწარ ქმნიდა მკვიდრ ნიადაგს პოლიტიკური პროცესების წარმატებით განვითარებისათვის“ [დ. მუსხელიშვილი, ქართული ეკლესია და სახელმწიფო ტერიტორია შუა საუკუნეებში. საქართველოს საპატრიარქოს ქრისტიანული კვლევის საერთაშორისო ცენტრი, II საერთაშორისო სიმპოზიუმი, 24–26 ნოემბერი, 2005.].

ესაა საქართველოს ეკლესიის დადანაშაულება საეკლესიო პროზელიტიზმში, რაც მიუღებელი და აკრძალულია საეკლესიო კანონებით (III მს. კრების მე-8 კანონი).

ქართული ეკლესია არასდროს ყოფილა პროზელიტური, რადგანაც მუდამ მართლმადიდებლობის მტკიცე დამცველი იყო.

საოცარია, მაგრამ ფაქტია, რომ დავითგარეჯასთან დაკავშირებით 2019 წლის გაზაფხულზე აღნიშნული პროტესტის დროს, ჩანს, ცოტა ვინმემ თუ მოიძია ამავე დროს (ე.ი. 2019 წელს) ქართულ (ქართულ!) საინტერნეტო სივრცეში გამოქვეყნებული ალბანეთის რუკა, რომლის მიხედვით ისტორიკოსებს ალბანეთში აქვთ შეყვანილი არა თუ დავითგარეჯა, არამედ ბოდბე და გურჯაანიც კი, საინგილოსთან ერთად.

ალბანეთის რუკა ქართული ვიკიპედიით (2019 წ.), ამ რუკაზე ალბანეთში შედის გურჯაანი, ბოდბე, დავითგარეჯა და საინგილო.
upload.wikimedia.org/wikipedia/commons/thumb/c/c9/Aghuank.jpg/1024px-Aghuank.jpg


კავკასიის ალბანეთი
ნეკრესი
ალაზანი
უჯარმა
ტფილისი
(იორი)
ხუნანი
(მტკვარი)
ხალხალი
ხორნაბუჯი
(სამური)
შაქი
(ნუხა)
ტბა გელაქუნი
(მტკვარი)
ბარდავი
ალბანეთი
ირანი
ალბანეთი
ირანი
ალბანეთი
ალბანეთი
ალბანეთ

სიახლე ისტორიული კახეთისა და ჰერეთის საზღვრებთან დაკავშირებით

კახეთ-ჰერეთის სასაზღვრო პუნქტ ტყეტბა-გულგულას ადგილმდებარეობის დადგენას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ჰერეთის საზღვრის გარკვევისათვის, ამიტომ ქვემოთ ხშირად ვეხებით ამ საკითხს.

სასაზღვრო წერტილ გულგულა – გოლგოლას ახსენებს ასევე ლეონტი მროველი ჰერეთთან დაკავშირებით –

„ჰეროსს მისცა ქვეყანა მტკვრისა ჩრდილოთ, მცირისა ალაზნისა შესართავითგან ვიდრე ტყეტბამდე, რომელსა აწ ჰქვიან გულგულა, ამან ჰეროს აღაშენა პირველად ქალაქი შესაკრებელთა ორთავე ალაზნისათა და უწოდა სახელი თვისი ჰერეთი...და აწ მას ადგილსა ჰქვიან ხორანთა“ (ქ.ც. 1. 1955, გვ. 5).

მაშასადამე, გულგულა ჰერეთის სასაზღვრო პუნქტია, მისი ადგილმდებარეობის გაგებით ჩვენ დავადგენთ ჰერეთის რეალურ საზღვარს.

მართალია, ივანე ჯავახიშვილის სიტყვით, ვახუშტის არ ჰქონია საკმარისი ცნობები ჰერეთის საზღვრებთან დაკავშირებით, მაგრამ სახელების მსგავსების გამო მიუჩნევია, რომ თელავთან მდებარე სოფელი გულგულა შესაძლოა არის ჰერეთის ცნობილი სასაზღვრო პუნქტი „ტყეტბა-გულგულა“.

თუ ტყეტბა გოლგოლა არის თელავის სოფელ გულგულასთან, მაშინ ფაქტობრივად, მთელი თანამედროვე კახეთი ჰერეთად, ანუ ისტორიულ ალბნეთად უნდა მივიჩნიოთ,

მაგრამ ასე არ იყო, ტყეტბა-გულგულა იყო პუნქტი არა თელავთან, არამედ მდებარეობდა გიშისწყლის სათავეში, ცნობილ ხალხალასთან ახლოს, ამჟამინდელ სოფელ ფილფილთან, თანამედროვე ოგუზის (ვართაშენის) რაიონში, შექის ახლოს, კავკასიის მთებში.

აქ შემდგომ საუკუნეებშიც, ვიდრე მე-17 საუკუნემდე და შემდგომაც გადიოდა კახეთის სამეფოს საზღვარი, **ჯერ მდ. ალიჯანჩაიზე, და შემდგომ, იქვე, გიშისწყალზე.**

წარსულში სახელი „აზერბაიჯანი“ ერქვა სხვა რეგიონში, ჩრდილოეთ ირანში, არაქსთან, მდებარე ქვეყანას, მაგრამ XXI საუკუნეში მან სხვა რეალობა ასახა და უკვე დიდი მნიშვნელობა მიეცა

ამასთანავე, ისტორიკოსთა გავლენიანმა ნაწილმა, ალბანეთის ისტორიულ, კულტურულ და სამართლებრივ მემკვიდრედ აზერბაიჯანი გამოაცხადა, და, თუკი ალბანეთი კახეთის დიდ ნაწილს მოიცავდა, შესაბამისად, პრეტენზია გაჩნდა ალაზნის ხეობისა და საერთოდ კახეთის მიმართ, ამ ფარგლებშია წარმოდგენილი საეკლესიო რუკებზე ალბანეთის საკათალიკოსო. მაგალითად, „პრავოსლავნაია ენციკლოპედიის“ შესაბამის ტომში. ამიტომაც „ტყეტბა-გულგულას“ ადგილმდებარეობის გარკვევას უდიდესი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს.

ამასთანავე, ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ, ვახუშტი ორჭოფობდა და არ იყო დარწმუნებული, რომ კახეთ-ჰერეთის საზღვარი თელავის გულგულასთან მდებარეობდა, რადგანაც ის პირდაპირ წერს, რომ ჰერეთის საზღვარი მდინარე გიშისწყალზე გადიოდა.

კერძოდ, ჰერეთის საზღვართან დაკავშირებით ვახუშტი წერს – **„ალაზანს მოერთვის გიშისწყალი, რომელი გამოდის კავკასს, კულმუხსა და ჰერეთს შორის“** (ქ.ც. ტ. 4. გვ. 539).

მისი ამ ცნობიდან ჩანს, რომ ვახუშტი ბატონიშვილს ჰერეთის საზღვრად მიაჩნდა გიშისწყალი, კერძოდ, მისი სიტყვით, გიშისწყალი იყო საზღვარი ჰერეთსა და კახეთის ოლქ კულმუხს (ანუ ქურმუხს) შორის (ქურმუხის ქვეყანა ერქვა ამჟამინდელ საინგილოს).

მაშასადამე, ისტორიული კახეთის საზღვარი ჰერეთთან გიშისწყალი ყოფილა, ამ მდინარის მარჯვენა სანაპიროს მხარეს კახეთი, ხოლო მარცხნივ – ჰერეთი მდებარეობდა.

შესაბამისად, ისტორიული კახეთი მოქცეული იყო არაგვსა და გიშისწყალს შორის, ხოლო ჰერეთი – გიშისწყალსა (აგრიჩაისა) და თეთრწყალს (აღსუს) შორის, ამჟამინდელ აზერბაიჯანში.

ისტორიულ კახეთსა და ისტორიულ ჰერეთს ერთმანეთისაგან ყოფდა მდინარე გიშისწყალი, ალაზნის ყველაზე დიდი შენაკადი, ამიტომაც მასაც ალაზანს უწოდებდნენ.

როგორც ქვემოთაა გარკვეული, გიშისწყალს, რომელიც შექთან ახლოს, კავკასიის მთებში გამოედინება და ალაზანთან გაერთიანების შემდეგ აქვე, დაბლობზე მტკვარს უერთდება, ჩანს, პლინიუს უფროსი უწოდებდა **ოკაზანს** და მიიჩნევდა იბერიასა და ალბანეთს შორის საზღვრად. აქვე გაედინება მდინარე ალიჯანჩაი, რომელიც კიდევ უფრო ზუსტად შეესაბამება პლინიუსის ცნობას, რომ სასაზღვრო მდინარეს სათავე კავკასიის მთებში ჰქონდა და ბარში მტკვარს უერთდებოდა. აღსანიშნავია, რომ მდ. ალიჯანჩაი კახეთის სამეფოს საზღვარს საუკუნეთა მანძილზე წარმოადგენდა.

ვახუშტი ბატონიშვილს ეს ძალზე ძვირფასი ცნობა, რომ ჰერეთის საზღვარი გიშისწყაზე გადიოდა, ჩანს, აუღია რომელიღაც ძველი საბუთიდან,

შემდგომ ვახუშტიმ ეს თვალსაზრისი გიშისწყალთან დაკავშირებით თავის შრომაში აღარ გააღრმავა და დაეყრდნო ლეონტი მროველის ცნობებს, რომელნიც მის დროს უკვე გარყვნილი ყოფილა გადამწერების შეცდომების გამო, როგორც ეს გაარკვია ივანე ჯავახიშვილმა.

ჩვენ ამ შრომაში ვავითარებთ ვახუშტი ბატონიშვილის აზრს, რომ ჰერეთის საზღვარი გიშისწყალზე (ანდა მახლობელ მდ. ალიჯანჩაიზე) გადიოდა.

ვახუშტის ასეთი დახასიათება გიშისწყლისა, რომ ის ჰერეთის სასაზღვრო მდინარეა, გვაგონებს პლინიუს უფროსის ცნობას, რომლის მიხედვით ალბანეთსა და იბერისა ერთმენეთისაგან საზღვრავდა ველზე გამავალი მდინარე ოკაზანი, რომელიც კავკასიის მთებში გამოედინებოდა და ველზე ერთვოდა მტკვარს,

პლინიუსი წერს – **„всю равнину, начиная от реки Кура, заселяют племена албанов, а затем иберов, которые отделены от первых рекой Оказаном, текущей с Кавказских гор в реку Кир“ … (Плиний Старший, «Естественная история», кн. VI, 28–29).**

ალაზანთან მიერთებული გიშისწაყლი, რომელსაც სათავე კავკასიის მთებში აქვს, მსგავსადვე, დაბლობში, აჯინოურის ველზე ერთვის მდ. მტკვარს.

შესაბამისად, ჩვენ ოკაზანად მიგვაჩნია გიშისწყალი ალაზანთან შეერთებული, ანდა აქვე, ამავე მახასიათებლების მქონე მეორე მდინარე ალჯანჩაი, რომელიც კავკასიის მთებში იღებს სათავეს და ველზე მტკვარს უერთდება.

ეს არის მეტად მნიშვნელოვანი სიახლე ალბანეთ-იბერიის, ანუ კახეთ-ჰერეთის საზღვრის გარკვევის საკითხში, რასაც ჩვენ ქვემოთ ძალზე ხშირად ვიმეორებთ.

ჩვენი მოსაზრების დასამტკიცებლად ვიხილავთ უამრავ წყაროს, როგორც ქართულს, ისე უცხოურს.

ნაშრომში გამოყენებული ტერმინოლოგია

(ისტორიული ოლქებისა და პუნქტების ლოკალიზაცია)

წყროებზე დაყრდნობით, რომელიც ქვემოთაა განხილული, დასტურდება, რომ

1. **ისტორიული კახეთი** მოქცეული იყო გომბორის ქედსა (წყაროებში ეწოდება „კახეთის მთა“) და კავკასიის ქედს შორის;

2. **კუხეთი მოქცეული იყო** გომბორის ქედსა და მტკვარს შორის;

3. ხოლო **კამბისენა (კამბეჩანი)** მდებარეობდა მტკვრის ხეობაში, იმ ტერიტორიაზე, რომელიც ამჟამად მინგეჩაურის წყალსაცავითაა დაფარული და გრძელდებოდა მის ქვემოთ, აღმოსავლეთის მიმართულებით;

4. **საკასენა** მდებარეობდა აღნიშნულ საზღვრებში მოქცეულ კამბისენას მეზობლად, მტკვრის მარჯვენა ნაპირზე;

5. რაც შეეხება **გარდაბნის** ძლიერ ოლქს, ის ისტორიული საკასენას ჩრდილოეთით, მტკვრის მარჯვენა ნაპირზე, კუხეთის მეზობლად მდებარეობდა, ხოლო

კუხეთი, როგორც ითქვა, – მარცხენა ნაპირზე;

კახეთი აღნიშნულ საზღვრებში (გომბორისა და კავკასიის ქედებს შუა) მოქცეული იყო უძველესი ხანიდან ვიდრე 840-იან წლებამდე, არაბთა სარდალ ხალილ იზიდის ძის მიერ სამხრეთ კახეთის დაპყრობამდე, როდესაც კახეთის საზღვარმა გიშისწყლიდან გავაზ-ილტოს ხევამდე გადმოინაცვლა.

როგორც აღინიშნა, ამ წლებში, მე-9 საუკუნის 40-იან წლებში, არაბთა სარდალმა ხალილ იზიდის ძემ გავაზთან მარცხის შემდეგ კახეთის საქორეპისკოპოსოს ჩამოაჭრა მიწა-წყალი გავაზის ხაზიდან ვიდრე გიშისწყლამდე და გადასცა ის შაქის მეფეს საჰლ იბნ სუნბატ ალ არმანს, არანისა და არცახ-ხაჩენის მთავარს. ამის შემდეგ სამხრეთ კახეთს (გავაზის ხაზიდან ვიდრე გიშისწყლამდე) დაეუფლა ჰერეთის სამეფო.

კახეთის საქორეპისკოპოსო ძლიერი პოლიტიკური და ასევე საეკლესიო ერთეული იყო და ის კახეთთან ერთად ასევე მოიცავდა კუხეთსა და გარდაბანს.

როგორც ითქვა, უძველესი ხანიდან ვიდრე 840-იან წლებამდე, ჰერეთსა და კახეთს შორის საზღვარი გიშისწალზე გადიოდა. ეს მდინარე სათავეს იღებს კავკასიის მთებში შექთან ახლოს და ალაზანთან შერთვის შემდეგ მისი წყალი გაერთიანებული ნაკადის სახით უერთდება მტკვარს აჯინოურის ველზე.

აღნიშნულ საზღვრებში (გიშისწყლიდან ვიდრე მდ. არაგვამდე) მოქცეული კახეთის საქორეპისკოპოსო ძალზე დაასუსტა არაბებთან თავდადებულმა ომმა მე-8 საუკუნეში.

არაბებთან მუდმივად მებრძოლ კახეთისაგან განსხვავებით, ჰერეთი, ანუ შაქის ოლქი, მშვიდობიანად ცხოვრობდა და გაძლიერებულიც იყო ამ ეპოქაში, ის ასევე მოიცავდა რანსა და არცახს.

არაბთა ხალიფა ამ წლებში დიდად ემადლიერებოდა შაქის მეფეს საჰლ იბნ სნბატ ალ არმანს, არანისა და არცახ-ხაჩენის მთავარს და მას მიანიჭა მაღალი ტიტული – „არმენიის, ივერიისა და ალუანქის (რან-შაქის) მეფის“ წოდება მოვსეს კალანკატუაცის ცნობით.

დიდი ჰერეთი

შექ(შაქ)-არან-არცახის გაერთიანებულ სამეფოსაც ქართველები ჰერეთს უწოდებდნენ.

საკუთრივ ჰერეთი

ჩვენ ქვემოთ ხშირად ვიმეორებთ აზრს, რომ საკუთრივ ჰერეთის ისტორიული მიწა-წყალი მოიცავდა შექისა (შაქისა) და ამჟამინდელი კაბალას და ოგუზის ოლქის ტერიტორიებს მდინარე გიშისწყლიდან, ვიდრე მდინარე თეთრწყლამდე (აღსუმდე), ხოლო კახეთის საზღვარი ამ მიმართულებით გადიოდა მდ. გიშისწყალზე და უფრო მეტად იქვე გამდინარე ალიჯანჩაიზე, რაც გამოკვლეულია ქვემოთ.

ისტორიული კახეთი

ამჟამად, შეიძლება ითქვას, რომ საერთაშორისოდ დამკვიდრებულია არასწორი მოსაზრება, რომ თითქოსდა, ისტორიული კახეთი მოქცეული იყო მდინარე არაგვსა და **იანლოს ქედს** შორის, რომლის კალთაზეც მარტყოფის მონასტერი მდებარეობს, და თითქოსდა, ასეთმა პატარა სამთავრომ ჰერეთისაგან მიიტაცა ტერიტორია თელავის ჩათვლით, ამისგან განსხვავებით, როგორც აღინიშნა, ჩვენ ვავითარებთ აზრს, რომ უძველესი ხანიდანვე კახეთი მოქცეული იყო გომბორის ქედსა და კავკასიის მთავარ ქედს შორის, მდ. ალიჯანჩაიმდე ანდა იქვე გამდინარე გიშისწყლამდე.

როგორც ითქვა, ამჟამინდელი მტკიცებით, კახეთი მოქცეული იყო არაგვსა და იანლოს ქედს შორის. ხოლო დანარჩენი ტერიტორია, იანლოს ქედის აღმოსავლეთით, თითქოსდა, იყო ჰერეთი ანუ ალბანეთი.

არგვიდან იანლოს ქედამდე სულ რამდენიმე კილომეტრია, ანუ ამჟამინდელი აზრით, კახეთი თავდაპირველად იყო ძალზე პატარა სამთავრო, რომელმაც ვითომდა, გაცილებით დიდი ჰერეთი დაიპყრო.

წყაროს მიხედვით, რომელსაც ეყრდნობა ჩვენი აზრი, როგორც ითქვა, კახეთი მოქცეული იყო არაგვსა და გიშისწყალს შუა, აღნიშნულ გომბორსა და კავკასიონის ქედს შორის, შესაბამისად, ის იყო

ძლიერი სამთავრო. ხოლო ჰერეთი კახეთს აღნიშნულ გიშისწყალთან ესაზღვრებოდა, კონკრეტულად კი, იორ-ალაზნის შესართავთან და პუნქტ ტყე-ტბა გოლგოლასთან, რომელიც აქვე უნდა ვეძიოთ, არა თელავთან, კერძოდ კი გიშისწყლის სათავესთან, შაქის რეგიონში. საერთოდ ჰერეთი შაქის, ანუ შექის რეგიონს ერქვა.

ჩელეთი (ჩალეთი), დედა-ციხე, კახეთის მთა, „კახეთის მთის თავი“

იორ-ალაზნის შესართავის რეგიონშივე უნდა ვეძიოთ ქართველთა ეთნარქის, ქართლოსის ძის, კახოსის მიერ აშენებული ქალაქი **ჩელეთი** და არა ჟალეთთან (ამჟამინდელ სიონის წყალსაცავთან).

აქვე, იორ-ალაზნის შესართავთან უნდა ვეძიოთ წყაროში ნახსენები „დედა-ციხე“, რადგანაც თეიმურაზ ბატონიშვილის მიერ მოძიებული ცნობებით აქ, იორ-ალაზნის შესართავთან ყოფილა ქართველთა ნაშენები თავდაპირველი გრანდიოზული ნაგებობები, მართლაც, არქეოლოგებმაც აქ, ადგილ დიდნაურის ველზე აღმოაჩინეს გრანდიოზული ციხე-ქალაქების ნაშთები, აქ ახლოს იყო კუხოსის წილი ქვეყანა, ამიტომაც ციხე-ქალაქ ბერის, იგივე, ჩელეთის შენებისას კახოსს „შეეწია კუხოს“, ანუ დაეხმარა მშენებლობისას. ამ დახმარების სანაცვლოდ კუხოსს კახოსისაგან საჩუქრად ერგო „დედა-ციხე“. მართალაც, ისტორიულ კუხეთთან ახლოა არქეოლოგთა მიერ ახლახანს აღმოჩენილი დიდნაურის გრანდიოზული ნაქალაქარი, გრანდიოზული ციტადელებითა და სიმაგრეებით. ეს უძველესი ციხე-ქალაქი ჩვენ მიგვაჩნია წყაროში ნახსენებ „დედა-ციხედ“, როგორც აღინიშნა.

დიდნაურის ნაქალაქარი, რომელიც ჩვენ ქართლის ცხოვრებაში ნახსენებ „დედა-ციხედ“ მიგვაჩნია, არქეოლოგებმა აღმოაჩინეს 2014 წელს ადგილ დიდნაურზე, დედოფლისწყაროსთან, ანუ იორ-ალაზნის შესართავთან ახლოს. ესაა მასშტაბური დასახლება ანუ ციხე-ქალაქი. მას ათარიღებენ ძვ. წ. მე-12 საუკუნით, ალბათ, უფრო უნდა დავუკავშიროთ ლეგენდარული კახოსისა და კუხოსის ეპოქას.

შეიძლება ითქვას, რომ დიდნაურთან ახლოსაა გომბორის ქედის საწყისი, ანუ წყაროში ნახსენები „კახეთის მთის თავი“, აქვე ახლოა იორ-ალაზნის შესართავი, ანუ აქ იწყებოდა ჰერეთი და, რაც მთავარია, ის მდებარეობდა ზედ საზღვარზე კუხოსის ქვეყნისა.

როგორც ითქვა, კუხოსის ქვეყანა მოქცეული იყო მტკვარსა და გომბორის ქედს შუა, ანუ დიდნაური ზედ კუხეთის საზღვარზეა, გომბორის ქედის საწყისთან, ანუ „კახეთის მთის თავთან“.

წყაროს მიხედვით „დედა-ციხე“ ანუ, სავარაუდოდ, დიდნაურის ციხე-ქალაქი კახოსს ეკუთვნოდა, მაგრამ მისთვის ძალზე მნიშვნელოვანი ყოფილა აგება ახალი ციხე-ქალაქის ჩელეთისა. ის მდებარეობდა, ჩვენი კვლევით, შექის ოლქში, გიშისწყლის სათავის რაიონში, რომელიც მოცემულია შესაბამის წიგნში.,

აქვე, ამავე რეგიონთან (ანუ იორ-ალაზნის შესართავთან, ანუ ჰერეთის საზღვართან) ახლოს უნდა ვეძიოთ ცნობილი პუნქტი „ტყე-ტბა“, ის იყო სასაზღვრო პუნქტი ჰერეთთან, რომელსაც ლეონტი მროველის დროს „გოლგოლა“ ერქვა.

ამასთანავე, ამ რეგიონში ამჟამადაცაა ადგილი (სოფელი) სახელწოდებით „ჩალეთი“ (ამჟამინდელ აზერბაიჯანში, შაქთან ახლოს ქალაქ ოგუზთან) ვართაშენთან.

როგორც ქვემოთაა გარკვეული, ჩვენი მეცნიერების შეცდომის საფუძველია ის, რომ წყაროში ნახსენები „კახეთის მთა“ მიიჩნიეს თიანეთთან მიმდებარე მთად, სინამდვილეში კი, „კახეთის მთა“ ერქვა გომბორის ქედს მთელს მის სიგრძეზე. ხოლო ამ ქედის დასაწყისად მიიჩნევდნენ მის ბორცვს იორ-ალაზნის შესართავთან და მას უწოდებდნენ ასე: – „თავი კახეთის მთისა“. და ის მიაჩნდათ ათვლის წერტილად.

შესაბამისად, წყაროში ნახსენები „კახეთის მთის თავი“ ერქვა გომბორის ქედის დასაწყისს იორ-ალაზნის შესართავთან. აღსანიშნავია, რომ აქედანვე იწყებოდა „ჰეროსის წილი“ ქვეყანა. –

„ხოლო კუხოსს მისცა ბოსტან ქალაქი, რომელსაც აწ ჰქვიან რუსთავი,

მისცა არაგვითგან ვიდრე ჰერეთამდე, თავადმდე მთასა კახეთისასა და მტკვარს შუა, ხოლო კახოსს მისცა კავკასიასა და კახეთის მთასა შუა, არაგვითგან ვიდრე ტყეტბამდე, რომელი არს საზღვარი ჰერეთისა. და ამან კახოს აღაშენა ჩელეთი. კუხოს შეეწია შენებასა ჩელეთისასა, რამეთუ დედაციხე კახოსის ხვედრი იყო და მისცა კახოს შეწევნისათვის, და შეეწია შენებასა ჩელეთისასა, რომელსა ბერ ერქვა პირველ შენებულსა კახეთისასა“.
http://titus.fkidg1.uni-frankfurt.de/texte/etcs/-cauc/ageo/kcx1/kcx1.htm?kcx1002.htm

„მისცა კახოს შეწევნისათვის“, ნიშნავს: **„მისცა კახოსმა (კუხოსს) შეწევნისათვის“.**

ამჟამად წყაროს თვითნებურად ასხვაფერებენ, ამატებენ წყაროში მითითებას, რაც სინამდვილეში წყაროში არ წერია –

„ხოლო კუხოსს მისცა ბოსტან ქალაქი, რომელსა აწ ჰქჯან რუსთავი, მისცა არაგვითგან ვიდრე ჰერეთამდე, [.....შესარ] **თავადმდე, მთასა კახეთისასა და მტკუარსა შუა.“**

მაშინ, როცა წყაროში არაა ასეთი ფორმა „**[.....შესარ] თავადმდე** და არის მხოლოდ სიტყვა „თავადმდე“ და იქვეა – **„მთასა კახეთისასა“**, მაშასადამე, კახეთის მთის თავამდე და არა „შესართავამდე“.

მაშასადამე, სწორია მოცემული ტექსტი, გარეშე ყოველგვარი მე-20 საუკუნის ჩამატებისა – **[.....შესარ].**

მართლაც, მარიამისეულ „ქართლის ცხოვრებაში“, რომელიც გამოცემულია ექვთიმე თაყაიშვილის მიერ, ასეთი ჩამატება არ გვხვდება.

მარიამისეულ ქართლის ცხოვრებაში ასეთი ტექსტია –

„ხოლო კახოსს მისცა ბოსტან ქალაქი, რომელსა აწ ჰქვიან რუსთავი, მისცა ეგრითგან **ვიდრე თავადმდე მთასა კახეთისასა და მტკვარს შუა,** ხოლო კახოსს მისცა კავკასიასა და კახეთის მთას შორის არაგვითგან ვიდრე ტყეტბამდე, რომელი არს საზღვარი ჰერეთისა.

(მარიამისეული – ქართლის – ცხოვრება, (თაყაიშვილის გამოცემა).

მაშასადამე, ძველ ტექსტებში გვაქვს სწორი ფორმა – **„თავადმდე მთასა კახეთისასა“,** ამიტომ შეიძლება, რომ თვითნებობა ტექსტის მიმართ და მასში რაიმეს ჩამატება მიუღებელია, რადგანაც **ცვლის წყაროს ცნობას.**

ამიტომ აღნიშნული ჩამატება **[... შესარ]**, არ უნდა იქნას გათვალისწინებული.

ამ შემთხვევაში ტექსტი მიიღებს სახეს – „ხოლო **კუხოსს მისცა** ბოსტან-ქალაქი, რომელსა აწ ჰქჯან რუსთავი, მისცა **არაგვითგან ვიდრე ჰერეთამდე, თავადმდე მთასა კახეთისასა და მტკუარსა შუა“.**

მაშასადამე, კახეთი მოქცეული იყო არაგვიდან ვიდრე კახეთის მთის თავამდე, ანუ გომბორის „თავამდე“, ხოლო კუხეთი – გომბორის მთასა (ანუ გომბორის ქედსა) და მტკვარს შუა. გომბორის „თავი“ კი იორ-ალაზნის შესართავთანაა, რადგანაც აქ იღებს სათავეს გომბორის ქედი. იორ-ალაზნის შესართავთან კი ჰერეთი იწყებოდა, აქ ააგო ჰეროსმა თავისი ქალაქი.

გომბორის მთა მართალაც ჰერეთის საზღვართან იწყებოდა, ანუ აქ, იორ-ალაზნის შესართავთან.

იორ-ალაზნის შესართავიდან ვიდრე არაგვამდე იყო განვრცობილი ისტორიული კახეთი, ეს იყო მისი სიგრძე, ხოლო, რაც შეეხება ძველი კახეთის სიგანეს, ის თავსდებოდა კავკასიის ქედიდან ვიდრე კახეთის მთამდე (ანუ გომბორის ქედამდე). გომბორის ქედიდან ვიდრე მტკვრამდე კუხეთი მდებარეობდა.

მაშასადამე, კუხეთი ერქვა ქვეყანას გომბორის ქედიდან ვიდრე მტკვრამდე.

რაც შეეხება კამბეჩანს, ის მდებარეობდა მტკვარზე იქ, სადაც ამჟამად არის მინგეჩაურის წყალსაცავი. ასევე მტკვარზე ათავსებს კამბეჩანს მე-7ს-ის სომხური გეოგრაფია, რაც ქვემოთაა აღნიშნული.

თუ ჩვენ მივიღებთ ამ განსაზღვრებებს, რაც უცვლელად იმეორებს როგორც ქართული (ქართლის ცხოვრება), ისე სომხური წყაროს (მე-7ს-ის „გეოგრაფია“) ცნობებს, მაშინ არასწორი აღმოჩნდება ჩვენი ამჟამინდელი მეცნიერების მტკიცება, რომ თელავი ჰერეთის, ანუ ალბანეთის ქალაქი იყო, რომელიც შემდეგ კახეთის ფარგლებში მოექცა.

სწორედ ასე მიიჩნევა ამჟამად, რაც მოცემულია თავისუფალ საინტერნეტო ენციკლოპედია ვიკიპედიაშიც კი, მაგა-

ლითად, მის სტატიაში „კახეთი“. (https://ka.wikipedia.org/wiki/kaxeTi 4.03. 2012).



ჩვენი აზრით, ამ სტატიაში გადმოცემულია მე-20 საუკუნეში შეთხზული ახალი ქართული ლეგენდა ისტორიული კახეთის შესახებ, რომ თითქოსდა, კახეთის დედაქალაქი იყო ჟალეთი („დედაციხედ“ მიაჩნიათ), რომ ისტორიული კახეთი მთებში მდებარეობდა, ხოლო თელავი ჰერეთის ქალაქი იყო, რომ კახეთსა და ჰერეთს შორის საზღვარი ვეჯინისა და გავაზის დასავლეთით, ალაზნის ველს მიუყვებოდა. ეს არის არასწორი თეორია, რომელიც საყოველთაოდაა დანერგილი, სინამდვილეში, ქართულ წყაროთა მიხედვით, ისტორიული კახეთი განვრცობილი იყო იორ-ალაზნის შესართავიდან და მდ, გიშისწყლიდან ვიდრე მდ. არაგვამდე და მხოლოდ მე-9 საუკუნეში შემცირდა ისტორიული კახეთის საზღვარი და გიშისწყლიდან გადმოტანილ იქნა ვეჯინ-თელავის ხაზამდე.

თელავთან საზღვარი მხოლოდ მე-9 საუკუნეში გაივლო სარდალ ხალილ არაბიელის ლაშქრობის შემდეგ (რისი მტკიცებაც ქვემოთაა მოცემული), იქამდე კი საზღვარი კახეთსა და ჰერეთს შუა გიშისწყალზე გადიოდა.

წყაროს მიხედვით, სად მდებარეობდა ჰერეთი? წყარო ამბობს –

„ხოლო ჰეროსს მისცა ქუეყანა მტკურისა ჩრდილოთ, მცირისა ალაზნისა შესართავითგან ვიდრე ტყეტბამდე, რომელსა აწ ჰქჳან **გულგულა**. და ამან ჰეროს აღაშენა პირველად ქალაქი **შესაკრებელთა შორის ორთავე ალაზანთასა**. და უწოდა სახელი თჳსი ჰერეთი. და მის გამო ჰქჳან ჰერეთსა ჰერეთი. და აწ მას ადგილსა ჰქჳან **ხორანთა.**“

ლეონტი მროველი – „ცხოვრება ქართველთა მეფეთა“ – (1955) თავი პირველი: ამბავი რვათა ძმათა.

მაშასადამე, ჰერეთ-კახეთის საზღვარი იორ-ალაზნის შესაკრებელიდანაა, ვიდრე ტყეტბა-გულგულამდე (გოლგოლამდე).

კახეთისა და ჰერეთის, ასევე იორ-არაგვის შესარავთთან ახლოს (ამჟამინდელ დიდნაურთან) უძველესი დიდი ციხე-ქალაქების მშენებლთა შესახებ წერს თეიმურაზ ბატონიშვილი თავის წიგნში **„ისტორია დაწყებითგან ივერიისა, ესე იგი გიორგიისა, რომელ არს სრულიად საქართველოისა...“** (სპბ.1848). http://meufeanania.ge/admin/upload/img/288f8b1635ddef4da42d12c01525d694.pdf

თეიმურაზ ბატონიშვილის სიტყვით, მდ. ალაზანი **„შთამოვლის საშუალ შიგნით კახეთისა. იორი შთამოვლის საშუალი გარე კახეთისა“** (გვ.14), ანუ „შიგნით კახეთი“ ერქვა მდ. ალაზნის ორივე სანაპიროს ქვეყანას. შესაბამისად, ამჟამინდელი **საინგილო „შიგნით კახეთის“ ქვეყანა იყო და არა ჰერეთისა.** ამიტომ მდ. ალაზანი „საშუალ შიგნით კახეთისა“ მიედინებოდა, ხოლო იორის ქვეყანას „გარე კახეთი“ ერქვა. მაშასადამე, კახეთი მოიცავდა ალაზნის ორივე სანაპიროს მხარეს, ჯერ კიდევ კახოსის ეპოქიდანვე, ალაზნის მარჯვენა და მარცხენა სანაპიროების მომცველ ვრცელ ოლქებს ერთად ერქვა „შიგნით კახეთი“, ხოლო მდინარე იორის მომცველ ორივე სანაპიროს ოლქებს ერთად ერქვა „გარე კახეთი“, შესაბამისად, ამჟამინდელი **საინგილო, ანუ ალაზნის მარცხენა სანაპიროს ოლქი ეკუთვნოდა „შიგნით კახეთს“ და არა ჰერეთს,** როგორც ამჟამად მიიჩნევა არასწორად. საინგილოს მხარე მხოლოდ მე-9 საუკუნეში მიიტაცა შაქის ოლქის მმართველმა საჰლ იბნ სნბატ ალ არმანიმ არაბული ჯარის დახმარებით კახეთის სხვა მიწებთან ერთად და მის შემდეგ ზოგიერთებმა მას უწოდეს ჰერეთი. თუმცაკი, ის ისტორიულად იყო „შიგნით“ კახეთის ქვეყანა.

თეიმურაზ ბატონიშვილს მიაჩნია, რომ ამ ორი მდინარის, იორისა და ალაზნის შეერთების ადგილი იყო ქართველთა ეთნარქების, ანუ ქართველთა პირველწინაპრების თავდაპირველი საცხოვრისი, იგულისხმება ის ტერიტორია იორ-ალაზნის შესართავის ადგილას, სადაც ამჟამად მინგეჩაურის წყალსაცავის დასაწყისია. აქ აგებულა თავდაპირველი ქართული ქალაქები და ციხესიმაგრეები.

მაშასადამე, როგორც ითქვა, თეიმურაზ ბატონიშვილი წერს – მდ. ალაზანი „შთამოვლის საშუალ შიგნით კახეთისა. იორი შთამოვლის საშუალი გარე კახეთისა“ (გვ.14), ანუ „შიგნით კახეთი“ ერქვა მდ. ალაზნის ორივე სანაპიროს ქვეყანას, გარეკახეთი კი – ივრისა, ამის დაზუსტება საჭიროა წყაროში ნახსენები „კახეთს მთის“ ლოკალიზაციისათვის, გომბორის ქედი ერთმანეთისაგან საზღვრავდა შიგნით და გარე კახეთს, ალაზნისა და იორის ხეობებს, მაშასადამე, „კახეთის მთა“ გომბორის სასაზღვრო ქედს ერქვა. კახეთსა და ჰერეთს ერთმანეთისაგან აშორებდა ალაზნის უმთავრესი შენაკადი გიშისწყალი, რომლის სათავე შექთან ახლოს იყო კავკასიის მთებში, ან მასაც ალაზანი ერქვა, რადგანაც იორსაც კი პატარა ალაზანი ერქვა და სხვა მდინარეებსაც.

ჰერეთის საზღვარი გიშისწყალზე

ანუ ჰერეთის ქვეყანა იწყებოდა იორ-ალაზნის შესართავთან და შემდეგ კი მიუყვებოდა ალაზნის გზით გიშისწყალს. აქაც, მთებში აუგია კახოსს თავისი სხვა ციხე-ქალაქი ჩალეთი, აქვე ახლოს იყო კუხოსის წილი ქვეყანა და ამ მდინარის (გიშისწყლის) იქით კი ჰერეთი.

ამ ორი მდინარის (იორისა და ალაზნის) შეერთების ადგილას, მისი სიტყვებით, იდგა ხორანთა, ანუ ხორნაბუჯი.

რადგანაც ჩვენი ნაშრომის მიზანი ისტორიული პუნქტების სწორი ლოკალიზაციაა, ამიტომ კიდევ ერთხელ გავიმეორებთ ზემოთ ნათქვამს –

იორ-ალაზნის შესართავთან ერთმანეთს კვეთდა კახოსის, კუხოსისა და ჰეროსის ქვეყნების საზღვრები.

კუხეთი

კუხოსის წილი იყო ტერიტორია მტკვრიდან ვიდრე გომბორის ქედამდე, რომლის მთა-ბორცვები თითქმის იორ-ალაზნის შესართავამდე აღწევს.

გომბორის ქედი – კახეთის მთა

გომბორის გრძელი ქედი (მას წაყროში ეწოდება „კახეთის მთა“) წარმოადგენდა საზღვარს კახოსისა და კუხოსის ქვეყნებისა .

კახეთის ქვეყანა

კახეთის ქვეყანა, ანუ კახოსის წილი ქვეყანა გადაჭიმული იყო კავკასიის მაღალი ქედიდან ვიდრე გომბორის ქედამდე (რომლის თავი, როგორც ითქვა) იწყებოდა იორ-ალაზნის შესართავთან ახლოს.

ეს წერტილი, ანუ იორ-ალაზნის შესართავი, ასევე სასაზღვრო წერტილი იყო ჰეროსის ქვეყნისა, სადაც მასაც აუგია ქალაქი.

კახოსის წილ ქვეყანაში იდგა ე.წ. „დედა ციხე“ და სხვა გრანდიოზული ციხე-ქალაქი, **„რომელიცა უძველეს დროთა შინა იყო ქალაქი დიდი, ციხითა დიდითვე, და ამის აღშენებასა იტყვიან**

უწინარეს ყოველთა შენობათა და მოსახლეებათა სრულად ივერიისა ქვეყნისა, ქალაქთა და დაბათა“ (გვ.14).

დედა-ციხე

ქართლის ცხოვრების ცნობა მიგვანიშნებს, რომ უძველეს ქართულ ტომს „კახოსს“ იორ-ალაზნის შესათავთან ახლოს აუგია გრანდიოზული ციხე-ქალაქი და მისთვის ამიტომაც უწოდებიათ **„დედა ციხე“. ეს უნდა იყოს გრანდიოზული ნაგებობა დიდნაურისა,** რომელსაც 2020 წელს, როგორც აღინიშნა, ეროვნული ძეგლის სტატუსი მიენიჭა.

მაშასადამე, სხვა ქალაქი იყო ხორანთა და სხვა ციხე-ქალაქი იყო „დედა-ციხე“ დიდნაურის ველზე. ამავე არეალთან ახლოს უნდა ვეძიოთ ასევე კახოსის მიერ ნაგები ქალაქი ჩალეთი.

თეიმურაზ ბატონიშვილის მიხედვით, ეს ნაგებობანი **„უძველეს დროთა შინა იყო ქალაქი დიდი, ციხითა დიდითვე, და ამის აღშენებასა იტყვიან უწინარეს ყოველთა შენობათა და მოსახლეებათა სრულად ივერიისა ქვეყნისა, ქალაქთა და დაბათა“** (გვ. 14), ანუ დედაციხე, ჩალეთი და ხორანთა ქართველთა მიერ ნაგები ერთ-ერთი პირველი გრანდიოზული ნაგებობანი ყოფილა. თეიმურაზ ბატონიშვილის ცნობით, ისინი (ანუ დიდნაურისა და სხვა ნაგებობანი) ქართველთა წინაპრებს აუგიათ და არა, ვთქვათ, ხეთებს, როგორც ამჟამად მიიჩნევა.

მთავრობის დადგენილებაში მასზე ნათქვამია – „საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, კულტურული მემკვიდრეობის უძრავ ძეგლებს: დიდნაურს, ნაქალაქარსა და ხვამლის ციხე-ქვაბულს განესაზღვროთ ეროვნული მნიშვნელობის კატეგორია.
https://matsne.gov.ge/ka/document/view/4937023?publication=0

ექსპედიციის წევრები ვარაუდობენ, რომ ის უძველესი სახელმწიფოს დედაქალაქი უნდა ყოფილიყო, **რომელიც ისტორიულ წყაროებში მოხსენიებული არ არის.** სპეციალისტებს ეჭვის საფუძველს სასახლის მასშტაბები, ინფრასტრუქტურა, მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული ნასახლარები და სამარხები აძლევს.

გათხრის მონაწილეს ჟურნალისტმა დაუსვა ასეთი კითხვა – „ისტორიულად, თუ გქონდათ მანამდე ინფორმაცია ამ ადგილის შესახებ? მან კი უპასუხა –

– არა, ისტორიული ინფორმაცია არ არსებობდა“. http://kvira.ge/227832

ამასთან დაკავშირებით კი უნდა ითქვას, რომ **არსებობს ისტორიული ინფორმაცია დიდნაურის ამ ციხე-ნაქალაქარების შესახებ თეიმურაზ ბატონიშვილის ნაშრომში. ის წყაროებში ნახსენები დედა-ციხე უნდა იყოს. დედა-ციხე კუხეთის საზღვართან იდგა, მაგრამ კახოსს ეკუთვნოდა. ამის გამო მან გადაწყვიტა ეს მნიშვნელოვანი ციხე დაეთმო თავის ძმისათვის, კუხოსისათვის. ამის საკომპენსაციოდ კუხოსი დაეხმარა კახოსს სხვა ციხე-ქალაქის, ჩალეთის მშენებლობისას. ჩალეთიც ამავე რეგიონში მდებარეობდა, კუხეთთან არცთუ, მოშორებით.**

„ქართლის ცხოვრების“ მიხედვით, ამ არეალში ნაგები მესამე ქალაქი ხორანთა ჰეროსმა ააშენა.

ჩალეთი ანუ „ბერი“ სოფელ ჩალიათთან

„დედა-ციხე“ კახოსის „ხვედრი“ ყოფილა, მაგრამ ზედ კუხეთის საზღვართან იდგა, ამიტომაც კახოსმა ის თავის ძმას კუხოსს დაუთმო.

კახოსმა ასევე ააშენა მეორე გრანდიოზული ციხე-ქალაქი ჩალეთი, ანუ ბერი, **„კახოსმან აღაშენა ქალაქი ჩალეთი, რომელსა ბერ ერქვა (პირველ შენებულსა ქალაქსა კახეთისასა), შეეწეოდა კუხოსიცა“** (გვ.31).

როგორც ითქვა, დედა-ციხე კახოსმა კუხოსს დაუთმო, ამ დიდი წყალობის სამაგიეროდ კუხოსი დაეხმარა კახოსს, როცა მან ახალი ქალაქის (ჩალეთის) მშენებლობა დაიწყო.

რადგანაც, წყაროს ცნობით, ჩალეთის, იგივე ჩელეთის მშენებლობაში კახოსს ეხმარებოდა კუხოსი, ამიტომაც, როგორც აღინიშნა, უნდა ვიფიქროთ, რომ ის კუხეთის საზღვართან შედარებით ახლოს ყოფილა.

ამჟამად არასწორად მიიჩნევა, რომ ჩელეთი (ჩალეთი) არის ამჟამინდელი ჟალეთი, თიანეთის რაიონში, სიონის წყალ-

საცავთან, ჩვენი კვლევა განსხვავებულია, ის უნდა ვეძიოთ ამჟამად არსებულ სოფელ ჩალიათთან.

მართალია, ამჟამად სხვაგვარად მიიჩნევა, მაგრამ, ჩვენი კვლევით, ჩელეთს ახლა „ჩალიათი“ ჰქვია. ის ახლოა ვართაშენთან, ამჟამინდელ აზერბაიჯანში (ოგუზის რაიონი), რუსულად Джалуд-ს უწოდებენ, აზერბაიჯანულად – ცალუტ, ადრე ჩალიათს, ვართაშენიდან 10 კილომეტრითაა დაშორებული. ვართაშენს სახელი შეუცვალეს და ოგუზი დაარქვეს, ასევე აქ ყველა პუნქტს სახელი შეეცვალა. რადგანაც აქ ააგო კახოსმა თავისი უპირატესი ციხე-სიმაგრე, უნდა ვიფიქროთ, რომ აქ გადიოდა ისტორიული კახეთის საზღვარი, ეს მოსაზრება უცნაურად არ მოგვეჩვენება, თუ გავითვალისწინებთ, რომ აქვე, მდინარე ალიჯანჩაიზე გადიოდა კახეთის სამეფოს საზღვარი ვიდრე თითქმის მე-18 საუკუნემდე. ეს სოფელი (ჩალეთი, ჩალუთი) შაქიდან დაშორებულია 18 კილომეტრით, ანუ ისტორიულად, თავდაპირველად, შაქის ოლქიც კახეთში შედიოდა, ამიტომაც გადასცა ის საკუთრებაში არჩილ მეფემ მე-8 საუკუნეში ტარონელ ბაგრატიონებს. ჩალუტი ასევე ძალზე ახლოა იორ-ალაზნის შესართავთან, ანუ მინგეჩაურის წყალსაცავთან, სულ რამდენიმე ათეული კილომეტრითაა დაშორებული, ეს ნიშნავს, რომ კუხოსის ქვეყანასთანაც ახლოს იყო, ამიტომ კუხოსს ნამდვილად შეეძლო აქ დახმარებოდა კახოსს ჩალეთის ციხე-ქალაქის მშენებლობისას.

ტყეტბა-გულგულა, აგრიჩაი (გიშისწყალი), ოკაზანი, იბერია-ალბანეთის საზღვარი

იქვეა ახლოს თანამედროვე სოფელი ფილფილა (და ხალხალა), რომელიც უნდა იყოს ტყეტბა-გულგულა, სასაზღვრო მდინარე გიშისწყლის შენაკადების სათავეში. აქ, მთებში იღებს სათავეს მდინარეები, რომელნიც ერთვიან გიშისწყალს, ისაა ალაზნის უმთავრესი შენაკადი,მას აგრიჩაისაც უწოდებენ.

აგრიჩაი (გიშისწყალი) – ალაზნის ეს დიდი შენაკადი ამჟამინდელ აზერბაიჯანშია. ის უნდა იყოს პლინიუს უფროსის მიერ ნახსენები ოკაზანი, რომელიც ერთმანეთისაგან ყოფდა ალბანეთსა და იბერიას. ანუ, ამ შემთხვევაში, ჰერეთსა და კახეთს.

ალაზანი და იორი, თეიმურაზ ბატონიშვილის თქმით, შეკრების შემდეგ ერთ მდინარედ იქცეოდა და ასეთი სახით უერთდებოდა მდ. მტკვარს ადგილზე, რომელსაც ერქვა „სამუხი.“

თეიმურაზის თვალსაზრისით, ჰერეთი კასპიის ზღვამდე აღწევდა და ის, ზოგადად, ივერიაში შედიოდა. ამიტომაც, მისი თქმით, ივერიის, ანუ გიორგიის საზღვრები იწყებოდა კასპიის ზღვიდან ვიდრე შავ ზღვამდე (გვ.15).

თუ ასე იყო, მაშინ ჩელეთი, ჩალეთი, თიანეთთან მდებარე პუნქტი ჟალეთი კი არაა, როგორც ამჟამად მიიჩნევა (ქსე, 11, 1987. გვ. 94), არამედ არის გიშისწყლის ხეობაში მდებარე სოფელი ჩალიათი, მდებარე ისტორიულ სოფელ ვართაშენთან (ამჟამად ქ. ოგუზთან, აზერბაიჯანში) ახლოს. ჩელეთი/ჩალეთი უნდა იყოს ამჟამინდელი სოფელი „ჩალიათი“.

ვახტანგ გორგასლის მიერ დაარსებულ ჩელეთის საეპისკოპოსოს ცენტრი უნდა ვეძიოთ არა ივრის ხეობის სათავეებში, არამედ გიშისწყლის სათავესთან, აღნიშნულ ჩალიათთან ახლოს.

ჩელეთის საეპისკოპოსოს შემდგომი სახელი უნდა იყო „გიშის საეპისკოპოსო“, გიშისწყალთან, შაქთან ახლოს. გიშის საეპისკოპოსო ქართული ეკლესიის იურისდიქციაში შედიოდა.

გისი და არა გიში

თავის მხრივ, ამჟამად არასწორად მიიჩნევა, რომ გიშის საეპიკოპოსო, თითქოსდა, ალბანეთის სასულიერო ცენტრი იყო, რაც არასწორია, მოვსეს კალანკატუაცის ცნობით, ასეთი იყო არა შაქთან ახლოს მდებარე გიში, არამედ უტის გავარში მდებარე ადგილი სახელწოდებით **„გისი“** მოვსეს კალანკატუაცის ცნობით.

ალბანეთის განმანათლებელი ელიშე დაკავშირებული იყო უტის გავარში მდებარე **გისთან** (და არა გიშთან). გისში ინახებოდა ქრისტიანული სიწმიდეები.

გისი, როგორც თვით მოვსესი მიუთითებს, მდებარეობდა ერთ ჭაობიან ადგილას უტის გავარში. – „святой иерей возжелал обрести желанный крест, сокрытый святым Маштоцем в селе **Гис, что в гаваре Ути.** http://www.vostlit.info/Texts/rus5/Kalank/frametext22.htm

მაშასადამე, **გისი** (და არა გიში) მდებარეობდა არა შაქის, არამედ უტის ოლქში, როგორც წერს მოვსეს კალანკატუაცი თავისი ნაშრომის რამდენიმე ადგილას, პირველად, მან პირდაპირ მიუთითა, რომ გისი მდებარეობდა უტის გავარში, მეორეჯერ აღნიშნა, რომ ალბანეთის იმჟამინდელ ცენტრიდან – ჩოლადან ის გაემართა უტის გავარში, მივიდა გისში, ააშენა ეკლესია, რომელიც სასულიერო ცენტრი გახადა ალბანელებისა.

святой Елиша, ... стал проповедовать в [стране] **Чола** [***] Оттуда с тремя учениками он прибыл в гавар Ути, в город Саhарн [***], Святой же епископ, прибыв в **Гис**, построил там церковь и отслужил обедню. На этом месте была основана наша, Восточного края, церковь. И стало [то место] духовной столицей и местом просвещения жителей Востока. http://www.vostlit.info/Texts/rus5/Kalank/frametext11.htm

გიშის ადგილმდებარეობა არ ეთანადება მოვსეს კალანკატუაცის მიერ აღწერილ გისის ადგილმდებარეობას, იგივეს წერს სომეხი მკვლევარიც – „По мнению армянского историка архитектуры Самвела Карапетяна, географическое положение Киша не соответствует описанному Каганкатваци“. https://livepcwiki.ru/wiki/Church_of_Kish

მაშასადამე, არა შაქის ოლქში მდებარე გიში წარმოადგენდა ალბანეთის სასულიერო ცენტრს, არამედ უტის გავარში მდებარე პუნქტი სახელწოდებით „გისი“.

რაც შეეხება გიშს, მისი ეპისკოპოსი არა ალბანური ეკლესიის, არამედ ქართული ეკლესიის იერარქიაში შედიოდა, რასაც უამრავი წერილობითი წყარო ამოწმებს. „გისი“ კი წარმოადგენდა ალბანური ეკლესიის სიწმიდეს.

ტყეტბა-გოლგოლა აგრიჩაის (გიშისწყლის) სათავესთან

ტყეტბა გულგულა მდებარეობდა გიშისწყლისა და აქვე გამდინარე ალიჯანჩაის სათავეების არეალში, დაახლოებით იქ, სადაც ამჟამად მდებარეობს შექის რაიონის სოფლები ხალხალა (Халхал. Огузский район) და ფილფილი (ფილფილი (აზერ. ილფილლი) – სოფელი აზერბაიჯანში, ოღუზის რაიონში), აქვე, ამ პუნქტებთან გადის ჩრდილოკავკასიაში შემავალი ე.წ. „გზა ლეკეთისა“, რომელიც ალბანეთის დედაქალაქ ბარდავს სამურის ხეობასთან და კასპიისპირა დედაქალაქ ჩორთან აკავშირებდა. შესაბამისად, თელავთან მდებარე სოფელ გულგულას ჩვენი წყარო არ მიიჩნევს ჰერეთთან სასაზღვრო პუნქტად და არც თელავი ყოფილა ალბანური ქალაქი.

არასწორმა მტკიცებამ, რომ თელავი თავდაპირველად ალბანური ქალაქი იყო, წარმოქმნა უამრავი პრობლება, შექმნა შთაბეჭდილება, რომ ისტორიული ალბანეთი, რომელსაც ქართული წყაროები ჰერეთს უწოდებენ, მოიცავდა ვრცელ მიწა-წყალს თელავის ჩათვლით, რომელიც, თითქოსდა, მიიტაცა კახეთმა და მოახდინა იქ მკვიდრი ალბანელების ე. წ. ქართიზაცია.

კახეთის ისტორიის წარმოდგენა ასეთი სახით ამჟამინდელი ქართული ისტორიული გეოგრაფიის სკოლის დიდი შეცდომაა, რამაც მნიშვნელოვნად ავნო და კვლავ ავნებს ქვეყანას იმ მუდმივ იდეოლოგიურ ომში, რომელიც გაჩაღებულია საქართველოს მიწა-წყლის მისაკუთრების მიზნით.

ასეთი შეცდომები უკვე იქნა დაშვებული აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის წარსულის კვლევისას, რამაც 1990-იან წლებში იდეოლოგიურ ომში დამარცხება განაპირობა, როცა ქართული მხარის სიმართლე საეჭვო გახდა. ამჟამად ასეთივე შეცდომების წყაროა ალბანელების ქართიზაციის თეორია, რომელნიც თითქოსდა, კახეთის მკვიდრი აბორიგენები იყვნენ.

„კახეთის მთა“ გომბორის ქედია

ერთ-ერთი შეცდომის საფუძველია წყაროში ნახსენები სასაზღვრო ქედის არასწორი ლოკალიზაცია, კერძოდ, წყაროში ნახსენებია „კახეთის მთა“, რომელსაც ამჟამად გომბორის ქედი ეწოდება, ჩვენმა გეოგრაფებმა კი „კახეთის მთა“ უწოდეს თიანეთთან და მარტყოფთან მდებარე იანლოსა და სხვა ქედებს.

წყაროს ცნობით, კახეთი მდებარეობდა მდ. არაგვსა და „კახეთის მთას“ შორის, თუკი „კახეთის მთა“ არის ქედი მარტყოფთან ანდა თიანეთთან, ისტორიული კახეთი მოქცეული ყოფილა მდ. არგვსა და მარტყოფს (ან თიანეთს) შუა, ძალზე მცირე მიწის მონაკვეთზე, ხოლო დანარჩენი ტერიტორია ე.ი. ყოფილა ჰერეთი-ალბანეთი, ძალზე ვრცელი მიწაწყლით.

კახეთის ასეთმა ლოკალიზაციამ, როგორც ითქვა, მკვეთრად შეამცირა ისტორიული კახეთის საზღვრები და გაზარდა ჰერეთისა.

სინამდვილლეში, როგორც აღინიშნა, კახეთი მოქცეული იყო გიშისწყალსა და არაგვს, კავკასიის ქედსა და გომბორის ქედს შორის, ხოლო კუხეთი – მდინარე მტკვარსა და გომბორის ქედს შორის, ამ უკანასკნელის (კუხეთის) სამხრეთი საზღვარი იორ-ალაზნის შესართავთან მიდიოდა, ხოლო კახეთისა, როგორც აღინიშნა, იდო მდინარე გიშისწყალზე. რაც შეეხება ჰერეთს, ის მოქცეული იყო გიშისწყალსა და მდ. აღსუს (თეთრწყალს) შუა.

კახეთს ჩრდილო-დასავლეთიდან მდ. არაგვი საზღვრავდა.

ასეთი ყოფილა საზღვრები ლეგენდარული კახოსისა და კუხოსის ეპოქიდან ვიდრე არაბობის ეპოქამდე.

არაბებმა მოშალეს ძველი ქართლის სამეფოსა და მისი რეგიონების საზღვრები, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც მათ საქართველოს შუაგულში თბილისის 400-წლოვანი საამირო დააარსეს და გააუქმეს ქართლის ძველ ფარნავაზიან-ხოსროიანთა სამეფო ტახტი, მეფეების, მირისა და არჩილის დროს.

არაბების წინააღმდეგ განსაკუთრებით გმირული თავგამოდებით იბრძოდა ამ დროს (მე-8 ს-ის ბოლო მეოთხედიდან) წარმოქმნილი კახეთის სამთავრო.

კახი წანარები და გარდაბნელები – კახეთის საჯარისო ნაწილების მთავარი საომარი ძალები – მტკიცედ ებრძოდნენ მტერს.

ჰერეთის მიერ კახეთის საქორეპისკოპოსოს დასუსტება

არაბებმა საგანგებო ღონისძიებები დასახეს კახეთის სამთავროს დასასუსტებლად და მისი საზღვრების დასამცრობად, ამისათვის მათ გამოიყენეს თავიანთი ერთგული მომხრე – ჰერეთის მეფედ ცნობილი საჰლ იმბნ სუმბატ ალ არმანი, ეს იყო სომხური სარწმუნოების მქონე, ანუ მონოფიზიტი მმართველი, რომელსაც ხალფამ, მოვსეს კალანკატუაცის ცნობით, **„არმენიის, ივერიისა და ალბანეთის მეფის“** წოდებაც კი მიანიჭა.

ისლამურ იმპერიაში ასეთი მაღალი წოდების მინიჭება არამუსლიმისათვის უჩვეულო იყო, მაგრამ ამ შემთხვევაში ეს იმით იყო გამოწვეული, რომ „ჰერეთის მეფე“ საჰლ სმბატიანმა სახალიფოს უდიდესი მტერი ბაბეკი ღალატით დააპატიმრებინა და არაბებს გადასცა.

სანაცვლოდ, მადლიერების ნიშნად, არაბთა უზარმაზარი იმპერიის ხალიფამ მას მეფის წოდება მიანიჭა, საჩუქრად გაუგზავნა სამეფო სამოსელი და ასევე 1 მილიონი დირჰემი.

მოვსეს კალანკატუაცის ცნობით, ალ-არმანს (საჰლ სმბატიანს) ამ დროს ასევე მიენიჭა „ივერიის მეფის“ წოდება, მაგრამ ეს იყო მხოლოდ იურიდიული ტიტული, რომლის განსახორციელებლად მას ივერია რეალურად უნდა დაეპყრო.

ივერიად, პირველ რიგში, მისი მეზობელი კახეთი მიიჩნეოდა.

კახეთის დასაპყრობად ჰერეთში მივიდა არაბული ჯარი აღნიშნული ხალილ იზიდისძე არაბიელის სარდლობით. მან გადალახა **კახეთის საზღვარი გიშისწყალზე** და მიაღწია გავაზამდე, სადაც მას დიდი ომი გაუმართეს კახეთის ჯარებმა. მართალია, ის კახელებმა დახ-

ლოებით 840-იან წლებში გავაზთან დაამარცხეს, მაგრამ ამ დროს მას უკვე დაპყრობილი ჰქონდა კახეთის ტერიტორია გიშისწყლიდან გავაზამდე.

გავაზთან მარცხმა მისი (ხალილ ისიდის ძის) წინსვლა შეანელა, მაგრამ ამ ომის წინ ხალილ არაბიელის მიერ უკვე დაპყრობილი იყო კახეთის მიწა-წყალი გიშისწყლიდან ვიდრე გავაზის ხაზამდე.

მარცხის შემდეგ ის გავაზიდან უკან გაბრუნდა, რაც იმას ნიშნავს, რომ ვეღარ გააგრძელა გზა კახეთის ჩრდილოეთ მხარეებისაკენ, მაგრამ, რადგანაც გავაზამდე მას მიწა-წყალი უკვე დაპყრობილი ჰქონდა, ამიტომაც ახალი სასაზღვრო ხაზი გავაზთან დაფიქსირდა.

ხალილ ისიდის ძემ კახეთის ტერიტორია, რომელიც უკვე დაპყრობილი იყო გიშისწყლიდან ვიდრე გავაზამდე მოწყვიტა კახეთის სამთავროს, შესაბამისად, ის შეიყვანა ჰერეთის შემადგენლობაში.

კახეთის ეს დაპყრობილი მიწა-წაყლი გადაეცა საჰლ იბნ სუნბატ ალ არმანს, ანუ შაქის სამეფოს, რომელსაც ქართველები ჰერეთს უწოდებდნენ.

ამის შედეგად, შესაბამისად, შეიცვალა კახეთის ისტორიული საზღვარი, ის შემცირდა და გიშისწყლიდან გავაზამდე იქნა გადატანილი.

მართალია, ამის შემდეგ კახელები მუდამ იბრძოდნენ ამ მიწების უკან დასაბრუნებლად, გიშისწყლიდან გავაზის ხაზამდე მოქცეული მიწების გასათავისუფლებლად და შემდგომში დასახმარებლად აფხაზთა მეფე კონსტანტინეც კი მოიწვიეს, მაგრამ ამაოდ.

ჩვენი ისტორიკოსების განსაზღვრებით, ამ ეპოქისათვის კახეთის საზღვარი „თურდო-შტორი-სამების ხევებს“ მიუყვებოდა.

ხალილ იზიდიძე არაბიელის მე-2 ლაშქრობის შემდეგ, ანუ 840-იანი წლებიდან, კახეთის საზღვარი გიშისწყლიდან გადატანილა გავაზ-თურდო-შტორი-სამების ხევებამდე. კახეთის ამ დაპყრობილ მიწას ეწოდა ახალი სახელი „ჰერეთი“, რადგანაც ის ჰერეთის, ანუ შაქის სამეფოს მიუერთეს.

კახეთის ეს ტერიტორია ჰერეთად იწოდა.

ამგვარად, ჰერეთის სამეფოდან სახელწოდება „ჰერეთი“ თავდაპირველად გადავიდა ჰერეთის სამეფოს მიერ დაპყრობილ სამხრეთ კახეთზე. ანუ, ამ დაპყრობის გამო კახეთის სამხრეთ ნაწილს გიშისწყლიდან გავაზ-თურდო-შტორი-სამების ხევებამდე ჰერეთი ეწოდა.

დაპყრობის დროს ეს სახელი გავრცელდა აღმოსავლეთ კახეთზეც (ყვარლისა და გავაზის ჩათვლით), ანუ ჰერეთის მეფეების მიერ დაპყრობილ სამხრეთ კახეთს გიშისწყლის ზემოთ ჰერეთი მხოლოდ დროებით ეწოდა, რამდენიმე საუკუნის მანძილზე.

საზღვრების ამ ცვლილებამ, ანუ ისტორიული საზღვრების მოშლამ, წერილობით წყაროებში ასევე არია ცნობები კახეთ-ჰერეთის თავდაპირველი საზღვრების შესახებ.

ამის გამო, პირველ რიგში, ის უნდა ითქვას, რომ დიდი ივანე ჯავახიშვილის კვლევით, თვით ვახუშტი ბატონიშვილს არ ჰქონია საკმარისი ცნობები კახეთისა და ჰერეთის შესახებ, რაც ნიშნავს, რომ მას არ ჰქონია მასალები კახეთისა და ჰერეთის ისტორიული საზღვრების შესახებ – **„ვახუშტის ჰერეთისა და კახეთის საზღვრების შესახებ მასალები არ ჰქონია,** – წერს თვით ივანე ჯავახიშვილი (ივ. ჯავახიშვილი, II, 1983, გვ. 41).

რა იყო მიზეზი იმისა, რომ ვახუშტი ბატონიშვილს ისტორიული ჰერეთისა და კახეთის საზღვრების შესახებ მასალები არ ჰქონია?

ამის მიზეზი იყო ის, რომ ალბანეთი, როგორც კულტურულ-პოლიტიკური ერთეული უკვე გამქრალი იყო ვახუშტი ბატონიშვილამდე ათასი წლით ადრე, ჰერების ტომიც გაქრა ისტორიის ასპარეზიდან, ამის გამო ვახუშტი ბატონიშვილს, ივ. ჯავახიშვილის სიტყვით, არ გააჩნდა სათანადო ცნობები ალაბნეთისა და ჰერეთის შესახებ, ის მხოლოდ ლეონტი მროველის ცნობებით სარგებლობდა ამ თემასთან დაკავშირებით, მაგრამ გადამწერთა მიერ ეს ცნობებიც ძალზე დამახინჯებული ყოფილა.

ივანე ჯავახიშვილი არ ეთანხმებოდა ვახუშტი ბაგრატიონს ჰერეთის საზღვრებთან დაკავშირებით, ის წერს – **„როგორც ეტყობა, ამ საკითხის გამოსარკვევად იმაზე მეტი მასალები, რაც ჩვენ მოგვეპოვება, არც ვახუშტის ჰქონია, მისი განმარტება მთლად ლეონტი მროველის ცნობებზეა დამყარებული“** (ივ. ჯავახიშვილი. ტომი II, 1983, გვ. 41).

მას იქვე გარკვეული აქვს, რომ არც ლეონტი მროველის ჩვენამდე მოღწეული ცნობებია სანდო ჰერეთის საზღვრების შესახებ, რადგანაც გადამწერებმა შეცდომები დაუშვეს, ამასთან დაკავშირებით ივ. ჯავახიშვილი წერს – **„დედანი გადამწერისაგან დამახინჯებული უნდა იყოს და ამის გამო საზღვრები არეულია“** (იქვე, გვ. 39).

ივანე ჯავახიშვილი წერს –

„კახეთ-კუხეთის საზღვრებიც, რომელიც ლეონტი მროველის თხზულებაში მოიპოვება – არეულია ... აქ საკუთარი სახელებიც და საგეოგრაფიოც დამახინჯებულია და არაფრის გაგება არ შეიძლება“ (ივ. ჯავახიშვილი, ტ.2. გვ. 40).

ასევე, ივანე ჯავახვიშილი სხვაგანაც აღნიშნავს კახეთ-ჰერეთის საზღვრების შესახებ ლეონტი მროველის ცნობების მიმართ – **„აქაც შეცდომებია შერჩენილი და ზოგან კიდევ დედანი სწორად ვერ არის გასწორებული“** (იქვე, გვ. 40).

ივანე ჯავახიშვილმა გამოიკვლია, რომ ლეონტი მროველისა და სხვა წყაროთა მიერ, მაგალითად, ჰერეთისადმი მიკუთვნებული ვეჯინის ციხეს დავით აღმაშენებლის ისორიკოსი კახეთის ციხეს უწოდებს (იქვე, გვ. 41), ანდა, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, კამბეჩანს მიკუთვნებული ბოდბე სხვა უფრო ძველ წაყროებში კახეთსაა მიკუთვნებული – **„წმიდა ნინოს ცხოვრებაში დაბა ბოდი ანუ ბოდინი შატბერდისეულ ხელნაწერისდა მიხედვით იყო „ქვეყანა კახეთისა“, შატბერდისეულისდა მიხედვით კი „ქვეყანა კოხეთისა“, – წერს ივანე ჯავახიშვილი,** „ნეკრესი კახეთში იყო...“ და სხვა (იქვე, გვ. 41).

წმიდა ნინო კუხეთ – კხოეთში

„მოქცევაი ქართლისაის“ შატბერდული თუ ჭელიშური რედაქციები გაცილებით უფრო ძველია, ვიდრე ლეონტი მროველის ცნობები, მით უმეტეს ვახუშტი ბატონიშვილის ცნობები, ამიტომ უპირატესობა „მოქცევაის“ ცნობებს უნდა მიენიჭოთ, დასკვნით, რომ წმიდა ნინოს განსასვენებელი ბოდბე (ქიზიყი) ეკუთვნოდა არა **კამბეჩანს, როგორც ამჟამად მიაჩნიათ, არამედ კახეთს (კუხეთს, კხოეთს).**

შეცდომის წყარო ამჟამინდელი არასწორი მტკიცება კამბეჩანის ადგილმდებარეობის შესახებ, კამბეჩანი უფრო სამხრეთით, ამჟამინდელი მინგეჩაურის წყალსაცავის ადგილას მდებარეიბდა (რაც გამოკვლეულია ქვემოთ და სხვა ჩვენს ნაშრომებში), შესაბამისად, ბოდბე (ბოდინი) მდებარეობდა არა კამბეჩანში, არამედ კახეთში.

მსგავსადვე, არასწორია მრავალი სხვა პუნქტის ლოკალიზაცია.

ამ მიზეზის გამო ივანე ჯავახიშვილს ვახუშტის ცნობები კახეთის შიგნით ჰერეთის საერისთავოების არსებობის შესახებ არ მიაჩნდა სანდოდ. ვახუშტი, ივ. ჯავახიშვილის კვლევით, ლეონტი მროველის ხელნაწერების გადამწერების მიერ აშლილი ცნობებით სარგებლობდა, რამაც მისი ცნობები კახეთ-ჰერეთის საზღვრებისა და პუნქტების (კერძოდ ტყეტბა-გულგულას და სხვა) შესახებ საეჭვოდ აქცია.

ივ. ჯავახიშვილის გაფრთხილების მიუხედავად, საბჭოთა ეპოქის ისტორიკოსები არა მხოლოდ აშლილ ცნობებს დაეყრდნენ, არამედ კიდევ უფრო გააფართოვეს ალბანეთის საზღვრები კახეთის ხარჯზე, მაგალითად, ვახუშტისაგან განსხვავებით ალავერდთან მდებარე სოფელი ალვანიც კი ალბანეთად გამოაცხადეს, თითქოსდა ამას აჩვენებდა ამ სახელის ეტიმოლოგია (ალვანი-ალბანი), მაგრამ სხვა კუთხით თუ შევხედავთ ამ საკითხს – „ალვანი“ იქნებ ნიშნავს ალვებიან ანუ ალვის ხეებით მოფენილ ადგილს, მსგავსად, მაგალითად, რკონისა, წაბლიანისა, თხილიანისა, ანდა თხინვალისა (თხილოვანი). ასევე ვახუშტისაგან განსხვავებით, პანკისის ქვეყანაც კი ზოგიერთმა ქართველმა საბჭოთა ისტორიკოსმა ალბანეთს

მიაკუთვნა, სრულიად უსაფუძვლოდ (იხ. ქვემოთ).

შეცდომები ჰერეთის საზღვრებთან დაკავშირებით

როგორც ითქვა, არა თუ ვახუშტის დროს, ივანე ჯავახიშვილის კვლევით, ლეონტი მროველის დროსაც კი, ჰერეთის საზღვრის შესახებ საკმარისი ცნობები უკვე აღარ არსებობდა, ამიტომაც, ივანე ჯავახიშვილი წერს, რომ შესაძლოა ლეონტი მროველი ცდებოდა ჰერეთის საზღვართან დაკავშირებით ცნობის მოცემისას –

ივ. ჯავახიშვილი წერს – „ტყეტბა, როგორც საგეოგრაფო სახელი უკვე ლეონტი მროველის დროს აღარ არსებობდა თურმე და იგი უხსნის თავის მკითხველს, რომ ამ ადგილს „აწ ჰქვიან გოლგოლა“, ახლა გულგულად გამოითქმის. ამ ადგილის (ტყეტბას) მდებარეობას დიდი მნიშვნელობა აქვს...“

მნიშვნელოვან შეცდომის წყარო ასევე ის უნდა იყოს, რომ ვახუშტის ასევე არ ჰქონია სრული ცნობები შექის (შაქის) ცნობილი სამეფოს შესახებ, რადგანაც ისიც მალევე გაქრა ისტორიის ასპარეზიდან.

სწორედ შექის სამეფოს მიწაწყალს უწოდებდნენ ქართველები ჰერეთს.

შენიშვნა: აღნიშნული ტერმინოლოგია ასახავს ძველქართულ წყაროთა ჩვენებებს ისტორიულ-გეოგრაფიული ერთეულების ადგილმდებარეობის შესახებ და ამ მხრივ წარმოადგენს სიახლეს, რადგანაც არ ეთანადება ამჟამად დამკვიდრებულს.

ამის გამო, რათა მკითხველისათვის უფრო ადვილად გასაგები იყოს ჩვენი მოსაზრება, იძულებული ვართ ერთი და იგივე მტკიცება მრავალჯერ გავიმეოროთ, რის გამოც ვითხოვთ შენდობას.

კვლავ აღვნიშნავთ, რომ ჩვენი მოსაზრება გეოგრაფიული პუნქტების ლოკალიზაციასთან დაკავშირებით, სრულიად ეყრდნობა ძველ ქართულ და სხვა საისტორიო წყაროებს, ხოლო ამჟამად დამკვიდრებული მტკიცებანი, ძირითადად, ძველ ქართულ წყაროებს არ ეთანადებიან.

ჩვენთვის ეს საკითხი ძალზე დიდმნიშვნელოვანია, რადგანაც ეხება ამჟამად გამწვავებულ საქართველოს ეკლესიის იურისდიქციის საკითხს, არა მხოლოდ ალბანეთის საზღვრეთან დაკავშირებით, არამედ, მაგალითად, დასავლეთ საქართველოს მიმართაც, რაც განხილულია ჩვენს სხვა წიგნებში.


№ 11
ᲙᲐᲠᲗᲚᲘᲡ ᲡᲐᲛᲔᲤᲝᲗᲐ ᲡᲐᲖᲦᲕᲠᲔᲑᲘ ᲛᲔᲠᲕᲔ ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲕᲚᲝᲑᲐᲨᲘ „ᲥᲐᲠᲗᲚᲘᲡ ᲪᲮᲝᲠᲪᲮᲚᲘᲡ“, „ᲛᲝᲥᲪᲔᲕᲐ ᲥᲐᲠᲗᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ“ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐ ᲬᲧᲐᲠᲝᲗᲐ ᲛᲘᲮᲔᲓᲕᲘᲗ
რუკა C - საზღვარი რკინის პილამდე
ᲙᲐᲡᲞᲘᲡᲘᲡ ᲖᲦᲕᲐ
(ᲛᲐᲙᲘᲡ ᲖᲦᲕᲐ)
ᲙᲣᲠᲘᲡ ᲞᲘᲠᲘ
ᲐᲠᲐᲒᲕᲘᲡᲘ
ᲐᲠᲐᲒᲕᲘᲡᲘᲡ ᲞᲘᲠᲘ
ᲐᲠᲐᲒᲕᲘᲡᲘᲡ ᲞᲘᲠᲘ
ᲐᲠᲐᲒᲕᲘᲡᲘᲡ ᲞᲘᲠᲘ
ᲠᲙᲘᲜᲘᲡ ᲞᲘᲚᲐᲜᲘ
ᲐᲠᲐᲒᲕᲘᲡᲘᲡ ᲞᲘᲠ

თავის დასკვნა:

რუსი და უცხოელი გავლენიანი მეცნიერების ნაწილი იმეორებს ზოგიერთი ქართველი ისტორიკოსის მცდარ მოსაზრებას, თითქოსდა, კახეთის უდიდეს ნაწილს (თელავის, ბოდბის, დავითგარეჯისა და საინგილოს ჩათვლით) მოიცავდა ალბანეთის (ჰერეთის) სამეფო.

ამასთანავე, ამტკიცებენ, რომ მისი მკვიდრი ალბანური მოსახლეობა, თითქოსდა, „გაქართველდა“.

ამ შეცდომამ სათავე დაუდო პრეტენზიებს ისტორიული კახეთის მიწა-წყალზე, რადგანაც ზოგიერთი მეზობელი ხალხი ალბანელებს თავიანთ წინაპრებად მიიჩნევს და მიაჩნიათ, რომ ისინი არიან ალბანეთის ისტორიული და კულტურული მემკვიდრეები.

ამასთანავე, ეს თეორია, საქართველოს ეკლესიას წარმოადგენს პროზელიტურ ეკლესიად, რომელიც, თითქოსდა, შეიჭრა ალბანეთის საკათალიკოსოს იურისდიქციაში და მისგან მიიტაცა მიწა-წყალი (გულისხმობენ თელავის, ბოდბის, დავითგარეჯისა და საინგილოს რაიონებს), ხოლო სამხრეთ კახეთის ეკლესია – მონასტრებს წარმოაჩენენ ალბანური კულტურის ძეგლებად.

ძირ-ფუძეთა სემანტიკური ცვლილება ზმნურ ძირებსა და მასდარში „შუშანიკის წამების“ მიხედვით

ბ. ცხადაძე, პროფესორი

ტერმინის განმარტებისათვის. ძველი ქართული ენა მდიდარია არამასდარული და მასდარული ფორმებით. ამ საკითხს არაერთი საკანდიდატო დისერტაცია და ცალკეული კერძო ხასიათის სტატია მიეძღვნა [1-4] და სხვ. სპეციალური ლიტერატურიდან ცნობილია, რომ მასდარი წარმოშობით (ისტორიულად) მეორეული მოვლენაა (აკად. ა. ჩიქობავა), ისინი აწმყოსა და მყოდაფის ფორმისაგან მომდინარეობს. მაგალითად, ძველ ქართულ სამწერლობო ენაში ძირითადად „შესულიბა“ ფორმა გვხვდება, მაგრამ გვიანდელ ტექსტებში მის ნაცვლად ვითარდება **გაუსულელებია** მესამე სერიის ფორმები. ეს ფორმა, როგორც მიუთითებენ, უმასდარო არაა. ერთი მოგვიანო ხანის ძეგლში იხმარება **გასულელება** მასდარი, მაშასადამე, **გაუსულელებია** პირიან ზმნას თავისი მასდარი ჰქონია [2, 6]. ასეთი ფორმები ძველ ქართულში არაერთია. რაც შეეხება სემანტიკას და სემანტიკურ ცვლილებას, **სემანტიკა სემიოტიკის ნაწილია, რომელიც შედარებითად სწავლობს ნიშანთა სისტემას.** სემიოტიკა და სემიოტიკური ცვლილებები წითელ ხაზად გასდევს მთელ სალიტერატურო ქართულ ენას. ისტორიულ ასპექტში იცვლებოდა როგორც ზმნური, ისე სახელური სიტყვაწარმოებითი სისტემები. ძველ ქართულში გვერდიგვერდ აისახა სახელის აფიქსური – პრეფიქსური, პრეფიქსულ-სუფიქსური და ოდენსუფიქსური სიტყვაწარმოებები.

ასე რომ, სახელური და ზმნური სემანტიკური ძირების სემანტიკური სახეცვლილებები ქართული ენის განუყოფელი ნაწილია, რომელსაც სპეციალური გამოკვლევა – მონოგრაფია დღემდის არ მიძღვნია. ჩვენი ვალია ამ მოვლენათა სპექტრის დიაქრონიული ასახვა ძველი ქართული ჰაგიოგრაფიული ძეგლების მიხედვით, რადგან ჰაგიოგრაფია (V–XI სს) სწორედ ის ქვაკუთხედია, რომელზეც დაშენებულია ძველი ქართული სამწერლობო ენის საფეხურები.

ძირ ფუძეთა სემანტიკური ცვლილება ქართულ ჰაგიოგრაფიაში. ა. ზმნური ძირები და ფუძეები. ბ. სახელური ფუძეები.

წარემართა-წარმართება-წარმართი. ძველი ქართული ენის პირველივე ჰაგიოგრაფიულ ძეგლში „შუშანიკის წამებაში“ ვკითხულობთ: „...კარად სამეფოდ *წარემართა* ვარსქენ პიტიახში“ (შუშ. 45, 4). დღეს ეს ზმნის პირიანი ფორმა აღარ გვაქვს. „წარმართება“ ყველგან ნიშნავდა „მიკადებას“, „განმარჯუებას“, „მიმართვას, გამართვას“, სწორ გზაზე დადგომას“ (ი. აბ.), ხოლო წარმართი – ურწმუნოს. კერპთმსახურს, უცხო თესლ-ტომს, „ბარბაროზს“ „თესლს“„ნათესავს“. სემატიკური ცვლილება და ფუძეთა სხვაობა თვალსაჩინოა. ამას მოწმობს ამავე ძირისაგან ნაწარმოები **წარმართობა** და **წარმართებულება** ფორმები 1. „გამარჯვება, „წარმატება,“, „სიწრფოება“, „სიწრფელე“ 2. კერპთმსახურება (ი. აბ.). ამ სიტყვათა ეტიმოლოგიურ ძიებას – სხვაობა-მსგავსება სპეციალური წერილი მიუძღვნა აკად. ა. ჩიქობავამ [4]. **წარემართა** და **წარმართ** ლექსემებს შორის დღევანდელ ეტაპზე სემანტიკური გარდაქმნა საკმაოდ დაშორებულია ურთიერთისაგან. წარმართი, როგორც ჩანს, უფრო ქრისტანული ტერმინია, სხვაგვარად, წარმართი ქართველმა ქრისტანებმა თავდაპირველად შეარქვეს პანთეიზმის ქართველ მიმდევარს, მორწუნეს, ანუ იმ რელიგიასა და იმ რელიგიის აღმსარებელს, რომელიც მართლაც წარემერთა და ქართველი კაცის ხსოვნა-მეხსიერებისაგან წავიდა, ამ სიტყვის სრული მნიშვლეობით.

თავუანის-სცემდა-თაყვანისცემა” თაყვანის-ცემა, თაყუანის-ცემა, „ლოცვა“, მსახურება“ (ი. აბ. 74); ახალ სალიტერატურო ქართულში ამ სიტყვას სხვა მნიშვნელობა აქვს: 1. ძვ. რელიგ. ვისიმე ან რისიმე პატივისცემა როგორც წმინდა, უზენაესი ძალისა, – სალოცავად მიჩნევა, გაღმერთება, კერპად გახდა; // გადატ. დიდი პატივის-

ცემა. 2. დიდი პატივისცემით, მოწიწებით, მოკრძალებით, მდაბლად თავის დაკვრა (მისალმების დროს (ქეგლ. IV, 351). აქედანაა მიღებული საალერსო სიტყვა **გეთაყვანე** // **გეთაყვა**, რომელიც დღეს ძალიან იშვიათად იხმარება. თაყვანისცემა ძველად თავის მიწაზე (ყანაზე) დაჩოქებითა და მუხლმოდრეკით ხდებოდა უმცროსისა უფროსის მიმართ (მაგ., ვაზირისა მეფისადმი), რაც აღმოსავლურ სამყაროში მიღებული იყო პატივიცემით გამოსახატად:

„შეწირვიდა მეფია მის მიმართ უვარის-ყოფითა ჭეშმარიტისა ღმრთიაითა და *თაყუანის-ცემდა* ცეცხლსა“ (შუშ. 45, 18);

გულს-ეტყვინ-გულის სიტყვა. თანამედროვე ქართულ სალიტერატურო ენაში დღეს არც ეს სიტყვა არსებობს. იგი ნიშნავდა „წადილს“, სურვილს, ტუტუნს, „დასულებას“ (ი. აბ.). შდრ. ახალ ქართულში „გულში იტყოდა“ გვაქვს, რომლის მნიშვნელობაა, „ფიქრობდა“, „გაიფიქრებდა“. „..მარადის *გულს-ეტყვნ* და ეველრებინ ყოველთავე ლოცვის ყოფად მისთჳს“ (შუშ.45, 10). ასე რომ, სემანტიკური ცვლილება აქაც საგრძნობია.

სათნო ეყო-სათნო ყოფა. ძველ ქართულად ნიშნავს „მოწონებას“, თვალში მოსვლას, ალერსს, მოფერებას, „*ყუაგებს*“, „*თავს-დებს*“ (ი. აბ.): „ცოლსა ითხოვდა *სპარსთა მეფისაგან*, რაჲთამცა *სათნო ეყო მეფესა*“ (შუშ. 45, 21). სათნოყოფა, ამჟამად ქართულში არქაიზმია, ახალ სალიტერატურო ქართულ ენაში დღესდღეობით მხოლოდ **სათნო** ლექსემა გვაქვს.

მოვაქცი(ნ)ე - მოქცევა. ძველ ქართულში მოქცევა „სარწმუნოებას, რწმენას, მობრუნებას, ტრიალს, მიმოქცევას ნიშნავს, მოქცეული – მობრუნებულს, გადმოსულს, „მწირს“ (ი. აბ. 282). დღეს ეს სიტყვა ახალ ქართულში მხოლოდ მობრუნებას, მოქცევას ნიშნავს, ასე რომ, მოქცევის შინაარსი ნაწილობრივ არის სემანტიკურად სახეცვლილი.: „..იგინიცა ესევე *მოვაქცინე* შენსა შჯულსა, ვითარცა ესე-მე (შუშ. 24). „მოკითხვაჲ ეგე შენი შენდავე *მოიქეცინ*“ (შუშ. 46, 4).„შვილნი იგი შენი *მიაქცინა* მოგობასა“ (შუშ. 25); „ხოლო მას ჟამსა *მიაქცინეს* და უვარყვეს ღმერთი“ (შუშ. 54, 34); „..*გარე-მოიქცა* იგი სიხარულითა დიდითა და მოიწია მუნვე“ (შუშ. 14). აღსანიშნავია, რომ ამავე ფუძეს შეიცავს ქართულ ისტორიოგრაფიაში საკმაოდ ცნობილი შესიტყვება „მოქცევაჲ ქართლისაჲ“.

მოიწია. „შემთხუევა, „დაჴდომა“, „ამოსლვა“, „ამოხდა“, „მოხება“ „მოწიფება“, „მოახლება“, მოვლინება, დაწევა)., ხოლო მოწევნა – მოსვლას (ი,. აბ. 297). ახალ ქართულში მოწევა, მოაწია, მიწევა, მოწევის, მიახლოების, ახლოს მისვლის შინაარსისაა. ახალ ქართულში მხოლოდ **მოღწევას** ნიშნავს: „და ვითარცა მოიწია იგი საზღვართა ქართლისათა...“ (შუშ. 45, 27).

წარმოჰმართა – გამოემართა. წარმართება, „მიკადება“ „განმარჯუება“, მიმართვა, გამართვა, სწორ გზაზე დადგომა, წრფელ-ყოფა, „განგება (ი. აბ.); „და წარმოჰმართა სადიასპანოჲთა ცხენითა მონაჲ თჳსი“ (შუშ. 45,)534). ახალ ქართულში ეს ზმნა ამ ფორმით არ გვხვდება.

კითხვაჲ რქუა – შეეკითხა. „შუშანიკის წამებაში“ ეს ფორმა აღწერითი წარმებისაა. აღწერითი წარმოება კი, საფიქრებელია, ძველ ქართულში წარმოშობით უცხოური წარმომავლობის იყოს: „და შევიდა წინაშე შუანიკისა, დედოფლისა ჩუენისა, და *კითხვაი რქუა*“. ამ ლექსემის რთული შემადგენელი ნაწილის მეორე ფორმა „რქუა“ დღეს სალიტერატურო ქართულში აღარ იხმარება. „რქუა-რქუმევა“ ახალ ქართულის ენა-მეტყველებაში უცნობია.

აფუცებდა -აფიცებდა. „„აფუცებდა“ ახალ ქართულში აღარ გვაქვს. იგი „ფიცება“ ფორმამ შეცვალა. საფიქრებელია, ძველად ორივე ფორმა არსებობდა: „*აფუცებდა* და კითხვიდა დამტკიცებულად“ (შუშ. 46, 6).

დამართ სცემდა. ეს შესიტყვება – „დამართ სცემდა“ ძველ ქართრულში აღარ იხმარება. შესიტყვების პირველი ნაწილი ნიშნავს „ძირს, ქვემოთ, „მართლ-ქუე“, „შთამართ“ (ი. აბ. 113). „დამართ“-ის თანამედროვე სემანტიკურად სახეცვლილი

ფორმაა „დაღმართ“, რომელშიც **ღ** ანალოგიითაა გაჩენილი [8, 30]. „თავსა დამართ სცემდა და ცრემლითა მწარითა იტყოდა“ (შუშ. 46, 11). „..ტირილითა დიდითა და თავსა თჳსსა ქუე *დამართ სცემდა*“ (შუშ. 54, 26).

მართალია, „დამართ“ ზმნა არაა, მაგრამ იგი ამ შემთხვევაში შესიტყვების შემადგენელი ნაწილია.

ვიჯმენ – ჯმნა. ეს ზმნა დაა მისგან ნაწარმოები ნაზმნარი სახელი ნიშნავს „განშორებას, გაცლას, გამოთხოვებას, გაცილებას, გასტუმრებას, გამომშვიდობებას, გაცალკევებას“ (ი. აბ. 574): ხოლო მე *ვიჯმენ* ადრე და მივიწიე დაბასა მას“ (შუშ. 46, 30); „და *ვიჯმენ* მისგან და წარვედ სწრაფით ვანად ჩემდა“ (შუშ. 53,26); „..და *უჯმნა* და გამოგზავნნა იგინი მშჳდობით“ (შუშ. 58, 14);

თითქოს ეს ძირი ახლოს უნდა იდგეს *მიჯნა* არსებით სახელთან, მაგრამ, ვფიქრობთ, ეს მოჩვენებია, რადგან მიჯნა ძველი ქართულისთვის საერთოდ უცნობი ლექსემაა.

სდგა-ა? დღეს ეს ზმნა პირველ და მეორე პირში მეშველი ზმნით იწარმოება. ვდგავარ, დგახარ, დგას [9, 95-150]. ცნობილია, რომ ახალ ქართულში გარდაუვალ ზმნათა ერთი ჯგუფი აწმყოს ორივე რიცხვის I და II პირში მეშველ ზმნას დაირთავს. ვდგა-ვარ. დგა-ხარ. მაგ., ვდგა კარა ზედა, სდგა აჰა ესერა, სდგა მახლობელნი ჩემნი, სდგას – ესერა პეტრე კარტა ჩემთა“ [9, 95-150]. ვფიქრობთ, „სდგა“ ძველისძველი ფორმა უფრო არქაიზმია, ,ვიდრე სემანტიკური სახეცვლილება.: „და მე მიუგე და ვარქუ მას: „*მტკიცედ სდგა-ა*? (შუშ. 47, 11).

იბდღუენდა – ბრდღვნის. „იბრდღუენდა“ სიტყვაფორმა ძველი ქართული ენის კუთვნილებაა. ნიშნავს ღმუილს, ყვირილს, „ხახილს“, ღრიალს, მრისხანებას, გლეჯას (ი. აბ. 35) ახალ ქართულში მას სემანტიკურად სახეცლილი „იბრდღვნის“ ენაცვლება: „ხოლო მან განიწყო გული და *იბრდღუენდა მისთჳს*“ (შუშ. 48, 13).

განჩინება. ძველ ქართულად ორი მნიშვნელობისაა, როგორც ი. აბულაძე განმარტავს, იგი ნიშნავს; 1. „შეწირვას“, „მიცემას“, ,განთჳსებას“, „გამორჩევას“, „გამოჩინებას“, „სჯას“, „ჩუენებას“, „განსაღვრებას“, განწესენას“, დადგენას, დამტკიცებს, გადაწყვეტას“ 2. „განჩემებას“, განაჩენს (ი. აბ. 75). თანამედროვე ქართულში **განჩინება** იურიდიული ტერმინია. იხმარება ორ მნიშველობით. 1. სასამართლოს მიერ მიღებული დოკუმენტი, რომლითაც საქმე არსებითად არ წყდება და წარმოადგენს რაიმე პროცესუალური მოქმედების ნებართვას. 2. პირველი და სააპელაციო ინსტანციების სასამართლოების გადაწყვეტილება ნებისმიერ საკითხზე. „უკუეთუ შემკრას და მითრიოს, მიხარის, რამეთუ მით სახითა იყოს განჩინებაᲲ ჩემი მისგან“ (შუშ. 48, 35-36). ამრიგად, ახალ ქათულში „განჩინება“ იურიდიული ტერმინია, მომდინარეობს ზემოთ მოყვანილი ძველი ქართულის მეორე მნიშვნელობისაგან.

წარიტანნა – წაიღო. ძველ ქართულში *წაღებას* ნიშნავს [ი. აბ. 178]. „წარიტანა“, ჩვენი აზრით, ახალ ქართულში უფრო უსული საგნის წაღებას ნიშნავს. ახალ ქართულში ეს ზმნა აღარ იხმარება: „*თანა წარიტანნა* ევანგელᲘ თჳსი და წმიდანი იგი წიგნნი მოწამეთანი“ (შუშ. 49. 3).

დაუბუშტა. ილია აბულაძისა და ზურაბ სარჯველაძის „ძველი ქართული ენის ლექსიკონებში“ (მასალებში) ეს ლექსემა ავტორებს გამორჩენიათ. იქ მხოლოდ „დაბუშება“ მასდარია. შეტანილი. ჩვენ მიერ ამ ლექსიკონებზე მუშაობის შედეგად ირკვევა, რომ მსგავსი შემთხვევები ამ ლექსიკონებში არაერთია. დაისმის კითხვა: ხომ არ დადგა დრო ეს ლექსიკონები სათანადო მეცნიერული შეჯერების შედეგად ხელახლა ერთ წიგნად გამოიცეს? ზოგს შეიძლება ეს შემთხვევა არაფრად მიაჩნდეს, მაგრამ, ჩვენი აზრით, ირკვევა, რომ **ბუშტ** სიტყვა, რომელც ახალ ქართულში არსებით სახელად ახლაც გვაქვს, ზმნურ წარმოებაში ძველ ქართულშიც გვქონია. ასე რომ, „დაუბუშტა“ ძველი ქართული ენის კუთვნილება – ნასახელარი ზმნაა: ამ ზმნური ძირის ფუძე ბუშტია: „..და აღიღო ასტამი და უხეთქნა მას თავსა და ჩაჰფლა და თუალი ერთი *დაუბუშტა*“ (შუშ. 49, 30).

სივლტოლად იწყო. ეს აღწერითი წარმოების ზმნური ერთეული სივლტოლა ნიშნავს გაქცევას (ი. აბ. 390). იგი უძველესი მასდარული ფორმაა [2, 64-65]. „და დადუმნა ხოლო და *სივლტოლად იწყო* სწრაფით“ (შუშ. 52, 14).

მოისთულნა. რთველი, კრეფა (ი. აბ. 388). ამ ზმნის ფუძე სთულ <– სთუელ ძირისაგანაა ნაწარმოები. როგორც ჩანს, ზმნა ნასახელარია, რომელიც დღევანდელ ქართულში სემანტიკურად სახეცვლილი ფორმით გვაქვს. ესაა სიტყვა **რთველი.** ამ უკანსკნელში **ს**“ს **რ** სონორი შენაცვლებია. ამ სიტყვში **რ** თავსართადაა მიჩნეული, კერძოდ, **რ** თავსართი იგივეა, რაც აფხაზური ენის კაუზატივის რ- მაწარმოებელი. გ. თოფურიას აზრთ, რ-პრეფიქსი გრამატიკული კლასის გამომხატველი ნიშანი უნდა ყოფილიყო უძველეს ქართულში, მაგრამ იგი სრული

ერთი მცირწ პოვა მახლობელად ეკლესიასა“ (შუშ. 46, 20).

სრსვლი. სირსვილი, gangraena [ი. აბ. 409]. ახალ ქართულში სირსვლი’ს ნაცვლად სირსვილ ლექსემა გვაქვს. სხვაობა მხოლოდ ფონეტიკურ დაწერილობაშია“ „ნუკუე მტერმან ვითარცა *სირსვლმან*, საძოვარი პოოს შენ-თანა“ (შუშ. 46, 35).

უზმა-უზმო. დაუნაყრებელი, უჭმელი, მშიერი (ი. აბ. 420). ძველი ქართულის უზმა თანამეროვე ქართულში *უზმოდ* ქცეულა (შდრ. საუზმე), სემანტიკური ცვლილება არ განუცდია: „..რადთამცა მასცა აჭამეს პური, რამეთუ ყოველნი იგი დღენი *უზმას* გარდაევლნეს“ (შუშ. 49, 19).

წუენი-წუენაკი. ეს სიტყვა ილია აბულაძისა და ზურაბ სარჯველაძის „ძველი ქართული ენის ლექსიკონებში [(ი. აბ., ზ. სარჯ.) არ გვაქვს. ახალ ქართულში დღეს ეს ლექსემა **-აკ** კნინობითსუფქიანი ფორმით აღარ იხმარება.. **წვენი-წუენაკი:** „და მცირედ ოდენ წუენაკი მხალისა შექმნული (იგიცა მცირედ მიიღის“ (შუშ. 55, 40).

ალიზი-ალიზაკი. ახალი ქართული მხოლოდ **ალიზ** (გამოუწვავი აგური, ი. აბ.) ლექსემას იცნობს. ილია აბულაძისა და ზურაბ სარჯველაძის „ძველი ქართული ენის ლექსიკონებში“ ეს ფორმა (ალიზაკი) უცნობია: „სასთაულსა ზედა თავი არა მიდვის, გარნა *ალიზაკი* ერთი დაიდვის სასთუნალ“ (შუშ. 56, 4).

სუდარი-სუდარა. ძველ ქართულში სუდარი „ვარშამაგს“, ტილოს ნიშნავს (ი. აბ. 404). **სუდარა** ლექსემა დღეს მხოლოდ ახალი ქართული ენის *კუთვნილებაა*.: „„„მოიღო სანატრელმან მან ეპისკოპოსმან იოვანე შესაგრაგნელად *სუდარი* წმიდაჲ წმიდათა მათ და პატიოსანთა ნაწილთა მისთაჲ“ (შუშ. 59, 17).

შეიძლება დავასკვნათ, იაკობ ხუცესის „შუშანიკის წამება“, ჰაგიოგრაფიულად, ღირსახსოვარი ძეგლია დღევანდელობის თვალსაზრით. მასში ასახული ზმნის პირიელი, მასდარული და საკუთრივ სახელური ძირები, ძირ-ფუძეთა სემანტიკური ცვლილების მიხედვით, საოცარ სურათს გვიჩვენებს, თითქოს ჩვენ წინაშე 1500 წლის წინანდელი ჰაგიოგრაფიული ძეგლი კი არა, არამედ თანამედროვე ავტორის მიერ დიალოგური გზით გადმოცემული მოწამებრივი ტექსტი ცოცხალი და ცხადლივი ტონალობით გადმოგვცემს „წამების“ ნიუანსობრივ მხარეს, რომელშიც ძირ-ფუძეთა სემანტიკური ცვლილება მინიმალური სხვაობისაა. რაც შეეხება კნინობით-სუფიქსიანი ფორმების (წუენაკი, ალიზაკი...) ლექსემების არშეტანას ძველი ქართულ ენაში სალექსიკონო ერთეულებად, ჩანს, ძველი ქართული ენის სპეციალისტ-ლექსიკოგრაფებს (ი. აბულაძე, ზ. სარჯველაძე) საჭირო ერთეულებად არ მიუჩნევიათ.

ლიტერატურა

1. დ. ჩხუბიანიშვილი, ინფინიტივის საკითხისათვის ძველ ქართულში, თბ., 1972, გვ. 3-167.
2. ბ. ცხადაძე, მასდარის წარმოება ძველ ქართულში (აწმყოს ფუძის ისტორიის ჩვენებისათვის), თბ., 1984, გვ. 3-249
3. ძიძიგური, წინადადების მასდარული კონსტრუქცია ა. ს. პუშკინის სახ. პედ. ინსტიტუტის შრომები. ტ.19, თბ.,, 1956 (გვ. 91-101).
4. არნ. ჩიქობავა, ‚წარმართ“ სიტყვის ეტიმოლოგიისათვის. კრებ.: ეტიმოლოგიური ძიებანი, თბ., 1991, გვ. 117-119.
5. ფილოსოფიური ლექსიკონი. ნ. ტ.. ფროლოვის რედაქციით, მეოთხე გამოცემა, თბ., 1980.
6. ბ. ცხადაძე, აფიქსური სიტყვაწარმოება ძველ ქართულში, სადისერტაციო ნაშრომი ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. თბ., 1989.
7. ა. ჩიქობავა, „წარმართ“ სიტყვის ეტიმოლოგიისათვის. კრებ.: ეტიმოლოგიური ძიებანი, თბ., 1991, გვ. 117-119.
8. ა. შანიძე, თხზულებანი, III. ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, I. მორფოლოგია, მეორე გამოცემა, თბ., 1973.
9. ლ. ბარამიძე, ზოგიერთი ტიპის მეშველ-ზმნიან ფორმათა ჩასახვა და განვითარება ქართულში. ძველი ქართული ენის კათედრის შრომები. თსუ, თბ., 1964, ტ. 9.

10. plg. Gov. ge/gwdict/index.php?a term@d = 5@t = 3195. Civil ენციკლოპედიური ლექსიკონი.
11. გ. თოფურია, რ- თავსართიანი ზმნები ქართულში. სტუ სტუდენთა სამეცნიერო შრომების კრებული. ტ. 7, თბ., 1955.

შემოკლებანი

ი. აბ. – ძველი ქართული ენის ლექსიკონი (მასალები), თბ., 1973.
ზ. სარჯ. – ზურაბ სარჯველაძე, ძველი ქართული ენის მასალები (ლექსიკონი), თბ., 1995.
ქეგლ. III. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი. ტ. III. არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით, თბ., 1953.
ქეგლ. IV– ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი. ტ. IV. პროფ. არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით., თბ., 1955.
ქეგლ. V– ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი. ტ. V. პროფ. არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით., თბ., 1958.

ᲬᲘᲜᲐᲫᲠᲘᲡᲢᲘᲐᲜᲣᲚᲘ ᲠᲔᲚᲘᲒᲘᲔᲑᲘᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ – ᲖᲝᲠᲝᲐᲡᲢᲠᲘᲖᲛᲘ

მაია ქუთათელაძე

მიჩნეულია, რომ ზოროასტრიზმი ერთ-ერთი უძველესი მონოთეისტური რელიგიაა. მოძღვრების უმთავრესი არსი ერთი ღმერთის თაყვანისცემის იდეაშია. თითქმის ათეული საუკუნის განმავლობაში (ძვ.წ. 558- ახ.წ. 650 წწ.) ზოროასტრიზმი სახელმწიფო რელიგიის სტატუსით სარგებლობდა ირანის ტერიტორიაზე არსებულ – აქემენიანთა, პართიისა და სასანიანთა იმპერიებში. მისი გავლენის არეალი დასავლეთით საბერძნეთამდე, ხოლო აღმოსავლეთით ინდოეთამდე აღწევდა. მონოთეისტული ზოროასტრიზმის კულტისა და ტრადიციული წეს-ჩვეულების ნაწილმა გარკვეული ასახვა იუდაიზმის, მოგვიანებით ქრისტიანობისა და ისლამის მოძღვრებებშიც ჰპოვა.

დღესდღეობით მსოფლიოს მასსტაბით ზოროასტრიზმის მიმდევართა რიცხვი 150–200 ათას ადამიანს ითვლის. მაზდეანთა დიდი ნაწილი ძირითადად ირანშია განსახლებული. ინდოეთში მათი შთამომავლები 60-ათასიან სპარსულ თემს შეადგენენ. ჩრდილოეთ ამერიკის ტერიტორიაზე არსებულ ზოროასტრულ თემში კი 20 ათასი ადამიანია გაერთიანებული.

ტრადიციულად მიიჩნევა, რომ ზოროასტრიზმის სამშობლო ირანია. აქედან გამომდინარე, შედარებით ყველაზე სრულყოფილად ამ უძველესი რელიგიური მოძღვრების წეს-ჩვეულებები და მასთან დაკავშრებული რიტუალები სწორედ აქ არის შემორჩენილი. თანამედროვე ირანის ტერიტორიაზე მცხოვრები ზოროასტრული ტაძრის მსახურები ზრუნავენ, რომ საკურთხეველზე წმინდა ცეცხლი მუდმივად ენთოს. ფარავახარი – კედელზე გამოსახული ფრთოსანი მზის დისკო ადამიანის ტანით – ზოროასტრული რელიგიის მთავარი სიმბოლოა. უძველეს ეპოქაში იგი განასახიერებდა არა კონკრეტულად აჰურამაზდას, არამედ აქემენიანი მეფეების დიდებას. სახელი ფარავახარი უძველესი

სპარსული ფრავარანე-დან მოდის და ნიშნავს „მე ვირჩევ“, რაც ზარათუშტრას მოძღვრების არჩევანზე მიუთითებს.

უძველესი ზოროასტრული ტრადიციის თანახმად, მიცვალებულებს მდუმარების ღია კოშკებში ტოვებდნენ გარეული ფრინველების საჯიჯგნად. ჩვენი გაგებით, სასაფლაოები ძველ სპარსულ ქალაქი იეზდში (ირანის ზოროასტრულ სინამდვილეში) XX საუკუნის 70-იანი წლებიდან დამკვიდრდა, მას შემდეგ, რაც 1979 წელს ირანის ისლამურმა ხელისუფლებამ ამ კოშკების დახურვა ბრძანა. მაშინ მიცვალებულთა დასამარხად შემოღებულ იქნა ჰერმეტულად დახურული ბეტონის აკლდამები, რათა ზოროასტრული მოძღვრების თანახმად, არ წაბილწულიყო წმინდა სტიქიები – ცეცხლი, მიწა და წყალი.

ზოროასტრული ცეცხლის ტაძარი იეზდში 479 წლიდან არსებობს. საკრალური რიტუალი საუკუნეების განმავლობაში თაობიდან თაობას გადაეცემოდა და არ აძლევდა ღვთაებრივ ცეცხლს ჩაქრობის საშუალებას. რელიგიური სწავლების თანახმად, ცეცხლის ჩაქრობა იმის მომასწავლებელი იქნება, რომ სამყაროს ბოროტების ბნელი ძალები დაეპატრონენ.

მარადისობისადმი მორჩილების ნიშნად, თანამედროვე მაზდეანთა ყველა სამარხი ერთგვაროვნად გამოიყურება. საფლავის ქვებზე მოცემულია მხოლოდ გარდაცვლილის სახელი და ამონარიდიდები ზოროასტრიზმის წმინდა წიგნიდან „ავესტა“. თუმცა ეს სრულიადაც არ ნიშნავს, რომ მაზდეანებს არ ახსოვთ საკუთარი მიცვალებულები და პატივს არ მიაგებენ მათ. თანამედროვენი მათი სულების მოსახსენიებლად აღავლენენ ლოცვებს, ასრულებენ ღვთისმსახურებას, განსაკუთრებით ახალი წლის დღესასწაულზე, რომელიც მაზდეანებისათვის 21 მარტს დგება. საუბარია ნაურუზობის ფესტივალზე, რაც სპარსულად „ახალ დღეს“ ნიშნავს.

საუკუნეების განმავლობაში, აურუზობის ფესტივალი ცივი და ბნელი ზამთრის შემდეგ გაზაფხულის დადგომის აღსანიშნავად იმართებოდა. იმ დროისათვის ირანი პასტორალური საზოგადოება იყო და ეს დღესასწაული ხაზს უსვამდა კეთილის ბოროტზე და სინათლის სიბნელეზე გამარჯვებას. ნაურუზობა ემთხვევა პერიოდს, როდესაც ღამე დღეს უთანაბრდება და შესაბამისად დღის საათები მატულობს. დღეისთვის ნაურუზობა აღინიშნება იქ, სადაც მოსახლეობა პრეისლამური ირანული კულტურის გავლენას განიცდის. ეს დღესასწაული უნიკალურია და მას მრავალ რელიგიასა და ქვეყანაში აღნიშნავენ. ნაურუზობის ყველაზე მნიშვნელოვანი ჩვეულებაა სადღესასწაულო სუფრაზე მცენარეებად გაზრდილი ხორბლისა და ოსპის მოთავსება, რომელსაც ერთი კვირით ადრე ჭურჭელში სპეციალურად აღვივებენ. ეს ტრადიცია გარკვეულ მსგავსებას ამჟღავნებს სააღდგომო სუფრაზე ე.წ. ჯეჯილის დადგმის ეპიზოდთან, რომელზეც ქრისტიანი მორწმუნეები შეღებილ წითელ კვერცხებს ათავსებენ. ნაურუზობის დღესასწაულისათვის საგანგებოდ გაწყობილ სუფრაზე ხილთან, ტკბილეულთან, თხილთან და სხვ. სასუსნავთან ერთად სანთლები და ზოროასტრიზმის წმინდა წიგნი – „ავესტა“ დევს.

მიცვალებულთა სულების მოსახსენიებელი რიტუალების გარდა, მაზდეანებისათვის უმნიშნელოვანესია ზოროასტრიზმის წმინდა ადგილების მოლოცვა, რომლებიც ქალაქ იეზდის შემოგარენში მდებარეობს. ყოველ ასეთ წმინდა ადგილს გარკვეული ლეგენდა უკავშირდება. ერთ-ერთი ასეთი გადმოცემის თანახმად, VII საუკუნეში სასანიანთა უკანასკნელი შაჰის იეზდიგერდ III-ის ქალიშვილებმა მუსლიმთაგან გაქცევა განიზრახეს. იეზდის სიახლოვეს მთებში მათ არაბი მხედრები დაეწიენ. ქალიშვილები სხვადასხვა მიმართულებით გაიფანტნენ და ღვთაება აჰურამაზდას გადარჩენა შესთხოვეს. გაკვირვებულ მუსლიმ მდევართა თვალწინ ყოველი ასულის წინ კლდე მოულოდნელად გაიხსნა, შეიფარა ისინი და კვლავ დაიხურა. მოგვიანებით, ამ ადგილებში ტაძრები იქნა აგებული. ერთი მათგანია იეზდის კლდიან შემოგარენში მდებარე პერ-ხერიშთის სატაძრო კომპლექსი, რომელიც სწორედ იმ ადგილას აუგიათ, სადაც ლეგენდის

თანახმად, უკანასკნელად იხილეს შაჰის ერთ-ერთი ქალიშვილი.

მაზდეანებს სხვაგვარად ცეცხლთაყვანისმცემლებსაც უწოდებენ. თუმცა, ეს არ არის ზუსტი განმარტება. მაზდეანები ცეცხლს კი არ ეთაყვანებიან, არამედ პატივს მიაგებენ მას, როგორც სიწმინდისა და სიმართლის სიმბოლოს და ამასთანავე, აჰურამაზდას ძეს. ტერმინი მაზდეანობა ამ რწმენის მთავარი ღვთაების აჰურამაზდას სახელიდან მოდის. მეცნიერები თანხმდებიან, რომ უძველეს არიულ ეპოქაში – ინდოევროპულ ენათა ერთობის პერიოდში (ძვ.წ. V–III ათასწლეულები) ადამიანები სხვადასხვა ღვთაებებს ეთაყვანებოდნენ. თუმცა სამეცნიერო წრეებში განსხვავებული თვალსაზრისიც არსებობს. მაგალითად, უძველესი რელიგიების თვალსაჩინო მკვლევარის გ. კოშელენკოს მოსაზრებით, ინდოევროპულ ენათა ერთობისათვის ერთი ღვთაებისადმი თაყვანისცემა იყო დამახასიათებელი **(Кошеленко 1972: 84-85).**

პირველი აქემენიანები თაყვანსსცემდნენ წმინდა სპარსულ კულტს – აჰურამაზდას. ამასთანავე, ისინი ცნობდნენ აგრეთვე ბაბილონის, პალესტინის, ეგვიპტისა და მცირე აზიის ტრადიციულ ადგილობრივ კულტებსაც. მხოლოდ ქსერქსეს მეფობის დროს (ძვ.წ. 486–465 წწ.) იცვლება აქემენიანთა დამოკიდებულება იმპერიის არაირანული პროვინციების ადგილობრივი კულტების მიმართ და იწყება ბრძოლა მათ წინააღმდეგ. ქსერქსე ცდილობს იმპერიის ფარგლებში აჰურამაზდას თაყვანისცემა ყველასათვის სავალდებულო გახადოს. სახელმწიფო რელიგიად ზოროასტრიზმი დარიოს I-ის (ძვ.წ. 522–486 წწ.) ზეობის ხანაში გამოცხადდა. მოგვიანებით აქემენიდური ირანის ოფიციალური კულტი რელიგიურ მოძღვრებად ჩამოყალიბდა, რომელიც ზოროასტრიზმის სახელითაა ცნობილი. ზოროასტრიზმი, ფაქტობრივად, მხოლოდ საკუთრივ სპარსული საზოგადოების ზედაფენაში იყო გავრცელებული, ნაწილობრივ – ირანის მოსახლეობაში. სპარსეთის ფარგლებს გარეთ, იგი გავრცელდა სომხეთსა და მცირე აზიაში, თანაც ადგილობრივ კულტებთან და რწმენა-წარმოდგენებთან შერწყმული სახით არსებობდა **(ხახუტაიშვილი 1988: 424).**

ზოროასტრიზმის მწყობრ რელიგიურ სისტემად ჩამოყალიბება ზარათუშთრას სახელთანაა დაკავშირებული. ზარათუშთრას შესახებ ცნობები მწირია. იგი რეალურად არსებული ისტორიული პიროვნებაა და სავადაუდოდ, ძვ.წ. X საუკუნიდან VI საუკუნის I ნახევრის ინტერვალში მოღვაწეობდა. მკვლევართა უმრავლესობა თანხმდება, რომ არა უგვიანეს ძვ.წ. VI საუკუნისა. სახელი ზარათუშთრა (ანუ ის, ვისაც ოქროს ნათელი მოაქვს) მას შემდეგ უწოდეს, რაც ახალ სწავლებას ჩაუყარა საფუძველი. როგორც პრინცი გაუტამა გახდა ბუდა, ხოლო მის მოძღვრებას ეწოდა ბუდიზმი, ასევე ძველი ბერძნები ამ წინასწარმეტყველს ზოროასტრს უწოდებდნენ, ხოლო მის დოქტრინას – ზოროასტრიზმს.

ზარათუშთრა არიული რელიგიის ქურუმი და წინასწარმეტყველი იყო. მას მიაწერენ „ავესტას“ უძველესი ნაწილის „გათების“ შექმნას. „მცირე ავესტაში“ იგი უკვე მითიურ პიროვნებად, ღმერთად გვევლინება. ზარათუშთრას რეფორმებით, მრავალრიცხოვანი არიული ღმერთების პანთეონი ორ ძირითად სულამდე ანუ ღმერთამდე შემცირდა, რომელთაგან ერთი სამყაროს მარადიულ ნათელ ძალებსა და სიკეთეს განასახიერებდა – აჰურამაზდა, ხოლო მეორე სიბნელესა და ბოროტებას – არიმანი. არიმანის გარემოცვას შეადგენენ ბოროტი სულები – დევები (დაევას), რომლებიც ეხმარებიან მას. ამიერიდან აჰურამაზდამ ზოროასტრული რელიგიის ერთადერთი უზენაესი ღვთაების სტატუსი მიიღო **(Топоров 1990: 160-163).** სამყაროს შემოქმედი – აჰურამაზდა ტახტზე მჯდომი ადამიანის მსგავსი ფრთოსანი არსების სახით იყო წარმოდგენილი.

ფიქრობენ, რომ ზარათუშტრა იყო არა მარტო ფილოსოფოსი, არამედ პოეტი, ექიმი და ასტრონომი. უპირველეს ყოვლისა, თანამედროვე გაგებით ჰუმანისტი,

რომელმაც თავისი ეპოქისათვის რევოლუციური ეთიკა დაამკვიდრა. ზარათუშთრას სწავლების თანახმად, ადამიანი საკუთარი ცხოვრებისეული გზის არჩევანში თავისუფალია, თუმცა ის ვალდებულია კარგად აწონ-დაწონოს თითოეული ნაბიჯი. ცხოვრების სწორი წესით ადამიანი აჰურამაზდას სამყაროში არსებული ბოროტები ძალების დამარცხებაში დახმარებას უწევს. სწორი ცხოვრების გზა კი მხოლოდ მათი ხვედრია, ვინც სავსეა „კეთილი აზრებით, კეთილი სიტყვებითა და კეთილი საქმეებით“. თითოეულ ადამიანს შეუძლია მიიღოს მონაწილეობა ბოროტების დათრგუნვასა და სიკეთის მეუფების დამყარებაში. ამ მიზნის მისაღწევად სავალდებულო არაა ლოცვებისა და რელიგიური წესების დაცვა, საკმარისია ადამიანი ზოროასტრიზმის ძირითადი პრინციპის „კეთილი აზრები, კეთილი სიტყვები და კეთილი საქმეები“ მიმდევარი იყოს. მისთვის უცხოა ასკეტიზმი.

ზოროასტრული დუალისტური მოძღვრების საფუძველს კეთილ და ბოროტ საწყისს შორის მუდმივი ბრძოლა წარმოადგენს. „ავესტას“ წმინდა სწავლების თანახმად, აჰურამაზდამ შექმნა ყველაფერი ნათელი და სუფთა – მაცოცხლებელი მიწა, წყალი, ცეცხლი, შინაური ცხოველები, მცენარეები, ადამიანები. არიმანმა კი – ყოველგვარი ბოროტება, გარეული ცხოველები, ავადმყოფობა, სიკვდილი. სწავლების თანახმად, აჰურამაზდა და არიმანი ტყუპები არიან. ზოროასტრიზმის სიწმინდის გამოვლინებაა ცეცხლი, რომელიც ამავე დროს, ღვთაებრივ სამართლიანობას განასახიერებს.

ამ რელიგიას სპარსელები არაბთა გამოჩენამდე მისდევდნენ. 637 წელს დასრულდა სასანიანთა ეპოქა. მომთაბარე არაბთა მიერ შემოტანილ ახალ მონოთეისტურ რელიგია – ისლამზე სპარსელთა მოქცევა რთული სრულიადაც არ აღმოჩნდა. საქმე ისაა, რომ ახ.წ. III საუკუნეში სასანიანთა მმართველებმა ზარათუშთრას მოძღვრება პრაქტიკულად არისტოკრატიის რელიგიად აქციეს. უმნიშვნელოვანესი გახდა იერარქიის იდეა და მრავალრიცხოვანი უმკაცრესი მიწერილობები (მითითებები). განწმენდის საკრალური რიტუალები განსაკუთრებით გართულდა: მაქსიმალურად იზღუდებოდა გარდაცვლილთა სხეულებთან და სხვა „უწმინდურ“ საგნებთან უმნიშვნელო კონტაქტი, ტარდებოდა ხანგრძლივი და რთული განწმენდითი წესები წყლითა და ძროხის შარდით. ზოროასტრული წესებით სარგებლობის გართულებით უკმაყოფილო მოსახლეობის დაბალი ფენები სიამოვნებით გადადიოდნენ ისლამზე, რომელიც ძმობის იდეებს ქადაგებდა. ძველი რწმენის მტკიცე მიმდევრები იძულებული გახდნენ დამალულიყვნენ ან გაქცეულიყვნენ.

X საუკუნეში ირანელი მაზდეანების დიდი ნაწილი სამხრეთ ინდოეთის ტერიტორიაზე გადასახლდა, მათ შორის ბომბეიში, სადაც მათი შთამომავლები დღესაც ამ ტრადიციებით ცხოვრობენ. ირანში დარჩენილ მაზდეანებს ბევრი მძიმე განსაცდელის გადატანა მოუხდათ. ისინი გარბოდნენ ძირითადად შორეულ მთიან სოფლებსა და ქალაქებში, ისეთებში, როგორიცაა ქერმანი და იეზდი. დღესდღეობით იეზდი და მისი შემოგარენი ირანში ზოროასტრიზმის მიმდევარი თემის ცენტრს წარმოადგენს. ქალაქის სიახლოვეს მრავალრიცხოვანი მდუმარების კოშკია აღმართული.

უძველეს ეპოქაში რამდენიმე მეტრიან კოშკებში შესვლის უფლება მხოლოდ ზოროასტრ ქურუმებს ჰქონდათ, რომელთაც გარდაცვლილი თანამოაზრეების დასვენება ევალებოდათ. თავდაპირველად მიცვალებულთა სხეულებს ფრინველთა საჯიჯგნად ტოვებდნენ, დარჩენილ ძვლებს მოგვიანებით მოგვები აგროვებდნენ და საბოლოოდ, კოშკებში ყრიდნენ. ერთი შეხედვით, გარდაცვლილთა მიმართ ესოდენ სასტიკი, უსულგულო დამოკიდებულება ზოროასტრული მოძღვრების უმნიშვნელოვანესი მომენტების ანარეკლს წარმოადგენს. მაზდეანთა მხრიდან ამგვარი ქმედებები გამორიცხავდა წმინდა სტიქიების – მიწის, წყლისა და ცეცხლის შეურაცხყოფას. მათივე წარმოდგენით, გარდაცვლილები არ შეიძლება მიწას მიაბარონ. არ შეიძლება მოხდეს არც

მათი კრემაცია, რამეთუ გვამები წაბილწავენ მიწასა და წმინდა ცეცხლს. „ინდივიდუალური“ განსასვენებლების არარსებობა კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს იმ მორჩილებას, რომელსაც მორწმუნეები ღვთაების მიმართ უნდა გრძნობდნენ.

სწორედ ამ მაზდეანური დაკრძალვის წესის ქართლში დანერგვა მოსთხოვა ირანის შაჰმა კავადმა მეფე გუბაზს 523 წელს. პროკოფი კესარიელის ცნობით, შაჰმა ქართლის მეფეს შემოუთვალა: „სხვა რამეშიც ისე მოქცეულიყო, როგორც სპარსელებში იყო მიღებული, და მიცვალებულებიც მიწაში კი არ დაემარხა, არამედ მიცვალებული ფრინველებისა და ძაღლებისათვის გადაეგდო“ **(პროკოფი კესარიელი 1965: 49).**

IV საუკუნის ბოლოდან და განსაკუთრებით V საუკუნის დასაწყისიდან სასანიანთა ირანის ექსპანსია სამხრეთ კავკასიაში ძლიერდება. ეს ექსპანსია ძალზე საგრძნობია ქვემო ქართლში, შიდა ქართლსა და კახეთის დაბლობ რეგიონებში. ამ პერიოდიდან ქართულ ხელოვნებაში აშკარად ჩნდება ირანული კულტურიდან მომდინარე მოტივები, რაც ლოგიკურად ჯდება პოლიტიკური ისტორიის პროცესებში. მაზდეანობის ინტენსიური პროპაგანდის შედეგია აღმოსავლეთ საქართველოს აღნიშნულ ტერიტორიებზე ცეცხლთაყვანისმცემელთა თემების არსებობა.

IV–VI საუკუნეებში ქართლში, უმეტესად მცხეთაში, თბილისსა და ზოგიერთ სხვა ქალაქში ზოროასტრული მოსახლეობა არსებობდა. ამის შედეგად, ჩვენი ქვეყნის რუკა ირანული წარმომავლობის ტოპონიმებით გამდიდრდა. მაგ., მოგვთაკარი, სოღდებილი.

საქართველოს ტერიტორიაზე დაფიქსირებულია სხვადასხვა ტიპის ზოროასტრული ცეცხლის ტაძრის ნიმუშები **(დუნდუა, სილაგაძე 2010: 74).** კოშკური ტიპის ცეცხლის ტაძრის ტიპოლოგიას განეკუთვნება სამადლოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი ტაძარი, რომელიც ძვ.წ. VI-IV საუკუნეებით თარიღდება **(Гагошидзе 1981: 52).** გავრცელებულია აგრეთვე სხვა ტიპის ცეცხლის ტაძრები (მაგ., ფანჩატურის ტიპის ე.წ. ჩოთრაკი, კვადრატული ფორმის, ადრეული ბაზილიკის მსგავსი ოთხსვეტიანი სამლოცველო აიადანა). ასეთებია ციხიაგორას ცეცხლის ტაძარი, რომელსაც გ. ცქიტიშვილი ძვ.წ. IV–III საუკუნეებით ათარიღებს **(ცქიტიშვილი 2003: 12)** და დედოფლის მინდვრის ძვ.წ. II-I საუკუნეების ცეცხლის წარმართული ტაძარი, რომელსაც ი. გაგოშიძე ავესტასეულ არდვი-სურა-ანაჰიტას სახელზე აგებულად მიიჩნევს **(გაგოშიძე 1978: 75).**

ჯერ კიდევ გ. ჩუბინაშვილმა, გარეჯის გამოქვაბულთა კომპლექსის კვლევისას, ყურადღება შეაჩერა გამოქვაბულთა ერთ ჯგუფზე, რომლებიც განსხვავებული იერსახით გამოირჩეოდა. ამ გამოქვაბულებს მეცნიერი „სენაკებს“ (Келии) უწოდებდა. ისინი იოანე ნათლისმცემლის მთავარი სამონასტრო ეკლესიის დასავლეთით, გამოქვაბულების რიგში დადასტურდა. მეცნიერის დასკვნის თანახმად, სენაკები „განსაზღვრულად უფრო ძველიდან გადაკეთებულის შთაბეჭდილებას ქმნიან **(Чубинашвили 48: 56).** ლ. ჭილაშვილის თვალსაზრისით, აქ საქმე უნდა გვქონდეს მითრეუმებში დაფიქსირებული თაროების ანალოგებთან, რომელთაც მითრას მომდევრები რიტუალის დროს დასაწოლად იყენებდნენ: „აშკარაა, რომ ეს არის მითრეული, რომლის ცენტრში კრიპტა იყო ამოღებული და რომელიც შემდგომ გადაკეთებულა ქრისტიანულ ეკლესიად **(ჭილაშვილი 2000: 55).**

გარეჯის გამოქვაბულთა კომპლექსში მაზდეანთა სამლოცველოების დადასტურებამ, აქ წარმართული ფენა წარმოაჩინა. ამ ფენის განადგურებამ საშუალება მისცა ქრისტიან მოღვაწეებს უფრო აქტიურად ეზრუნათ ახალი სარწმუნოების განმტკიცებისათვის ამ ტერიტორიაზე. გარეჯი რომ მაზდეანთა მძლავრი კერა იყო იმითაც აიხსნება, რომ სწორედ გარეჯში გაშალა თავისი ხანგრძლივი და ნაყოფიერი მოღვაწეობა ასურელმა მამამ დავით გარეჯელმა.

ლ. ჭილაშვილის თვალსაზრისით, მაზდეანთა კვალი გარეჯისა და ივრის

უდაბნოების კომპლექსში სხვა მონაცემითაც დასტურდება. ამ მხრივ, საყურადღებოა 1974–1976 წლებში ივრისპირების „ქვაბებში“ გამოვლენილი ოთხი სამაროვანი, რომელთაგან ერთი კლდეში ამოჭრილი სამარხი ორმოების სახითაა წარმოდგენილი. კლდეში ნაკვეთი ეს სამარხები პირდაპირ ანალოგებს პოულობს რ. გირშმანის მიერ ნიშაპურში შესწავლილ კლდეში ამოჭრილ მაზდეანთა განსასვენებლებთან **(Ghirshman 1971: VII, XXXIV).** ლ. ჭილაშვილის თანახმად, კლდეში ნაკვეთი ეს სამარხები, საქართველოში აღმოჩენილ ქვის სარკოფაგებთან ერთად, ცეცხლის თაყვანისმცემელთა სამარხებს წარმოადგენს **(ჭილაშვილი 2000: 57-58).**

მეცნიერის ვარაუდით, მასშტაბური ხასიათის კლდეში ნაკვეთი ანსამბლის უფლისციხის შექმნაც ცეცხლთაყვანისმცემლობის გავრცელებასა და მაზდეანთა მიერ ადგილის დაპატრონებასთან ჩანს დაკავშირებული. ჯერ მზის კულტმა, ხოლო შემდეგ მითრამ, წმინდა კლდესთან ერთად განსაზღვრეს ამა ადგილების ათვისება. ეს ძეგლები მეზობელი ქვეყნების ანალოგიების მიხედვით უნდა იყოს ახსნილი. ეჭვი შეიძლება გამოითქვას მითრეუმების არსებობის შესახებაც, განსაკუთრებით იქ, სადაც ბევრი სხვადასხვა ფორმისა და სიდიდის ორმოებია დადასტურებული. მითრეუმებს საქართველოში ის კლასიკური ფორმა არ მიუღია, როგორც ევროპულ სივრცეში. ისინი რომაული გავლენის შედეგად და ძირითადად იმ ადგილებში ჩანს აღმოცენებული, სადაც რომაული გარნიზონები იდგა **(ჭილაშვილი 2000: 59).**

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მაზდეანობასთანაა დაკავშირებული კავთისხევთან მდებარე ციხიაგორას ტაძარიც, მასთან დაკავშირებული სათავსებითა და დამატებითი ნაგებობებით. ციხიაგორა კავთისხევის თემის რელიგიური და პოლიტიკურ ცენტრს წარმოადგენდა **(ცქიტიშვილი 2003: 10-12).**

საქართველოს ტერიტორიაზე მაზდეანობის თაყვანისმცემის კონტექსტში, საინტერესო ინფორმაციის შემცველია ბრიტანეთის მუზეუმში დაცული ძვ.წ. III საუკუნით დათარიღებული ვერცხლის მონეტები, რომლებიც თ. დუნდუამ შეისწავლა და გამოაქვეყნა. ესა ვინმე ბაგადატის სახელით მოჭრილი ნუმიზმატიკური ძეგლები, რომლებზეც ერთი და იგივე გამოსახულება – სატრაპის თავსაბურავით შემოსილი მამაკაცია ამოკვეთილი. ორ მონეტაზე ცეცხლის ტაძარია გამოსახული, ხოლო თავად ბაგადატს მარჯვენა ხელი თაყვანისცემის ნიშნად აქვს აწეული (ადორაციის პოზაშია). მესამე მონეტაზე კი, ცეცხლის ტაძარს ცეცხლის საკურთხეველი ცვლის **(დუნდუა 2001: 4).** როგორც თ. დუნდუა მიიჩნევს, ძვ.წ. III საუკუნის დასაწყისში ფარნავაზმა გააერთიანა ქართლი, დაამარცხა რა სამხრეთ-ქართული პოლიტიკური ერთეულის უფალი აზო. აზოს დაღუპვის შემდეგ, ფარნავაზმა მისი შთამომავლები იშვილა და მათ კლარჯეთის ერისთავობა უბოძა. ბაგრატ (ბაგადატი), ბივრატი (ბიურატ) და სუმბატი (სმბატ) ბაგრატიონთა სახლის პირველი მამასახლისები არიან. ძვ.წ. III საუკუნის II ნახევარში ზემოხსენებულმა კლარჯეთის ერისთავმა მოჭრა მონეტები წარწერით „ბაგადატი, ძე ბიურატისა, ღვთაებრივი მამასახლისი“. მონეტაზე გამოსახული ცეცხლის ტაძარი მეცნიერს სპარსული ფულებისაგან ნასესხებად მიაჩნია, თუმცა თვლის, რომ არც სატრაპის სამოსელი, არც ცეცხლის ტაძარი უცხო არ უნდა ყოფილიყო იბერებისათვის, რომლებიც თაყვანს სცემდნენ არმაზ-აჰურამაზდას **(დუნდუა 1999: 23)** და ირანულ ყაიდაზე იმოსებოდნენ **(დუნდუა 2001: 5).** მაზდეანული სიმბოლიკის გამოსახვა ქართლის სამეფოს მაღალი სამოხელეო არისტოკრატიის წარმომადგენლის სახელით მოჭრილ მონეტაზე გვაფიქრებინებს, რომ მაზდეანობა სახელმწიფო რელიგიის რანგში უნდა ყოფილიყო აყვანილი.

ირანული მოსახლეობის, ზოროასტრული თემების (რომელთა ეთნიკური შემადგენლობა ჭრელი იყო და მასში ირანელების გარდა ქართველებიც იყვნენ გაერთიანებული), ცეცხლის ტაძრების, სალოცავების, საკურთხეველების არსებობას ადასტურებს აგრეთვე ქართული წერილობითი წყაროები, მათ შორის რო-

გორც სასულიერო მწერლობის ნიმუშები – „შუშანიკის წამება“, „ევსტატი მცხეთელის წამება“, „რაჟდენის ცხოვრება“, ასევე საისტორიო ხასიათის თხზულებები – „მოქცევაი ქართლისაი“ და „ქართლის ცხოვრება“. ქართლის სამეფოში ცეცხლის თაყვანისცემის საინტერესო ფაქტის შესახებ მოგვითხრობს „ქართლის ცხოვრების“ ის ნაწილი, რომელიც ჯუანშერს ეკუთვნის: ვახტანგ გორგასალმა და მისმა მეუღლემ რაჟდენის ნეშთი წრომიდან ნიქოზში გადაასვენეს და იქ ეკლესია ააგებინეს „საგზებელსა თანა ცეცხლისათა“ **(ქართლის ცხოვრება 1955: 199).**

როგორც ქართველ მეცნიერთა ნაწილი მიიჩნევს, ზოგიერთ შემთხვევაში საქართველოში ცეცხლის ტაძრის რეკონსტრუქციის შედეგად ეკლესიის წარმოქმნას ჰქონდა ადგილი. ასეთი რეკონსტრუქციის კლასიკურ მაგალითად უფლისციხის ე.წ. კლდოვანი ბაზილიკა მიაჩნია გ. ყიფიანს. მისი ვარაუდით, ეს ნაგებობა თავდაპირველად ოთხსვეტიანი კვადრატის ფორმის ცეცხლის ტაძარი უნდა ყოფილიყო, რომელიც საკმაოდ მარტივი რეკონსტრუქციის შედეგად (აღმოსავლეთის მხრიდან აფსიდი მიუშენდა) ქრისტიანულ ეკლესიად გადაკეთდა **(ყიფიანი 2000: 1-12).** რაც შეეხება ი. გაგოშიძეს, იგი უფლისციხის ამავე ბაზილიკას მითრეუმად მიიჩნევს.

ზოროასტრული ცეცხლის სამლოცველო თბილისის ერთ-ერთ ძველ უბანში „კალაშია“ შემორჩენილი. ეს არის კვადრატული ფორმის აგურის ნაგებობა და მას „ათეშგას“ უწოდებენ, რაც საცეცხლეს, საგზებელს, ცეცხლის ადგილს ნიშნავს. ყველა ეს ტერმინი იმ არეს აღსანიშნავად გამოიყენებოდა, სადაც ზოროასტრული ცეცხლი გიზგიზებდა: ტაძარი, საკურთხეველი, საცეცხლე ჭურჭელი. სამლოცველო მალევე მეჩეთად გადააკეთეს, თუმცა მან ბოლომდე შეინარჩუნა ზოროასტრული სახელწოდება – ათეშგა. გ. ყიფიანი აღნიშნულ ძეგლს გვიანსასანური ცეცხლის ტაძრების ტიპოლოგიას აკუთვნებს და შესაბამისად, VI–VII საუკუნეებით ათარიღებს **(ყიფიანი 2009: 3-20)**

ამგვარად, არქეოლოგიური გათხრების შედეგად საქართველოს ტერიტორიაზე დადასტურებულია მაზდეანური რწმენისათვის დამახასიათებელი მრავალრიცხოვანი მატერიალური კულტურის ძეგლები, მათ შორის სხვადასხვა ტიპის ზოროასტრული ცეცხლის ტაძრის ნიმუშები, რომლებიც ძვ.წ. IV-ახ.წ. VII საუკუნეების ქრონოლოგიური ჩარჩოთი თარიღდება. ისტორიულ ქართლის (იბერიის) სამეფოში ცეცხლის ტაძრების, სალოცავების, საკურთხეველების არსებობას ადასტურებენ აგრეთვე ქართული წერილობითი წყაროები, მათ შორის როგორც სასულიერო მწერლობის ნიმუშები, ასევე საისტორიო ხასიათის თხზულებები.

ლიტერატურა

1. Г. Кошеленко, Ранние этапы развития культа Мифры, сб., „Древний Восток и античный мир”, М., 1972.
2. დ. ხახუტაიშვილი, აქემენიდური ირანი, ძველი მსოფლიოს ხალხთა ისტორია, თბ., 1988.
3. В. Н. Топоров, Мифологический словарь, М., 1990
4. პროკოფი კესარიელი, გეორგიკა, II, თბ., 1965.
5. თ. დუნდუა, ნ. სილაგაძე, ΜΙΘΡΑΣ საქართველოში, თბილისი, 2010
6. Ю. Гагошидзе, Самадло, Каталог, Тб., 1981
7. გ. ცქიტიშვილი, ციხიაგორას სატაძრო კომპლექსი, თბ., 2003.
8. ი. გაგოშიძე, დედოფლის მინდვრის სატაძრო კომპლექსის 1976–1977 წწ. არქეოლოგიური გათხრების შედეგები, სსმაე, V, თბ., 1978.
9. Г. Н. Чубинашвили, Пещерные монастыри Давид-Гареджи, Тб., 1948.
10. ლ. ჭილაშვილი, ნეკრესის წარმართული სამლოცველოები, თბ., 2000.
11. R. Ghirshman, Bichapour, Fouilles de Chapour, I, Paris, 1971.
12. ლ. ჭილაშვილი, ნეკრესის წარმართული სამლოცველოები, თბ., 2000.
13. ლ. ჭილაშვილი, ნეკრესის წარმართული სამლოცველოები, თბ., 2000.

14. გ. ცქიტიშვილი, ციხიაგორას სატაძრო კომპლექსი, თბ., 2003.
15. თ. დუნდუა, ბაგრატი, ძე ბივრატისა, თბ., 2001.
16. თედო დუნდუა, Christianity and Mithraizm, The Georgian story, თბილისი, 1999.
17. თ. დუნდუა, ბაგრატი, ძე ბივრატისა, თბ., 2001.
18. ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. I, თბ., 1955.
19. გ. ყიფიანი, კოლხეთის და იბერიის წარმართული ტაძრები და ქართული ქრისტიანული ხუროთმოძღვრების წარმოშობის საკითხები, თბ., 2000.
20. გ. ყიფიანი, ძველი თბილისის ზოროასტრული ტაძარი, თბ., 2009.

რეზიუმე

წინაქრისტიანული რელიგიების ისტორიისათვის – ზოროასტრიზმი

მაია ქუთათელაძე

ზოროასტრიზმი ერთ-ერთი უძველესი რელიგიაა, რომელიც ძვ.წ. 558-ახ.წ. 650 წლებში სახელმწიფო რელიგიის სტატუსით სარგებლობდა ირანის ტერიტორიაზე არსებულ – აქემენიანთა, პართიისა და სასანიანთა იმპერიებში. ზოროასტრიზმის გავლენის არეალი დასავლეთით საბერძნეთამდე, ხოლო აღმოსავლეთით ინდოეთამდე აღწევდა. მონოთეისტული ზოროასტრიზმის კულტის და ტრადიციული წესჩვეულების ნაწილმა გარკვეული ასახვა იუდაიზმის, მოგვიანებით ქრისტიანობისა და ისლამის მოძღვრებებში ჰპოვა. დღესდღეობით მსოფლიოს მასშტაბით ზოროასტრიზმის მიმდევართა რიცხვი 150–200 ათას ადამიანს აღწევს. მაზდეანთა დიდი ნაწილი ძირითადად ირანშია განსახლებული, მათი შთამომავლები რამდენიმე ათასს ითვლიან ინდოეთსა და ჩრდილოეთ ამერიკის ტერიტორიაზე არსებულ ზოროასტრულ თემებში.

არქეოლოგიური გათხრების შედეგად საქართველოს ტერიტორიაზე დადასტურებულია მაზდეანური რწმენისათვის დამახასიათებელი მრავალრიცხოვანი მატერიალური კულტურის ძეგლები, მათ შორის სხვადასხვა ტიპის ზოროასტრული ცეცხლის ტაძრის ნიმუშები, რომლებიც ძვ.წ. IV-ახ.წ. VII საუკუნეების ქრონოლოგიური ჩარჩოთი თარიღდება. ისტორიულ ქართლის (იბერიის) სამეფოში ცეცხლის ტაძრების, სალოცავების, საკურთხეველების არსებობას ადასტურებენ აგრეთვე ქართული წერილობითი წყაროები, მათ შორის როგორც სასულიერო მწერლობის ნიმუშები, ასევე საისტორიო ხასიათის თხზულებები.

მარტყოფიდან მარაბდამდე

ვაჟა ოთარაშვილი, ეკა კვანტალიანი, ლექსო ოთარაშვილი

გიორგი სააკაძის ფენომენის კვლევის ცენტრი

მარტყოფის ბრძოლიდან მარაბდის ბრძოლამდე პერიოდი სამ თვესაც არ მოიცავს: 1625 წლის 7 აპრილიდან (25 მარტი ძვ.სტ.) 1625 წლის 1 ივლისამდე, მაგრამ ეს დრო უმნიშვნელოვანესია ქართველი ერის ისტორიისათვის...

კიდევ ერთხელ მოკლედ გავიხსენოთ გიორგი სააკაძის ხელმძღვანელობით მარტყოფის მისტერიულ აჯანყებამდე შექმნილი ვითარება საქართველოს გარშემო, მცირედ მიმოვიხილოთ ის მტრული გარემო, რომელშიც უხდებოდა ყოფა XVII საუკუნეში სამ სამეფოდ და ხუთ სამთავროდ დაქუცმაცებულ ივერიას.

1614 წლიდან დაწყებული, ყიზილბაშთა ათწლიანმა აგრესიამ, თავისი უარყოფითი და დამანგრეველი შედეგები გამოიღო აღმოსავლეთ საქართველოსთვის დემოგრაფიული, ეკონომიური თუ სოციალური კუთხით. სისხლისმსმელმა შაჰ აბასმა, რომლის იმპერია უკვე ზენიტში იყო, გადაწყვიტა საბოლოოდ მოესპო კახეთის და მასთან ერთად ქართლის სამეფოს პრობლემაც. აღმოსავლეთ საქართველოს განადგურებით შაჰ აბასს მტკიცე საფუძველი ექმნებოდა მომავალში დასავლეთ საქართველოს დაპყრობისა, რომელიც ოსმალეთის სავასალოდ ითვლებოდა 1555 წლის ამისიის ზავის შემდეგ და შავ ზღვაზე გასვლისა, აგრეთვე ჩრდილოეთ კავკასიაში შეღწევისა და მთლიანად ამიერკავკასიის დაპყრობისა. ამ გეოპოლიტიკურად უმნიშვნელოვანესი ამოცანის გადაჭრაში სპარსეთს, თურქეთი და რუსეთი ექიშპებოდა. აღნიშნულ პერიოდში ოსმალებსა და ირანელებს შორის ყოველი დადებული ზავის შემდეგ ხან ერთი მხარე არღვევდა საზავო ხელშეკრულებას, ხანაც მეორე... მათ შორის ომი და დიდი თუ მცირე შეჯახება, ფაქტობრივად განუწყვეტლივ მიმდინარეობდა... რაც შეეხება რუსეთს, იგი აქტიურ, პირდაპირ საომარ დაპირისირებას ერიდებოდა ირანთან. თუმცა არ უშვებდა ხელსაყრელ შემთხვევას შეეხსენებინა სპარსეთისთვის, რომ ქართველებმა (კახეთის სამეფომ) ივანე მრისხანეს დროიდან რუსეთის ქვეშევრდომად აღიარეს თავი. მზაკვარ შაჰ აბასს კარგად ესმოდა, რომ თუ დღეს რუსეთის ამბიციები მხოლოდ დიპლომატიური დემარშებით იფარგლებოდა, ვინაიდან იმ პერიოდში რუსეთს არ გააჩნდა შესაძლებლობა სამხედრო ძალის გამოყენებით შეეღწია სამხრეთ კავკასიაში, შეიძლება დამდგარიყო დრო, როდესაც მართლმადიდებელი რუსეთი ძალას მოიკრებდა და ღია აგრესიის გამოყენებას არ მოერიდებოდა სამხრეთ კავკასიაში გასაბატონებლად... შაჰ-აბასის ირანის ამიერკავკასიაში გაბატონების გრანდიოზული გეგმები ჩაფუშა გიორგი სააკაძემ მარტყოფის ულევარის (ულეველას) ველზე... და არა მარტო ამიერკავკასიაში გაბატონებისა... შაჰ-აბასის შორეული მიზანი იყო ევროპაში შეჭრა... ამ საქმეში იგი თურქეთს ფარულად ექიშპებოდა...

ისევ მარტყოფის 1625 წლის 7 აპრილის აჯანყებას მივუბრუნდეთ. კიდევ ერთხელ ვახსენოთ, რომ ხარება დღე – 7 აპრილი (25 მარტი ძვ. სტ.) შემთხვევით სულაც არ იყო შერჩეული. არამედ, ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის და აღმოსავლეთ საქართველოს კატალიკოსის – ზაქარია ჯორჯაძის (1623–1632 წწ.) კურთხევით, გიორგი სააკაძის ხელმძღვანელობა-ორგანიზებით, მარტყოფის ველის გარშემო მდებარე სოფლების სალოცავ-მონასტრებიდან ხარების წირვა-ლოცვიდან წამოსული შეიარაღებული აჯანყებულები – მორწმუნე მრევლი, პირდაპირ ულევარის ველისაკენ ფარულად და უჩუმრად რიბირაბოზე გამოემართნენ. მარტყოფის აჯანყების სცენარი კახეთში ალავერდის აჯანყებას ჰგავს ერთი შტრიხით. კერძოდ, ორივე შემთხვევაში ქრისტიანული ეკლესიის მრევლი მტრის ფა-

რულად, იარაღით შეჭურვილი შედის ეკლესიაში, გარეგნულად თვალის ასახვევად, რომ სალოცავად მიდის, მაგრამ შემდგომ, ქრისტეს წმინდა სისხლსა და პატიოსან ხორცს ნაზიარები, მშობლიური მიწა-წყლის და მაცხოვრის რჯულის დასაცავად მიემართება...

მარტყოფის აჯანყების წარმატებით დაგვირგვინების უდიდეს მნიშვნელობაზე, სამწუხაროდ „ქართლის ცხოვრების“ ორივე რედაქცია (ბერი ეგნატაშვილი, ვახუშტი) ძალზე მწირ ცნობებს გვაწვდის. ამით თითქოს შეგნებულად ჩქმალავენ დიდი მოურავის გრანდიოზულ დამსახურებას 1625 წლის 7 აპრილის თუ შემდეგი პერიოდის განმავლობაში. კიდევ ერთხელ გავიხსენოთ რას გვეუბნებიან ქართველი მემატიანენი მარტყოფის აჯანყების თაობაზე და შემდგომ საბრძოლო პერიპეტიებზე, რომელსაც თავგანწირვით ახორციელებს მამულისთვის შვილშეწირული მამა – გიორგი სააკაძე: „...და მაშინ შეიყარნენ ქართველნი და ზურაბ ერისთავი, აცნობეს დიდს მოურავსა და მოვიდნენ გათენების ხანსა, დაესხნენ ყიზილბაშთა. ხოლო მოურავი დიდად სახელოვნად იყო მას ღამესა: მივიდა მოურავი და მოკლა თვით შუბითა ყორჩიხა-ხან, და შვილმან მისმან ავთანდილ მოკლა ყორჩიბაშის შვილი. და დაუშინეს, ამოწყვიტეს ქართველთა სრულიად ყიზილბაშნი. ესრეთ მისცა ძლევა ღმერთმან ქართველთა და გაემარჯუათ: ამოსწყვიტეს, გააქციეს და იქმნა გამარჯვება დიდი. და რა გაიქცნენ ისინი, მაშინ გამარჯვებულნი ქართველნი წარვიდენ ფეიქარ-ხანზედ, რომელი იჯდა კახეთს, რამეთუ ამას ფეიქარ-ხანს ჰყვანდა ცოლად ბატონიშვილი ლელა. და უნდოდათ დასხმოდნენ თავსა ფეიქარ-ხანს და ის მოეკლათ, და ბატონიშვილი ლელა გამოერთმიათ და ზურაბ ერისთავისთვის მიეცათ და რა წარვიდენ, მაშინ იგრძნა ფეიქარ-ხან და წარვიდა გაქცეული. გამოუდგნენ და მისდევეს ბარდამდი და ვერღარა მოეწივნენ. მაშინ მოარბიეს ქართველთა ბარდა და განძა, და იავარ-ყვეს და იშოვეს მრავალი, და წარმოვიდნენ და წარმოიღეს“ [1].

ხაზგასმით აღვნიშნავ, რომ გიორგი სააკაძეს XIX ან XX საუკუნეში კი არ უწოდეს „დიდი მოურავი“, არამედ „ახალი ქართლის ცხოვრებაში“ ჩვენი მემატიანის და ვახტანგ VI-ის ბრძანებით შექმნილი „სწავლულ კაცთა კომისიის“ თავკაცისერი ეგნატაშვილის მიერ უკვე იწოდებოდა დიდ მოურავად სააკაძე, რასაც ადასტურებს სიტყვები: „...შეიყარნენ ქართველნი და... აცნობეს დიდს მოურავსა“ [2]. ამასთან, „ახალი ქართლის ცხოვრება“ მე-17-ე საუკუნის ბოლო წლებშია შედგენილი. სამწუხაროდ, სულ რამდენიმე წინადადებით არის გადმოცემული „ახალი ქართლის ცხოვრებაში“ მარტყოფის დაუვიწყარი და გრანდიოზული მისტერია, ქართველი ერის უმნიშვნელოვანესი გამარჯვება ყიზილბაშებზე გიორგი სააკაძის მეთაურობით, როცა ბაგრატიონ მეფეთა გარეშე დარჩენილმა საქართველომ ძალა მოიკრიბა, გაერთიანდა და მართლმადიდებლური ქრისტიანული ეკლესიის ლოცვა-კურთხევით, დიდი მოურავის გმირული სარდლობით შესძლო ჩვენს მიწა-წყალზე შემოჭრილი აურაცხელი ურჯულო მტრის დამარცხება, რითაც გადარჩა აღმოსავლეთ (და არა მარტო) საქართველო ფიზიკურ მოსპობას...

ვახუშტი ბატონიშვილიც ძალზე სუბიექტურად, საერთოდ ერთი წინადადებით აღწერს მარტყოფის სახალხო-განმათავისუფლებელ აჯანყებას გიორგი სააკაძის მეთაურობით,რითაც შეგნებულად თუ შეუგნებლად ამცრობს დიდი მოურავის საოცარ თავგანწირვის და შვილთა შეწირვის მისტერიას: „...მერმე მოკლეს ყარჩიხან მოურავმან და ზურაბ, მოუვლინეს თეიმურაზს (თურქეთში თავშეფარებულს), რათა მოვიდეს და დაიპყრას კახეთი“ [3]. ასევე, სამწუხაროდ უნდა ითქვას, რომ „ქართლის ცხოვრებაში“ ვერ ნახავთ მარტყოფის აჯანყებაში მონაწილე ვერც ერთი ქართველი სახალხო გმირის თუ მამაცი მებრძოლის სახელს, ვერც ელემენტალურ თუ ზოგად აღწერას ამ უმნიშვნელოვანესი და ისტორიული ბრძოლის პერიპეტიებისა, რომელშიც სააკაძის დიდი მეცადინეობით ერთ მუშტად შეკრული სრულიად ქართველობა, მათ

შორის დასავლეთ საქართველოდანაც (იმერეთის სამეფოს და გურია-სამეგრელოს სამთავროთა ლაშქარი დაახლოებით 1000–1500 კაცი, ასევე სამცხე-საათაბაგოდან 300 მებრძოლი) ამარცხებს ურჯულო ყიზილბაშთა, საუკეთესოდ, ინგლისური თოფებით შეიარაღებულ 30-ათასიან არმიას და კუდით ქვას ასროლინებს. ქართულ ისტორიოგრაფიაში ეს მხოლოდ, უპირველესად იოსებ ტფილელის (სააკაძის) ბრწყინვალე პოეტურმა და ეროვნულ-ქრისტიანული პათოსით გამსჭვალულმა პოემა „დიდმოურავიანმა“ შემოგვინახა და დაგვიხატა ობიექტური სურათი 1625 წლის ხარება დღეს ბოროტზე კეთილის გამარჯვებისა, ივერიელთა ერის ხსნისა დიდი მოურავის სარდლობით [4].

ამრიგად, „ქართლის ცხოვრების“ ორივე რედაქციაში ძალზე მწირად არის გადმოცემული მარტყოფის აჯანყება (შედარებით ვახუშტისთან, ბერი ეგნატაშვილი და „სწავლულ კაცთა კომისია“ უფრო დეტალურად გადმოგვცემს ამ უმნიშვნელოვანესი ბრძოლის პერიპეტიებს). დიდი მოურავის მიერ კახეთის ყიზილბაშთაგან გათავისუფლების და ხორნაბუჯის ციხიდან ფეიქარ-ხანის განდევნა-გაქცევის ამბავსაც მშრალად გადმოგვცემს ვახუშტი, თანაც ცოტა განსხვავებულ კონტექსტში ბერი ეგნატაშვილის „ახალი ქართლის ცხოვრებისაგან“: „...ხოლო ქართველთა რა ვერღარა შეიპყრეს ფეიქარხან წაგურად ლელა ბატონიშვილისად (მეფე ლუარსაბ II-ის და), ამისთვის სთხოვეს მოურავმან და ზურაბ თეიმურაზს ასული თვისი დარეჯან ცოლად ზურაბისათვის. ამით განიგულა თეიმურაზ დაპყრობა ქართლისა და მისცა ასული თვისი ზურაბს. მერმე მოიყვანეს თეიმურაზ მეფედ ქართლს და ეპყრა კახეთიცა“. [5] მემატიანის ამ სიტყვებიდან ისე გამოდის, თითქოს რადგანაც კახეთის მმართველად დანიშნული ფეიქარ-ხანი (რომელსაც ცოლად ესვა შაჰ-აბასის ნაცოლარი ლელა ბაგრატიონი) ვერ შეიპყრო სააკაძემ, რომელიც ლუარსაბ მეფის დას – ლელა ბატონიშვილს ჰპირდებოდა ცოლად მარტყოფის აჯანყებამდე ირანში ცოლდატოვებულ ზურაბ არაგვის ერისთავს, სანაცვლოდ ამის გამო სთხოვეს თეიმურაზ I-ს თავისი ასული ზურაბისთვის ცოლად მიეთხოვებინა. მაშასადამე, „ქართლის ცხოვრების“ მეისტორიის გადმოცემით, მარტყოფის ველზე შთამბეჭდავი გამარჯვების შემდეგ, გიორგი სააკაძე მხოლოდ იმიტომ შეიჭრება კახეთში, რომ ხორნაბუჯის ციხეში მყოფ ფეიქარ-ხანს წაართვას ცოლი ლუარსაბ II-ის და – შაჰ აბასის ცოლადყოფილი ლელა-ხათუნი (იგივე თინათინ ბაგრატიონი) და შერთოს ცოლად ზურაბ არაგვის ერისთავს, ორი ირანელ ქმარგამოცვლილი ლელა ბაგრატიონი. ჩვენ ვიცით, რომ მარტყოფის აჯანყების წინ შაჰ აბასმა ირანში მძევლად დაიტოვა დიდი მოურავის უსაყვარლესი შვილი 21 წლის შვილი პაატა და ზურაბ არაგვის ერისთავის ახლადმოყვანილი ცოლი. ასევე ცნობილია, რომ თავის დროზე ზურაბ არაგვის ერისთავის ძმა – ბაადური დანიშნული იყო ლუარსაბ II-ის დაზე – ხორეშანზე, რომელიც „დიდი სჯულის კანონის“ ქრისტიანული წესის საწინააღმდეგოდ და შაჰის ძალდატანებით შერთეს თეიმურაზ I-ს ცოლად. ეს იყო ალალი პაპიდაშვილების უკანონო ქორწინება, რაც უდიდეს ცოდვად ითვლება მართლმადიდებლური ქრისტიანული დოგმატის მიხედვით: „ახლო ნათესავების ქორწინება“ [6]. თუმცა ეს ამბავი, შემდეგ შაჰ აბასმა ქართლ-კახეთში შემოსევის ერთ-ერთ გახმაურებულ მიზეზად გამოიყენა [7]. მაშასადამე, „ქართლის ცხოვრების“ ორივე რედაქცია, ვფიქრობთ, ტენდენციურია ამ მომენტში და უკან სწევს სააკაძის იდეას ქართლ-კახეთის სამეფოს გაერთიანების და ზოგადად მთლიანი საქართველოს აღდგენისა. მემატიანეთა თქმით კი ისე გამოდის თითქოს, რადგანაც კახეთიც გაათავისუფლა გიორგი სააკაძე-ზურაბ არაგვის ერისთავის ტანდემმა, სანაცვლოდ თეიმურაზ I-მა თავისი ქალიშვილი უბოძა არაგვის ერისთავს, რომ მერე, იგი გაერთიანებული ქართლ-კახეთის სამეფოს მეფედ დაესვა დიდმოურავს ანუ „... მოურავმან და ზურაბ, მოუვლინეს თეიმურაზს, რათა მოვიდეს და დაიპყრას კახე-

თი“ [8]. ხოლო გიორგი სააკაძის მოწოდების შემდეგ 1625 წლის გაზაფხულზე გახარებულმა „...ისმინა, წარმოვიდა და დაიპყრა კახეთი“. ე.ი. კახეთის მეფედ თეიმურაზ I სწორედ გიორგი სააკაძეს აღუდგენია ყიზილბაშთა განდევნის შემდეგ...

შეიძლება ითქვას, რომ ვახუშტისეული „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით, მემატიანე ერთ მონაკვეთში ისე აღწერს ყიზილბაშთაგან კახეთის გათავისუფლების ბრძოლას გიორგი სააკაძის მეთაურობით, თითქოს დიდი მოურავი მხოლოდ ფეიქარ-ხანის შესაპყრობად და „წაგურად ლელა ბატონიშვილისად (ლუარსაბ II-ის და)“ შეიჭრა და არა კახეთის ყიზილბაში მომხვდურებისაგან გასაწმენდად. ქართველ მემატიანეს შეგნებულად თუ შეუგნებლად ავიწყდება მისივე დახასიათება ფეიქარ-ხანისა და ირანელი მმართველის ანტიქართული და სასტიკი ქმედებისა კახეთში. „...ხოლო კახეთი იყო ხიზვნით და ფეიქარ-ხან აშენებდა მოსაბრუნს (ანუ დასაყრდენს) და ასახლებდა ელთა და მცდელობდა დამორჩილებასა და მონდობასა კახთასა. გარნა რომელნიმე იყვნენ მის თანა“ [9]. „ქართლის ცხოვრების“ ამონარიდიდან ჩანს, რომ შაჰ-აბას I-ის მიერ კახეთის მმართველად დანიშნული ფეიქარ-ხანი უმკაცრეს ზომებს ატარებს საქართველოს ამ მადლიან კუთხეში. კერძოდ, შაჰ-აბასის 1614–1618 წლების სისხლიანი შემოსევების დროს კახელები გახიზნულები არიან თავისი მამა-პაპეული ადგილებიდან (ვინც ირანში აყრა-გადასახლებას გადაურჩა), ხოლო „ფეიქარ ხან სპითა“ ირანელთა დახმარებით სპარსთა დასაყრდენს აკეთებს და გატიალებულ დაცარიელებულ კახურ დაბა-სოფლებში ასახლებს ირანულ მომთაბარე ველურ თათარ-ელთა ოჯახებს მრავლად, რათა დარჩენილი მოსახლეობაც მთლიანად დაიმორჩილოს. საბოლოოდ ასე რომ გაგრძელებულიყო, დემოგრაფიული ვითარებაც შეიცვლებოდა ქართველთა საწინააღმდეგოდ. სწორედ, გიორგი სააკაძის თავგანწირულმა სიმამაცემ და უბადლო მხედართმთავრულმა ნიჭმა გადაარჩინა კახეთი შაჰ-აბასის ყიზილბაშური აგრესიისაგან განადგურებას და დემოგრაფიული ვითარების სავალალოდ შეცვლას. ამას კი გამოკვეთილად არ გვაძლევს „ქართლის ცხოვრება“. თუმცა ირანული დამპყრობლური პოლიტიკის წინააღმდეგ დიდი მოურავის დაუცხრომელ ბრძოლას არ მალავენ თვითონ ირანელი და ოსმალო (თურქი) მეისტორიენი: ისქანდერ მუნში, შაჰ ჰუსაინ მელიქ სისტანი, მუსტაფა ნაიმა, მუსტაფა ჩელები და სხვ., რომ არაფერი ვთქვათ ევროპელ მისიონერებსა თუ დიპლომატებზე, რომლებიც პირუთვნელ და საოცრად ობიექტურ ინფორმაციას გვაწვდიან გიორგი სააკაძის ანტიირანული (ზოგადად ანტიმაჰმადიანური) აქტიური მოღვაწეობის შესახებ 1620–1629 წლების განმავლობაში. ევროპული ისტორიოგრაფიული ჩანაწერები პიეტრო დელა ვალესი, კლოდ მალენგრის, ბართოლომეოს ფეროს, მამა ვინცენტი ჰორმუზელის, მამა ამბროზიო დუშ ანჟუშის, პიეტრო ავიატაბალეს, არქანჯელო ლამბერტის, ქრისტეფორო კასტელის და სხვათა, არის უნიკალური პირველწყარო არა მარტო გიორგი სააკაძის გმირული და ტრაგიზმით სავსე ცხოვრების აღწერისა, არამედ იმდროინდელი საქართველოს სოციალ-ეკონომიური თუ სამხედრო-პოლიტიკური ყოფის შესასწავლად და სწორი აქცენტების გასაკეთებლად. აღნიშნული ევროპული ისტორიული წყაროები გვაძლევს ძალინ კარგ და შესანიშნავ შესაძლებლობას მე-17-ე საუკუნის საქართველოს პირველი მესამედის ობიექტური შესწავლისა, ანალიზისა, სწორი დასკვნების გამოტანისა და ქართველი ხალხის ეროვნული გმირის – დიდი მოურვის ცხოვრების ზუსტი და პირუთვნელი შეფასებისა... მაგრამ, ბოლომდე ვერც ვახუშტი ბატონიშვილი მალავს გიორგი სააკაძის საარაკო და გმირულ საქმეებს, თუმცა ზოგადად, ისტორიულ ქრონოლოგიას ურევს (მაგალითად, ხოსრო მირზას, იგივე როსტომ ხანის და სააკაძის ურთიერთობის ჟამთააღწერისას და სხვ.) ვახუშტი „ქართლის ცხოვრებაში“. თუმცა შაჰის შიკრიკის წერილის პოვნას აბრალებს ქართლის და ზოგადად აღმოსავლეთ საქართველოს გადარჩენას, მაგრამ მაინც ორიოდ დადებით შეფასებას იმეტებს

გიორგი სააკაძის მიმართ. კიდევ ერთხელ გავიხსენოთ მარტყოფის ველის მისტერიები და პერიპეტიები. „ქართლის ცხოვ-რების“ მიხედვით „...დილას დაესხნენ ყორჩიხანს ქართველნი ზურაბით. ხოლო ყიზილბაშთა შინა მყოფი მოურავი შეუხდა ყორჩიხანს და მოკლა, და შვილმან მისმან ზურაბ (აქ შეცდომაა დედანში, უნდა იყოს ავთანდილი) შვილი ყარჩიხანისა და მოსწყვიდეს ყიზილბაშნი ვითარ მცირედნიღა გარდაიხუეწეს...“ ქართველნი „...აღივსნენ იავარითა და ალაფითა მათითა...“ [10] ამის მერე, მემიატიანე მოკლედ მოგვითხრობს გიორგი სააკაძის ხელმძღვანელობით მარტყოფის ბრძოლის შემდეგ განხრციელებულ უმნიშვნელოვანეს ქმედებებს აღმოსავლეთ საქართველოს ირანელ ურჯულოთაგან გათავისუფლების მიზნით: „...დღესა მასვე სიტყვითა მოურავისათა წარვიდნენ სპანი ქართლისანი ერთი ახალციხეს (აქ „ქართლის ცხოვრების“ არშიაზე დავით რექტორის (ალექსიძის) მინაწერია კომენტარის სახით: „ეს ახალციხე, რომელი მცხეთას ზემოთ არს, იგი არს. მუნცა იდგნენ ჯარი ყიზილბაშთა“. ამ კომენტარში ლაპარაკია გიორგი სააკაძის სოფ. ნოსტეს მახლობლად ორიოდ კილომეტრში მდებარე სოფ. ახალციხეზე (კასპის რაიონი). თუმცა დიდმა მოურავმა სამცხე-საათაბაგოდანაც განდევნა ყიზილბაშები), მეორე ზურაბით (არაგვის ერისთავი-გიორგი სააკაძის ცოლისძმა) კახეთს და მოურავი მიუხდა ტფილისს, აღიღო ქალაქი, ხოლო ციხესა (ნარიყალას) ვერ ავნო (ფარსადან გორგიჯანიძის იგივე გორგიჯანაშვილის მოდალატე მამის გიორგი გორგიჯანაშვილის და ვინმე ჭანოასშვილის „დახმარებით“) ეგრეთვე ყვეს ახალციხესაცა. არამედ კახეთს ივლტოდა ფეიქარხან, რომლისაცა ენებათ წაგვრა ლელა ბატონისშვილისა, და მივიდა მუნ ზურაბის თანა მოურავიცა და მიჰყვნენ ფეიქარხანს ბარდამდე, და მას ვერღარა ეწივნენ, შემოიქცნენ მოარბიეს განჯა, ყარაბაღი და მოვიდნენ ალაფითა სავსენი ქართლს“[11] ე.ი. მემატიანის თქმით გიორგი სააკაძის ბრძანებით ანუ „სიტყვითა მოურავისათა“ მოქმედებს ქართველთა ჯარი და მტრისგან ათავისუფლებს ქართლის, კახეთის და სამცხე-საათაბაგოს დაბა-სოფლებს, თბილის-ქალაქს, კახეთიდან გაქცეულ შაჰის დანიშნულ გამგებელს ფეიქარხანს მიჰყვება ბარდამდე, თუმცა ვერ დაეწევიან და ლელა ბაგრატიონის წართმევას ვერ მოახერხებენ. მოარბევენ განჯა–ყარაბაღს და დიდი ალაფით ბრუნდებიან ქართლში. ამ ალაფს სწირავს და სჩუქნის მომავალში გიორგი სააკაძე მისგანვე მოწვეულ ქართლ-კახეთის მეფეს თეიმურაზ I-ს სახელმწიფო ხაზინისათვის, რაც იოსებ ტფილელსაც აქვს ხაზგასმით აღნიშნული: „ქონებას ძვირფასს იღებენ...“ ანდა „საშოვარი და ქონება მრავალი“ [12]. ხოლო ამის მერე მემატიანეთა მიერ საოცარი ისტორიული ფაქტი ფიქსირდება. მარტყოფის ველზე გამარჯვების შემდეგ, ფაქტობრივად აღმოსავლეთ საქართველოს „უგვირგვინო მეფეა“ გიორგი სააკაძე, მაგრამ იგი მეფის ტიტულისკენ კი არ ილტვის, არამედ ქვეყნის გაერთიანებისკენ – ბაგრატიონთა კვერთხის ქვეშ. იმ დროს დიდი მოურავის ერთ-ერთი ასული გათხოვილია ქართლში, სამუხრან-ბატონოში და რძალია ბაგრატიონ-მუხრან ბატონებისა – მეუღლეა თეიმურაზ მუხრან-ბატონი ბაგრატიონისა... [13].

ბერი ეგნატაშვილი გვაუწყებს: „...ხოლო მაშინ განმგედ ქართლისა დაადგინეს დავით მეფის ძის შვილიშვილი ქაიხოსრო მუხრანის ბატონი და არც გამგეობითა ემორჩილებოდნენ მათ, არამედ თვის-თვისად უფლობდნენ ქართლის თავადნი“. ამის შემდეგ გიორგი სააკაძესთან დაკავშირებით მარტყოფის ომის შემდგომ პერიოდზე ძალზე მნიშვნელოვან ცნობას გვაწვდის მეისტორიე:„... და იყო მაშინ თავი და უფროსი კაცი მოურავი და ყოველნივე ქართველნი მას მორჩილობდენ...“ ამის შემდეგ კიდევ ერთხელ აკონკრეტებს მემატიანე და კიდევ ერთ ახალ ინფორმაციას გვაძლევს დიდ მოურავთან დაკავშირებით: „...რამეთუ თვით ზურაბ ერისთავი და განცავინ დიდი კაცნი იყვნენ ქართლისანი, დიდს მოურავს ქეშიკში უწვებოდნენ და ყმურად მონებდნენ მას(!)“

[14] მაშასადამე, „ახალი ქართლის ცხოვრების“ ამ ამონარიდიდან ჩანს, რომ გიორგი სააკაძის ინიციატივით ქართლის გამგებლად ისევ ბაგრატიონი „დაადგინეს“, მუხრან-ბატონ ბაგრატიონთა შტოდან – ბატონი ქაიხოსრო, – ძმა თეიმურაზ მუხრან-ბატონისა (ანუ გიორგი სააკაძის სიძის ძმა, რომელიც ბოლომდე ერთგული იყო დიდი მოურავისა და მასთან ერთად თურქეთში აღესრულა კიდეც). თუმცა მის გამგებლობას არ ეპუებიან ქართლის დიდგვაროვანი თავადები და თავისას მიერეკებოდნენ („თვის-თვისად უფლობდნენ“) და ერთადერთი პიროვნება, რომელიც ქვეყანას და ხალხს პატრონობდა და დიდი თუ პატარა ემორჩილებოდა გიორგი სააკაძე იყო. თვით დიდგვაროვანი თავადებიც კი, და მათ შორის მარტყოფის ომის შემდეგ კიდევ უფრო გაძლიერებული ზურაბ არაგვის ერისთავი – მოყვარე სააკაძისა, „ყმურად მონებდნენ“ დიდ მოურავს. ვფიქრობ, ქართველი მემატიანის ეს ცნობა მრავლისმეტყველია და მიუთითებს გიორგი სააკაძის დიდ ავტორიტეტზე და „უგვირგვინო“ ტიტულატურაზე. ამასთან, დავაკვირდეთ „ახალი ქართლის ცხოვრების“ მემატიანე უკვე მეორედ ახსენებს გიორგი სააკაძესთან მიმართებაში აღმატებით წოდებას „დიდს მოურავს“. ე.ი. რაც ნიშნავს, რომ გიორგი სააკაძის სამოხელეო ზედწოდება ქართველი მემატიანის – ბერი ეგნატაშვილის და მისი თავკაცობით მოქმედი, ვახტანგ VI-ის ბრძანებით შექმნილი „სწავლულ კაცთა კომისიის“ მოგონილი არ არის. როგორც „ახალი ქართლის ცხოვრების“ აღნიშნული მონაკვეთიდან ჩანს [15]. გიორგი სააკაძეს სწორედ მარტყოფის ულეველას ველზე მოპოვებული ყიზილბაშებზე ბრწყინვალე გამარჯვების შემდეგ 1625 წლის აპრილშივე უწოდა (თუ უძღვნა) გახარებულმა ქართველმა ერმა ეპითეტი „დიდი“ მის სამოხელეო წოდებას. ზოგიერთს კი ჰგონია, რომ სააკაძეს „დიდი მოურავი“ საბჭოთა კავშირის დროს დაერქვა... იგივე ცნობას იმეორებს ვახუშტიც: „...მაშინ დაადგინეს განმგებლად ქართლისად ქაიხოსრო ძე მუხრანის ბატონისა ვახტანგისა. არამედ უწოდეს სახელით ოდენ, გარნა იყო მოურავი მოქმედი ყოვლისა და მორჩილებდეს მას ყოველნი ყმურად “ [16].

ამრიგად, მარტყოფის ულეველას ველზე გრანდიოზული გამარჯვების მოპოვების შემდეგ გიორგი სააკაძე ფაქტობრივად ქართლის სამეფოს (და არა მარტო!) უგვირგვინო მეფე და პატრონ-გამგებელია. მისი ავტორიტეტი და ძალა რომ ზენიტშია ამ პერიოდში (იგულისხმება 1625 წელი) ამას ერთხმად აღნიშნავენ ქართველი თუ უცხოელი ავტორები (მიქაელ მოსკო, ისქანდერ მუნში, მუსტაფა ნაიმა და სხვ.).

მოდით გავიხსენოთ ჯერ ცნობილი იტალიელი სწავლული ბერის დონ მიქაელე მოსკოს მიერ რომში, მარტყოფის ომის შემდეგ 1628 წელს გაგზავნილი მოხსენება სათაურით: „ცნობები თეიმურაზზე და საქართველოზე“ „... მაგრამ იგი (გიორგი სააკაძე) შეზღუდული იყო მცირერიცხოვანი მომხრეებით... და მას მოუხდა დიდი საშიშროების ქვეშ მტრის მხარეზე გადასვლა... დიდი ბატონი (შაჰ-აბასი) მას ორი პროვინციის მიცემას დაჰპირდა, თუ იგი მაჰმადიანობას მიიღებდა: მაგრამ მან (გიორგი სააკაძემ) უარი თქვა (მაჰმადიანობის მიღებაზე)... მას მისცეს 60 000 ჯარისკაცი და ერთი გენერალი (ყარჩიღახანი), რომელიც ყველაფერში იმ ქართველზე უნდა ყოფილიყო დამოკიდებული... მან (გიორგი სააკაძემ) გადაწყვიტა შეერთებოდათავის ხალხს (რაც კიდეც გააკეთა) და ყველა სპარსელი დახოცა... ხალხს უნდოდა მისი მეფედ დასმა, მაგრამ ეს მან არ ისურვა. ამბობდა, რომ სამეფოში ყოველთვის იქნებოდა მღელვარება, იმის თაობაზე, რომ ჰყოლოდათ თავიანთი კანონიერი მეფე. საქმის კარგად დასაწყებად გიორგი სააკაძემ სიამოვნებით დაასახელა ტახტის კანონიერ მემკვიდრედ თეოფილე (თეიმურაზ I)... მაგრამ თეოფილე (ამ დროს ერთ ადგილას არ იჯდა), ქვეყნის ერთი მხრიდან მეორეში გადადიოდა. მაშინვე გაგზავნეს წარმომადგენლები, რათა თეოფილე მოეწვიათ. თუმცა ზოგიერთი ამბობდა, რომ მის (იგულისხმება გიორგი სააკაძე) მიერ ჩაფიქრებული გეგმა მახეა, რათა თეოფილე სიცოცხლეს გამოასალმოს და სამეფო ხელში ჩაიგდოსო, მაგრამ

თეიმურაზ მეფემ თქვა, რომ თუ ღმერთს ასე სურს, მაშინ დე აღსრულდეს ნება მისი, ოღონდაც უფალმა მას (ე.ი. თეიმურაზ I-ს) დაუხუჭოს თვალები იქ, სადაც მან ეს თვალები გაახილაო. თეიმურაზ I როდესაც სამშობლოში დაბრუნდა დიდი პატივითა და სიხარულით მიიღეს, სამეფო ტახტზე აიყვანეს და თავზე გვირგვინი დაადგეს" [17].

იტალიელი მიქაელო მოსკოს ზემოთ მოყვანილი ინფორმაცია გიორგი სააკაძის დიდსულოვნების და თეიმურაზ I-ის მეფედ მოყვანის და დასმის შესახებ იოსებ ტფილელის „დიდმოურავიანის", როგორც ისტორიული პირველწყაროს შესაბამისი სტრიქონებითაც დასტურდება [18], ანდა „ვით მოგიყვანე, ხემწიფევ, ან გკადრე რამ მოხსენება" და ა.შ. ასევე იოსებ ტფილელის „დიდმოურავიანში" ჩანს გიორგი სააკაძის მოქიშპე-მტრების ავგულა სახე, რომლებიც „მას აბეზღებდენ ცუდმუდი კაცი შმაგი და რეტია" ანდა „თქვენს გარდაისად ავად ქნეს სხვათ ჩემი გარდაკიდება" [19] რაც გამოსჭვივის მიქაელე მოსკოს ცნობაშიც („თუმცა ზოგიერთი ამბობდა, რომ ჩაფიქრებული გეგმა მახეა").

ე.ი. მიქაელე მოსკოს რელაციაშიც ცალსახად იკვეთება, რომ გიორგი სააკაძეს მოუწვევია კახეთის სამეფოდან გაქცეულ-გადახვეწილი მეფე თეიმურაზ I, „სამეფო ტახტზე აუყვანია" კიდეც და „სამეფო გვირგვინიც დაუდგამს"... იტალიელი სწავლული ბერის მოყვანილი რელაცია 1628 წლის 20 აგვისტოთი თარიღდება და თუმცა თარიღების და გეოგრაფიული ადგილების ზოგიერთ უზუსტობას შეიცავს, მაგრამ იგი მაინც საკმაოდ მნიშვნელოვანი და საყურადღებოა, ჩვენი ქვეყნის ისტორიის ამ პერიოდისთვის, რადგან ამ უცხოური წყაროთი კიდევ ერთხელ დასტურდება, რომ დიდი მოურავი პიროვნული განდიდებისთვის კი არ იღვწის, არამედ ქვეყნის გაერთიანებისთვის, რომლის სამეფო ტახტზე ისევ ბაგრატიონი მეფე მოჰყავს – მამაპაპით ბაგრატიონთა დინასტიის ერთგულ ძლევამოსილ მხედართმთავარს...

მიქაელო მოსკოს ამ ცნობას და აღწერილ ამბებს ეხმაურება ბატონი პლატონ იოსელიანიც, მაგრამ ტრადიციულად სიმართლეს ხშირად მოკლებული თავისებური, ტენდენციურ-აბსურდული თხრობით. თუმცა ბოლომდე ვერც ის მალავს რეალობას და გიორგი სააკაძის დიდბუნებოვნებას, თანაც უსაფუძვლო გაკილვის თანხლებით, ასევე ისტორიულ მოვლენათა ჟამთააღწერის არევ-დარევით. მომყავს ამონარიდები ბატონ პლატონ იოსელიანის შრომიდან: „...გიორგი სააკაძემ ქართლის გამგებლად ვახტანგ მუხრან-ბატონის შვილი ქაიხოსრო გამოაცხადა (თუმცა იქვე შენიშნავს პლ. იოსელიანი, რომ „ისტორიკოს გორგიჯანიძის მოთხრობის (ისტორიის) მიხედვით იესე ქსნის ერისთავი და თეიმურაზ მუხრან-ბატონი სიძეები იყვნენ მოურავის თავად გიორგი სააკაძისა" [20]. ქართლის გამგებლის წოდებით აღჭურვილ ჭაბუკ ქაიხოსროს მოურავი (გიორგი სააკაძე) ხელმძღვანელობდა, რომელსაც მთელ სამეფოში მეფის სრული ძალაუფლება ეჭირა და მართვა გამგებლობის ყველა სადავე ხელთ ეპყრა. სახელი გმირისა დიდებით დააგვირგვინეს (ანუ შეამკეს ეპითეტით „დიდი მოურავი"), მადლიერმა სამშობლომ გიორგის (სააკაძეს) ხალხის მხსნელი, სამშობლოს მამა და ეკლესიის შვილი უწოდა (ვფიქრობ ძალზე მნიშვნელოვანი სიტყვებია! – ვ. ო.). ეპისკოპოსნი საკურთხევლის წინ ლოცულობდნენ გიორგი სააკაძის დღეგრძელობისათვის" [21].

ამრიგად, შეიძლება დავასკვნათ, რომ პიეტრო დელა ვალეს უნიკალური ცნობის [22] თანახმად, გიორგი სააკაძე ჯერ კიდევ 1620 წლიდან ემზადებოდა შაჰ აბასზე შურის საძიებლად და ამისთვის ეძებდა ხელსაყრელ მომენტს, რომელიც დგება 1625 წლის 7 აპრილს, პაატა სააკაძის მამულისთვის ზვარაკად შეწირვის საკუთარი და სხვა ვაჟების სიცოცხლის რისკის ფასად. იგი ამარცხებს გაერთიანებული ქართული ჯარით ყიზილბაშთა 30 000-იან არმიას, ათავისუფლებს აღმოსავლეთ საქართველოს ორივე სამეფოს ირანელი დამპყრობლებისაგან და გაერ-

თიანებული ქართლ-კახეთის სამეფოს მეფედ მოჰყავს გონიოში რუსეთისაკენ გასაქცევად გამზადებული თეიმურაზ I. როგორ გადაუხდის ამ სიკეთეს დიდ მოურავს ბაგრატიონი მეფე შაჰ-აბასის დავალებით ეს უკვე ბაზალეთთან გამოჩნდება 1626 წლის გვიან შემოდგომით.

ლიტერატურა

1. ბერი ეგნატაშვილი, „ახალი ქართლის ცხოვრება“, ტ. II, თბილისი, 1959, გვ. 407.
2. ბერი ეგნატაშვილი „ახალი ქართლის ცხოვრება“,ტ. II, თბილისი, 1959, გვ. 407.
3. ვახუშტი ბატონიშვილი, „ქართლის ცხოვრება“, ტ. IV, თბილისი, 1973, გვ. 591.
4. ვაჟა ოთარაშვილი „მიტროპოლიტ იოსებ ტფილელის (სააკაძის) ცხოვრება და მოღვაწეობა“, თბ., 2019, გვ. 140–182; რიმა ფირცხალაიშვილი იოსებ ტფილელი და მისი „დიდმოურავიანი“, თბილისი,1978, გვ. 96–115.
5. ვახუშტი ბატონიშვილი „ქართლის ცხოვრება“, ტ. IV, თბილისი, 1973, გვ. 591.
6. „დიდი სჯულისკანონი”, თბილისი, 1975, გვ. 494.
7. ვრცლად იხ. ვაჟა ოთარაშვილი „გიორგი სააკაძის ფენომენი და თარხან-მოურავები“. ტომი II, თბილისი, 2021, გვ. 8.
8. ბერი ეგნატაშვილი, „ახალი ქართლის ცხოვრება“, ტ. II, თბილისი, 1959, გვ. 407.
9. ვახუშტი „ქართლის ცხოვრება“,ტ. IV თბ, 1973 წ. გვ. 590.
10. ვახუშტი, „ქართლის ცხოვრება“, ტ. IV თბ, 1973 წ. გვ. 430.
11. ვახუშტი „ქართლის ცხოვრება“, ტ. IV თბ, 1973 წ. გვ. 430–431.
12. იოსებ ტფილელი „დიდმოურავიანი“, თბ., 1939 წ. სტრ. 288, 289.
13. დ-62-59, ხელნაწ. ეროვ. ცენტრი; ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია, საისტორიო მოამბე, თბ., 1925 წ. გვ. 236; იოსებ ტფილელი, „დიდმოურავიანი“, გიორგი ლეონიძის წინასიტყვაობა, გვ. XXV, თბ., 1939 წ.; რიმა ფირცხალაიშვილი „იოსებ ტფილელი და მისი „დიდმოურავიანი“, თბ., 1978 წ. გვ. 120 (სქემა); 132; ვაჟა ოთარაშვილი „გიორგი სააკაძის ფენომენი და თარხან-მოურავები“, ტ. I, თბილისი, 2018, გვ. 98–99.
14. ბერი ეგნატაშვილი, „ახალი ქართლის ცხოვრება“, თბ., 1959, ტ. II, გვ. 407.
15. ბერი ეგნატაშვილი, „ახალი ქართლის ცხოვრება“, თბ., 1959, ტ. II, გვ. 407.
16. ვახუშტი „ქართლის ცხოვრება“, ტ. IV, თბ., 1973 წ. გვ. 431.
17. ილია ტაბაღუა „საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში“, ტომი II, თბ. 1986 წ. გვ. 248–249.
18. იოსებ ტფილელი „დიდმოურავიანი“, თბ., 1939 წ. სტრ. 192, სტრ. 193.
19. იოსებ ტფილელი „დიდმოურავიანი“, თბ., 1939 წ. სტრ. 191, სტრ. 182.
20. პლ. იოსელიანი „დიდი მოურავი გიორგი სააკაძის ცხოვრება“,თბილისი, 1973 წ., გვ. 64.
21. პლ. იოსელიანი, „დიდი მოურავი გიორგი სააკაძის ცხოვრება“, თბ., 1973 წ., გვ. 40.
22. Viaggi (La Persia) di Pietro Della, Volume 3. 1658, Rome, pp.164-165.

SUMMARY
FROM MARTKOPI TO MARABDA
Vazha Otarashvili, Eka Kvantaliani, Lekso Otarashvili

The article presents historically important events and realities that occurred on April 7, 1625 in the period after the Martkop battle in Eastern Georgia. The great merits and state thinking of Georgy Saakadze in the issue of liberation and unification of the Kartli-Kakheti kingdom from Kizilbash are presented in a new way. The lapses and subjective attitudes shown by Georgian historians in assessing the personality of the great Mouravi are shown. The article also explains that the date of the Martkopi uprising is not accidental, and talks about its significance in the history of the Georgian people.